

გურამ მაისურაძე

ეგზაკტები ნეიტონფლის

ანუ ქართული ხასიათების საიდუმლო

პრეპული

თბილისი
2020

ნინასიტყვაობის მაგივრ

საქართველო არის ქვეყანა, სადაც ყველა პოლიტიკა-ზე ლაპარაკობს, პოლიტიკისა კი არაფერი გაეგებათ. ამის გამო დღეს მივიწყებული ან მიკერძოებულია ლიტერატუ-რული კრიტიკა. ჩვენ ვცხოვრობთ თვალთმაქცურ სამ-ყაროში, სადაც მოკვდავებს გამაოგნებელი ეპითეტებით ამკობენ, გენიოსები კი დავიწყებულნი არიან, ან ჩრდილ-ში დგანან. ჩვენი ბუნებაა ეგეთი – გენიოსებს ხან ტყვი-ით კლავენ, ხან უყურადღებობით, შიმშილით, უკეთეს შემთხვევაში დუმილით. წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე ამის დასტურია. ყველა მათგანს ჩვენი სა-ზოგადოება თავის დროზე უმადურად მოექცა. ისინი შემ-თხვევით როდი შემირჩევია – მათში საერთო ის არის, რომ ყველანი სამშობლოსათვის, ქართული ხელოვნებისათვის წამებულნი არიან და მათ ცხოვრებაში ჩვენი რეალური ყოფა აისახა. ნიჭიერი მვილების დაუფასებლობა და გაუ-ტანლობა მუდამ ჩვენი ტკივილი და უბედურება იყო. ამით კი საბოლოოდ ჩვენი სამშობლო ზარალდებოდა. ამ წიგნმა იქნებ კიდევ ერთხელ დაგვაფიქროს ამ საკითხებზე; იმა-ზე, რომ საქართველო რენეგატი ვარსქენები, სადუნები, ბალვაშები, შადიმანები, ყორლანაშვილი, ორჯონიკიძეები კი არ იყო, არამედ სწორედ ხანძთელები, მთაწმინდელები, აღმაშენებლები, ბრწყინვალეები, ოპიზრები, რუსთველე-ბი, მუსხელიშვილები, ფიროსმანაშვილები, გოდერძი ჩო-ხელები, ლიანა მიქიანები, ნიკორწმინდისა და ფიტარეთის მეჩუქურთმეები, გელათის ღვთისმშობლისა და ყინწვისის ანგელოზის შემოქმედი იყვნენ. ჩვენი ერის დიდებას ესე-ნი ქმნიდნენ, ესენი არიან არდავიწყებისა და შთამომავ-ლობისაგან მადლობის ღირსნი.

მგზავრები წყობისფლის

400 წელიწადს დუმდა საქართველო მსოფლიო გენიის რუსთველის შესახებ და მის ცხოვრებაზე არაფერი ვიცით ლეგენდების გარდა. თვით უკანასკნელ საუკუნეებშიც კი არ შეწყვეტილა მისი აუგად ხსენება (ნიკოლოზ ირბახი, ანტონ კათალიკოსი). ზოგი კი იმდენად გათამამდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ საოჯახო ალბომი ეგონა და შიგ ჩასწორება-ჩამატებები დაიწყო. დღეს თავის ტეხვა გვჭირდება მათ მიგნებაზე და ამ ჩხრეკვაში ხშირად უფრო მეტი შეცდომა მოგვდის. ამიტომ გავძედე რუსთველზე ხმის ამოღება, თორემ ლვთის სწორს ჩემი დასახმარებელი რა სჭირდა.

აი, თუნდაც ნიკო სამადაშვილი, გოდერძი ჩოხელი ან ლიანა მიქიანი. სამივენი ხელისუფალთა და საზოგადოების გულცივობამ, დაუფასებლობამ და შიმშილმა იმსხვერპლა უკვე ჩვენს დროში. სამწუხაროდ ყველაფერი მეორდება – ფიროსმანაშვილის ცხოვრებამ ვერაფერი გვასწავლა. გოდერძი ჩოხელი უდაოდ დიდი მოვლენაა ქართულ მწერლობასა და კინოხელოვნებაში, მაგრამ სრული დაუფასებლობის, სიღატაკის, შიმშილის მსხვრეპლად ქცეული ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან. ხელისუფლებამ მისი სიცოცხლის გადასარჩენად ასი ათასი დოლარი არ გაიმეტა, ხოლო იმავე პერიოდში ორიდან ექვს მილიონამდე დოლარს უხდიდა უცხოეთიდან მოწვეულ ყავლებასულ ან შარლატან მომღერლებს ორსაათიან კონცერტში, რასაც არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ქართული კულტურისათვის. სამწუხაროდ ამ გენიალური მწერლის ცხოვრება-შემოქმედებაზე დღემდე სრულყოფილი გამოკვლევაც კი არ არსებობს. ამიტომ თავს უფლება მივეცი მისი შემოქმედებისათვის შედარებით ვრცელი გამოკვლევა მიმედვნა.

ძალზე დაჩქარებულ ეპოქაში გვიწევს ცხოვრება. დედა-მინა „დაპატარავდა“. ადამიანების უმეტესობა საარსებო ორომტრიალსა და მძიმე ცხოვრებაში თავის გადარჩენაზე ფიქრმა გათანგა – ცხოვრების სწრაფი ტემპის გამო „გა-დარბენაზე“ მყოფებს აღარ სცალიათ ძველებურად პატ-რიარქალურ სიმყუდროვეში სქელტანიანი ნაწარმოებების კითხვისათვის. ამიტომ ჩემი ნაწარმოებები შეგნებულად არის დაწურული და მოკლე. ზოგი მათგანი ადამიანის ცხოვრების თითქოს ერთ უმნიშვნელო ფრაგმენტს ეხება, მაგრამ ჩემთვის მთავარია ქართველი კაცის ხასიათი და არა ამბავი, ერთ უბრალო მოქმედებაში ან ეპიზოდში იმის ჩვენება, თუ რით გამოირჩევა სხვათაგან, რაში მდგომარეობს მისი ეროვნული ბუნების, ხასიათის თავისებურება, რამდენად გამოდგება იგი მომავალი თაობების ზნეობრივი წვრთნისათვის, დღეს რომ ეგზომ გვაკლია. იქნებ ზოგი ნოველა მკაცრიც მოგეჩვენოთ, მაგრამ ისინი სინამდვილი-დან არის აღებული, თვითონ ცხოვრებაა მკაცრი და მწე-რალი ვალდებულია ის შეულამაზებლად ასახოს. მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება სწორედ იმიტომ არის განსა-კუთრებით ღირებული, რომ იქიდან იმზირებიან ჩანჩქრა, კურკა, დამპატიუე, კვაჭი, ჯაყო, ანუ რეალური ცხოვრების სისასტიკე.

ჩვენ გრიგალში მოვყევით. დედამინის უხუცესი და სა-ზეპურო ერი უფსკრულთან დგას. ქვეყანას ნიჭიერი შვი-ლები გადაარჩენენ. გავუფრთხილდეთ და გზა გავუხსნათ! გავმრავლდეთ! არა – გადაშენებას! არა – გულგრილობა-სა და სიძულვილს! გაუმარჯოს სიყვარულს! გაუმარჯოს სიცოცხლეს! საქართველო ფენიქსია! – თუ ამ წიგნის წაკითხვის მერე ასეთი ფიქრები გენვიათ, ვალმოხდილი ვიქნები!

ნოველები

და მთხოვთბები

მგზავრები ცეტისოფლისა

ერთი უწყინარი და აბერალუკა* კაცი იყო ლაზარე. ენა ებორკებოდა და წუთისოფელი დუმილში უფრო გაატარა. ხმას მხოლოდ მაშინ ამოიღებდა, ცოლს როცა უწყრებოდა, ხანდახან უმიზეზოდაც გაუჯავრდებოდა მარტო იმიტომ, რომ ვიღაცას მისი რიდი და მორჩილება არ დავიწყებოდა. მშობლებმა ცოლის სათხოვნელად რომ გაგზავნეს, სოფლის ყველაზე ენამზე კაცი ტიტულა – ტრისტან ბეშიძე გააყოლეს. ლაზარეს ხმა არ ამოაღებინო, მის მაგიერ ილაპარაკე, სასიძო არ დაიწუნონო.

პირმიწეთიდან დილით გასულები სამაჩვეთში საღამო პირზე ჩავიდნენ. შეიქნა ჩოჩქოლი ხოსია მესხაძის ჯალაბში – გაცნობა-გამოცნობა, მიკითხვა-მოკითხვა, ერთი მეორე. ყველა მუშტრის თვალით ზომავს სასიძოს. ლაზარე გასუსულია. ახსოვს დედის დარიგება – ხმა არ გაიღოვო. ნათლიად წამოყოლილი ტრისტანა კი რაჭული სიდარბაისლით ენამზეობს, ჰყვება მთისას და ბრისას, ამინდისას, მოსავლისას, ვენახისას, პურ-ღვინისას, ნადირობისას.

* აბერალუკა – რაჭულად ბერავი, საწყალი.

მგზავრები წყობისფლისა

ეზოში ახალი ოდასახლი წამოუწყია ხოსიას. ხუროებს კედლები აუყვანიათ, კოჭები გაუწყვიათ, საცაა სახურავის მოდგმას დაიწყებენ... და უცებ თვალი ჰქიდა ლაზარემ, რომ სახლის დირეზე კატა გასულა და იქიდან შემოსცერის. ვეღარ მოითმინა და უნებურად წამოროშა: – მე არაფერს ვიტყვი, მარა ე კა-კა-კა-კა-ტა დი-დი-დი-დირედან ჩამოვარდება! – უცებ გაახსენდა დედის დარიგება. ენაზე იკვნიტა, მაგრამ რაღა დროს. სიტყვას უკან ვინ დააბრუნებს?

ყურები ცქვიტეს მასპინძლებმა. დიასახლისს ახლა ლაზარეს ჯიბისკენ გაექცა თვალი, იქიდან საათის ძენ-კვი რომ მოუჩანდა. ერთი გაიფიქრა: ხომ არ მომეყურა მისი ენადაბორკილობა. მოდი, ერთხელ ამოვალებინებ ხმასაო და ანაზდად ჰკითხა: ბატონო ლაზარე, რომელი საათია?

პირკატა ეცა ლაზარეს. დედამისმა ამ დილით კონდიტერ ერმილესგან ინათხოვრა ეს წყეული ჯიბის საათი – მესხაძეებს შეძლებული და გამოსული კაცი ეგონები, ქალს უფრო ადვილად მოგცემენო. არადა რა ჯანდაბად უნდოდა, საათის ცნობა მაინც არ იცოდა. გლეხკაცის საათი მზეა. თუ მუშაობს, ძირს იყურება, მიწას ჩასცერის. ცაში მარტო მაშინ აიხედავს, რომ დაიღლება და უნდა გაიგოს, მზე სად დგას – სადილობის დროა თუ მუშაობის დამთავრებისა. – ახლა რაღა ვქნა? – გაიფიქრა და იგრძნო, შუბლზე სიმწრის ხვითქმა როგორ დაასხა. ისევ გელხკაცის საათი – მზე გაახსენდა, ისევ გლეხურმა ალღომ უშველა. დასავლეთს გასედა, მზე ჩასვლაზე რომ იყო და უპასუხა: – მზე კა-კა-კა-კანკალაზეა!

წყალში ჩაეყარა ენამზეობა ტრისტანას. ნირი წაუხდათ

მასპინძლებს...აქეთ ზომეს, იქით ზომეს, ბოლოს უარი მა-ინც არ უთხრეს.

60 წელი ერთად ზიღეს პირმიწეთას მიწა ლაზარემ და ქრისტინემ 60 წელი ერთად აკოტრიალეს ჩხოტის უნაყოფო მიწა. 60 წელი ერთად ამღვრიეს წყარო წუთისოფლისა, ერ-თად სწიეს უღელ-ჭაპანი. მძიმე იყო ეს უღელი. დროდადრო წაიფორხილებდნენ ხოლმე და მაშინ ლაზარე გულს გინე-ბითდა იოხებდა.; ცოლიც რო ხიფათიანი გამოადგა – გინდა არ გინდა, რაღაც მიზეზს მაინც მისცემდა კაცსა. ხან ხელი-დან რამე გაუვარდებოდა და გატყდებოდა, ხან წაიქცეო-და და ხელს ან ფეხს იტკენდა. ერთხელ მაინცდამაინც ზედ ახალწლის ლამეს გამოელიათ ოჯახში ფქვილი. რაღას იზამ-დნენ. საფქვავი აიკიდა ლაზარემ. ქრისტინე ფარნით გა-უძღვა. წისქვილი სოფლიდან კარგა შორს, მინდვრებს იქით, ღრმა ღელები იყო. იქ საცალფეხო ბილიკებით ღამით კი არა, დღისითაც ჭირდა ჩასვლა. ძლივს ჩააღწიეს ჯერავეთის ხევში. წისქვილის კარზე ქრისტინემ დოლაკანს* რომ ხელი შეავლო და ჯიბეები მოიქექა, სახტად დარჩა. გასაღები სახ-ლში დარჩენოდა. არადა წინა დღეს ქრისტინეს ხვეწნით ყბა მოექცა – ამ ახალ წელს მაინც არ დაიგინო, დაგებედებაო. ლაზარეც დაპპირდა და მთელი დღე თავს იკავებდა. ახლა მოდი და წუ შეიგინები და გუდას პირი მოხსნა: – ქრისტიკა, (ასე ეძახდა გაბრაზებული ლაზარე) ო, მე შენი ...

არ დაიგინო, ლაზარე, არ დაიგინო, წავალ და ჩამოვი-ტან გასაღებს! – კარგახანს ამაოდ ემუდარებოდა ქრის-ტინე.

ვენახში დიდი ბალი ედგა ლაზარეს. პატარა ბიჭებს თი-ბათვები იმ ბლის მოპარვა გვიყვარდა. ხის ძირში ქურთუ-კებს დავყრიდით და ბალს წვერში მოვექცეოდით. ზოგჯერ

*დოლაკანი – რაჭულად ურდული.

შგზავრები წყობისფლისა

ლაზარე შეგვიტყობდა და ბავშვები ერთმანეთს ვასწრებდით გაქცევას. მერე ვატყუებდით – ტანსაცმელი ბლერიანიაო. ჯოხით გადმოგვიყრიდა ვენახის ღობეზე ჩვენს ტანსაცმელს. ასე მეორდებოდა ყოველ წელს.

ერთ ზაფხულს სოფელში რომ ავედი, ქრისტინე გზაზე დამხვდა. ერთად შევებით სოფლის აღმართს. ძროხა ლაზარეს დავუტოვე. რაიონში ვიყავი საყიდლებზეო, მითხრა. გამიკვირდა, ლაზარე ხუთი წლის მკვდარი იყო. ვიფიქრე, მოხუცი ჭკუაზე გადავიდა-მეთქი. არაფერი შევიტყობინე. საუბრით სოფლამდე ავედით. ქრისტინე ჩიოდა:. სოფელი გადაშენდა. ზამთარში სახლები დაკეტილია, მარტო მე, მიცვალებულის სულები და ღმერთილა ვრჩებით მთელ სოფელში. ღამღამობით მგლები მომიცვივდებიან, ერთმანეთს ტაშტებს ვუბრახუნებ ნადირის დასაფრთხობადო. დღისით ხან ერთ ეზოში შევალ, ხან მეორეში, დაკეტილ სახლებს დაველაპარაკები. მერე ქუჩიდან თოვლში ჩემს ნაფეხურებს რომ გავხედავ, მიხარია. ასე მგონია, სახლი დაკეტილი არ არის, პატრონები არსად წასულან, წუხელ აქ ეძინათ და ამ დილით გამოვიდნენ სახლიდან. ზოგჯერ მეზობლების ეზოებში ძაღლი და მამალი მიმყავს და ვაბამ. ძაღლი დაიყეფებს, მამალი დაიყივლებს, მე კი მივაძახებ – იხარე ჭერო, მოკვდი მტერო! ხან ეზოებში ჭიაკოკონას ვანთებ, რომ ბოლი ავარდეს, ნატუსალის სუნი დატრიალდეს. ცოცხლებს დაავიწყდათ აქაურობა, თორემ მიცვალებულების სულები ხომ არასოდეს გვტოვებენ, მუდამ თავს დასტრიალებენ მშობლიურ სახლ-კარს. გაიგებენ, დაინახავენ, ეზოდან რომ ბოლი ამოდის, გაეხარდებათ. ვენაცვალე უფლის თვალის წამნამებსა, ალბათ ის მაკეთებინებს ამასა.

ამ ლაპარაკში სოფლის ბოლოში სასაფლაოსკენ გა-
10

დაუხვია. იქ ლაზარეს სამარის რკინის მესერზე მიბმული ძროხა ბალახს მშვიდად სძოვდა. იმ წელს მგელმა შეუჭამა ის ერთადერთი ძროხაც. ალარავინ დარჩა ხმის გამცემი.

ჯანმაგარი იყო მესხაურის ქალი. დიდხანს უძალიანდებოდა მარტოსულობას. რამდენიმე წელი გავიდა. სოფელში რომ ავედი, ნაწვიმარი იყო. ქრისტინე მინდვრიდან გალუმპული მოდიოდა. ყოველდღე ძროხა მეკარგება და მინდვრებში ვეძებო, შემომჩივლა. სიმარტოვისგან უკვე ჭუუა ამღვრეოდა მოხუცს. არადა როცა სოფელში სიცოცხლე დუღდა, ერთი სიტყვა მასაც ეთქმოდა. მაშინ გლეხკაცი გონიერი იყო და სოფელი ღონიერი. შემოდგომობით ნაშრომ-ნაამაგარის დაბინავება რომ დაიწყებოდა, ღმერთი ყველას ეზოში კალთას დაიბერტყავდა: ჭურ-მარანი ჩამაჭრიანდებოდა, ბეღლებს სტომაქები გაუძღებოდათ. მერე სოფელი ზამთრის თადარიგს შეუდგებოდა. პირუტყვისთვის სამყოფი თივები იზვინებოდა; კარ-ბანი თივისა და ველური ხმელი ყვავილების რაღაცნაირი ნაზი სურნელით ივსებოდა. მერე მთიდან რიგ-რიგობით ყველა ოჯახისთვის ნალოებით შეშის ჩამოთრევა იწყებოდა. ყოველი საღამო ტყიდან დაბრუნებული ნამცივნი ბიჭების ქეიფით მთავრდებოდა. მერე საშობაოდ ღორების კვლა და ქეიფი გადაებმებოდა. ამას არყის ხდა მოსდევდა. რიგ-რიგობით ყველა ოჯახში იხდებოდა ჭაჭის არაყი. – ქრისტინე გამისინჯე არაყი! – ეტყოდა რომელიმე მეზობელი და სავსე ჭიქა წინწანაქარს მიაწოდებდა. ქრისტინე ნირშეუცვლელად დალევდა. როგორიაო, შეეკითხებოდნენ. არაუშავსო – ეტყოდა. – ღმერთმა მრავალი გამოგახდევინოთ, ქორწილში, ძეობაში და ნათლობა-ლხინში მოგახმაროთო. – დალოცავდა. ზოგი იმასაც ამბობდა: გული რომ წაუვა,

მგზავრები წყოთისოფლისა

წყალი არ უშველის, პირში ხვანჭკარა თუ არ ჩაასხი, ვერ მოაბრუნებო.

მას მერე დიდი დრო გავიდა. ამ გაზაფხულზე სოფელში სააღდგომოდ წინაპართა საფლავები მოვინახულე. ქრისტინეს სახლს ნაზამთრალი ერთი კედელი ჩამოშლოდა. გარღვეული კედლიდან ლაზარეს და ქრისტიანეს გადიდებული სურათები გამოსცეკროდნენ შამბით მოცულ ნავენახარსა და სოფლის გზას. მათმა პატრონებმა კი, როგორც ამ სოფლის ბევრმა მოსახლემ, იარეს, იარეს და რახანია გადაიარეს თავისი წილი ბექობი წუთისოფლისა. გადაიარეს, თითქოსდა სააქაოში შემთხვევით შემოხეტებულებმა. გაიკრიფნენ და წავიდნენ ამ გზით მგზავრები წუთისოფლისა, წავიდნენ იქით, საიდანაც უკან აღარავინ ბრუნდება.

ე ს ტ ა ტ ე

დინჯი, სოფლის მოყვარული კაცი იყო ესტატე. მისი დღე ალიონზე იწყებოდა ყანა-ვენახში შრომით და იქვე ღამდებოდა. ლუკმასაც, როგორც თვითონ იტყოდა, იქვე, ვაზის ძირში მოკალათებული სჭამდა. მისი საჭმელი შინ გა-მომცხვარი შავი პური ან მჭადი, ხან ყველიც ჰქონდა დასა-ყოლებლად, ხან არც ის ჰქონდა და მჭადსა და ხახვზე გადა-დიოდა. პატარა სურა სულ თან ჰქონდა და ხანდახან წყლის მაგივრადაც სვამდა სანაქებო ხვანჭკარას.

სანამ ცოცხალი იყო ხარობდა ლურჯი მთებით, ყვავი-ლებით მოჩითული მდელოთი, მამის ნალოლიავები ვაზით, მშობლიური ვარსკვლავებით, მზითა და მთვარით, მშვიდი, აუჩქარებელი ცხოვრებით. ხშირად იტყოდა, სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ ამ ლურჯი მთების დატოვება მენანებაო.

სიარულიც აუჩქარებელი იცოდა, აუჩქარებელი იყო მისი მისალმებაც, თითქოს ელოდა გამარჯობას როდის ეტყოდი, პასუხად მშვიდად გააგრძელებდა – გაგი – მარ-ჯოოოს; მისი მაღალი სიტყვა ან გაჯავრება სოფელში არა-ვის ახსოვს. მშვიდი, აუღელვებელი ცხოვრებით იცხოვრა და 100 წელზე მეტი ხნის მშვიდად, მთელი დღის შრომის შემდეგ, ვაზის ძირშივე მიაბარა სული უფალს; გვერდით კი ისევ ელაგა პატარა სურა ხვანჭკარით, მჭადი და ხახვი.

ის მინდვრის ველური ლამაზი ყვავილივით ჩაიშრიტა მშობლიურ მიწაში, საიდანაც თვითვე ამოვიდა. მას არც არავის ჩრდილქვეშ უცხოვრია და არც არავისთვის დაუჩ-რდილავს წუთისოფელი.

მა მიყვარს საქართველო

ეს თითქოსდა პატარა და უმნიშვნელო ამბავი 2008 წელს
მოხდა. საქართველოს კართან ისევ ატუზულიყო არაბუ-
ლი, მონღოლური, სპარსულ-მაზდეანური, სელჩუკური თუ
სკვითური მონობის მსგავსი აჩრდილი – საქართველო ისევ
მტრის სანავარდო იყო. თუ მეოცე საუკუნის დასაწყისში
ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი, შავშეთი, ერუშეთი, ლორე-ტა-
შირი, ჯიქეთი, დვალეთი მეზობლებს მიეტაცებინათ, ახლა,
ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში საქართველოს უდი-
დესი ნაწილი – აფხაზეთი, კოდორის ხეობა, სამაჩაბლო,
დიდი და პატარა ლიახვის ხეობები რუსეთს დაეპყრო და
დაექცია. თითქმის დაშრეტილიყო წყარო ქართველობისა
– ქვეყანა სავსე იყო ბუდემოშლილი, კერადაქცეული, აყ-
რილი და ლტოლვილი ქართველებით, მგლოვიარე და ატი-
რებული ქვრივ-ობლებით. ქართველთა ნახევარი კი, უკვე
მერამდენედ, უცხოეთში გადახვეწილიყო. ამ ამბების ძი-
რითადი მიზეზი, რუსეთის სისხლიანი იმპერიის მტრობის
გარდა, მაშინაც და ახლაც საქართველოს ხელისუფლების
უვიცი და მოღალატური მოქმედება იყო.

საქართველოში მისისიპდალეულთა თაობა ბატონობდა.
ჭეშმარიტად ვარსქენ პიტიახშის ხანა მობრუნებულიყო:
გარეშე დამპყრობთა წყალობით აღზევებულიყვნენ უცხო
წარმოშობის, ამღვრეული სისხლისა და გონების, მასო-
ნურ-კოსმოპოლიტური ცნობიერების, სექტანტურ-მწვა-
ლებლური რწმენის, სხვა ქვეყნების მოქალაქეობის მქონე,
მტაცებლობა-გამდიდრების ციებ-ცხელებით შეპყრობილი

ადამიანები. ხელისუფლებაში უკანონოდ, ძალადობით მოსული უწიგნური, გაუნათლებელი და გამოუცდელი ყმანვილები ამაყობდნენ ამერიკაში გატარებული წლებით, იქაურ კოლეჯებში გავლილი კურსებით, უცხო ენის „ცოდნით“ და უცხო სიტყვების რახა-რუსით; აბუჩად იგდებდნენ საქართველოს ისტორიას, ლიტერატურას, ქართულ ენას, ეროვნულ გმირებს, ადათ-წესებს, ტრადიციებს და ზნეობას; ცდილობდნენ ამ ყველაფრის დაწიხლვა-დასამარებას და ნერგავდნენ უცხოურ ზნეობას, ენას, განათლების სისტემას; თანამდებობებზე დაწინაურების ძირითადი საზომი იყო ინგლისურისა და კომპიუტერის ცოდნა, ამერიკაში ნამყოფობა და არა ეროვნული ცნობიერება და პროფესიონალიზმი. ამის შედეგი იყო ის, რომ ჯანმრთელობის მინისტრად დასვეს ეკონომისტი, განათლების მინისტრად – სანტექნიკოსი, თავდაცვის მინისტრად – საგადასახადოს ინსპექტორი, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსად – პოლიციელი, უბნის ინსპექტორი, შინაგან საქმეთა მინისტრად – აგრონომი და ა. შ. ასეთმა ძირგამომთხრელმა საქმიანობამ ქვეყანაში ქაოსი შექმნა და ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ქვეყანა დაუძლურდა. ამან კი გარეშე მტერს საქმე გაუადვილა – რუსეთმა თითქმის უბრძოლველად 2-3 დღეში დაიპყრო ნახევარი საქართველო. ტელევიზიები გულმოდგინედ ეწეოდნენ ადამიანთა გამოთაყვანებას, დღედაღამ უჩვენებდნენ სისასტიკესა და ძალადობაზე აგებულ ამერიკულ ფილმებს, პოლიცია და ჯარი კი დღისით-მზისით სასტიკად არბევდა და ქუჩებში ხოცავდა თავისივე ხალხს. ამის გამო ადამიანებმა თვალი და ყური შეაჩვიეს მოძმეთა გაუტანლობას, ღალატს, ცბიერებას, მესისხლეობას. ქართველი მომღერლები ყელის ჩახლეჩვამდე გაჰკიოდნენ ამერიკულ სიმღერებს; მწერალ-

მგზავრები წყობისფლის

თა კავშირის შენობიდან ქუჩაში გამოყრილი და პატივაყრილი მწერლები სიდუხჭირის გამო ვეღარ სცემდნენ წიგნებს და აღარ იყო ქართული წიგნის მყიდველი, ანუ ვეღარ მუშაობდა ქართული იდეოლოგია; გაანადგურეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სახელმწიფო უნივერსიტეტი და ქუჩებში გაყარეს ქართველი მეცნიერები; უმაღლესი სასწავლებლები თავს იწონებდნენ ქართულ-ამერიკული, ქართულ-ესპანური, ქართულ-ინგლისური სახელწოდებებით და იმით, რომ ახალგაზრდებს უცხოეთის ქვეყნებიდან გადამდერებული პროგრამებითა და მეთოდებით ასწავლიდნენ; საქმე იქამდე მივიდა, რომ ხშირად მოისმენდით ან წაიკითხავდით ასეთ განცხადებებს: ცხადდება ბავშვების მიღება ქართულ-ინგლისურ ბაგა-ბაღებში, სადაც გაძლიერებულად ვასწავლით უცხო ენებსო. ანუ ასეთი მოდას აყოლილი და გონდაკარგული ქართველები ბავშვებში ადრეული ასაკიდანვე ცდილობდნენ ქართული ენისა და ცნობიერების აღმოფხვრას. მოდაში შემოვიდა ფირმების, წარმოება-დაწესებულებების გაუგებარი უცხოური სახელწოდებები. თბილისის გულში – რუსთაველისა და ჭავჭავაძის გამზირებზე გასულთ თავი რომელიდაც უცხო ქვეყანაში გეგონებოდათ, რადგან ყველა სავაჭრო შენობას და სასტუმროს უცხოური სახელწოდებების წარწერები ამკობდა. ერთი სიტყვით ისეთი დრო იდგა, როგორც მერვე საუკუნის ქართველი მწერალი იოანე საბანისძე ბრძანებდა: და ირყეოდა ქრისტიანობა (ანუ ქართველობა) ვითარება ლერწამი ქართაგან ძლიერთაგანო.

სწორედ ამ სოდომ-გომორის დროს საქართველოში ჩამოვიდა ერთი ამერიკელი ტურისტი – ექიმი ჯორჯი. ეს კაცი გატაცებული იყო სხვადასხვა ხალხთა ზეპირსიტყვიერების, ყოფა-ცხოვრებისა და ადათ-წესების შესწავ-

ლით. ამერიკაში მცხოვრები ერთი ქართველი მანდილოს-ნისაგან ბევრი ქება სმენოდა საქართველოზე და სურდა ჩვენი ქვეყნის გაცნობა. იმოგზაურა საქართველოს ყველა კუთხეში. აღტაცებული ინერდა ნანახესა და გაგონილს, იღებდა სურათებს ვიდეოკამერით. ბოლოს საქართველო-თი მოხიბლული სტუმარი რაჭის მთიანეთსაც ეწვია. იქ გა-ვაშელების ოჯახში დაბინავდა. ეს იყო ძირძველი და დიდი ქართული ოჯახი, სადაც რამდენიმე თაობა – მშობლები და სამი ვაჟი თავიანთი მრავალრიცხოვანი ცოლ-შვილით ერთად ცხოვრობდა ძველებური ქართული ადათ-წესე-ბით. ამერიკელი სტუმარი გაოცებული იყო ამ მრავალ-რიცხოვან ოჯახში დამკვიდრებული წესრიგით, ზნეობით, უფროს-უმცროსობითა და ურთიერთპატივისცემით. სა-ლამოს სტუმარი საერთო სუფრასთან ვახშმად მიიწვიეს. სუფრას ოჯახის უფროსი თამადობდა, სამშობლოს, ოჯა-ხის, წინაპრებისა და სხვა სავალდებულო სადლეგრძელო-ების შემდეგ თამადამ მშობლების სადლეგრძელო წარ-მოთქვა, თან თარჯიმანს უთხრა: ბატონ ჯორჯს ჰერიტეი, მშობლები ცოცხლები ჰყავს თუ არა, სადლეგრძელოში რომ მოვიხსენიოთო.

– დედა ადრე გარდამეცვალა, მამაჩემი კი 15 წელია არ მინახავს, სადღაც მოხუცთა თავშესაფარში უნდა იყოს. არ ვიცი, ცოცხალია თუ მკვდარი. – მიუგო სტუმარმა.

თამადას სახე მოექუფრა, ერთხანს დუმდა, მერე წარბ-შეკრულმა მაგიდას მუშტი დაჲკურა და თარჯიმანს უთხრა: – გადაეცით სტუმარს ჩემი ნათქვამი სიტყვა-სიტყვით. სა-ქართველოში სტუმარი ღვთისგან ბოძებული წყალობაა და მისი წყენინება არ შეიძლება. მიუხედავად ამისა ეს კაცი ხვალიდან ჩვენს სუფრასთან აღარ დაჯდება, საჭმელს თა-ვის ოთახში მიუტანენ. იმ კაცთან პურს ვერ გავტეხ, ვისაც

მგზავრები წყობისფლისა

15 წელია მამა არ უნახავს და ისიც არ იცის, ცოცხალია თუ მკვდარი.

იმ დღიდან ცალკე უშლიდნენ სუფრას, სანამ იმ ოჯახში იყო. ჯორჯი დიდხანს ფიქრობდა იმაზე, რამაც გამოიწვია მასპინძლის გულისწყრომა. ამერიკაში ხომ ჩვეულებრივი ამბავი იყო მშობლების მოხუცთა თავშესაფარში გაგზავნა, ანდა წლობით მათი მივიწყება და ცალკე ცხოვრება. გავაშელების ოჯახში მიღებულმა გაკვეთილმა ღრმად ჩააფიქრა და შესძრა ამერიკელი სტუმარი. როცა სინდისაფორიაქებული სამშობლოში დაბრუნდა, მოხუცთა თავშესაფარში მოძებნა მამა, შინ წაიყვანა და იმ დღიდან სითბოსა და ზრუნვას არ აკლებდა. ერთ დღეს კი რაჭაში, გავაშელების ოჯახში ამერიკიდან წერილი მოვიდა. წერილში ეწერა: – „ქართველებო, არ ვიცი, რა ხალხი ხართ, არ გიცნობთ, მაგრამ მიყვარხართ. თქვენი წყალობით ჩემმა შვილმა ჯორჯმა მომძებნა და მოხუცთა თავშესაფრიდან სახლში წამიყვანა. გავიცანი ჩემი შვილიშვილები, ჯორჯის მეუღლე. ყველა თავს მევლება, პატივისცემასა და მზრუნველობას არ მაკლებენ. ბედნიერი სიბერე მაქვს, რისთვისაც უღრმეს მადლობას გიხდით. მე მიყვარს საქართველო!“

კაცთმოყვარეობის ახალებულებები გაგალითი

გერმანელმა მარტოხელა პენსიონერებმა ჰანსმა და ზაბინე თეობალდებმა გასაოცარი საქმე ჩაიდინეს. საქართველოდან გერმანიაში სასწავლებლად ჩასული სტუდენტი ჯონდი მათთან მდგმურად ცხოვრობდა. მოულოდნელად ბიჭს განსაცდელი დაატყდა – სისხლის დაავადება აღმოაჩნდა. მკურნალობას 200 ათასი ევრო სჭირდებოდა. ლარიბ სტუდენტს ფული არ ჰქონდა. ოჯახიდანაც ვერავინ დაეხმარებოდა – დედამისი გარესამუშაოზე საბერძნეთში იყო წასული და ოჯახს იმით ძლივს არჩენდა. თეობალდებმა სიბერისთვის შეგროვილი დანაზოგი 170 ათასი ევრო მთლიანად გამოიტანეს ბანკიდან. დანარჩენი თანხაც ნათესავ-მეგობრებში შეაგროვეს და ბიჭის მკურნალობის ღირებულება გადაიხადეს. თეობალდებმა უცხოელი ჭაბუკის სიცოცხლე გადაარჩინეს.

ჯონდიმ გერმანელი დედობილ-მამობილი საქართველოში სტუმრად ჩამოიყვანა. ჰანსმა ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „მე და ჩემი მეულლე ზაბინე მდიდრები არ ვართ. უბრალო პენსიონერები გახლავართ და შავი დღისთვის პენსიიდან ცოტა-ცოტას ვაგროვებდით ხოლმე. როცა ჯონდის ავადმყოფობა შევიტყვეთ, ძალიან შევწუხდით. ჩვენ ერთადერთი შვილი სწორედ ამ ასაკში და ამავე დაავადებით დაგვეღუპა იმ კლინიკაში, სადაც ჩვენი სტუმარი სამკურნალოდ მივიყვანეთ. ამ ამბავმა შეგვძრა. გადავწყვიტეთ ჩვენი შვილის სანაცვლოდ მას დავხმარე-

მგზავრები წყობისფლისა

ბოდით ჩვენი დანაზოგით უკანასკნელ ევრომდე; მაგრამ ეს თანხა არ კმაროდა. ამიტომ ნათესავებს, ნაცნობ-მე-გობრებს დახმარება ვთხოვეთ. ასე შევაგროვეთ დანარჩენი თანხაც და მისი მკურნალობა დავაფინანსეთ. მიგვაჩინია, რომ ჩვენი შვილის უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლე ახლა ამ ქართველ ჭაბუკში გრძელდება. ასე „ვიძიეთ შური“ იმ ვერაგ დაავადებაზე, რომელმაც შვილი წაგვართვა“.

კაცთმოყვარეობის გასაოცარი და ამაღლვებელი მაგალითია ზაბინე და ჰანს თეობალდების საქციელი. ალბათ ძალზე ცოტა ვინმე აღმოჩნდება, რომ უცხო ადამიანისთვის გაიმეტოს სიბერის დღეებისთვის გადადებული მთელი თავისი დანაზოგი. ეს გმირობაა! ჭეშმარიტად გულმოწყალებას და სიკეთეს საზვრები და ეროვნება არ გააჩინია!

ეს სიყვარულის უნარმა და სითბომა გააკეთა

ქ. თბილისის 50-ე სკოლის მასწავლებლის ლიანა წონორიას ნაამბობი, თუროგორ გასწია ქართული კულტურის დესპანობა გერმანიაში

გაცვლითი პროგრამით 9 თვე ვიყავი გერმანიის ქ. სალის სკოლაში. ცივად დამხვდნენ. დავითიცე, ამათ უნდა ვუჩენო, როგორი ერის შვილი ვარ-მეთქი. შვილები მენატრებოდა და სხვისი შვილების მოფერების უფლება არ მქონდა. მოსწავლეს თავზე ხელს ვერ გადაუსვებდი – იმდენი პათოლოგია ხდება დაშინებულები არიან. ერთხელ ვერ მოვითმინე და გაკვეთილზე ბავშვს თავზე ხელი მაინც გადაუსვი. იმან კი ისე დაფეხულმა შემომხედა. მამას დავურეკე უნდა მივატოვო ეს პროექტი-მეთქი. მამამ მითხრა: – შენთვის არაფერი მითხოვია, ვიცი გიჭირს, მაგრამ ახლა რომ დამარცხდე, მუდამ დამარცხებული იქნებიო. ამ სიტყვებმა გამომაფხიზლა. მეორე დღეს მივედი დაფასთან და ლათინურად დავწერე „ჭრელო პეპელა“. მერე ბავშვებს ვუთხარი, ამყევით-მეთქი. ეს გასაღები იყო, ამ სიმღერიდან სიცოცხლე მოდის. ერთმა ბავშვმა მთხოვა ამ სიმღერის სამშობლოზე მოგვიყევითო. მე ვუპასუხე – იცით როგორია? აქ რომ გაკვეთილზე ბავშვს აქვს დავალებული ვინც დაილაპარაკებს დაწეროს და მასწავლებელს დაახვედროს, ჩემს სამშობლოში ამას დაბეზღება ჰქვია და სირცხვილია-მეთქი; როცა

მგზავრები წყობისფლისა

ვტირით ფსიქოლოგი არ გვჭირდება, დარდის დაძლევაში მეგობრები გვეხმარებიან-მეთქი. ეს ხომ მართლაც ასეა, ქართველები ვერ ვფიქრობთ, რამხელა შვებას ვანიჭებთ ერთმანეთს, თანადგომისათვის წუთებს არ ვინიშნავთ, რომ ერთმანეთის ჩახუტებაში პათოლოგიებს არ ვეძებთ. ასე ვი-ქეცი „ქადაგად“, თანაც, მარტო კი არ ვლაპარაკობდი, გა-მოვხატავდი კიდეც. როცა სადარდელი ჰქონდათ, ეს მართ-ლა მაწუხებდა... თუ სამხიარულო იყო, გულით და სულით ვმხიარულობდი. ქართულს კარგად ვცეკვავ და ამაზე სულ გაგიჟდნენ... ეს საოცრება საიდან გაჩნდაო. ჩვენს ცეკვას ისეთი რიტმი აქვს, ხნიერები წამოხტებოდნენ და გამომე-ცეკვებოდნენ. ბავშვები მეხვენებოდნენ შენს სამშობლოში წაგვიყვანეო, მაგრამ ამ პროექტით ჯერ ქართველი ბავშვე-ბი უნდა ჩამეყვანა გერმანიაში. ახლა ეს გახდა ხათაბალა, ბავშვებს კი უნდოდათ, მაგრამ მათი ოჯახებიდან 8 ოჯახი ძლივს ვიპოვე, რომელიც ჩვენს ბავშვებს შეუშვებდა ერთი კვირით ოჯახში. ამ ერთი კვირის შემდეგ სასწაული მოხ-და – მშობლები მადლობას მიხდიდნენ – თქვენმა ბავშვებ-მა სხვა სამყაროში გადაგვიყვანეს, საუცხოოები არიანო. ბოლო პრეზენტაცია სკოლაში გვქონდა, ვღელავდი – ნე-ტავ როგორ წარმოადგენენ სამშობლოს-მეთქი, სასწაული მოხდა – ისეთმა ადამიანმა წამოიყვირა აღტაცებით „ვაუ“ – ყურებს არ დავუჯერე. მერე თქვა – სასწაულია რომ არ-სებობს ასეთი ქვეყანა, რომელსაც ასეთი ხელოვნება აქვს და ასეთი ბავშვები ჰყავსო! არადა, რამდენიმე დღის წინ კომპიუტერი დამინახეს და მკითხეს – წუთუ ეს თქვენთან იყიდებაო. შემდეგ გერმანიიდან წამოვიყვანე ბავშვები თბილისში და რა მოხდა ერთი კვირის მერე პრეზენტაცი-აზე? გერმანელმა გოგონამ, რომელიც სიტყვის წარმოთ-ქმისაც კი წითლდებოდა – აჭარული იცეკვა, ამ ოჯახმა

მასწავლაო. მე და გერმანელები თვალებგაფართოებული შევცურებდით ერთმანეთს... ეს სიყვარულის უნარმა და სითბომ გააკეთა. ახლა რიგი გვაქვს გერმანიაში ქართველი ბავშვების მიღებაზე.

P. S.

უკვე 25 წელზე მეტია საქართველოს ხელისუფლებაში მოსული, გლობალიზაციის მასონურ-კოსმოპოლიტურ ფესისხმას აყოლილი ქართველი ხელისუფალნი, უცხოეთის იმპერიების ხელშეწყობით ძალმომრეობით მოსული რენეგატები და დაქირავებული ემისრები დიდი მონდომებით ცდილობენ ქართული, ეროვნული კულტურის გაქრობას და მის ნაცვლად უცხოური კოსმოპოლიტიურ-მასონური წეს-ჩვეულებების დანერგვას. ამას სიამაყით „ახალი ქართველის“ აღზრდას უწოდებენ. ქართველი ერის ამ მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელებას ემსახურება პრესის და ტელევიზიის მძლავრი პროპაგანდისტური ქსელი უცხოეთის გრანტებს დახარბებული აგენტურა – ათასგვარი ცრუ პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ხელისუფლება განსაკუთრებით ცდილობს ამ საქმეში განათლების სისტემის გამოყენებას. ამ მიზნით განათლების სისტემას წლების მანძილზე სათავეში ედგნენ ხან სანტექნიკოსი, ხან პოლიციელი და მასონური ლაბორატორიებში გამოზრდილი ათასი ჯურის ვიგინდარა. სკოლებიდან იდევნებოდა ეროვნული პედაგოგიური კადრები და მათ ნაცვლად კადრების შერჩევა ხდებოდა და დღესაც ხდება სხვადასხვა მახინაციური ნიშნით, რომლებიც ბაგაბალებიდან და დაწყებითი კლასებიდანვე ცდილობენ ბავშვებისათვის უცხო ენების სწავლებას და მათი გონებიდან ქართული ცნობიერების გადაჯიშებას.

მგზავრების წყობისფლისა

დიანა წონორიას საქციელი ამ ფონზე პედაგოგიური გმირობაა, იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა შეებრძოლოს ამ დანაშაულებრივ ანტიქართულ პოლიტიკას ჭეშმარიტი ქართველი პედაგოგი; როგორ უნდა გავწიოთ უცხოეთში ყოველმა ქართველმა ჩვენი ეროვნული კულტურის დესპანობა; როგორ უნდა ვიცავდეთ ქართულ მეობას, კულტურას, ენას, ტრადიციულ ადათ-წესებს; როგორ ვედგეთ მტკიცე დარაჯად წინაპართა ნაანდერძევ ეროვნულ კულტურას. განსაკუთრებით ამაღლებული ამ ფაქტში კი ის არის, თვითონ პატარა ქართველები როგორ ეწინააღმდეგებიან ხელისუფალთა დანაშაულებრივ ანტიეროვნულ წნებს, როგორ გასწიეს უნებურად ქართული კულტურის პროპაგანდა უცხოეთში და ამით დაამარცხეს პირიქითა უცხოელთა გონებაში ჩვენდამი უნდობლობა, ნიჰილიზმი, უცოდინარობა და ამბიციურობა.

დიდი მეცნიერი და პოლიტიკოსი ზვიად გამსახურდია ამბობდა: – მეოცე საუკუნის ბოლოდან ევროპის დიდ სახელმწიფოებში საზღვრების გახსნა და გლობალიზაცია დაიწყო. ამან შეიძლება გამოიწვიოს რიცხვმრავალი სახელმწიფოების მიერ მცირე ერების შთანთქმა-გაქრობა. ამ ხიფათს მცირე ერებიდან მხოლოდ ისინი გაუძლებენ ვისაც უფრო ძლიერი უპირატესი კულტურა ექნებაო.

დიანა წონორიას და ჩვენი ბავშვების თითქოსდა უბრალო მოქმედება სწორედ უძველესი ქართული ეროვნული კულტურის სიძლიერეს ადასტურებს. უტეხი სული საქართველოსი გაუძლებს გლობალიზაციის ქარტებილებს. შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიო მეცნიერები ქართველებს დედამიწის ცივილიზაციის ისტორიაში პირველ – დაწყებით მოდგმას უნოდებენ.

პოლიტიკის მსხვერპლი

ბევრჯერ დაფიქრებულან მეზობლები: სონიას და მიტუშას ერთად რა აძლებინებთო. ერთმანეთის ალთა-ბალთა ხასიათებისა იყვნენ. მიტუშა რომ იტყოდა წვიმსო, სონია აუცილებლად მოუჭრიდა – მზე თავსა მწვავსო. კვირადღეს რომ ბაზარში ერთად წავიდოდნენ, უკან აუცილებლად ცალ-ცალკე ბრუნდებოდნენ წაჩეუბებულები. უერთმანეთოდ მაინც ვერ ძლებდნენ. მელას თავის მახრიობელა უყვარდაო, რომ იტყვიან, ისე იყო მათი საქმე. ასე შემოაცვდათ ტკბილ-მწარე წუთისოფელი.

იმ დილითაც ერთად გაემგზავრნენ ქალაქში. შვილიშვილის ქორწილში იყვნენ დაპატიჟებულნი. გზა გრძელია, მომქანცველი. შუა გზაზე, უღელტეხილზე ავტობუსების დიდი გაჩერებაა. იქ ყველა მანქანა ნახევარი საათით ჩერდება. მგზავრები ჩამოდიან, მუხლს გაშლიან, საქმეს მოითავებენ, სახელდახელოდ დანაყრდებიან იქვე სასაუზმეში. ესენიც ჩამოვიდნენ, გაიარ-გამოიარეს, მუხლში გაიშალნენ. მერე მიტუშამ ცოლის გამასპინძლება მოინდომა. სასმელზე რომ კატლეტი დააყოლა, ამ კატლეტზე მეტი მარილი უქნიათო – წამოსცდა. მლაშე კი არა, მწარეაო – სიტყვა შეუბრუნა სონიამ... და ისევ წაიჩეუბნენ. გაჯავრებული მიტუშა ცოლს აღარ დაელოდა და და ავტობუსში ავიდა. ყველა ავტობუსი ერთმანეთს ჰგავს. რას გაუგებს კაცი. ჰოდა, ნასვამი და გაცეცხლებული მიტუშაც რომელ ავტობუსში ავიდა, არცეკი დაფიქრებულა. ნასვამს მალე ჩაეძინა. თურმე სხვა ავტობუსში

მგზავრები წყობისფლისა

ჩამჯდარიყო, თანაც ისეთში, უკან, ქალაქიდან სოფელში რომ მიდიოდა. ნამძინარევი შეცდომას მაშინ მიხვდა, თავის სოფელს რომ მიაღწია... ნამგზავრი წყალმა შეაწუხა და ეზოს გადაღმა ჩეჩიმაში შევიდა. საქმეს რომ მორჩა და გამოვიდა, სახტად დარჩა: შუა ეზოში რუსის სალდათებს სახელდახელო მავთულხლართები გაუვლიათ და სახლში აღარ უშვებენ.

– ის ჩემი სახლია, გამიშვით! – ძალაობს მიტუშა.
– არა! ღობის იქით საქართველოს ტერიტორიაა, აქეთ რუსეთისა. – უბნება რუსის აფიცერი. – თუ ის სახლი შენია, მაშინ რუსეთის ტერიტორიაზე რა გინდა? საზღვარი დაარღვიე, დაპატიმრებული ხარ!

– კაცო, 70 წელია ეს ეზო ჩემია. ჩემს ეზოში რუსის საზღვარს რა უნდა? დილას ჩემი იყო, ახლა თქვენი როგორდაა?

– აქამდე შენი იყო, ახლა ჩვენია, მაშა! – იცინის იქვე აყუდებული კარგადაღმელი ოსი მეზობელი სარიბეკა, თან ჩხია თვალები უჟუჟუნებს.

– დედამინის მეექვსედის პატრონებს ჩემი ჩეჩიმა გეხარბებათ? ეს არის თქვენი პოლიტიკა? – გაოგნებულია მიტუშა, მაგრამ ხედავს, რომ დავას აზრი აღარ აქვს და საზავო მოლაპარაკებაზე გადადის, ბოლოს კაპიტულაციაზე თანხმდება:

– თქვენთვის არაფერი მენანება, თქვენი იყოს ეგ ჩეჩიმაცა და ეგ ოქროცა – ხელი ჩაიქნია მიტუშამ.

– ოქრო ახსენა. მაგას სადღაც ოქრო ჰქონია დამალულიო – ეუბნება სარიბეკა აფიცერს. – ოქროო? – ყურები ცქვიტა რუსმა. სად დამალეო?... და ორი დღე ნაობახში იმდენი ურტყეს, კინალამ სული გააგდებინეს. ვერაფერი გაიგო, რა ოქროს ედავებოდნენ.

- აკი თქვი, ოქროო? – თვალებს უბრიალებს რუსი.
- კაცო, მე „ლამის ოქროზე“ გითხარით. ლმერთმა მო-
გახმაროთ!

სხვა რომ ვერაფერი გამოადნეს, „საზღვრის დამრღ-
ვევს“ ბოლოს თავი დაანებეს. ორი დღის მერე კი სოფელში
სონიაც ამოვიშვიშდა.

– შენ დალიე შხამი და ბალდამი, მიტუშა. დეინვა ჩემი
ბედის მწერალი! – დიდხანს ესმოდათ მეზობლებს სონი-
ას წიოკი.

არამანდრიტ ილია კარტოზიას თავგანცირვა

ადრიატიკის ზღვაში სამგზავრო ბორანზე ხანძარი გაჩნდა. ბორანზე ხუთასამდე მგზავრი იმყოფებოდა. ისინი საბერძნეთიდან იტალიაში მიემგზავრებოდნენ. მათ შორის იყო 8 ქართველი. მცხეთის მამათა მონასტრის არქიმანდრიტი მამა ილია კარტოზია თავისი მრევლით იტალიის ქალაქ ბარში წმინდა ნიკოლოზის საფლავის მოსალოცად მიემგზავრებოდა. მამა ილია ბოლო წუთებამდე დარჩა ბორანზე – განსაცდელში და სასონარკვეთილებაში ჩავარდნილ მგზავრებს ამშვიდებდა, ამხნევებდა და მაშველებს ხალხის გადარჩენაში ეხმარებოდა. უკანასკნელ სამაშველო ნავში მამა ილიამ თავისი ადგილი ბერძენ დედა-შვილს დაუთმო, რადგან ნავში მეტი ადგილი არ აღმოჩნდა. ბორანი ხანძარმა შთანთქა. მამა ილიას კი მაშველებმა მაშინ მოუსწრეს, როცა ზღვაში დაიხრჩო 27 წლის ქართველმა მოძღვარმა სიცოცხლე გასწირა ბერძენი დედა-შვილის გადასარჩენად. მან თავისი საქციელით ექიმ იოსებ უორდანიას გმირობა გაიმეორა. მოძღვარის ცხედარი იტალიის ქალაქ ბარში, იქიდან კი საქართველოში დიდი პატივით გადმოასვენეს. 2014 წლის დეკემბრის იმ დღეებში იტალიისა და საბერძნეთის უურნალ-გაზეთებში არქიმანდრიტ ილია კარტოზიას გმირობაზე უამრავი აღფრთოვანებული წერილები დაიბეჭდა.

გაპრიელ პერი

ერობაში – გიორგი ვასილის ძე ურგებაძე.

ბერობაში – მამა გაბრიელი.

12 წლის ასაკიდან შეუდგა უფლის სამსახურს და იყო სიცოცხლის ბოლომდე დაუცადებელ ლოცვაში, სარწმუნოების ზღვარდაუდებელ მსახურებაში. ამის გამო მას ხშირად გაბრიელ სალოსსაც უწოდებენ. კომუნისტური წყობილების უამს როგორც მთელი სამღვდელოება, ისიც ხელისუფლებისგან განუწყვეტელ დევნას განიცდიდა: დევნა განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, როცა თავისი ხელით სახლის ეზოში ეკლესია ააშენა. მილიციამ ბევრჯერ სცადა მისი დანგრევა, ხოლო გაბრიელ ბერი სახლიდან გააძევეს და თბილისის ერთ-ერთ სასაფლაოზე 15 წელი ფარულად ცხოვრობდა; ბერობის 40 წლის მანძილზე კიდევ 15 წელი განუწყვეტელ მარხულობაში გაატარა, დარჩენილი დრო კი ხელისუფლებამ იძულებით ამყოფა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. მიზეზი ის იყო, რომ ოცნებობდა თავისუფალ საქართველოზე და იმპერიულ ხელისუფლებისადმი პროტესტის ნიშნად საკმაოდ სკანდალური პოლიტიკური საქმე ჩაიდინა: 1965 წლის 1 მაისს, როცა თბილისში ტრადიციული დიდი ზარ-ზეიმით, მრავალათასიანი დემონსტრაციით აღნიშნავდნენ კომუნისტურ დღესასწაულს, გაბრიელ ბერმა დღისით-მზისით, სახალხოდ ცეცხლი წაუკიდა და დაწვა მთავრობის სახლის ფასადზე გამოფენილი ლენინის უზარმაზარი სურათი. მაშინვე შეიპყრეს. დაკითხვაზე გა-

მგზავრები წყობისფლის

ნაცხადა: იქ სატანის სურათს რა უნდა, ქრისტეს ჯვარცმის სურათი უნდა ეკიდოს.

კომუნისტების ხანაში ბელადის სურათების ხელყოფა ადამიანებს სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ. ბავშვობაში ბებიაჩემი ხშირად მიამბობდა თავისი ძმის ამბავს, რომელიც მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში მოხდა: მესხეთის ერთ სოფელში ეს უბრალო გლეხეცაცი გაზაფხულზე მინდობრში ცხენის ფორანით ნაკელს ეზიდებოდა. გზაზე შემთხვევით იპოვა ნაგავში გადაგდებული ლენინის სურათი. აიღო, გაწმინდა, დაჭმუჭნული ხელით გაასწორა და რადგან ჭუჭყიანის ჯიბეში ჩადება შეუძლებელი იყო, ფორანის ძარაზე მიამაგრა. სანამ სახლში მივიდოდა, ვიღაცამ დააბეზლა – ბელადის სურათი ნაკელის საზიდარზე ჰქონდა დაკიდებულიო. ეს უნებური საქციელი პოლიტიკურ დანაშაულად – კონტრრევოლუციონერობად, ხალხის მტრობად, ტროცკისტობად, ძირგამომთხრელ საქმიანობად და ათას უბედურებად ჩაუთვალეს... და გააქრეს კაცი. არავინ იცის, დახვრიტეს თუ კატორლაში უკრეს თავი, მაგრამ მესხეთის მზე ვეღარ იხილა. ვეღარც ოჯახმა შეიტყო მისი ასავალ-დასავალი. არადა უბრალო გელხეცაცმა ივანიძემ ვერაფრით გაიგო, რას ერჩიოდნენ, რა ბრალი მიუძღვდა ქვეყნის წინაშე. მას ხომ უბრალოდ კეთილი განზრახვა ამოძრავებდა – მხოლოდ სურათის გადარჩენა სურდა და მეტი არაფერი? აი ასე დაღუპა გულუბრყვილო და ალალმართალი გლეხეცაცი ბელადის სურათმა. ხოლო ამასთან შედარებით გაბრიელ ბერის მოქმედება აშკარად შეგნებული პოლიტიკური პროტესტი გახლდათ. ასეთ საქმეზე კი კომუნისტებს ხუმრობა არ უყვარდათ... მაგრამ ხელისუფლებას ამჯერად სულაც არ აწყობდა, რომ ეს ამბავი პოლიტიკურ მოქმედებად ჩათვლილიყო და გახმაურებულიყო.

ამიტომ ნაცადი და იოლი გამოსავალი მონახეს – მეამბოხე ბერი შეშლილად გამოაცხადეს და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოკეტეს.

ფსიქიატრიული საავადმყოფოს ერთ-ერთმა ექიმმა 40 წლის შემდეგ ტელევიზიით გამოსვლისას გაპრიელ ბერთან დაკავშირებული უამრავი სასწაული გაიხსენა: „საავადმყოფოში მოყვანილს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით სანიტარმა წვერის გაკრეჭვა დაუპირა, მაგრამ მაკრატელი ხელიდან გაუვარდა, მეორე სანიტარი დაიხარა მაკრატლის ასაღებად და ხელი გაუშეშდა. ამიტომ ამ განზრახვაზე ხელი ავიღეთ. დიდი ხვეწნის შემდეგ ავუღეთ სისხლი ანალიზისათვის, მაგრამ ანალიზი აღარ გაგვიკეთებია და სინჯარა კარადაში დარჩა. 4 წლის შემდეგ აღმოვაჩინეთ ეს სინჯარა და ჩვენდა გასაოცრად სისხლი უცვლელი იყო, ახლად აღებულს გავდა. ეს მაშინ, როცა ჩვეულებრივი სისხლი რამდენიმე წუთში შედედდება, მერე კი იშლება ხოლმე“.

სიცოცხლის ბოლო წლები მამა გაპრიელმა მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში გაატარა. ცხოვრობდა ცივ, ბნელ და ნესტიან სენაკში. იწვა ხმელ ფიცრებზე, რადგან თავის სიცოცხლეში არასოდეს რბილ საწოლში არ წოლილა. მძიმე სენით შეპყრობილი იქვე გარდაიცვალა 1995 წლის ნოემბერში.

დღესაც ბევრნი იხსენებენ გაბრიელ ბერის უამრავ სასწაულებს. მშობელმა ფურცხვანიძემ გვიამბო, რომ მისი შვილი ხეიბარი დაიბადა და ინვალიდის ეტლში გაატარა რვა წელი ისე, რომ ფეხზე დადგომა არ შეეძლო. ვერც ხუთმა ქირურგიულმა ოპერაციამ უშველა. ერთხელ მამა გაბრიელის საფლავზე მიიყვანეს და ერთხანს სამარეზე პირქვედამხობილი იყო. სახლში დაბრუნებიდან მესამე დღეს

მგზავრები წყობისფლისა

ბიჭი ეტლიდან წამოდგა და 8 წლის მერე პირველად გაიარა ფეხზე. მეორე მშობელმა განაცხადა, რომ მისმა მუნჯმა ბავშვმა მამა გაბრიელის სამარეზე მიყვანისას იქვე ენა ამოიდგა. მესამე მშობელი იხსენებს, რომ მისი ახალშობილი ბავშვი ბარბარე მთელი კვირის მანძილზე საკვებს ვერ ღებულობდა. გაბრიელ ბერის საფლავზე მიყვანისას რძის ბოთლი სამარეზე დადგეს, ილოცეს, ხოლო წამოსვლისას ბავშვმა გზაშივე დაიწყო ჭამა.

მომსწრეთა და თვითმხილველთა მონათხრობით გაბრიელ ბერს წინასწარმეტყველების, სასწაულების ჩადენის, წინათგრძნობის უნარი ჰქონდა. ერთი მათგანი იხსენებს: გაბრიელ ბერს სენაკში ვეწვიეთ მე და ჩემი ამხანავი. ბერმა როცა შეგვხედა, ატირდა და თქვა: როცა მიცვალებული ტირის, ღმერთმა შეიწყალაო. ჩემი ამხანავი 30 წლის ასაკში გარდაიცვალა. მიცვალებულს გასვენებამდე ყოველდღე ცრემლი სდიოდაო. ზოგი იხსენებს, რომ მან რამდენიმე დღით ადრე იწინასწარმეტყველა ცხრა აპრილის სისხლისღვრა. მონაზონი დედა პარასკევა ამბობს, რომ მამა გაბრიელს ერთი შეხედვით შეეძლო ცოდვა-მადლის ამოცნობა. პირადად მე ძალზე უცნაურ ვითარებაში ვიხილე მამა გაბრიელი. მარჯანიშვილის ხუთ ნომერში ვმუშაობდი ერთ-ერთ გამომცემლობაში. მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისი იყო. გაზაფხულის მშვენიერი დღე იდგა. შესვენების დროს მესამე სართულის კაბინეტის ღია ფანჯრიდან ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გადავყურებდი. ტროლეიბუსის გაჩერებაზე, მარჯანიშვილის თეატრის ცოტა ქვემოთ რომ იყო, ბერის გახუნებულ სამოსიანი, კუკულბარტყვლიანი თეთრწვერა, გრძელჯოხიანი მოხუცი შევნიშნე. იქ სხვა მგზავრებიც იდგნენ და ტროლეიბუსს ელოდებოდნენ. ბერმა უცებ ტროტუარზე დაიჩოქა, მიწას

ემთხვია, მერე დაჩოქილმა სამჯერ პირჯვარი გადასწერა სივრცეს ჩემი ფანჯრის მიმართულებით. უცებ ტროლეი-ბუსი ჩამოდგა. ხოლო როცა ტროლეიბუსი დაიძრა, გაჩერე-ბაზე აღარავინ იყო – არც მგზავრები, არც ბერი. მას მერე მრავალი წელი გავიდა, ბევრი რამ მოხდა ჩვენს ქვეყანა-შიც, ჩემს ცხოვრებაშიც, ის სურათი კი ხშირად მახსენდე-ბა. ვფიქრობ, რომ მეც მამა გაბრიელის ლოცვა-კურთხევა დამყვება ამ ქვეყანაზე.

მცხეთის დედათა მონასტერში მამა გაბრიელის სამა-რეზე წმინდა კანდელი ანთია მუდამ. იქ ყოველდღე მიდიან მლოცველები, მერე კი იმ კანდელიდან ნაკურთხი ზეთი მი-აქვთ. ეს სამკურნალო ზეთი მრავალ შეჭირვებულს შვებას ჰგვრის. სამარეს დედა პარასკევა უვლის, მონაზონი, რო-მელიც დავრდომილ გაბრიელ ბერს უვლიდა და წმინდა ბე-რის სასწაულებრივ ცხოვრებაზე ბევრ საინტერესო ამბავს გიამბობთ.

2012 წელს საქართველო ეკლესიამ მამა გაბრიელი წმინ-დანად შერაცხა.

2013 წ.

ზურაბ გვალიშვილის ღვაწლი და ხელისუფალთა უმაღლობაზე

ძველად ვაჭრობა ქართველი კაცის ბუნებაშია რიყო. არა-და ვაჭრობა ქვეყნის მოღონიერების ერთ-ერთი მძლავრი გზათაგანია. ამიტომ მეფეები ხშირად ახდენდნენ ებრაელთა და სომებთა ჩამოსახლებას საქართველოში ვაჭრობის აღორძინების მიზნით. მე-19 საუკუნეში საქართველოშიც გაჩნდა კაპიტალისტური ურთიერთობანი. დაიწყო ქართველ ვაჭართა და მეწარმეთა ფენის აღორძინება... და მაშინვე თავი იჩინა ქართველ ვაჭართა და მეწარმეთა გამორჩეულმა თვისებამ: შემოსავლის დიდ ნაწილს უანგაროდ ახმარდნენ ქვეყნის საკეთილდღეო საქმეებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ძმები ზუბალაშვილების მოღვაწეობა. მათ მოგების დიდი ნაწილი უანგაროდ მოახმარეს საქართველოს.

დიდვაჭარი სტეფანე ზუბალაშვილი ვაჭრობას ეწეოდა თურქეთში, ირანში, შუა აზიაში, ინდოეთში. მისი მონაგები ფულით ბევრი საქვეყნო საქმე გაკეთდა. სტეფანემ დიდი თანხა გაიღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნებისათვის. ხუთი ათასი მანეთი ოქროთი აჩუქა ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ რედაქციას და გაზეთი დახურვას გადაარჩინა. მისი დაფინანსებით გამოდიოდა საბავშვო უურნალი „ჯეჯილი“. მისი სტიპენდიით მრავალი ქართველი სტუდენტი სწავლობდა რუსეთსა და ევროპაში. სტეფანეს ფინანსური დახმარებით ოცზე მეტი ქართული წიგნი გამოიცა, მათ

შორის მიხეილ თამარაშვილის ორი წიგნი – 1700 გვერდიანი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ და „პასუხად სომხის მწერლებს“. ამ წიგნებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ისტორიისათვის და უდიდესი შეფასება ხვდა ნილად ქართველ და უცხოელ მეცნიერთაგან. სტეფანესა და მის ძმებს დიდი წვლილი მიუძღვდოდათ სათავადაზნაურო სკოლის (დღევანდელი ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პირველი კორპუსი) მშენებლობის დაფინანსებაში. სტეფანე იყო ქართველი მამლუქის, ერაყის სახელოვანი მეფის დაუდ-ფაშას დამაკავშირებელი მის ოჯახთან და საქართველოსთან. სტეფანემ ააშენა თბილისში ცნობილი „უპოვართა სახლი“. სტეფანე ზუბალაშვილი მეოცე საუკუნის ათიან წლებში ინდოეთში გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად თბილისში ჩამოასვენეს და სოლოლაკში მშობლების გვერდით დაკრძალეს. მაშინდელი ქართული პრესა აღნიშნავდა, რომ მისმა გარდაცვალებამ მოსახლეობაში დიდი გლოვა გამოიწვია. დაკრძალვაზე სიტყვა წარმოთქვეს აკაკი წერეთელმა და სხვა გამოჩენილმა ადამიანებმა. სტეფანეს შვილები არ დარჩენია.

ზუბალაშვილების უროსი ძმა ლევანი მოსკოვში ცხოვრობდა. შთამომავლობა არც მას დარჩა. თბილისში არსებული მთელი ქონება ანდერძით ქალაქის მმართველობას აჩუქა. მანვე მოსკოვის გამგეობას ნახევარი მილიონი მანეთი დაუტოვა საჩუქრად. ლევანს ორი სასახლე დარჩა აგარაკ უსოვოში, რომლებსაც შემდეგ ზუბალოვი ეწოდა. ამ სახლთაგან ერთში ზაფხულობით სტალინი ცხოვრობდა, მეორეში – მიქოიანი.

ზუბალაშვილების ერთ-ერთი ძმა ნიკოლოზი პარიზში ცხოვრობდა. ხშირად ჩამოდიოდა თბილისში. ნიკოლოზ-

შეზავრები წყობისფლის

მა თბილისის გარეუბანში სოლოლაკში ააშენა უფასო პანიონი ღატაკთათვის – სამსართულიანი შენობა თავისი სასადილოთი და „სამადლო“ უწოდა. 1921 წელს საქართველოში შემოჭრილმა წითელარმიელებმა გაანადგურეს იქაურობა, თუმცა სახელი „სამადლო“ იმ ადგილს დღემდე შემორჩა. ნიკოლოზმა თბილის ანდერძით აჩუქა 270 ათასი მანეთი. იგი უშვილოდ აღესრულა.

უმცროსმა ძმამ იაკობმა მენარმეობით გაითქვა სახელი. მან ბიზნესი ქუთაისში არყის წარმოებით დაიწყო. შემდეგ საქმიანობა თბილისში განავრდო. ააშენა ამიერკავკასიაში შაქრის პირველი ქარხანა. ააშენა და თბილისს აჩუქა სასტუმრო „პალასი“. ამ შენობაში შემდეგ გაიხსნა სასულიერო სემინარია. ამჟამად იქ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმია (თავისუფლების მოედანზე). ამ შენობაში გაუწია იაკობმა მასპინძლობა სტუმრად ჩამოსულ რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ პირველს. ამ შენობის წინ იდგა ზუბალაშვილების დიდი საცხოვრებელი სახლი, სადაც იაკობმა ორკვირიანი მასპინძლობა გაუწია ცნობილ ფრანგ მწერალს ალექსანდრე დიუმას. სამწუხაროდ მეოცე საუკუნის სამოციან წლებში კომუნისტურმა ხელისუფლებამ ეს სახლი დაანგრია და მის ადგილზე ააშენა ცეკავშირის მრავალსართულიანი და არქიტექტურულად საკმაოდ უსახური შენობა. იაკობი ბოლოს ცხოვრობდა პარიზში. გატაცებული იყო კოლექციონერობით. მისი უნიკალური კოლექცია ხატების, ძვირფასი ნივთების, მხატვრული ტილოების, კარეტებისა რუსეთმა დაისაკუთრა და ახლა რუსეთის სხვადასხვა მუზეუმებშია გაფანტული უსახელოდ. მრავალმილიონიანი უმდიდრესი კოლექცია, რომელშიც იყო დეგას, სეზანის, მატისის, მონეს, პიკასოს, როდენისა და სხვა დიდი ხელოვანების ქმნილებები, სურდა საქართველოსთვის ეჩუქები-

ნა, ამის დამადასტურებელი ნოტარიული საბუთი ექვთიმე თაყაიშვილს გადასცა. სამწუხაროდ 1941 წელს რამდენიმე რეგვენმა ქართველმა მისი სახლი გაძარცვა, შეურაცხყოფილმა იაკობმა ეს საბუთი გააუქმა და დარჩენილი ქონება საფრანგეთს აჩუქა. დღეს პარიზის ლუვრის მუზეუმში 561 ნიმუში ინახება წარწერით „იაკობ ზუბალაშვილის კოლექციიდან“.

იაკობის გარდაცვალების შემდეგ მისი საქმე შვილებმა ანტონმა და კონსტანტინემ განაგრძეს. მათ ბაქოში ერთი ნაგავსაყრელად ქცეული მიგდებული კუნძული იყიდეს, სადაც დიდი ძებნის შემდეგ ნავთობი აღმოჩნდა. ძმები დიდი მრეწველები გახდნენ. მათ არნახული პირობები შეუქმნეს მუშა-მოსამსახურეებს: სამედიცინო მომსახურების, კვების, შვილების ქორწილისა და გამზითვების, ოჯახის წევრების დაკრძალვის, მუშათა ოცდლიანი შვებულების ხარჯებს მთლიანად ზუბალაშვილები უხდიდნენ. კონსტანტინეს და მის მეუღლეს ელისაბედ თუმანიშვილს რვა შვილი შეეძინათ. კონსტანტინე მეოცე საუკუნის დასაწყისში გარდაიცვალა. შვილებს ანდერძით თბილისში სახალხო სახლის ასაშენებლად ასი ათასი მანეთი ოქროთი დაუტოვა. შვილებმა ამ თანხით ააშენეს და თბილისს საჩუქრად გადასცეს სახალხო სახლი მუშათა თეატრით, სამკითხველოთი, უფასო სასადილოთი. ახლა იმ შენობაში მარჯანიშვილის სახელობის თეატრია, ბაქოში არსებულ ზუბალაშვილების სასახლეში ამჟამად საქართველოს საელჩოა, შენობა აზერბაიჯანის ხელისუფლებამ უსასყიდლოდ დაუთმო საქართველოს.

ზუბალაშვილების სამი თაობის ცხოვრება და ქველმოქმედება სამშობლოს, მშობლიური ერისათვის უანგარო თავდადება-სამსახურის, ერისკაცობა-მამულიშვილობის

მგზავრები წყობილების

ჩინებული მაგალითია. მაგრამ იგი შთამომავლობის და-უდევრობის, გულგრილობის, უმაღლურობის გულსატკენი მაგალითიც არის. ნათქვამია: „მადლი ქენი, გზას დადევი, გაიარე, წინ დაგხვდება“. სამწუხაროდ ზუბალაშვილების ჩადენილ მადლს შთამომავლობა ძალზე უმაღლურად მოექ-ცა. განვლილი ასი წლის მანძილზე არაერთი ქალაქისთავი გამოიცვალა თბილისმა, მაგრამ არც ერთს არაფერი გაუ-კეთებია ზუბალაშვილების ღვაწლისა და სახელის დაფა-სებისათვის, პირიქით კი მოხდა – მათი ნაჩუქარი ქონები-სა და შენობების გაყიდვით ბოლო ათწლეულებში ბევრმა მათგანმა ხელი მოითბო. „სამადლო“ 1921 წელს კომუ-ნისტებმა გაანადგურეს, მათვე დაამსხვრიეს „უპოვართა სახლის“ წინ მდგარი სტეფანე ზუბალაშვილის ქანდაკება. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე განადგურ-და „უპოვართა სახლი“ სადაც სრულიად უსასყიდლოდ, ზუბალაშვილებისვე ხარჯით, შესანიშნავ პირობებში ცხოვრობდა 70 ხანდაზმული ადამიანი; მალავე დატა-ცებული იქნა ამ სახლის მთელი ქონებაც. უკანასკნელ წლებში ხელისუფლებაში მოსული ქველმოქმედ ივანიშვი-ლის, საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, მერიის, ჯანმრთელობის სამინისტროს წინაშე არაერთხელ დაის-ვა საკითხი, რომ ზუბალაშვილების ნაჩუქარ „უპოვართა სახლში“ (შემდგომში ბავშვთა პირველი საავადმყოფო) ღატაკთა და უპოვართა უფასო მუნიციპალური საავადმ-ყოფო გახსნილიყო. ეს იქნებოდა ზუბალაშვილების მად-ლიანი საქმის ლოგიკური და სამართლიანი გაგრძელება. სამწუხაროდ ამას შედეგი არ მოჰყოლია. სამაგიეროდ 2011 წელს თბილისის უკეთურმა მერმა უგულავამ მერიის ბალანსზე არსებული ეს შენობა საიდუმლოდ გაასხვისა, სპეცრაზმი შეუსია, ავადმყოფი ბავშვები, მათი მშობლები,

მედპერსონალი ქუჩაში გამოყარეს, ინვენტარი და ოთახების კარები დალენეს, ინვენტარი დაიტაცეს, შენობა ვის საკუთრებად იქცა, დღემდე გასაიდუმლოებულია. ყოფილი „უპოვართა სახლიდან“ ბედად გადარჩენილ ანტიკვარულ ნივთებს – ოთხმეტრიანი სიმაღლის ორ ჩუქუთმიან სარკეს და შენობის შიდა კიბისთავში მდგარ ქალის ქანდაკებას რა ბედი ეწიათ, უცნობია. ქუჩის მეორე მხარეს არსებული ზუბალაშვილების დანატოვარი დამხმარე შენობები კი საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე კერძო მოსახლეთა საკუთრებად იქცა. ამით ქალაქის მერმა მოსპონ ბავშვთა პირველი საავადმყოფოს სამოცნელიანი ისტორიის კვალიც. ეს საავადმყოფო პირველი იყო მთელს ამიერკავკასიაში. აქედან იწყებოდა ქართული პედიატრიის და ბავშვთა ქირურგიის სახელოვანი ისტორია. მეორე სამკურნალო დაწესებულება – თბილისის პირველი საავადმყოფო ააშენეს და ქალაქს უსასყიდლოდ აჩუქეს ზუბალაშვილებმა, მაგრამ მას დღემდე არამიანცის სახელი ჰქვია, იმ ვაჭრისა, რომელმაც გვიან ამ ეზოში ერთი პატარა კორპუსი ააშენა და მერე ქალაქის ხელისუფლებას მიჰყიდა, ზუბალაშვილების აშენებულ არც ერთ შენობას არ აქვს ამის აღმნიშვნელი მემორიალური დაფა. ერთადერთი რამ 21-ე საუკუნის დასაწყისში გაკეთდა: „უპოვართა სახლის“ ნინამდებარე ქუჩას, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე ქართველი ხალხის ჯალათის, ჩეკისტ ათარბეგოვის სახელი ერქვა, ძმები ზუბალაშვილების სახელი ენოდა, ისიც საავადმყოფოს თანამშრომელთა და საზოგადოებრიობის დიდი ძალისხმევის შედეგად მოხდა. მხოლოდ ესღა მიანიშნებს იქ ზუბალაშვილების ნაკვალევზე. გული სიამაყით გევსება, როდესაც ქაშუეთის ტაძრის ეზოში დიდი ქველმოქმედის სარაჯიშვილის შესანიშნავ

შგზავრები წყობისფლისა

აკლდამას იხილავ. ასე უნდა აფასებდეს თავმოყვარე ერი თავის ღირსეულ შვილებს. სტეფანე ზუბალაშვილის სამარე კი დაკარგულია. თბილისის მერიას ერთხელაც არ მოსვლია აზრად, მოეძებნა მისი სამარე და ჯეროვანი პატივი მიეგო. იაკობ ზუბალაშვილის მრავალმილიონიანი კოლექცია ისე მიისაკუთრეს რუსეთის მუზეუმებმა, რომ არსად არის ნახსენები მათი მეპატრონის სახელი. მხოლოდ პარიზის ლუვრის მუზეუმში არსებულ მის ექსპონატებს აქვს შენარჩუნებული ქველმოქმედის სახელი. თბილისში კი ზუბალაშვილების ნაჩუქარი შენობები და ნივთები დატაცებულ-გაყიდულია, განადგურებულია მისი ისტორიული სახლის კვალიც კი, ასე დააფასა უმადურმა შთამომავლობამ დიდი ქველმოქმედის ამაგი. ეს არის თვალსაჩინო მაგალითი იმისა, როგორ უმადურად, გაუფრთხილებლად ვექცევით წინაპართა ნაღვან-ნაანდერძევს, როგორ ვანადგურებთ ჩვენსავე ისტორიას. ამის მაგალითს კი თვითონ ხელისუფლება, ქალაქის მერია, უძლები და უთავოქალაქისთავები იძლევიან. ნადირთა მეფეები ლომები ცხოველთა ჯოგს როცა ჯგუფურად დაერევიან, მხოლოდ ერთი მსხვერპლის დაჭერით კმაყოფილდებიან, დანარჩენებს თავს ანებებენ. მგელი რომ ცხვრის ფარაში შევარდება, ათეულობით ცხვარს ყელს გამოღადრავს, თუმცა საბოლოო ნადავლად მხოლოდ ერთი ცხვარი სჭირდება. ხარბ და უძლებ ადამიანებს მგლების ეს ჩვევა უფრო აქვთ. ისინი მგელკაცები არიან. სამწუხაროდ ზოგიერთ ხელისუფალთა ბუნებაში წინაპართა ნაჩუქარ-ნაანდერძევის გაყიდვა-დატაცების, თანამდებობის ბოროტად გამოყენების, გაუმაძღვრობა-მომხვეჭელობის მგლური ინსტიქტი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე წარსულის დაფასებისა და ეროვნული ღირსების გრძნობა. თუმცა ქართველ კაცს

ისიც უთქვამს: მიბარებულის შენახვა მგელმაც კი იცისო. ასეთ მგელკაცებს მინდა ვუთხრა: ზუბალაშვილებმა რომ ამდენი უანგარო რამ ჩაიდინეს სამშობლოსათვის, შენ რატომ არ გაქვს იმდენი კაცობა, იმათ ნაშრომ-ნაჩუქარს ხელი არ ახლო მათ სამახსოვროდ? შენი წინაპრის ხსოვნას უცხოელი რომ შენზე მეტ პატივს სცემს, რატომ არ გრცხვენია? რით განსხვავდები იმ რამდენიმე გარენარისგან, რომლებმაც იაკობ ზუბალაშვილის სახლი გაძარცვეს? რა ისწავლა ასეთმა მგელკაცა მოხელემ დავით აღმაშენებლის, თამარის, ექვთიმე თაყაიშვილის, ზვიად გამსახურდიას თავმდაბლობა-მამულიშვილობიდან? ჩვენ რას ვაკეთებთ საამისოდ? აი კითხვები, რომლებიც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და გვაწუხებდეს!

ისტორიული მთხოვნები

სამღერაოი

საქართველოს ჩრდილოეთით, კავკასიონის მთების გადაღმა უკიდეგანო ველებია. ათასხუთასი წლის წინათ ამ ველებზე ხაზარები ცხოვრობდნენ. მათ ნაბდის კარვები ედგათ, მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ. მეზობელ ქვეყნებს ებრძოდნენ და ძარცვავდნენ. ხაზარების ხელმწიფეს – ხაკანს ამბავი მოუტანეს: კავკასიის მთების იქით მდიდარი საქართველოა. იქ ბევრი ნადავლის შოვნა შეიძლება. ხოლო საქართველოს მეფის ჯუანშერის და შროშანა ენით აუწერელი სილამაზისააო.

მაშინ საქართველოს შორეული ქვეყნებიდან მოსული არაბები აოხრებდნენ. ხაკანმა ჯუანშერს შეუთვალა: შროშანა ცოლად მომეცი, სამაგიეროდ არაბებთან ბრძოლაში დაგეხმარებიო. შროშანამ უარი თქვა.

გაჯავრებულმა ხაკანმა უზარმაზარი ლაშქარი გამოგზავნა ბლუჩანის სარდლობით. მშვენიერი შროშანას შესაპყრობად წამოსულმა ხაზარებმა არ იცოდნენ, სად იმყოფებოდა მეფე ჯუანშერის ოჯახი. ამიტომ სარდალმა ბლუჩანმა ლაშქარი ორად გაყო. ერთი ნაწილი ქართლის დასალაშქრად გამოგზავნა, მეორე – ძირითადი ნაწილით კი თვითონ გაემართა კახეთისაკენ.

მოგორავდა სოფელ-სოფელ მტრის ზვავი, ძარცვავ-და ხალხს, იტაცებდა ხვასტაგსა და სხვა სარჩო-საბა-დებელს, ჟლეტდა უმწეო ქალებსა და ბავშვებს, ჯან-მრთელებს ტყვეებად მიერეკებოდა. თითქოს კალიამ გადაუარაო, ისე რჩებოდა ცხენ-აქლემთაგან გაძოვი-ლი და გათელილი ყანები, გადამთიელთაგან გასხეპილი ბალ-ვენახები. ბოლავდა პარტახი სოფლები. ყმულდნენ უპატრონო ნაგაზები.

მდინარე ჭივჭავის მიდამოებში, ერთ პატარა სოფელ-თან, მტრის ლაშქარს სამი ქართველი ქალი გამოეგება. ისინი ჩონგურზე უკრავდნენ და ტკბილად მღეროდნენ. გაოცდნენ მომხდურები. აქამდე მათ ყველგან სიძულ-ვილით ხვდებოდნენ. თავგანწირვით ებრძოდნენ, ტყე-ებსა და ხეობებში უსაფრდებოდნენ და მოულოდნელად ესხმოდნენ, მთებიდან ლოდებს უშენდნენ, ციხეებიდან მდუღარე ფისს აღვრიდნენ. ერთი სიტყვით, ხალხი იბ-რძოდა, ვისაც როგორ შეეძლო, მტერს ყველგან მტრუ-ლად ხვდებიან, ასეთია ომის კანონი. დამპყრობელს ეს არც უკვირს და მუდამ მზად არის ასეთი ხიფათისათვის. აქ კი რა ხდება? ქვეყნის ამწიოკებელს სირინოზების გა-ლობით ხვდებიან. ეს მართლაც მოულოდნელი და დაუ-ჯერებელი ამბავია. არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ ომში ასეთი რამ არ მომხდარა. ამიტომ ქალების სილამაზითა და საოცრად ტკბილი სიმღერებით გაოგნებული ლაშქა-რი პირლია დარჩა.

მომღერლებმა ისინი საღამომდე შეიყოლიეს. ახლომახ-ლო სოფლებიდან ხალხმა ჭივჭავის მიუვალი ხეობის სა-ხიზრებსა და ტყეებში გაასწრო, ზოგმა სამშვილდის ციხეს შეაფარა თავი. ამასობაში სამშვილდის ერისთავმა ლაშქ-რის შეგროვება მოასწრო. თავდავიწყებული მტერი მხო-

მგზავრები წყობისფლის

ლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა ქართველთა ლაშქარი მოულოდნელად თავს დაესხა. გაბრიყვებულმა და დამარცხებულმა მტერმა ქალებზელა იძია შური: ისინი ხმლებით აჩეხეს. მადლიერმა ხალხმა გმირი დები თავიანთი ჩონგურებით იქვე დაკრძალა. ამ ამბის გამო სოფელს ხალხმა სამღერეთი დაარქვა.

ჯუანშერი კახეთის ციხე-სიმაგრეებში დაუხვდა მტერს. ხაზარებმა სძლიეს, ააოხრეს და გაძარცვეს საქართველო, მეფე ჯუანშერი და შროშანა ტყვედ ჩაიგდეს და უკან გაბრუნდნენ. ბლუჩანი გახარებული იყო, რომ ხაკანის ბრძანება მარჯვედ შეასრულა. რამდენიმე დღეში შროშანას ცოლად მიჰვრიდა და დიდ ჯილდოსაც მიიღებდა. ხაზარები თავიანთ სადედოფლოს დიდი პატივით ეპყრობოდნენ. დარიალის ჭიშკარს მიაღწიეს. აქედან უკვე უცხო ქვეყანა იწყებოდა. დედოფალმა შესვენება ითხოვა. ბლუჩანმა დამისთევა ბრძანა.

გათენდა. მზემ პირველი სხივები სტყორცნა კავკასიონის თოვლიან მწვერვალებს. ხაზართა ბანაკი წამოიშალა. – მალე ჩვენს ქვეყანაში ჩავალთ, როცა ჩვენი დედოფალი გახდები, ალბათ სამსახურს დამიფასებ. – უთხრა შროშანას სარდალმა ბლუჩანმა.

– ჩემი სამშობლოს ამწიოკებლებთან ფუფუნებით ცხოვრებასა და უცხოეთში დედოფლობას ჩემს საყვარელ საქართველოში სიკვდილი მირჩევნია! – მიუგო შროშანამ. დედოფალმა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი კავკასიონიდან თვალნინ გადაშლილი მშვენიერ სამშობლოს. ხაზარებმა გონს მოსვლა ვერც კი მოასწრეს, რომ თითიდან ბეჭედი წაიძრო, შიგ დამალული საწამლავი შესვა და სული განუტევა. ეს მოხდა 764 წელს.

ხაზარებმა თავში ხელი შემოიკრეს, მაგრამ რაღას იზამ-

დნენ. მშვენიერი შროშანა იქვე, კავკასიონის მთაზე, ქართულ მიწაში დაკრძალეს. როდესაც ხაკანმა ეს ამბავი გაიგო, გაბოროტებულმა ცხენებს გამოაბმევინა ბლუჩანი და ბუაზე გაახლეჩინა.

მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ საარაკო გმირობის ფასად მოიპოვა ჯუანშერმა თავისუფლება და სამშობლოში დაბრუნდა. მას შემდეგ დედოფალ შროშანას სამარე წმინდა ადგილად იქცა.

საქართველოს ისტორიაში შემოგვინახა მეფე ჯუანშერისა და შროშანა დედოფლის თავგადასავალი. სამი დის გმირობის შესახებ კი არსად, არც ერთ წერილობით წყაროში მემატიანებს არაფერი ჩაუწერიათ. თაობიდან თაობას ზეპირად გადაცემოდა და 1200 წლის სიღრმიდან ჩვენამდე მოაღწია ლეგენდად ქცეულმა სამი დის ამბავმა. მართლა მოხდა ეს ამბავი, თუ მხოლოდ ხალხის ფანტაზიის ნაყოფია?

სოფელი სამღერეთი ქვემო ქართლშია, სამშვილდის ციხის მახლობლად. სოფლის შუაგულში უძველესი საგოდებელი და პატარა ეკლესია. აქ გლეხკაცების საფლავებზე ქვის ვერძები, მეომრების სამარეებზე კი ქვის ცხენები დგას. ცხენები შეკაზმულია და ფერდებზე გაშიშვლებული ხმლები ახატიათ. არაერთხელ ვყოფილვარ ამ ტაძრის ეზოში და უძველეს საფლავებს შორის წლების მანძილზე მიძებნია ამ ლეგენდის რაიმე დასაბუთება. ასკილის ბარდებში ერთხელ მივაკვლიე ძველ სამარეს, რომელზეც ერთი მეჩინგურე ქალი იყო გამოსახული, ეს არ იყო სამი დის სამარე. დაბოლოს, ასკილის ბარდებში მართლაც ვიპოვე სამი დის სამარე. ის ყველა ძველი სამარისაგან განსხვავებულია. ყვითელი ტუფისგან გამოთლილი ქვის სიმაღლეა 64 სმ, სიგრძე – 95 სმ, სიგანე – 30 სმ.

შგზავრები წყობისფლის

ქვას ზედვე აქვს გამოკვეთილი თავისი ლიბო, რომლის სიგრძეა 140 სმ. ქვის ჩრდილოეთის ფერდზე სამი ქალია გამოსახული, სამხრეთის ფერდზე – სამი თანაბარი ჩუქურთმიანი და თაღოვანი კარიბჭე. თითოეულ პჭეში სამსამი ჯვარია – შუაში დიდი ზომის, სტილიზებული, აქეთიქით კი ორ-ორი პატარა. ეს სამოთხის კარისა და მათში დავანებული წმინდა სამეულის სიმბოლოა. ეს ლეგენდად ქცეული სამი დის სამარეა. ქვაზე ძლივსლა მოჩანს დროუამისგან გაცვეთილი ძველი ქართული ასომთავრული წარწერა.

გამოსახულებანი და წარწერა იმას გვამცნობს, რომ აქ დაკრძალული სამი ქალი სამშობლოსათვის წამებული წმინდანები არიან. ეს ამბავი 763 წელს მომხდარა – არაბებისა და ხაზარების გამანადგურებელი შემოსევების დროს; ხოლო იმ სამი გმირი ქალიდან ერთ-ერთს ხვარამზე რქმევია. ეს სამარე და სოფლის სახელწოდებაც ლეგენდის უტყუარი დადასტურებაა. ერთი მეჩონგურე ქალის გამოსახულებიანი სამარე კი უფრო მოგვიანო ხანისა უნდა იყოს. ეტყობა ჩონგურზე დაკვრისა და სიმღერის ნიჭი შემდგომ საუკუნეებშიც გამოჰყოლიათ სამღერეთელ ქალებს.

ნუ დავემდურებით ძველ მემატიანეებს. უამთა სიავის გამო ისინი მოკლედ აღნერდნენ დიდ მოვლენებს და ბევრი რამ გამორჩებოდათ ხოლმე. ასეთ გამორჩენილ ამბებს ხალხი – უსახელო მემატიანეები ზეპირად გადასცემდნენ თაობიდან თაობას. დროთა მანძილზე ეს ზეპირი გადაცემები ზღაპრად და ლეგენდად იქცეოდა. ისინი გვეხმარება ისტორიის ცარიელი ფურცლების შევსებაში. ასეა სამღერეთის ლეგენდაც. ჩვენ არ ვიცით იმ გმირი ქალების სახელები, მაგრამ სოფლის სახელწოდება სამღერეთი და

უძველესი წარწერიანი სამარე იმაზე მეტყველებს, რომ ეს ამბავი ნამდვილად მოხდა. ეს ფაქტი იმასაც ადასტურებს, რომ ყველა ლეგენდა ისტორიული სინამდვილიდან იღებს სათავეს. სამღერეთის ლეგენდა გვამცნობს, რომ უწყინარი ჩონგური, სულის შემძვრელი სიმღერა და ქალის სილამაზე ზოგჯერ ხმალზე უფრო ბასრი იარაღია მტერთან ბრძოლაში.

მტერზე სიმღერით გამარჯვების ეს ლეგენდა მსოფლიო ფოლკლორის განუმეორებელი შედევრია და მისი დავინცება შეუძლებელია. დედოფალი შროშანა და სამღერეთელი დები წმინდანებად შერაცხვის ღირსნი არიან! სამი დის სამარეს კი საგანგებო დაცვა და მოვლა სჭირდება მათგან, ვისაც ეს ეხება!

აქ, ტაშისპართან დაგიცდა მთერი

„მახვილით მოსული,
მახვილითვე განივმირება“

1609 წელს საქართველოს 40 ათასი თურქი შემოესია. თურქებს ფერპად-ფაშა მოუძღოდა. მათ ლაშქარში იყო 2 ათასი ყირიმელი თათარიც სათარ-ხანის მეთაურობით. ძველ წლებში ფერპად-ფაშა ორჯერ შემოესია თურქთა ლაშქრით ქართლს, მაგრამ ლომგულმა მეფემ სიმონ დიდ-მა ორივეჯერ მნარე დამარცხება აგემა. ცოცხალთა შორის აღარ იყო სიმონ დიდი და გულმოცემულ ფაშას ამჯერად გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდა. მტერი მანგლის მოადგა. ქართლის ჭაბუკი მეფე ლუარსაბი სოფელ ცხირეთში ისვენებდა და მტრის შემოსევისა არაფერი იცოდა. თათრები გზადაგზა სწვავდნენ და ანგრევდნენ სოფლებსა და ქალაქებს, მოსახლეობას კი ხოცავდნენ, რომ ქართლის მეფესთან ამბის მიმტანი არავინ დარჩენილიყო. სოფელ კველთაში თათრებმა თევდორე მღვდელი შეიძყრეს. ჯერ ლახტით ცემა დაუწყეს, მერე უბრძანეს – მოკლე გზით ცხირეთში გადაგვიყვანეო.

თევდორე დათანხმდა. აქედან ცხირეთში მიმავალ კაცს ჩრდილოეთისკენ უნდა ევლო. თევდორემ კი მტერი დასავლეთისკენ წაიყვანა. მთელი დღე თრიალეთის ლადა-ლუდე-ებში უგზოუკვლოდ ატარა და დაღამებისას ქვენადრისის უღრან ტყეში შერეკა. ქანცგანწყვეტილი თათრები მიხვ-

დნენ, რომ მღვდელმა განზრას აუბნია გზა და სულ სხვა მხარეს წაიყვანა. მათ სასტიკად აწამეს თევდორე, მერე კი ასო-ასო აკუნწეს. მტერმა მეორე დღეს ძლივს გაიგნო გზა ცხირეთისკენ.

მდელოზე თეთრი ცხენი ეგდო. ჭენებით ქანცგანყვეტილს ბალახებში თავი წაერგო და ხროტინებდა. ხანდახან თავს უღონოდ წამოსწევდა, ადგომას ამაოდ ლამობდა. მერე დიდი, ცრემლიანი თვალებით ამოხედავდა იქვე ჩაჩოქილ ბიჭს, თითქოს ეუბნებოდა – ვეღარას გიშველიო. კვდებოდა თეთრონი. ცხირეთამდე კიდევ დიდი გზა იყო. დაღლილ ბიჭს იქამდე მისვლა გაუჭირდებოდა. საქმე კი საშური იყო. მტრის შემოსევის ამბავი დროზე უნდა მიეტანა. სასონარკვეთილი ბიჭი უხმოდ ატირდა.

ანაზდად თავს მხედარი წამოადგა. შავ რაშზე იჯდა შავულვაშა და ხარისთვალა დევკაცი. ხელზე შევარდენი ეჯდა. სანადიროდ იყო გამოსული, ბიჭმა მაშინვე იცნო გიორგი სააკაძე და ბოლმიანად ამოიძახა: – ძია გიორგი, მტერი შემოგვესია, საცაა აქ გაჩნდებიან.

მოურავმა პატარა მაცნე ბუმბულივით აიტაცა, ცხენზე შემოისვა და ცხირეთისკენ გაქუსლა. სასწრაფოდ დაგზავნილმა მზვერავებმაც დაადასტურეს: თურქთა 40 ათასი-ანი ლაშქარი თრიალეთის გადმოვლით ალგეთის ხეობაში შემოსულიყო, რბევა-თარეშით ცხირეთისკენ მოიწევდა – მეფის შეპყრობა ეწადა. მეფე ლუარსაბ მეორეს მარტო სარდალი ზაზა ციციშვილი და მთავარსარდალი გიორგი სააკაძე ახლდნენ. სულ ორიათასი მხედარი ჰყავდათ მხოლოდ. მტერი ახლოს იყო. ლაშქრის შეგროვებას ვეღარ მოასწრებდნენ. სააკაძემ ახლო-მახლო სოფლებიდან სასწრაფოდ შეკრიბა კიდევ ხუთასამდე მებრძოლი და მტრის დასახვედრად გაემართა.

შეზავრები წყობისფლისა

2500 კაცით 40 000-ის ნინააღმდეგ დღისით ბრძოლას აზრი არ ჰქონდა. მტერს არ უნდა გაეგო, რომ ქართველები ცოტანი იყვნენ, ამიტომ სააკაძე მათ განთიადზე დაესხა თავს. სიბნელეში მოულოდნელმა თავდასხმამ მტერი და-აპნია და გააქცია. ამის შემდეგ სააკაძე მტერს ფეხდაფეხ მისდევდა და სულ ღამ-ღამობით მოულოდნელ ბრძოლებს უმართავდა, ძილისა და დასვენების საშუალებას არ აძლევდა. მტერს ეგონა, რომ ქართველები ბევრნი იყვნენ, დაბნეული და შეშინებული გარბოდა, მტკვარზე გადასვლას და გორის ციხეში გამაგრებას ცდილობდა. ქართველები ამის საშუალებას არ აძლევდნენ.

რამდენიმე დღეში სააკაძეს დამატებითი ჯარი მოუვიდა. ახლა მას რვა ათასი მეომარი ჰყავდა. მაშინ სააკაძემ თურქებს განგებ მისცა საშუალება მტკვარი გადაელახათ და ტაშისკარის ვიწროებში შესულიყვნენ. აქ კი ხეობიდან გასასვლელი გზები შეუკრა და თურქთა უზარმაზარი არ-მია ხაფანგში გამოამწყვდია. თურქები შეეჩივნენ იმ აზრს, რომ აქამდე ქართველები სულ ღამ-ღამობით ესხმოდნენ თავს, ტაშისკარშიც მთელ ღამეს ფხიზლობდნენ და თავ-დასხმას ელოდნენ. დღედაღამ შეუსვენებლად სიარულმა, ღამის ბრძოლებმა, აქაც გათენებამდე ლოდინმა და უძილობამ თურქებს ქანცი გაუწყვიტა.

დილით ქართველთა ბანაკში უამრავი კოცონი აინთო, თურქებმა იფიქრეს, ქართველები საუზმისთვის ემზადებიან და ომს არ აპირებენ. დამშვიდდნენ, დაარხეინდნენ, ყურადღება მოადუნეს. ქარი თურქთა ბანაკისკენ უბერავდა და ბოლი იქით მიჰქონდა. იქაურობა ჩამობნელდა, სააკაძე ერთი რაზმით ამ ბოლის ფარდას მიჰყვა, თურქთა ბანაკის შუაგულში შეიჭრა და მთავარსარდლობის კარვებთან ფიცხელი ბრძოლა გამართა. გარედან ქართველებმა ყველა მხრიდან სწრაფი იერიში მიიტანეს. თურქები თავი-

ანთი ბანაკის შუაგულიდან თავდასხმას არ ელოდნენ. მოულოდნელობით თავზარდაცემულები დაიბნენ, აირივნენ, ბრძოლის უნარი დაკარგეს. ფერხად-ფაშამ ვეღარ შესძლო არეული ჯარის მართვა. თურქთა სარდლები ტყვედ ჩავარდნენ. 40 ათასი თურქიდან მხოლოდ თორმეტმა გააღწია საშვიდობოს. ქართველების მსხვერპლი უმნიშვნელო იყო, გიორგი სააკაძის მხედართმთავრული ნიჭის წყალობით ქართველებმა ხუთჯერ მეტ მტერზე საარაკოდ გაიმარჯვეს. მარტო ტაშისკარის ომიც კმაროდა ნებისმიერი მხედართმთავრის საყოველთაო სახელისა და დიდებისათვის.

ამ გამარჯვებაში კი თევდორე მღვდლისა და პატარა მაცნეს წვლილიც იყო. ომიდან მობრუნებულმა მოურავმა პატარა მაცნეს ნადავლად წამოყვანილი საუკეთესო ბედაური აჩუქა; თურქთა დატყვევებული სარდალი ფერხად-ფაშა კი ირანის შაჰს გაუგზავნა საჩუქრად. ამით დიდი მოურავი შაჰ-აბასს იგავურად ამცნობდა: ლუარსაბ დიდისა და სიმონ დიდის საქმე გრძელდება – ქართველთა ხმალი და ნიჭი არ დაჩლუნგებულა და მოძალადე მტრის დახვედრა ასე შეგვიძლიაო.

თიბათვე იდგა. ხალხი გამარჯვებას ზეიმობდა. ქვენადრისში კი ყაყაჩო ყვაოდა და თევდორეს სისხლისფრად ღადღადებდა ყანებში. ბუჩქებზე მოლალურები ისხდნენ და მოსთქვამდნენ. მოლალური იყო თევდორეს ჭირისუფალი, სანამ ხალხი მიაგნებდა წამებულის ცხედარს. იმ ადგილზე მეფის ბრძანებით პატარა ეკლესია ააგეს თევდორეს პატივსაცემად. ხალხმა თევდორეს თავდადებული უწოდა, ეკლესიამ კი წმინდანად შერაცხა.

ამბობენ, იმ ადგილებში ახლაც მწუხარე თიბათვე იცისო: ღამით მოლალურები ქვითინებენ თურმე, დღისით კი მდელოებზე ყაყაჩოები თევდორეს სისხლის წვეთებივით ჩანან.

ანა – პაჯი

თებერვალი დადგა, ხეში წყალი ჩადგა. სიონის უბანს დილიდანვე მთელი თბილისი მოაწყდა. აივნები სეირის მოყვარულებით დაიხუნდლა. ყეენობის სახალხო ზეიმია. აი სასაცილოდ ჩაცმული „ყაენი“ აქლემზე უკუღმა შეს-მული ჩამოატარეს. ყინულიან მტკვარში უნდა ჩააგდონ. ეს თამაშობა ძალიან დიდი ხნის წინათ გაჩნდა, როცა სა-ქართველო მონღოლებს ჰქონდათ დაპყრობილი. ხალხი ასე გამოხატავდა დამპყრობთა სასტიკი ბატონობის დამ-ხობისა და მონობის უღლის მოშორების სურვილს. უცებ მოზეიმე ხალხს ორი გაშმაგებული კამეჩი დაერია. საში-ნელი არეულობა შეიქმნა. გაქცეული ხალხი ერთმანეთს თელავს, ზოგს კამეჩები რქებზე აგებენ. ერთი სახლიდან თექვსმეტიოდე წლის ქალიშვილი გამოიჭრა და გავეშე-ბულ კამეჩს რქებში ჩააფრინდა. კამეჩმა ჯერ რქებზე წა-მოგება სცადა, მერე გადათელვა. ქალმა იმარჯვა, მთე-ლი ძალით დააწვა რქებზე პირუტყვს, კისერი მოუგრიხა და ძირს დასცა. ახლა მეორე კამეჩისაკენ გაქანდა და მა-საც რქებში წასწვდა... კისერმოგრეხილმა კამეჩმა მიწა-ზე ზღართანი მოადინა.

ხიფათისაგან თავზარდაცემული ხალხი ახლა ამ საოცა-რი სილამაზის ქალიშვილის არაადამიანური ძალითა და სი-მამაცით დარჩა გაოგნებული, ზოგი ამბობდა: ღვთისა და სიონის ხატის სასწაულმა გვიხსნაო. სიონის უბნელები კი ამბობდნენ: – რა ხატი, რის სასწაული?! ეს ხომ ჩვენი ანა იყო, აქაური ქართველი ხელოსნის ქალიშვილიო.

თბილისიდან დასავლეთით ოციოდე კილომეტრზე სოფელი მუხათია. სოფლის გადაღმა, დიდ მინდორზე პატარა ეკლესია. მინდორში კონკილებზე შეყენებული ჭრელჩარდახიანი ურმები დგას. იქვე დაყრილი ხარ-კამეჩი იცოხნება. თვლემენ ლაგამწაყრილი ცხენები. ხალხი ეკლესის ეზოში ბუზივით ირევა. კვირაცხოვლობაზე მუხათელებთან ერთად მოსულან კოდიდან, მარაბდიდან, ვაშლოვნიდან, ენაგეთიდან, ერტისიდან, ტაბახმელიდან, შინდისიდან, წავკისიდან, კოჯრიდან, წყნეთიდან, ფარცხისიდან და სხვა ახლო-მახლო სოფლებიდან, აქა-იქ ქალაქელებიც ჩანან.

დღეობაზე ჩვენი ანაც მოსულა. ის უკვე მუხათელების რძალია. მას სიყვარულით თავს დასტრიალებს ოჯახის შვიდი რძალ-მაზლი, ქმარი და მამამთილი. წირვა-ლოცვა დამთავრდა. დაიწყო სახალხო ლხინი, ცეკვა-თამაში. ბოლოს საჭიდაო დაუკრეს. მთელი ხალხი ჭიდაობის საყურებლად მიაწყდა. ყველა სოფელს თავისი ფალავანი ჰყავს, გამარჯვება ყველას უნდა. დამარცხება სოფლის შერცხვენად ითვლება. მუხათელების ფალავანი თელეთელმა ორივე ბეჭით მიწას გააკრა და გამარჯვებულმა ცეკვით წრეს შემოუარა. სხვა ფალავნის გამოსვლას ელოდება. მუხათელებიდან საჭიდაოდ გამოსვლას ვეღარავინ ბედავს, შერცხვა მასპინძელი სოფელი. გამარჯვებულმა ერთიც ჩამოუარა და წრიდან გასვლა დააპირა. მუხათელებში რაღაც ჩოჩქოლი შეიქმნა. მერე დაიძახეს – დაუკარით, დაუკარითო! გაოცებული თელეთელი შემობრუნდა... წრეში მუხათელების ახალი რძალი შემოსულა. საჭიდაოდ ჩაცმულს მაჯის სიმსხო ნაწნავები აქვს და მუშტისხელა თვალებს აელვარებს. თუმცა ბევრი უშალეს, მაგრამ მუხათელების შერცხვენა ვეღარ მოითმინა და მაინც თავისი გაიტანა.

მგზავრები წყობისფლისა

ხალხი გაოცებულია. დღემდე არავის გაუგია ქალის ჭი-დაობა. დაუკრეს... და ვიდრე მედუდუკებს ლოყები ჩაე-ჩუტებოდათ, ანამ მეტოქე მიწას გააკრა. წრეში ახლა სხვა ფალავანი შემოვიდა... იმასაც ის დღე ენია. ანამ ზედიზედ თორმეტი ფალავანი დაამარცხა. გამარჯვება მუხათელებს დარჩათ.

ეს ამბავი მეხივით გავარდა მთელ საქართველოში. როგორ თუ ქალმა დაგვჯაბნა და შეგვარცხვინაო. – ჯავ-რობდნენ ვაუკაცები. ანა არაერთმა სახელოვანმა ფალა-ვანმა გამოიწვია საჭიდაოდ, მაგრამ ყველა დამარცხებუ-ლი დარჩა.

მაშ რაღა კაცი ვარ, თუ დედაკაცმა მაჯობაო, – თქვა თბილისელმა გეო ტერტერაშვილმა და ანას შეუთვალა: ბოლნისის დღეობაზე ჩამოდი საჭიდაოდო. ანამ გამოწვევა მიიღო. დათქმულ დღეს ბოლნისისკენ გასწია, თან მამამ-თილი და მაზლი გაჰყვნენ. მდინარე ხრამზე ყაჩალები დახ-ვდნენ და გაძარცვა დაუპირეს. ანას მამამთილი მოკლეს, მაზლი მკლავში დაჭრეს. ყაჩალების მეთაურს ბაირამას ანა მოეწონა და საკოცნელად წაეტანა. ანამ მას ქარქაშიდან ხანჯალი ამოართვა და იქვე სული გააფრთხობინა. მერე დანარჩენი ყაჩალები დაითრინა. მაზლს ჭრილობა შეუხვია, მკვდარი მამამთილი ცხენზე დააკრა და მუხათში გამოატანა. თვითონ აისხა ბაირამას იარალი, შეჯდა მის ცხენზე და ბოლნისში ჩავიდა. ტერტერაშვილი განთქმული მოჭიდავე იყო, მაგრამ ანამ სძლია და ისე მძლავრად დასვა მიწაზე, რომ გეოს ცხვირპირიდან სისხლი წასკდა და სამი დღის მე-რე გარდაიცვალა.

ანამ ბევრი სახელოვანი მოჭიდავე დაამარცხა, თვითონ კი ბეჭდაუდებელ ფალავნად დარჩა.

მუხათს მოულოდნელად თათრები დაეცნენ, ხალხი ააწი-

ოკეს და ნაძარცვით დატვირთულები გაპრუნდნენ. ანამ სასწრაფოდ შეკრიბა სოფელში ჭაბუკები, აისხეს იარაღი, შესხდნენ ცხენებზე და მოთარეშეებს მარაბდასთან დაენივნენ. ანამ ყაჩაღები დაამარცხა და ნაძარცვი ისევ ხალხს დაუბრუნა. დამარცხებული ტყვეები სოფელში მორეკა და სახალხოდ ფიცი დაადებინა, რომ ხალხის აწიოკებაზე ხელი აეღოთ. – ანა ბაჯი, ანა ბაჯი! (თათრულად დაო ანა) ოღონდ ცოცხლები გაგვიშვი და თავის დღეში ყაჩაღობაზე აღარ ვიფიქრებთო, – იხვეწებოდნენ შეშინებული თათრები. მას მერე ანას ხალხმა მეტსახელად სიყვარულით ანაბაჯი შეარქვა.

სოფელს ახლა მოურავმა ჩამოუქროლა და საბატონო გადასახადი – 13 ურემი ხორბალი წაიღო. მოურავს გზაზე ანა-ბაჯი გადაუდგა, ურმები უკან დააბრუნებინა და მუხათში ლალის აკრეფა აუკრძალა. თავადი ამის მერე მუხათელი გლეხებისაგან გადასახადის აკრეფას ერიდებოდა.

ანა-ბაჯი გარეშე თუ შინაური მტრებისა და მჩაგვრელებისაგან საწყალი ხალხის საიმედო დამცველი გახდა, თუ ადრე ლეკიანობის შიშით ქართველი გლეხკაცი სოფლიდან მოშორებით ხვნა-თესვას ვერ ბედავდა, ანას მოსვლის მერე უშიშრად გადიოდა მინდორში სამუშაოდ. იმ არემარეში ანას შიშით მძარცვლების ჭაჭანება აღარ იყო.

ეს ამბავი მეფე ერეკლეს ყურამდე მივიდა. ანა-ბაჯი სასახლეში იხმეს. მეფემ ქართველი ხალხის მტრებთან მამაცური ბრძოლისათვის ვერცხლის ხმალი უბოძა სამახსოვრო წარწერით. მაია წყნეთელის, თამარ ვაშლოვნელის, თინა წავკისელისა და ანა-ბაჯის მშობელ ხალხს მტერი ვერ მოერევაო, – უთქვამს მაშინ მეფე ერეკლეს.

მგზავრები წყობისფლის

ანა-ბაჯიზე ხალხში ბევრი ლექსი და თქმულება გაჩნდა, მისი ამბავი გალექსეს საიათნოვამ და იეთიმ-გურჯმა; ერთ-ერთ ლექსში ნათქვამია:

„ანა-ბაჯი ქებულია,
თვალ-წარბდამშვენებულია,
ტანი ლერწმის მინამსგავსი,
საქმით მირონცხებულია,
სახე უგავს სავსე მთვარეს,
ნიკაპზე აქვს დიდი ხალი,
მით ამშვენებს არემარეს.
წელზე ხანჯალი ჰკიდია,
დააქროლებს ლურჯა ცხენსა,
გმირი ქალი ანა-ბაჯი
თავზარსა სცემს ხალხის მტერსა“.

ანას სახელმა და დიდებამ ბევრი მტერი და მოშურნე გაუჩინა. ერთ-ერთი ასეთი ვერაგი კაცი ოჯახში სტუმრად ეწვია და სუფრაზე სანამლავი შეაპარა. მოწამლული ანა მეორე დღეს გარდაიცვალა. ასე მუხანათურად დაიღუპა ხალხის საყვარელი გმირი. მას ორი ვაჟი და ერთი ქალი დარჩა. შვილებმა სახელოვანი დედის პატივსაცემად ბაჯი-აშვილები დაირქვეს გვარად (ანა-ბაჯის ნამდვილი გვარი უცნობი დარჩა). მისი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ სოფელ მუხათში. ბაჯიაშვილები განთქმული სახალხო მკურნალები იყვნენ.

უკანასკნელ ათწლეულებში ანა-ბაჯიზე რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა პრესაში. ავტორები ერთხმად აცხადებდნენ, რომ ანა-ბაჯის სამარე დაკარგულიაო. იეთიმ

გურჯის ცნობით ანა-ბაჯი კვირაცხოვლის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს. მუხათში, კვირაცხოვლის ეკლესიის ეზოში, ტაძრის კარის მახლობლად ერთი დროჟამისგან ბალახგადავლილი უცნაური სამარეა. ჩვეულებრივი სა-მარის ქვის მაგიერ რიყის ქვით მოკირნებული ყორღანი, ანუ წრიული ბორცვია გაკეთებული. ეს ანა-ბაჯის სამა-რეა. ყოველ კვირაცხოვლობას ბაჯიაშვილები მოდიან აქ, წმინდა სანთელს უნთებენ და იხსენებენ თავისი საგვარე-ულოს სიამაყეს.

სამწუხაროდ დღემდე ანა-ბაჯის უკვდავსაყოფად ბევ-რი არაფერი გაკეთებულა, გარდა ხალხში გავრცელებული თქმულება-ლეგენდებისა და იმისა, რაც თვითონ გააკეთა. თბილისში და სხვა დასახლებებში ქუჩებს ბევრი უღირსი კაცის სახელი ჰქვია, ზოგიერთებს ძეგლებიც კი უდგათ. ზოგი მათგანი მონაწილეობდა საქართველოს დაპყრო-ბაში, ხალხის აწიოკება-დახვრეტაში, ჩვენი მიწა-წყლის გასხვისებაში, ზოგს არათუ საქართველოსთვის რამე გა-უკეთებია, არამედ თვალითაც არ უნახავს და არც რაიმე სმენია მასზე. უფრო მეტიც. თბილისში გვაქვს ქუჩების თითქმის არაფრის მთქმელი სახელწოდებები: აბანოს, აეროდრომის, ავიაქიმიის ბელოსტოკის, განათლების, დეპუტატის, ზიგზაგის, ინტერნატის, კოოპერაციის, მი-ტინგის, პიონერის, რუსის, სამოქალაქო, საყვირის, ტრაქ-ტორის, ფოსტის, სკოლის, შრომის, ძმობის, წითელარმი-ელის, ჰოსპიტლის, 5 დეკემბრის, ტერევერკოსა და სხვა ქუჩები, სახალხო გმირების თამარ ვაშლოვნელის, თინა წავკისელის, ანა-ბაჯისა კი არც ძეგლები გვაქვს, არც მა-თი სახელობის ქუჩები. ანდა განა ძნელია, რომ სპორტულ-მა საზოგადოებებმა მოუარონ ანა-ბაჯის სამარეს, გაუკე-თონ სათანადო წარწერა და ყოველ კვირაცხოვლობას (იმ

მგზავრები წყობისფლისა

დღეს, როცა ანამ პირველად გამოიჩინა ჭიდაობაში თავი) გამართონ აქ შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში ანა-ბაჯის სახლობის თასზე?

სამშობლოს საამაყო შვილების ასე დავიწყება დიდი სირცხვილია. წინაპრის დავიწყებიდან იწყება ერის გადაგვარება, ამაზე უთქვამთ: – ბედოვლათს დედა დავიწყებოდა და დედინაცვალს მისტიროდაო.

1988 წ.

წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე

ფიქცია რუსთველზე

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოეტთაგანის შოთა რუსთაველის შესახებ მისი თანამედროვე წერილობითი ცნობები არ შემოგვრჩენია – მატიანები დუმან. გვაქვს მხოლოდ მოგვიანო საუკუნეების ურთიერთსაპირისპირო მწირი ცნობები... და მესხეთში გადარჩენილი ზეპირი თქმულებანი. ამიტომ მისი ცხოვრების შესახებ უფრო მეტად არაერთგვაროვანი ვარაუდებით კმაყოფილდება ჩვენი მწერლობა. რატომ მოხდა ასე? მტრის მრავალგზისი დამანგრეველი შემოსევების გამო არ შემოგვრჩა „ვეფხისტყაოსნის“ XII-XIII საუკუნეების ეგზემპლარები. ჩვენამდე მოღწეული ყველაზე უძველესი ხელნაწერი XVI საუკუნისაა.

არაერთ მკვლევარს შემოაცვდა საწერ-კალამი გენიალური პოემისა და მისი ავტორის ირგვლივ კამათში. ფიქრს ფრთხები არა აქვს, მაგრამ არც საზღვრები აქვს და წამზე უსწრაფესად შეუძლია მოგზაურობა დროსა და სივრცეში. კაცი ბედნიერია, რომ ფიქრი შეუძლია. ფიქრი კი ისტორიის თეთრი ლაქების შევსებასაც ცდილობს ხან-

შეზავრები წყობისფლისა

დახან. მოკვდავნი ხშირად ბედავენ უკვდავებზე ფიქრს. ახლა ჩემი ფიქრიც უკვდავებაში დავანებულ რუსთველს დასტრიალებს. რატომ დაგვიტოვა განგებამ ამდენი საიდუმლო?

პოეტის გვარი ცნობილი არ არის. ამიტომ მკვლევართა ცხარე კამათის საკითხია ზედნოდება რუსთველი, რომლის სხვადასხვაგვარ ახსნას იძლევიან. ტრადიციულად, ძველ წერილობით წყაროებში არა მარტო საეკლესიო, არამედ საერო მოღვაწეებიც – მწერლები, მეცნიერები უფრო ხშირად ზედნოდებით იხსენებიან, ვიდრე გვარით. ამიტომ ბევრი მათგანის გვარი შთამომავლობისათვის უცნობი დარჩა.

როგორც წესი, საქართველოს სინამდვილეში, ჩვენი საეკლესიო მოღვაწენი იხსენებოდნენ იმ საეპისკოპოსო კათედრის, მონასტრის, ეკლესიის სახელით, სადაც ყველაზე დიდხანს მოღვაწეობდნენ, ან მისი ამშენებლები იყვნენ: შიო მღვიმელი, იოანე ზედაზნელი, იოანე ბოლნელი, ფილიპე ბეთლემელი, გრიგოლ ხანძთელი, არსენ დიდი საფარელი, ლეონტი მროველი, იაკობ ცურტაველი, იოანე შავთელი, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ნიკოლოზ ტფილელი, იოსებ ალავერდელი, იოანე პეტრიწი, კირიონ მანგლელი; ზოგი ძველი საეკლესიო მოღვაწის ზედნოდება წარმოსდგა მისი მშობლიური სოფლიდან, მხარიდან, ან ეროვნული წარმომავლობიდან: იოანე ლაზი, იოანე მოსხი, ნიკოლოზ დვალი, გიორგი შავშელი, ილარიონ ქართველი, პეტრე იბერი; ასე იხსენებოდნენ წმინდანები და მოწამენიც: აბო ტფილელი, ევსტათი მცხეთელი, ნინო კაპადოკიელი; ეს ტარდიცია საერო მოღვაწეებშიც ვრცელდებოდა თვით მეოცე საუკუნემდე: ბექა ოპიზარი, ბეშქენ ოპიზარი, ზაზა ფანასკერტელი, ივანე და შალვა ახალციხელები, მო-

სე ბონელი, შიო არაგვისპირელი, გიორგი ჭალადიდელი, პარმენ ცახელი.

ზოგის ზედნოდებად (შემდეგ კი გვარად) იქცა მისი თანამდებობა, პროფესია, საქმიანობა, მოღვაწეობა: ბასილი ეზოსმოძღვარი (XII ს. საეკლესიო მოღვაწე, თამარ მეფის ცხოვრების ავტორი), გიორგი მერჩულე (X ს. მწერალი, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ავტორი. მერჩულე ნიშნავს სჯულის მეცნიერს, კანონიკური სამართლის მცოდნეს), ამილახორი (ამირსპასალარის თანაშემწე, საჯინიბოს უფროსი, ცხენოსანი ჯარის უფროსი), ამირე-ჯიბი (მეფის კარზე წესრიგის მეთვალყურე პურობისა და დარბაზობის დროს) დიდებული – დიდებულიძე, დეკანზი – დეკანოზიშვილი, სარდალი – სარდლიშვილი, სახლთუხუცესი – სახლთხუციშვილი, ბაზიერი – ბაზიერიშვილი, გზირი – გზირიშვილი, მჭედელი – მჭედლიშვილი. მშვილდისრის ოსტატის შთამომავლები გახდნენ მეშვილდიშვილები, ზურნის ოსტატის შთამომავლები – მეზურნიშვილები, ყანწების მკეთებლის შთამომავლები – მეყანწიშვილები, გამრეკელი (გამრეკელ-თორელები) – სარდალი სათადარიგო ჯარისა, რომელსაც დამარცხებული მტრის გარეკვა-დევნა ევალებოდა. ეს თანამდებობა მესხეთის ერთ-ერთ უძველეს ფეოდალურ საგვარეულოს ჰქონდა მიცემული და საუკუნეების მანძილზე ისინი გამრეკელებად იხსენებოდნენ, შემდეგ გვარად იქცა. XII-XIII საუკუნეების საქართველოში დიდი ფეოდალური საგვარეულო გახლდათ სურამელები. ისინი „ქართლის ცხოვრებაში“ მრავალჯერ იხსენებიან, განსაკუთრებით მონღოლობის ჟამს. მაგრამ იხსენებიან არა თავისი ნამდვილი გვარით, არამედ საგვარეულო მამულიდან – სურამიდან ნარმომდგარი სახელწოდებით. იმავე ეპოქის მეორე დი-

მგზავრები წყობისფლის

დი ფეოდალური საგვარეულო ორბელები იხსენებიან ასე ორბეთის ციხის მფლობელობის გამო.

ძველ საუკუნეებში საქართველში ძალზე გავრცელებული იყო პიროვნების სახელითა და მამის სახელით მოხსენიება. ეს წესი მოდის უძველესი დროიდან და XVIII-XIX საუკუნემდე აღნევს: იოანე საბანისძე (VIII ს. მწერალი, აბო ტფილელის წამების ავტორი), იოანე ტარიჭის ძე (XII ს. ფილოსოფოსი, თეოლოგი, მთარგმნელი), იოანე ქონქოზის ძე (X ს. ჰიმნოგრაფი), სუმბათ დავითის ძე (XII ს. ისტორიკოსი), არსენ ბელმაისიმის ძე (XIII ს. ჰიმნოგრაფი, საეკლესიო მოღვაწე), გრიგოლ ბაკურიანის ძე (XI ს. გამოჩენილი პოლიტიკოსი და სამხედრო მოღვაწე ბიზანტიაში, დასავლეთის დიდი დომესტიკოსი, პეტრიწონის მონასტრის ამშენებელი ბულგარეთში), იესე ოსეს ძე (იესე ბარათაშვილი, ერეკლე მეორის სამეფო კარზე მოღვაწე, პოეტი). ქართულმა მწერლობამ და ზეპირსიტყვიერებამ შემოგვინახეს უფრო ძველი, მატრიარქატის დროინდელი ტრადიციაც, როცა წესად იყო პიროვნების დედის სახელით მოხსენიება. ასე იხსენება ამირანის ეპოსის გმირი ამირან დარეჯანის ძე (აგრეთვე მოსე ხონელის ნაწარმოების გმირი). პიროვნების დედის სახელით მოხსენიება მაშინ გავრცელებული იყო მთელს იბერიულ სამყაროში, მათ შორის ბასკეთშიც (ოლიმპიას ძე, ბელისენას ძე); ზოგი ძველი მოღვაწე მოხსენებულია მხოლოდ სახელით: კურდანა (X ს. ჰიმნოგრაფი), ჯუანშერი (XI ს. ისტორიკოსი), მანანა (XIII ს. პოეტი); გვარის გარეშე, მხოლოდ სახელით ვახსენებთ გვიანი საუკუნეებისა და ჩვენს თანამედროვე გამოჩენილ პოეტებს, მწერლებს: ბესიკი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაქტიონი. ასევე მხოლოდ სახელით არიან მოხსენებული ქართველთა ლეგენდარული წინაპრები: ქართლოსი, კახოსი,

ეგროსი, მცხეთოსი, კავკასოსი, აგრეთვე ჩვენი დიდი მეფები – ფარნავაზი, ფარსმანი, მირიანი და სხვები.

შემდეგ საუკუნეებში მამის სახელები გვარებად იქცა. XV-XVIII საუკუნეებში ჩვეულებრივი ამბავი იყო ამა თუ იმ წარჩინებული გვარის გამოჩენილი პიროვნების სახელიდან მისი შთამომავლების გვარის წარმოქმნა, ძირითადი გვარიდან გამოყოფა. ასე ხდებოდა ოჯახის გაყრის შემდეგაც. ქვემო ქართლის თავადების ბარათაშვილების გვარმა ანარმოვა წინაპრების სახელებიდან გვარები – გერმანოზიშვილები, გოსტაშაბიშვილები, ორბელიშვილები, ყაფლანიშვილები, იოთამაშვილები, შერმადინაშვილები, ზურაბიშვილები. XV საუკუნეში ციცი ფანასკერტელმა მრავალ ბრძოლაში მამაცობით ისახელა თავი, რისთვისაც მეფე კონსტანტინემ ჯილდოდ „უბოძა შვილთა ამისთა და თვით მას გვარად ციციშვილობა“. შემდეგ ეს გვარი დაიყო ზაზასშვილებად, ზაქარიაშვილებად, პაატასშვილებად, გიორგისშვილებად, მოურავისშვლებად... ამილახორთა საგვარეულომ ანარმოვა გვარები – რევაზისშვილები, ბეჭანისშვილები, ქაიხოსროსშვილები, ერასტისშვილები, გივისშვილები, გიორგი სააკაძის შვილს იორამს როსტომ მეფემ დაუბრუნა საგვარეულო სამფლობელო, უბოძა სხვა მამულებიც და თარხნობა (თარხანი მონღოლურად თავისუფალს ნიშნავს). ამის შემდეგ გიორგი სააკაძის შთამომავლებს თარხნიშვილები, თარხან-მოურავები ეწოდათ. XVI საუკუნის პოეტი სვიმონ შოთაძე თავს შოთა რუსთველის შთამომავლად მიიჩნევდა. ასე უნდა იყოს წარმომდგარი პოეტ ჩახრუხაძის გვარიც – ჩახრუხას ძე. გვარებით არ იხსენებიან ძველ წერილობით წყაროებში ქართველი დიდებულებიც: ჯაყელი, თუხარელი, ციხისჯვარელი, რაჭის ერისთავი, არაგვის ერისთავი, ბალუაში, ორბელიანი,

მგზავრები წყობისფლისა

გაგელი. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი მთავართა გვარების შესახებ წერს, ისინი „ერისთაობით იწერებიან და გვარნი არა წარინერებიან ცხადად საცნობელად“. რუსთველის ეპოქის ფილოსოფოსი, მეცნიერი და პოეტი ძაგნაკორელი, რომლის სახელი და გვარი უცნობია, ეკუთვნოდა ძველ ფეოდალთა გვარს. მისი ძირითადი სამფლობელო იყო არაგვის ხეობაში – ძაგნაკორა, აქედან წარმოდგა პოეტის ზედნოდება ძაგნაკორელი. ასე უნდა იყოს წარმომდგარი შოთას ზედნოდებაც რუსთველი. მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ რუსთველი უნდა აღნიშნავდეს მესხეთის სოფელ რუსთავს, სადაც იგი დაიბადა. ამასვე ადასტურებს ხალხური ზეპირი გადმოცემაც. მკვლევართა მეორე ნაწილის აზრით, შოთა იყო რუსთავეჯალაშისა და ჰერეთის მფლობელი, ერისთავი, ჰერეთის სამეფო შტოს წარმომადგენელი. მესამეთა დაბეჯითებული მტკიცებით, შოთამ რუსთავის ეპისკოპოსად ყოფნის გამო მიიღო რუსთველის ტიტული, რაც მთლად დამაჯერებელი არ უნდა იყოს. სწორედ იმიტომ, რომ ასე საერო პირნიც მოიხსენიებოდნენ ხოლმე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ.

ჩახრუხაძის, შავთელისა და რუსთველის ნაწარმოებები ერთ ეპოქაში – ოქროს ხანაშია შექმნილი. რუსთველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ 16 მარცვლიანი შაირითაა დაწერილი და მას რუსთველური სალექსო ზომა ეწოდა, თუმცა 16 მარცვლოვანი შაირი (დაბალიც და მაღალიც) რუსთველამდე დიდი ხნით ადრე იყო გამოყენებული ქართულ პოეზიაში. ამ საზომით აქვს დაწერილი X საუკუნის პოეტს ფილიპე ბეთლემელს ლექსი „ქება ბეთლემისა“ (მაღალი შაირი), XII საუკუნეში არსენ იყალთოელს – აღმაშენებლის ეპიტაფია (დაბალი შაირი), იოანე პეტრინს – „შესხმა დავით აღმაშენებლისა“. დაბალი შაირის ორსტრიქონი-

ანი ნიმუშია მოცემული VIII საუკუნის მწერლის ლეონტი მროველის თხზულებაში; ლექსი ამოღებულია ერთ-ერთი ძველი ქართული ნაწარმოებიდან. 16 მიარცვლოვანი შაირი უძველესი და ძირითადი წყობაა ქართული ხალხური პოეზიისა. რუსთველმა ეს ტრადიციული 16 მარცვლოვანი შაირი სრულყოფილ, ბრნყინვალე დონემდე აიყვანა თავისი ხმოვანებით, სიტყვაკაზმულობით, გამაოგნებელი მხატვრული სახეებით, აფორიზმებით, ამიტომ ლიტერატურის ისტორიაში ეს საზომი რუსთველური შაირის სახელით დამკვიდრდა. ჩახრუხაძის „თამარიანი“ და შავთელის „აბდულმესიანი“ დაწერილია ოცმარცვლოვანი სალექსო ზომით. ოცმარცვლიანი ლექსი ჩახრუხაულის სახელით დამკვიდრდა. მაგრამ ჩახრუხაძის პოემაში, რომელიც თამარ მეფეს ეძღვნება, სამი სტროფი (24, 78 და 79) 16 მარცვლოვანი შაირით არის განყობილი. ხოლო 56-61 სტროფები, რომლებიც ოცმარცვლოვანია, უშუალოდ „ვეფხისტყაოსნის“ ამბავს შეიცავს:

56. ვიცი, გეწყალი: დამნთქამს მე წყალი, ნოეს ნაკადი, მოქცევი ღვარი.

რაღა კვლა მოვკვდე? თუ არა მოვკვდე, ვად, მაგალითო, მე ოდენ ვარი!

ჩემსა მოყმესა, ლომთა მოძმესა, ვის არად უჩნდის სახლი და კარი,

დამეტეს მქნელად: გაიჭრეს ველად, სადგურად ჰქონდის ლომთა შამბნარი

57. არვისად სწორად წავიდის შორად, ინდოეთს იყვის მისი საზღვარი.

ამოვლნის ინდნი, ხანნი და ჩინნი, არარად უჩნდის მას მათი ზარი.

მგზავრები წყობისფლისა

ატალას მოჰყვის, ქვეყანას მოსცვის, არვისი ჰქონდის შესაპოვარი.

ხაზარეთს დაჲყვის, რუსეთსაც გაჲყვის, ზღვის პირით ქროდის ტაროსთა ქარი

58. წავიდის ხმელსა, იონთა ველსა, მუნ, სადა მეფედ ზის კეისარი.

მოვლნის ქალაქნი, ზღვისა ალაგნი, სრულად ეგვიპტე, არაბთა მხარი.

ამანს მივიდის, თავი იდიდის, რა ხამდის, მუნცა ქმნის იქ საქნარი.

მოიქცის გარე, მოძებნის მთვარე, შიშ-ჰაერ პირი, მნა-თობის დარი.

59. მოჰყვანდის ქალი, საჩემო სძალი, მორცხვი, მორიდი, ბრძნად მოუბარი.

მოვლის სპარსეთი, სხვა ქმნის ასეთი, სულტანი ნახის ცათა მცთუნარი,

იგავნი უთხრნის, მეფენი უქნის, მათადვე სწორად მა-თი ლაშქარი.

მოყვასთა წინად პირი ქმნის შინად, ჩემთვის მოჰქონ-დის ხმელთა ავარი.

60. ოქროსა სწონდის, ტურფები ჰქონდის ფერად-ფერადი, მრავალი გვარი.

ჰყვანდის მოყმები, მონა-მხევლები, თვალ-მარგალი-ტი, სურნელ-ამბარი.

ვერა შევიგნი, მოვიდის წიგნი, – მო-გლახ-ველოდი! დამეცის ზარი

დამტყდიან ცანი! – „კვლავ განვვლეთ ზღვანი“ – დავ-რჩი უსულოდ, მართ ვითა მკვდარი.

61. რა მას ვიგონებ, ვერას ვიწონებ, ველთა გაჭრასა ოდენ მზა ვარი.

(სამი სტრიქონი დაკარგულია)

ამან XX საუკუნის რუსთველოლოგებში დიდი კამათი გამოიწვია. მკვლევართ აზრით ჩახრუხაძის ნაწარმოებში ეს სტროფები შემდეგი საუკუნეების გადამწერთა ჩამატებულია. აღიარებული ფაქტია, რომ გადამწერებს ხშირად ლექსის სალერლელი აეშლებოდათ და წიგნის მინდვრებზე თავის სტროფებსაც მიაწერდნენ. ხოლო მომდევნო გადამწერებს ეს დამატებები ძირითად ტექსტში შეჰქმნდათ. ასე გაჩნდა „ვეფხისტყაოსანშიც“ მთელი რიგი ჩამატებები (პროლოგსა და ეპილოგში) და აიმღვრა ეს თავანკარა წყარო პოეზიისა. თუმცა ამ ჩამატებებმა ძვირფასი ცნობები შემოგვინახა პოეტის ვინაობის შესახებ, მაგრამ პოემას საგრძნობი ზიანიც მიაყენა. ზოგი მათგანი რუსთველის მსოფლმხედველობას ენინააღმდეგება და მის კრიტიკას წარმოადგენს. როგორც მკვლევარმა პ. ინგოროვამ დაადგინა, პოემის შესავალსა და ბოლოთქმაში თითქმის ნახევარი ამ ინტერპოლატორების ნამოქმედარ-ნაყალბევია. მეოცე საუკუნის რუსთველოლოგები ძალზე გაიტაცა „ვეფხისტყაოსანში“ ინტერპოლატორების ნამოქმედარის ძიებამ. სხვადასხვა კომისიები თუ ცალკეული მკვლევარები ჩხრეკდნენ პოემის ტექსტს და ცდილობდნენ იქიდან გადამწერთაგან ჩამატებული სტროფების განდევნას, ან დაშვებული შეცდომების გასწორებას. ამას გარკვეულ სიკეთესთან ერთად ზიანიც მოჰყვა: ამოილეს ზოგიერთი ნამდვილი ავტორისეული სტროფი, ზოგან კი ტექსტი უფრო დაამახინჯეს. თუმცა ზოგმა მკვლევარმა (პ. ინგოროვამ, ზ. გამსახურდიამ, ა. ჭინჭარაულმა, თ. ჭილაძემ, რ. მიშველაძემ, ნ. რუხაძემ, ნ. ნათაძემ და სხვებმა) გარკვეული

შგზავრები წყობისფლის

გონივრული შენიშვნები გამოთქვეს გადამწერთაგან დაშვებული შეცდომების შესახებ. განსახილველად ავიღოთ გამომცემლობა „მერანის“ მიერ 1986 წელს სარგის ცაიშვილის რედაქციით გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ტექსტიც დაბეჭდილია 1966 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით. 1081-ე სტროფში წერია:

„ავთანდილ უთხრა: „წადიო, აგრე ქმენ, რაცა გწადიან.

მებალე მირბის, იხარებს, ოფლნი ქვე მკრდამდის ჩადიან“.

ასევეა შემდეგი წლების მრავალ გამოცემაში (1986 წ. – ალ. ჭინჭარაულის რედაქტორობით, სასკოლო „ვეფხისტყაოსანში“ წ. ნათაძის კომენტარებითა და შესავლით და სხვ.)

უნდა იყოს:

„ავთანდილ უთხრა: წადიო, აგრე ჰქმენ, რაცა გწადიან.

მებალე მირბის, იხარებს, ოფლნი მკერდამდის ჩადიან“.

49-ე გვერდზე (97-ეს ტროფში) წერია:

„ზოგსა გადაჰკრის მათრახი ქვე მკრდამდის გასაპობელად“.

აქაც უნდა იყოს „მკერდამდის“, ასეა ქართველიშვილისეულ გამოცემაშიც. რუსთველი სიტყვის ჯადოქარია, ძალზე გაბედულად ექცევა სიტყვას, ხშირად რიტმის ან რითმის გულისთვის სიტყვის ახალ ფორმას ქმნის, ან სიტყვას შუაზე წყვეტს; მაგრამ მთელ პოემაში ვერ ნახავთ ისეთ შემთხვევას, სადაც ქართული სიტყვა დამახინჯებული იყოს, უხეშად უღერდეს, ენის ბუნებას და მუსიკალობას ღალატობდეს. შოთა ქართულ სიტყვას დიდი რუდუნებით ეპყრობა. ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ იტყოდა – მკრდამდისო. მით უმეტეს, რომ ქართული ენა ვერ იტანს სიტყვაში რამდენიმე თანხმოვნის თავმოყრას (როგორც ეს ზოგიერთ უცხო ენას ახასიათებს) და სიტყვის უღერადობის დაყრუება-გაუხეშებას. ცხადია, ეს თანამედროვე „სწავლულთა“ ნამოქმედარია. ხშირად ასეთი

ჩასწორებანი უხამსობამდე მიღის. ფატმან-ხათუნი ავ-
თანდილს უამბობს:

„ქმარი ჩემი დიდვაჭართა წაუძღვების, უსენ წინა,
მათთა ცოლთა მე წავასხამ, მანველელი არად მინდა“.

რა მოწველაზეა აქ ლაპარაკი? უნდა იყოს: „მანველელი
არად მინდა“.

ტარიელისა და ნეტსანის შეხვედრები სინაზის, მოკრძა-
ლების, კდემამოსილების ბრწყინვალე პოეტური სურათე-
ბია. გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ პირველი შეხვედ-
რა უსიტყვოდ დამთავრდა, ერთმანეთისათვის არაფერი
უთქვამთ გრძნობათა მოზღვავებისა და მორიდების გამო.
მათი ერთ-ერთი განშორების შესახებ ტარიელის ნათქვამ-
ში (552-ე სტროფი) ვკითხულობთ:

„მერმე ავდეგ წამოსავლად, მან დამიწყო ქვევე წვევა,
მწადდა, მაგრამ ვერ შევმართე შეჭიდება, შემოხვევა“.

რა ჭიდაობაზეა აქ ლაპარაკი? განა მეტი გაუხამსება აზ-
რისა შეიძლება? რუსთველის ნათქვამია:

„მწადდა, მაგრამ ვერ შევმართე შემოჭდობა, შემოხვე-
ვა“.

ანდა ავთანდილისა და ტარიელის გამოთხოვების სურა-
თი ავიღოთ:

„დიდხანს დგანან შეჭედილნი, მკერდი მკერდსა შეარკი-
ნეს“. (958-ე სტროფი).

აქაც იგივე უხამსი დამახინჯებაა ჩამსწორებელთა წყა-
ლობით.

სასკოლო „ვეფხისტყაოსანში“ 6. ნათაძეს ეს ადგილი
შესწორებული აქვს და, ალბათ, სამართლიანადაც:

„დიდხანს დგანან შეჭდობილნი“ – დიდხანს იდგნენ გა-
დახვეულნიო.

„უბოროტო ვის ასმია რაცა კარგი საეშმაკო“. განა შე-

მგზავრები წყობისფლისა

იძლება საეშმაკო საქმე კარგი იყოს? განა რუსთველი ამას იტყოდა? ცხადია, აქ უნდა იყოს: „უბოროტო ვის ასმია რა-ცა საქმე საეშმაკო“. ვის გაუგონია, რომ რაიმე საეშმაკო საქმე უბოროტო იყოსო. ანუ ნებისმიერი საეშმაკო საქმე ბოროტებით აღსავსეაო.

ქაჯეთის ციხის შემდეგ ფრიდონი და ავთანდილი ეძებენ ტარიელს:

„გზანი დახვდეს შეკაზმულნი, შევიდეს და გაძვრეს ხვრელსა,

ნახეს, მზისა შესახვედრად გამოეშვა მთვარე გველსა“. (1428-ე სტროფი).

გაუგებარია, რას ნიშნავს „შეკაზმული გზა“? მათ გაიარეს გვირაბი, სადაც ტარიელის ნაომარ-ნამოქმედარის სურათი დახვდათ: ყველგან უამრავი დაჩეხილი ქაჯთა მცველები ეყარნენ. ანუ უნდა იკითხებოდეს: „გზანი დახვდეს შეკაფულნი“.

183-ე სტროფში „ავთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახმით გარდაიარა“. სიტყვა აქ ხელოვნურად არის გაყოფილი დეფისით და აზრი გაბუნდოვანებულია. ასე წერია ქართველიშვილისეულ გამოცემაშიც. ეს ერთცნებიანი სიტყვაა და ერთად უნდა იწერებოდეს. ლაპარაკია იმაზე, რომ ავთანდილმა დატოვა მხლებლები და მინდორი ოთხახმით – ცხენის ჭენებით გადაიარა. ოთხახმით ნიშნავს ცხენის დაოთხილ ჭენებას.

ხატაეთს საომრად წასულ ტარიელს გზად რამაზ მეფის ელჩები შეეგებებიან: და მეფის შემონათვალს მოახსენებენ:

„მე შემომძღვნეს რამაზისგან ძღვნად საჭურჭლე საშინელი,

გითხობს, გკადრებს: „ნუ ამოგვწყვედ, არის შენგან არ საქმელი,

ზენაარი გამოგვიღე, მით გვაბია ყელსა წნელი,
მოურბევლად მოგახსენნეთ თავნი, შვილნი, საქონელი“.
(428-ე სტროფი).

რა შუაშია აქ მოხსენება? რამაზ მეფე უთვლის: ოღონდ
ქვეყანა არ დაარბიო, ხალხი არ ამომიწყვიტო და მზად
ვართ ჩვენი ნებითვე მოგირეკოთ და ჩაგაბაროთ ცოლ-
შვილიც, ჩვენი თავიც, ჩვენი ქონებაც, ციხე-ქალაქსაც
უომრად ჩაგაბარებთო. ომის მერე კი ტარიელის ლაშქარი
მაინც მოარბევს ქვეყანას: „გავგზავნენ ყოვლგან ლაშ-
ქარნი, ალაფი ავალებინე“. ცხადია, აქ უნდა იკითხებო-
დეს: „მოგასხენნეთ“ (მოსხმა – მორეკვა მძევლებისა და
საქონლისა).

სრულიად გაუმართლებლად ამოიღეს გამომცემლებმა
587-ე სტროფი, რითაც იქ აღწერილ ამბავს ლოგიკურობა
და სიმძაფრე დაეკარგა. დავარი უმოწყალოდ სცემს ნეს-
ტანს. მერე ორ ზანგ მონას კიდობანი მოატანინა:

„მას შიგან ჩასვეს იგი მზე, ჰეგავს იქმნა დარაჯებითა.

ზღვითვე გაავლნეს სარკმელნი; მაშინვე გაუჩინარდა“.

აქ სრულიად არ ჩანს, რა სამოქმედო დავალება მიი-
ღეს მონებმა დავარისაგან. გამოდის ისე, თითქოს მონებს
თვითნებურად, თავისი ნება-სურვილით შეეძლოთ ნესტა-
ნის ბედის გადაწყვეტა, რაც სრულიად არარეალური და
ულოგიკოა. ძველ გამოცემებში ამ ორ სტრიქონს (უფრო
სწორად – სტროფს) შორის კიდევ ერთი სტროფი იყო, სა-
დაც ჩანდა, თუ რა უბრძანა, რა დაავალა დავარმა ზანგ
მონებს:

„მან უთხრა: წადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჭიპია,

წმიდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიპია,

მათ გაეხარნეს, ხმა-მაღლად იყივლეს: იპი, იპია,

ესე ვნახე და არ მოვკვე, არა მგავს არცა სიპია“.

მგზავრები წყოსნოფლის

ეს მშვენიერი, ლალი რუსთველური სტროფი ასე ერთი ხელისმოსმით დაკარგეს გამომცემლებმა პოემიდან. შესანიშნავი მხატვრული სახეა „ზღვის ჭიპი“ – დედამიწაზე ყველაზე შორეული და დაკარგული ადგილის სინონიმი. საიენტერესოა, რომ ეს გამოთქმა დღესაც ცოცხალია მსოფლიოში. დედამიწის ჭიპს უწოდებენ მეცნიერები აღდგომის კუნძულს, წყნარ ოკეანეში დაკარგულ პანია ხმელეთს, რომელიც ოკეანის უზარმაზარი სივრცეებით არის დაშორებული ყველა კუნძულსა და დიდ ხმელეთს. როგორც ნორვეგიელი მეცნიერი ტურ ჰეიერდალი წერს, აღდგომის კუნძულელთათვის ყველაზე ახლო ხმელეთი ვარსკვლავებია. ეს სტროფი სიმძაფრეს მატებს დავარის სასტიკ განაჩენს. იგი უბრძანებს მონებს, რომ სადღაც უკიდეგანო ზღვაში დაკარგულ პატარა კუნძულზე წაიყვანონ ნესტანი, ისეთ ადგილას, სადაც მას წმინდა წყალიც და ყინულიც კი სანატრელი გაუხდება. მხატვრული თვალსაზრისითაც სრულყოფილია ეს სტროფი. ამიტომ მისი ამოღება პოემიდან დაუშვებელია. რა მოსაზრებით გააკეთეს ეს მკვლევარებმა, გაუგებარია. ასეთი შესწორებების უფლება თავს არ უნდა მივცეთ.

მკვლევართაგან რუსთველური მხატვრული სახეების არასწორად გაგებისა და მცდარი დასკვნების ნიმუშია 1351-ე სტროფიც:

„ავთანდილ დაჯდა ტირილად, ტირს ხმითა შვენიერითა,
ყორანსა გაჰვეჯს ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლისა
ჭერითა“.

მკლევარები კ. ჭიჭინაძე, აკადემიკოსი ალ. ბარამიძე თვლიან, რომ აქ ლაპარაკია ბროლის ჭერზე, ანუ თავზე, სადაც მოთავსებულია ყორანი (შავი თმა). ბროლის ჭერი შუბლის ზემო ნაწილია, შუბლს ჭერად მოუდის. შავი

თმებით დაბურული თავის ნაწილი. ე. ი. ავთანდილი ხშირ-ხშირად იგლეჯდა თმებს და ბლუჯა-ბლუჯა აქეთ-იქით ჰყოფდა. ასეთი განმარტება სრული უაზრობაა; სამართ-ლიანად შენიშნავს მკვლევარი ნ. რუხაძე, რომ ასეთი გან-მარტება ავთანდილს მეტისმეტად საჩიტირო ვითარებაში წარმოგვიდგენს და ძალზე დამაკნინებლად აღიქმება. მი-სი აზრით აქ ყორანი წვერ-ულვაშია, რომელიც მოთქმის დროს ბროლის (ე. ი. კბილების) ჭერის (ანუ ბაგეების) ხშირ-ხშირი გაღება-დახურვის გამო აღიქმება გაგლეჯვად... ამასთან ბროლის ჭერის (განსაკუთრებით ზედა ბავის, რო-მელზეც მოთავსებულია „ყორანი“) ხშირი და ნერვიული ხლეჩვა აღიქმება ულვაშის ფრთხობლადაც... გასათვალის-წინებელია კიდევ ერთი გარემოება – საგანთა მიმართება. დავუმვათ „ყორანი“ შავი თმაა, ზემოთ მოთავსებული საგ-ნის – თმის მიმართ ქვემოთ მოთავსებული შუბლი ჭერად როგორდა წარმოიდგინება?“ (ნ. რუხაძე. შოთა რუსთაველი სკოლაში. თბ. 1992. გვ. 201).

მთელი ეს გაუგებრობა გამოიწვია იმან, რომ არასწო-რად იქნა გაგებული ერთი სიტყვა – „ჭერითა“. რუსთველს ადამიანის ლამაზი სახის სამკაულად მიაჩნია წყობილი ბა-გე-კბილი, თვალები და წამნამები. იგი განსაკუთრებით შავი თვალებისა და გრძელი, შავი წამნამების მეხოტბეა. პოეტი მათ შესამკობად იყენებს უამრავ შედარებას, ეპი-თეტს, მეტაფორას. განსაკუთრებით ეს ითქმის წამნამების შესახებ: თვალები შავი მელნის ტბაა; ცრემლი – ბროლი, მარგალიტი, ბროლის წვიმა („მუნვე წვიმს წვიმა ბროლი-სა, ჰერი გიშრისა ღარი სად“); გრძელი და ხშირი წამნამე-ბი – გიშრის ღარი, გიშრის საყენი, გიშრის დანა, გიშრის ტევრი, გიშრის შუბები, გიშრის ნავი, გიშრის ხეები („ჩემ-ნი მომკველნი წამნამნი შავნი გიშრისა ხენია“). ერთგან კი

შგზავრები წყობისფლისა

პირდაპირ ამბობს, რომ გრძელი და შავი წამნამები ყორნის ფრთებსა და ბოლოს ჰგავსო – „ღონე წამნმისა ხშირისა, ყორნის ფრთები ნაფუმარისა“. წამნამები რომ თვალების ჭერად წარმოვიდგინოთ, შესაძლებელია: „მელნისა ტბათა მიჯარვით ჰპურავს გიშრისა ჭერითა“; მაგრამ პირუკუ – წამნამების მიმართ რომ თვალი ან ცრემლი ბროლის ჭერად წარმოვიდგინოთ, შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია ყორანივით შავი თმის ჭერად წარმოვიდგინოთ ბროლის შუბლი. ამიტომ ცხადია, რომ სიტყვა „ჭერითა“ ნიშნავს არა არსებით სახელს – ჭერს, არამედ ზმნის საწყისა – ჭერას. ლაპარაკია მოქმედების პროცესზე – ცრემლის ჭერის პროცესზე. სწორედ საგანთა მიმართებით თუ ვიმსჯელებთ, 1351-ე სტროფში აღნერილი მოქმედება ხდება ზემოდან ქვემოთ – თვალებიდან ცრემლები ღაწვებზე მოედინება და ანდამატის კვერივით ნაკვალევს სტოვებს. ტირილის პროცესი ასეთია: როცა ადამიანი ტირის, ცრემლის ღვრისას თვალებს ხან ხუჭავს, ხან ახელს, წამნამებს ახამხამებს. ანუ პოეტის მეტაფორული წარმოდგენით წამნამები შავი ყორანია, რომელიც დრო და დრო „იგლიჯება“ – იხსნება და იხურება, თითქოს ცრემლის ანუ ბროლის დაჭერას ცდილობს, რის გამოც დამფრთხალ ფრინველს ემსგავსება. წამნამებიდან ღაწვებზე დაგორებული ცრემლი ნაკვალევს სტოვებს – თითქოს ლალისა და ალმასის ნაზავის ნაპობია. პოეტს ეს პროცესი მესამე სტრიქონში აქვს მოცემული – „გახეთქა ლალი გათლილი ანდამატისა კვერითა“. ანუ ცრემლის ღვრის პროცესი ხდება ზევიდან ქვევით – თვალებიდან წამოსულ ცრემლებს ახამხამებული წამნამები თითქოსდა დაჭერას უპირებენ, ცრემლები კი დროდადრო მაინც გამოექცევიან და ღაწვებზე მოედინებიან. ამიტომ აქ არავითარ ჭერზე არ არის ლაპარაკი.

საუბარია შავი წამნამებით – „ყორნით“ ცრემლების თით-ქოსდა ჭერაზე და ამ პროცესით ფრინველის ფრთხობაზე.

უნდა ითქვას, რომ ჩახრუხაძის „თამარიანის“ სადაო სტროფებიდან 24-ე, 78-ე და 79-ე სტროფები რუსთველური ოსტატობით დაწერილი მაღალმხატვრული სტრიქონებია. ამიტომ მარტო იმ მოტივით, რომ ჩახრუხაძის პოემა ოცმარცვლიანი საზომით არის დაწერილი და 16-მარცვლიანი სტროფები მისი არაორგანული ნაწილია, შემდეგშია ჩამატებულიო, არ კმარა. განა ცოტა გვაქვს ქართულ პოეზიაში იმის მაგალითი, როცა პოეტის ერთი ნაწარმოების ცალკეული ნაწილები სხვადასხვა საზომით არის დაწერილი? ამის ყველაზე თვალსაჩინო, პირდაპირ კლასიკური მაგალითია XIX საუკუნეში შექმნილი ნაწარმოები – გრიგოლ ორბელიანის „სადლეგრძელო“. ქართულ პოეზიაში თითქმის არ მოიძებნება სალექსო ზომის თვალსაზრისით მეორე ასეთი რთული სტრუქტურის ლექსი. „სადლეგრძელოს“ პირველი 20 სტრიქონი 10 მარცვლიანია, შემდეგ 12 სტრიქონი – 16 მარცვლიანი, 32 – 10 მარცვლიანი, 12-10 მარცვლიანი, 10-10 მარცლიანი, 20-10 მარცვლიანი, 8-10 მარცვლიანი, 4-16 მარცვლიანი, 8-10 მარცვლიანი, შემდეგი 16 სტრიქონი – 16 მარცვლიანი, 16-10 მარცვლიანი, 20-10 მარცვლიანი, 46-(191-263) წარმოადგენს 5 და 10 მარცვლიანი, 20-16 მარცვლიანი, 46-(191-263) წარმოადგენს 5 და 10 მარცვლიანი სტრიქონების მონაცვლეობას (5-5-10, 5-5-10, თუმცა აქაც მე-6 სტრიქონის შემდეგ 2 სტრიქონი 20 მარცვლიანია. შემდეგი 90 სტრიქონი 16 მარცვლიანია, 8 სტრიქონი – 10 მარცვლიანი, 9 – სტრიქონი 5 და 10 მარცვლიანების მონაცვლეობაა, 12 სტრიქონი 16 მარცვლიანია, 12-20 მარცვლიანი, 4/10 მარცვლიანი, 30-16 მარცვლიანი, განა ამის შემდეგ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ჩახრუხაძის

შგზავრები წყობისფლის

„თამარიანი“ მხოლოდ და მხოლოდ 20 მარცვლიანი საზომით იყო დაწერილი და თუ მასში 16 მარცვლიანი სტრიქონები ურევია, ისინი არ შეიძლება მისი ორგანული ნაწილი იყოს და შემდეგ საუკუნეებშია ჩამატებულიო. რაც შეხება 56-61-ე სტროფებს, ისინი პირველ პირშია დაწერილი და მათში ნამდვილად „ვეფხისტყაოსანზეა“ ლაპარაკი, „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორს ეხება (და არა მხოლოდ ავტორს, როგორც ზოგ მკვლევარს მიაჩნია).

„ჩემსა მოყმესა, ლომთა მოძმესა, ვის არად უჩნდის სახლი და კარი,

დამეტეს მქნელად, გაიჭრის ველად, სადგურად ჰქონდის ლომთა შამბნარი,

არვისად სწორად წავიდის შორად, ინდოეთს იყვის მისი საზღვარი,

ამოვლის ინდნი, ბანნი და ჩინნი, არარად უჩნდის მას მათი ზარი.

...

მოიქცის გარე, მოძებნის მთვარე, შიშ-ჰაერ პირი, მნათობის დარი,

...

ოქროსა სწონდის, ტურფები ჰქონდის ფერად-ფერადი, მრავალი გვარი.

ჰყვანდის მოყმები, მონა-მხევლები, თვალ-მარგალიტი, სურნელ-ამბარი“.

აშკარაა, რომ აქ ლაპარაკია „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ გმირზე ტარიელზე (ჩემსა მოყმესა, ლომთა მოძმესა – ჩემი ნანარმოების გმირს, ლომებთან დასადგურებულსო), რომელიც თავისი სამკვიდრო ინდოეთიდან ველად გაჭრილი, ლომ-ვეფხვთა სადგომ შამბნარებში ცხოვრობს, მოივლის მრავალ ქვეყანას, ეძებს და ბოლოს პოულობს

დაკარგულ უმშვენიერეს სატრფოს. თუ ეს სტროფები ე. ნ. ინტერპოლატორის ნამოქმედარია, როგორც მკვლევარები ფიქრობენ, მაშინ იგი რუსთველის შესახებ სანდო წყაროებს ფლობს და თვლის, რომ ჩახრუხაძეს და რუსთველს რაღაც საერთო აქვთ, ან შესაძლოა ისინი ერთ პიროვნებად მიაჩნია.

ჩვენ თითქმის არ შემოგვრჩენია წერილობითი ცნობები რუსთველის ბიოგრაფიის შესახებ. თვითონ ვეფხისტყაოსანში ჩართული ზოგიერთი ბიოგრაფიული ხასიათის სტრიქონი, აგრეთვე XVI-XVII საუკუნეების პოეტების ძუნწი ცნობები და პოეტის ორი გამოსახულება – სულ ეს არის ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტური ცნობები. რუსთველის პირველი სურათი „ვეფხისტყაოსნის“ XV საუკუნის ერთ ხელნაწერშია, რომელიც უფრო ძველი ხელნაწერიდან არის გადმოღებული. მასზე შოთა გამოხატულია 30-40 წლის ასაკში. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ასაკში შექმნა მან ეს პოემა. მეორე სურათი ჯვრის მონასტრის კედელზეა დახატული. იქ უკვე შოთა ლრმად მოხუცი, დაახლოებით 80 წელს გადაცილებულ ასაკშია დახატული, სამეფო პორფირ-ბისონიან სამოსში. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ეს სამოსი იმას ნიშნავს, რომ იგი რუსთავის მთავარეპისკოპოსი და ერთ-ერთი ვაზირთაგანი იყო, რადგან პორფირ-ბისონით იმოსებოდნენ მხოლოდ მეფეები და რუსთველი მღვდელმთავრებიო. მკვლევართა მეორე ნაწილის აზრით, იგი ბაგრატიონთა გვერდითი სამეფო შტოს და ჰერეთის მეფეთა შთამომავალია; მკვლევართა მესამე ჯგუფის მტკიცებით, რუსთველი მესხეთის დიდებული და თამარის კარის ვაზირი – მეჭურჭლეთუხუცესია. მესხეთში შემორჩენილი ხალხური ვერსია კი გადმოგვცემს, რომ შოთა იყო მესხეთის რუსთავიდან და თამარის კარზე მეჭურ-

შგზავრები წყობისფლისა

ჭლეთუხუცესი გახდათ. საერთო ამ მოსაზრებებში ის არის, რომ რუსთველი მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილა. ასე ახსენებს ტიმოთე გაბაშვილიც, რომელიც ჯვრის მონასტერში ჩავიდა XVIII საუკუნეში: „ოდეს ჯვრის მონასტერი დაძველებულა... გუმბათის ქვეითნი სვეტნი განუახლებია და დაუხატვინებია შოთა რუსთველს, მეჭურჭლეთუხუცესს. თითონაც შიგ ხატია მოხუცებული. „ძველი მწერლების უმეტესობის ცნობითაც, შოთა მესხეთიდან ყოფილა და მისი ზედწოდებაც სოფელ რუსთავიდან მოდის. რუსთველს მესხად მოიხსენიებს არჩილ მეფეც თავის პოემაში „გაბასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. მისი აზრით, რუსთველმა პოეზიაში შემოიღო „ჯავახური ენა მძიმე“. ვეფხისტყაოსნის დამატებებშიც შოთა მესხად იგულისხმება. XII-XIII საუკუნეების საქართველოს მეფეები მეჭურჭლეთუხუცესებად მეტნილად მესხ დიდებულებს ნიშნავდნენ. მესხეთი ამ დროს ძალზე დაწინაურებულია და ბევრი მაშინდელი სახელოვანი საერო თუ საეკლესიო მოღვაწე აქედან არის გამოსული. ყველა ხალხური გადმოცემაც აღიარებს, რომ შოთა სამცხის დიდგვაროვანი, თამარის ერთ-ერთი ვაზირი – მეჭურჭლეთუხუცესია. ხანგრძლივი დავის შემდეგ ლიტერატურაში საბოლოოდ დამკვიდრდა მოსაზრება მისი მესხური წარმოშობის შესახებ. ამ მოსაზრებას ადასტურებს ერთი ძველი მესხური წეს-ჩვეულებაც: „ასპინძის სოფელ რუსთავის სიახლოვეს, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, პატარა გორაკს „შოთას გორას“ უწოდებენ. ძველად აქედან დედებს თითო მუჭა მიწა მიჰეონდათ შინ და ნაჭერში გახვეულს აკვნის ბავშვებს თავქვეშუდებდნენ. სწამდათ, რომ შოთასავით ბრძენი გაიზრდებოდა მათი შვილი“. („კვირის პალიტრის“ კედლის კალენდრი-დან. 2018 წ. 6 თებერვალი). საუკუნეების სიღრმიდან მომ-

დინარე ეს საოცარი ტრადიცია შემთხვევითი არ შეიძლება იყოს, მას ალბათ რეალური საფუძველი გააჩნდა. როგორც დიდი ფრანგი მწერალი ვიქტორ ჰიუგო ამბობდა, „ისტორია უფრო მეტად სარწმუნო როდია, ვიდრე ზეპირგადმოცემანი“. თვითონ პოემის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რუსთველი თავისი დროის უდიდესი განათლების პიროვნებაა, ბრწყინვალედ იცნობს საქართველოს სამეფო კარის ცხოვრებას, წეს-ჩვეულებას, მეფეთა და დარბაზის საქმიანობას, სამხედრო და სარაინდო ხელოვნებას. იგრძნობა, რომ იყი სამეფო კართან დაახლოებული დიდებულთაგანია, მონაწილეობს ვქეყნის მართვაში, სახელმწიფო საქმეებსა და ომებში, რომლებიც მაშინ საქართველომ გადაიხადა. იმავე მოსაზრებას გამოთქვამს არჩილ მეფეც თავის „გაბაასებაში“. ლეგენდების თანახმად, სიბერის ჟამს რუსთველი სამშობლოდან განდევნილი იყო და ჯვრის მონასტერში აღესრულა. ლიტერატურასა და ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ზოგიერთი ვარაუდით, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ჯვრის მონასტერში დამკვიდრებული რუსთველი ბერად შემდგარა. XIX საუკუნის მეცნიერი თეიმურაზ ბაგრატიონი წერდა, რომ რუსთველმა, რომელიც ჰერეთის დიდებული და საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი იყო, სიბერის ჟამს მიატოვა ამა სოფლის ყოველივე დიდება, წავიდა იერუსალიმში, თავისი ხარჯით განაახლა ჯვრის მონასტერი და სიკვდილამდე იქ იმყოფებოდა როგორც საერო პიროვნება, ბერად არ შემდგარა. გარდაცვალების შემდეგ იქვე დაკრძალეს, სადაც მისი სახეა გამოხატული. თვით იერუსალიმის ბერძენ ბერებში გავრცელებული ლეგენდების თანახმად, რუსთველს თავისი ნებით უთქვამს უარი ვეზირობაზე, ბერად აღკვეცილა, ფეხშიშველი წასულა იერუსალიმში, ჯვრის მონასტერი მოუხატვინებია საქარ-

მგზავრების წყობისფლის

თვეელოს ამსახველი საუცხოო ფრესკებით, ღრმა სიბერეში გარდაცვლილა და ბერებს იქვე დაუკრძალავთ, სადაც მისი სურათია გამოსახულიო. აღნიშნული სურათის წარწერაც ადასტურებს, რომ მას შეუკეთებია და მოუხატვინებია ტაძარი. პროფესორმა ნიკო მარმა 1902 წელს ჯვრის მონასტრის სააღაპონ წიგნებში აღმოაჩინა მეჭურჭლეთუხუცეს შოთას სულის მოსახსენებელი ჩანაწერი, რომელიც გაუკეთებია კახეთ-პერეთის მხარეთა პირველ ეპისკოპოსს ანტონ ალავერდელს. ჯვრის მონასტრის სურათზე შოთა 80 წელს გადაცილებული მოხუცია. ასეთ ღრმა ასაკში ადამიანი სამშობლოდან შორს სამოგზაუროდ არ წავა. ეს უფრო ადრე უნდა მომხდარიყო. სავარაუდოა, რომ ეს მოხდა თამარისა და ლაშა-გიორგის მეფობის შემდეგ. ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძესთან დაცულია რომელიდაც ძველი წყაროებიდან ალებული ცნობა, რომ რუსთველი მეფე რუსუდანს ელჩად ჰყოლია გაგზავნილი მონღოლთა სამეფო კარზე საზავო მოლაპარაკებისათვის.

ხალხური გადმოცემით, შოთას მამა ჩახრუხა მესხეთის დიდგვაროვანია, მფლობელია სოფელ რუსთავისა და დიდი მამულებისა, მათ შორის ალპური საძოვრებისა, რომლებსაც სწორედ ფეოდალ ჩახრუხას სახელი შემორჩაო (ამჟამად ჩახრახის მთას უწოდებენ – ცხვრის ფარების ალპური საძოვრებია ასპინძის რაიონში). აქედან წარმოსდგა „თამარიანის“ ავტორის ჩახრუხას ძის გვარიცო. ხალხური გადმოცემით, ჩახრუხაძე შოთას ძმა არის, ზოგი გადმოცემით კი ჩახრუხას ძე იგივე რუსთველია. შესაძლოა იგი ხან მამის სახელით იხსენებოდა – ჩახრუხას ძედ, როგორც ძველ საქართველოში ტრადიციად იყო მიღებული, ხან კი მშობლიური სოფლიდან წარმომდგარი ზედნოდებით – რუსთველიო (მსგავსად ოპიზარებისა). სხვათა შორის საქართველის მემკვიდრეობის მიმდევარი არ იყო და მათ მისამართი მარტინ ბარების მიერთებოდა.

ველოს ისტორიაში გვაქვს მსგავსი შემთხვევა: XI საუკუნის გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, გელათის აკადემიის პირველი რექტორი, ფილოსოფოსი, მთარგმნელი და პოეტი, იყალთოს აკადემიის დამარსებელი არსენი ზოგან მოხსენებულია ზედნოდებით – არსენ იყალთოელი, ხოლო ზოგ დოკუმენტში მამის სახელით – არსენ ვაჩეს ძე. მსგავსი შემთხვევა გვაქვს თვით მეთვრამეტე საუკუნეშიც – მეფე ერეკლე მეორის კარზე მოღვაწე ფეოდალი იესე ბარათაშვილი, როგორც პოეტი, იხსენება მამის სახელით – იესე ოსეს ძე. მკვლევარი ზვიად გამსახურდია არ გამორიცხავდა ჩახრუხაძისა და რუსთველის იგივეობას.

რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ რუსთველი მღვდელ-მთავარი – რუსთავის ეპისკოპოსი გახლდათო. ამ მოსაზრების მომხრეების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ ჯვრის მონასტრის ფრესკაზე რუსთველს აცვია სია-სამურის ბენვსარჩულიანი წითელი მოსასხამი – პორფირ-ბისონით იმოსებოდნენ მხოლოდ მეფეები და რუსთველი მღვდელთმთავრები. ამ მოსაზრების გაჩენას ხელი შეუწყო პოემის ერთი სტროფის არასწორად ამოკითხვამაც. შესავალში, მე-8 სტროფში წერია:

„მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი,
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი.

დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი“.

თუ სასვენ ნიშანს დავსვამთ მესამე სიტყვის შემდეგ, გამოვა – „მე, რუსთველი ხელობითა“, და შეიძლება ეს სიტყვა გავიგოთ, როგორც სახელო, თანამდებობა, სამსახუ-

მგზავრები წყოსნოფლისა

რი. სწორედ ასე, პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო ზოგმა მკვლევარმა ეს სიტყვა და დაასკვნა, რომ რუსთველი თვითონვე აცხადებს – ხელობით, თანამდებობით რუსთველი, ანუ რუსთავის ეპისკოპოსი ვარო. მაგრამ თუ სასვენ ნიშანს დავსვამთ მეორე სიტყვის შემდეგ, იქნება – მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“. აქ უკვე ხელობა ნიშნავს მიჯნურობას, სიყვარულით გახელებულ და ცნობამიხდილი ადამიანს. მთელს პოემაში სიტყვა „ხელი“ ნახსენებია 73-ჯერ: მათ შორის ხელის, გახელებულის მნიშვნელობით – 39-ჯერ; ხელის, როგორც სხეულის ნაწილის მნიშვნელობით – 32-ჯერ; ხოლო სახელის, თანამდებობის, პროფესია-საქმიანობის, ხელობის მნიშვნელობით – სულ ორჯერ:

„თუ მიჯნური ვარ, ერთი ვხამ ხელი მინდორთა მე რებად,
არ მარტო უნდა გაჭრილი ცრემლისა სისხლსა ფერებად?
გაჭრა ხელია მიჯნურთა, რად სცალს თავისა ბერებად!“

ე. ი. მინდვრად გაჭრა მიჯნურთა წესია, საქმეა, ხელობააო. 15 წლის ტარიელს უკვე ომში წასვლა შეუძლია, ჩინებული ჭაბუკი დადგა. ამ დროს მამა უკვდება. ერთი წელი ბნელში ზის ძაძებით მოსილი. მეფე-დედოფალმა სთხოვეს გლოვის შეწყვეტა: „ასი ებოძა საჭურჭლე, ებრძანა ახდა შავისა“. მათ ტარიელს უბოძეს მამისავე საკარგავი (სამფლობელო), აგრეთვე სამეფო კარზე მამისავე თანამდებობა – ამირსპასალარობა და ამირბარობა, ანუ სახლთუხუცესობა: „მის ხელისა საურავი მათ ორთავე მითხრეს წყნარად“. „შენ გქონდეს ამირბარობა, ქმნა მისვე საურავისა“. საურავი – თანამდებობა, სამსახური, (აქედან შემდეგ საუკუნეებში გაჩენილი სახელო, თანამდებობა – მოურავი). იმავე

თანამდებობაზე, სახელოს მიღებაზე თანხმობა მთხოვესო. ტარიელი უარზეა, გამიჭირდება ამ თანამდებობის შესრულებაო, მაგრამ „არ მომეშვნეს, დავმორჩილდი, თაყვანის- მცეს ამირბარად“.

დიდი დაფიქრება არ არის საჭირო, რომ კაცი მიხვდეს: მე-8 სტროფში ლაპარაკია მიჯნურობაზე, თავდავიწყებით შეყვარებულ კაცზე, სიყვარულით გახელებულ რაინდზე და არა თანამდებობრივ მდგომარეობაზე. რუს- თველი აქ საკუთარ გრძნობებზე საუბრობს. ხოლო „ამა დარი“ ნიშნავს, რომ პოეტი თავის თავს მთავარ გმირს ტარიელს ადარებს და ამბობს, რომ მიჯნურობის სიძლიერით ტარიელის დარი ვარო. მე-8 სტროფის I სტრიქონის სიტყვა „ხელობითა“ რომ სწორედ ამ მნიშვნელობით არის ნათქვამი, ამას ხაზგასმით ადასტურებს იმავე სტროფის II სტრიქონი, სადაც ეს სიტყვა იგივე მნიშვნელობით მე- ორდება მიჯნურის სულიერ მდგომარეობაზე აქცენტის გაძლიერების ნიშნად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მე-9 სტროფი („ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარ- გმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქენ სა- ჭოჭმანები“) ნამდვილად ინტერპოლატორის ჩამატებუ- ლია, რაც ჩინებულად დაამტკიცა პ. ინგოროვამ, მაშინ აშკარაა, რომ მე-8 სტროფიდან მე-10 სტროფში აზრი ლო- გიკურად გრძელდება და პოეტი კვლავ თავის მიჯნურო- ბაზე განაგრძობს საუბარს:

8. მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი,
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთ-
ვის მკვდარი,
დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მინა მე სამარი.

მგზავრები წყობისფლისა

9. თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა; აჰა გული გამიჯნურდა, მიპევდომია ველთა რბენა! მიაჯეთ ვინ, ხორცთა დაწვა კმა არს, მისცეს სულთა ლხენა, სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა“.

აშკარაა, რომ სიტყვაში „ხელობითა“ თანამდებობრივი მდგომარეობა სრულიად გამორიცხულია, უადგილოა და სულიერ მდგომარეობაზეა ლაპარაკი.

ვფიქრობ, რომ მე-8 და მე-10 სტროფები ამ მოსაზრების (რუსთველის მღვდელმთავრობის) მომხრების სასარგებლოდ არ უნდა მეტყველებდეს: ვერავინ დამისახელებს საქართველოს ისტორიაში (თუნდაც მსოფლიო ისტორიაში) მეორე ისეთ ფაქტს, რომ საეკლესიო მოღვაწე, მით უმეტეს მღვდელმთავარი თავისი დროის მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მონარქს, მეფეთ-მეფეს სიყვარულის გამჟღავნებას უბედავდეს, მის თავდავინყებულ მიჯნურად აცხადებდეს თავს და ამას ღიად, საქართველოს ლაპარაკობდეს, შეიძლება, რომ მღვდელმთავარი მკერდში მჯიდის ცემით აცხადებდეს: მეფეთ-მეფის სიყვარულით გახელებული, გონდაკარგული ვარო? თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველო ყველა სხვა ქრისტიანულ ქვეყანაზე უფრო მეაცრად იცავდა ყოველთვის მართლმადიდებლურ დოგმატიკას, ხოლო საეკლესიო მოღვაწეთა გარკვეულ ნაწილს ქალის სიყვარულსა და დაოჯახებაზე ფიქრიც კი ცოდვად ეთვლებოდა, მაშინ სულ არაფერი, ეს ცოტა მკრესელური თუ არა, უხერხული მაინც უნდა იყოს. ამისათვის მას ეკლესიიდან განკვეთდნენ. არათუ ჯვრის მონასტრის კედელზე გამოხატავდნენ. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ რუსთველი თავისივე საერო სა-

ხელით იხსენება; საეკლესიო მოღვაწეებს, როგორც წესი, სახელი ეცვლებოდათ ხოლმე, რაც რუსთველის შემთხვევაში არ მომხდარა. ერთი რამ აშკარაა: რუსთველი თამარ შვიდმნათობიერს ესაუბრება როგორც თანატოლს, თავი მეფის თანასწორად მიაჩნია, რახან საქვეყნოდ მასზე გამიჯნურების გაცხადებას ბედავს. აშკარაა, რომ იგი დიდგვაროვანია და შესაძლოა მართლაც ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი იყო. ბაგრატიონთა სამშობლოც ხომ მესხეთი იყო. ხოლო თვით პოემაში სიმბოლური მინიშნებაა საქართველოს ზოგიერთ პოლიტიკურ ფაქტზე. ინდოეთი შვიდი სამეფოსაგან შედგება, მეშვიდე სამეფოს მემკვიდრეა ტარიელი, იგი მთლიანი სამეფოს ვაზირი – ამირბარი და სპასალარია, შეყვარებულია მეფის ასულზე; არაბეთის მეფეა ახალგაზრდა ქალი თინათინი, და ა. შ. საქართველოც შვიდი სამთავროსგან შედგებოდა. თამარის გათხოვების ჟამს საქართველოში ბევრი დიდგვაროვანი და სახელმწიფო რაინდი იყო, მაგრამ თამარის თანატოლად დარბაზმა არც ერთი არ სცნო; გარეშე სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელზე დააქორნინეს. პირველი ქორწინება თამარის ნების გარეშე, იძულებით მოხდა, რის შემდეგაც უღირს გიორგი რუსზე თამარმა უარი თქვა და იგი საქართველოდან განიდევნა. შემდეგ კი საქართველოში ორჯერ სამოქალაქო ომის ატეხვისა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისათვის ბრძოლაში დაიღუპა. ნესტანსაც მისი ნების უკითხავად უპირებენ ხვარაზმის უფლისწულზე გათხოვებას, სასიძო იღუპება, ხოლო ნესტანს ფიზიკური სასჯელის შემდეგ უგზო-უკვლოდ გადაკარგავენ, რადგან შეუფერებლად თვლიან მისი და სახლთუხუცესის სიყვარულს.

რატომ დუმს ისტორიული წყაროები რუსთველზე, როცა

მგზავრები წყობისფლისა

ოქროს ხანის თითქმის ყველა გამოჩენილ მწერალზე, ფილოსოფოსზე, საეკლესიო მოღვაწეზე, ხუროთმოძღვარზე, ოქრომჭედელზე არის ცნობები შემონახული? საფიქრებელია, რომ ხალხურ ზეპირსიტყვიერ ცნობებს რაღაც რეალური საფუძველი ჰქონდა და რუსთველი იძულებით იყო გადახვეწილი სამშობლოდან. ამაზე მინიშნებაა თვით „ვეფხისტყაოსანშიც“. კარში „წასვლა ავთანდილისა ფრიდონისასა“ მოთხრობილია ამბავი ავთანდილის წასვლისა ფრიდონთან. მაგრამ ძირითადი ამბის დაწყებამდე, თავში ჩამატებულია ერთი სტროფი:

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზე გჭირსა! ყოვლიმც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა! სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?! მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა!“

ამ სტროფს ლოგიკური კავშირი არა აქვს მომდევნო ტექსტთან – ავთანდილის მოგზაურობის აღწერასთან. აქ პოეტის პირადი განცდა, სამდურავია წუთისოფლის გაუტანლობაზე. აშკარაა, რომ რუსთველი თავის თავზე ამბობს, უცხოეთში თავისი ყოფნის მწარე ხვედრზე. პ. ინგოროვას აზრით, ეს სტროფი პოეტს გვიან, უცხოეთში ყოფნის უამსჩაუმატებია. სოფლის სამდურავი პოეტს სხვაგანაც წამოსცდებია: „იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია“. გულგატეხილობა, წუთისოფლის გაუტანლობაზე ფიქრი კაცს უფრო სიბერეში ეწვევა ხოლმე – ასეთი სევდა სხეულის დაუძლურებას მოსდევს. თორემ თამარის ბრწყინვალე ხანაში სამეფო კარზე ვაზირად ყოფნისას ასეთი სევდა არ დაეუფლებოდა. ამ აზრს ამყარებს პოემის მეორე ადგილიც. კარში „აქა ფატმანისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის

მბობა“ ფატმანი ავთანდილს უამბობს ნესტანის გრძნეულ-თაგან დახსნის, უსენისაგან მეფესთან დაბეზღების, ნეს-ტანის სასახლეში წაყვანისა და იქიდან გაპარვის ამბავს. შემდეგ ავთანდილს ეუბნება: „მის მთვარისა სადაობა კვლა გიამბო, საქმე კვლაცი“ – მერე გავაგრძელებ ნესტანის ამ-ბის თხრობასო. აქ ფატმანი წყვეტს ნესტანის ამბის თხრო-ბას და ავთანდილს უამბობს, თუ რატომ დასცა თავზარი ჭაშნაგირის მუქარამ. ჭაშნაგირი ჩემი საყვარელი იყო. ერ-თხელ მასთან წამომცდა, რომ ნესტანს გაპარვაში დავეხ-მარე. ახლა მეფესთან დაბეზღებით დამემუქრა. ამიტომ გთხოვე მისი მოკვლაო. მხოლოდ ამის შემდეგ აგრძელებს იგი ავთანდილის თხოვნით ნესტანის ამბის თხრობას. ეს ხდება შემდეგ კარში „ამბავი ნესტან-დარეჯანის ქაჯთა-გან შეპყრობისა“. მაგრამ ამბის გაგრძელება იწყება მეო-რე სტროფიდან „ფატმან იტყვის, მომეშორვა მზე, მნათობი სრულად ხმელთა“. ხოლო პირველი სტროფი აქაც ავტორი-სეულ განცდას, წუთისოფლის სამდურავს შეიცავს. აშკა-რაა, რომ ეს სტროფიც შემდეგშია ჩამატებული და ნესტა-ნის ამბის თხრობასთან ლოგიკური კავშირი არა აქვს:

„ვა საწუთროო, სიცრუით თავი სატანას ადარე!
შენი ვერავინ ვერა სცნას, შენი სიმუხთლე სად არე;
პირი მზისაებრ საჩინო სადუჩინო ჰყავ, სადარე?
მით ვხედავ, ბოლოდ სოფელსა ოხრად ჩანს ყოვლი
სად არე!“

აქ რომ ნესტანის დაკარგვაზე, გაუჩინარებაზე იყოს საუ-ბარი, მაშინ ბოლო სტრიქონი – წუთისოფელში ოხრად ჩანს ყველაფერიო პოემის ფინალთან წინააღმდეგობაში მოდის აზრობრივად. ნესტანი ხომ ცოცხალია, ტყვეა, მას სატრ-

შგზავრები წყობისფლისა

ფო თავისი ძმადნაფიცებით დაიხსნის და ამბავი კეთილად მთავრდება? პოემის დასასრულიც ხომ ძალზე ოპტიმისტურია – გმირების თავგადასავალს ბედნიერი, საზეიმო და ამაღლებული დასასრული აქვს: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ბედნიერად მეფობენ და მათ სახელმწიფოებში ხალხი ლალად ცხოვრობს – „თხა და მგელი ერთად სძოვდეს“. ამიტომ პოემის მთლიანი ამბისათვის სრულიად უადგილოა გულგატეხილი თქმა – წუთისოფელში ოხრად ჩანს ყველაფერი. უფრო ლოგიკური იქნება ვიფიქროთ, რომ ეს სტროფიც შემდეგშია ჩამატებული და რუსთველი შეფარვით თავის სინანულს გამოთქვამს თამარის გარდაცვალების გამო. თამარ მეფე უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა მრავალ ქვეყანაში. იგი სრულიად ახალგაზრდა – 42 წლისა აღესრულა მძიმე სენით.

ამ დიდებული და უაღრესად ჰუმანური მონარქის უდროოდ გარდაცვალებამ უდიდესი მწუხარება გამოიწვია არა მარტო საქართველოში, არამედ აზის, აფრიკისა და ევროპის ახლო-მახლო ქვეყნებში. თავის სიცოცხლეში მან ხალხის განუზომელი სიყვარული დაიმსახურა. თამარის მეისტორიე წერს: ხალხს მისი სახელი პირზე ეკერა, სახლების კედლებზე თამარის საქებარ ლექსებს აკროსტიხურად აწერდნენ; ბეჭდებს, ხელჯოხებს მისი საქებარი სიტყვებით ამკობდნენ; ადამიანები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თამარის ლირსი ქების თქმაში; მინდორში მწყემისნი თუ გუთნით მიწის ხვნის დროს ჭაბუკი მეხრეები მის საქებარ ლექსებს ამბობდნენ. ერაყში მუსიკოსები თამარზე მღეროდნენ, ფრანგი თუ ბერძენი მენავენი ხომალდებზე თამარის ქებას იტყოდნენ. ამგვარად ყველა ქვეყანაში, სადაც კი მისი სახელი იყო ცნობილი, მრავალ ენაზე ადიდებდნენ მას, ხოლო მისი კეთილი საქმენი ხომ კიდით-კიდემდე იყო ცნობილი. ცხადია, მისი

დაღუპვა დიდი საერთაშორისო გლოვის საგანი იქნებოდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს სტროფი თამარის დაკარგვით მოგვრილ წუხილს უნდა გამოხატავდეს:

„ვეფხისტყაოსანი“ უაღრესად მაღალი ოსტატობით შესრულებული ნაწარმოებია. მისი ავტორი ძალზე გამოცდილი, დიდოსტატი პოეტია. ასეთი ნაწარმოები უცებ არ იქმნება. სანამ ასეთ შედევრს შექმნიდა, მას აუცილებლად სხვა, შესაძლოა უფრო ნაკლები დონის, ნაწარმოებები უნდა ჰქონოდა. XVI საუკუნის ერთი უცნობი პოეტი, რომელსაც გაულექსავს ბიბლიური იოსებ მშვენიერის ამბავი, აღნიშნავს, რომ ძველიდან პოემის მცირე ნაწილიდა იყო დარჩენილი. პოემის შესავალში იგი წერს:

„აწ რუსთველო, გეთხოვები, რომე მომცე ნება თქმისა, არ გასწყრე და არ ამიკლო, თხოვნა მე მაქვს ამ ჰქმისა, - რომე გკადრე უკადრობა დაჯრა თქვენის ნასაქმისა, თქვენვე იცით, სხვავე არგებს, დასწეულდეს რა, აქიმსა“.

აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ პოემა იოსებ მშვენიერზე რუსთველის ნაწარმოები ყოფილა და რადგან საუკუნეების მანძილზე მისი უმეტესი ნაწილი „დასწეულებულა“, ანუ დაძველებულ-დახეულა და დაკარგულა, უცნობ ავტორს გადაუწყვეტია დაზიანებული ნაწარმოების „აქიმობა-განკურნება“, ანუ ხელახლა გალექსვა. ამასთან ძალზე მოწინებით ითხოვს რუსთველისაგან ამის ნებართვას, რადგან დიდოსტატის ნამოქმედარის ხელყოფა-აღდგენა არ არის ადვილი საქმე. „ვეფხისტყაოსანმა“ აღიარებული დიდება მოუტანა პოეტს, მას ლექსის დიდოსტატად თვლიან, იგი პოეზიაში უდიდესი ავტორიტეტია. მან ღრმა კვალი დაამჩნია ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებას, პოეზიის ქურუმი გახდა.

შეზავრები წყობისოფლისა

ამიტომ ტრადიციად იქცა მომდევნო საუკუნეებში მასთან პოეტების ლექსად შეხმიანება. ზოგი ამ უცნობი პოეტივით მას უდიდესი მოწინებით ახსენებდა, ზოგი ამპარტავნულად თავს მის თანასწორად აცხადებდა. ამის გამო იოსებ მშვენიერის პოემის შესავალშივე უცნობი პოეტი ასეთი მკრეხელობისათვის პოეტებს მკაცრად აფრთხილებს:

„მელექსენო, ნუ გგონიათ თავი რუსთველის დასადარი,
რომე აღძრნეთ უმეცურად, თავსა ირქვათ მისი დარი,
ლექსთა ბოლო შემოგაკლდესთ და შეიქმნათ სიტყვამკ-
ვდარი,
მას მეუფემ განგებითა წყალობისა დასცა დარი“.

ავტორი აფრთხილებს კადნიერ პოეტებს – რუსთველი ღმერთის რჩეულია, მას ღმერთმა დააბედა გენიალური ნი-ჭი მელექსეობისა, ამიტომ მასთან შედარებას ამაოდ ნუ ცდილობთო.

პოემა იოსებ მშვენიერზე რუსთველს „ვეფხისტყაოსან-ზე“ ადრე დაუწერია. „ვეფხისტყაოსნის“ შესავალშივე შო-თა წერს, რომ პოემას უძლვნის თამარ მეფეს. ხოლო მანამ-დე მას თამარზე სხვა სახოტბო ნაწარმოებიც დაუწერია: „ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ ავად გამორჩეული“. „მას ვა-ქებ, ვინცა მიქია“.

რუსთველის ეპოქის ერთ-ერთი მაღალმახტვარული ნა-ნარმოებია „ვისრამიანი“, რომლის ავტორიც უცნობია. ენობრივად და მხატვრულად ეს ნაწარმოები იმდენად ლა-ლია, დიდოსტატურია და ამ მხრივ იმდენი რამ აქვს საერთო „ვეფხისტყაოსანთან“, რომ მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით იგი რუსთაველის ახალგაზრდობაში დაწერილი ნა-ნარმოები უნდა იყოსო.

ჩახრუხაძის „თამარიანში“ ჩამოთლვილია XII საუკუნის ცნობილი ნაწარმოებების გმირები: „ვისრამიანიდან“, „ამირან-დარეჯანიანიდან“, „დილარგეთიანიდან“, „ეთერიანიდან“, (დაკარგულია), „ანალათ-შატბერიდან“ (დაკარგულია), „ოსანო-მარიელიდან“ (დაკარგულია); აგრეთვე ჰომეროსის „ილიადიდან“, ფირდოუსის „შაჰ-ნამედან“, ნიზამის „ლეილ-მეჯნუნიდან“, „ხოსრო-შირინიდან“... მაგრამ ნახსენები არ არის რუსთველის ნაწარმოებები. მკვლევართ აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ ნახსენები არ არის იმიტომ, რომ რუსთველს, ალბათ, ამ დროისათვის ჯერ დაწერილი არ ჰქონდათ. მაგრამ რატომ არ არის ნახსენები შოთას ადრეული ნაწარმოებები – პოემა იოსებ მშვენიერზე და „ქებანი“? მით უმეტეს, რომ „ქებანი“ მეფეთ-მეფე თამარს ეძღვნებოდა და, რუსთვლისავე თქმით, „არ ავად გამორჩეული“, ანუ ძლიერი ნაწარმოები იყო? ანდა რატომ არ არის მოხსენებული „ვისრამიანის“ ავტორი მაშინ, როცა „ვეფხისტყაოსანში“ რამდენიმე ადგილას არის „ვისრამიანის“ გმირები ნახსენები? ამისი ახსნა მხოლოდ იმ მიზეზით შეიძლება, რომ რუსთველი ამ დროს შერისხულია, საქართველოდან განდევნილია და მისი ხსენება არ შეიძლება. რუსთველმა რომ თავიდანვე ყველა ნიჭიერი და დიდი ხელოვანის ბედი გაიზიარა – ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, ამაზე არა მარტო შემდეგი საუკუნეების ცნობები, არამედ თვით „ვეფხისტყაოსანის“ შესავალი და ბოლოთქმაც მეტყველებენ.

როდის და რა მიზეზით უნდა დაწყებულიყო რუსთველის დევნა, ან რატომ უნდა ნასულიყო უცხოეთში? ამისი ახსნა იმ იდეოლოგიური დაპირისპირებით შეიძლება, რომელმაც თავი იჩინა სამეფო კარზე თამარის გარდაცვალებისთანავე. საქართველოში მეფის ხელისუფლებამ

შგზავრები წყობისფლისა

ყველაზე მეტ სიძლიერეს XI-XII საუკუნეებში მიაღწია. მიუხედავად ამისა, მეფის ხელისუფლებისადმი დაპირისპირებული ძალებიც ყველაზე ძლიერნი ამ დროს იყვნენ. დავით აღმაშენებელმა თითქოს მოთოვა და გაანადგურა შინაური „ქვეგამხედავნი“, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ ოპოზიციამ დემეტრე მეფეს თავისივე შვილი დაუპირისპირა. დემეტრე იძულებული გახდა ერთხანს ტახტიდან გადამდგარიყო და ბერად აღკვეცილიყო. ძლიერი მეფე იყო გიორგი მესამეც, მაგრამ მასაც მოუწყეს დიდი აჯანყება და ტახტიდან ჩამოგდება დაუპირეს. გიორგი მკაცრად გაუსწორდა აჯანყებულებს. დიდებულებმა რამდენჯერმე მოაწყეს თამარის საწინააღმდეგო გამოსვლებიც (ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლას თამარმა შემრიგებლური მოქმედებით უპასუხა, ხოლო გიორგი რუსის მხარდამჭერ დიდებულთა ორგზისი აჯანყება და სამოქალაქო ომი სამხედრო ძალით ალაგმა). თამარის გარდაცვალებისთანავე ლაშა-გიორგის მმართველობის კურსი არ მოეწონათ დიდებულებს. გაჩაღდა მწვავე ბრძოლა და იდეოლოგიური დაპირისპირება ძველ და ახალ თაობას შორის. ლაშა პროგრესულად მოაზროვნე კაცი იყო, ჰუმანისტური მოძრაობის მფარველი და მიმდევარი. ამიტომ კონსერვატულად განწყობილი დიდებულები არაერთხელ აუჯანყდნენ მეფეს, განუდგნენ, მიატოვეს სასახლე, უარი თქვეს დარბაზობაში მონაწილეობაზე და თავის მამულებში ჩაიკეტნენ. მათ მეფის ტახტიდან გადაყენებაც კი განიზრახეს. „არა თავს ვიდებთო... შენსა მეფედ ყოფასა“, – თავხედურად უცხადებდნენ გვირგვინოსან მეფეს. ხოლო ლაშას მეფობის ბოლო წლებში „არღარა ინებეს მის თანა სამარადისოდ ყოფა, არამედ განეშორნეს და თავის-თავისად იყოფვიდეს“ და ეს ხდება დიდი თამარის ეპოქაში.

– ოქროს ხანაში, როცა ქვეყანა ძლიერების ზენიტშია და თამარ მეფის ავტორიტეტი განუზომელია. ლაშა-გიორგიმ, თამარის მსგავსად, გარკვეულად დათმო პოზიციები, ზედმეტ განხეთქილებას მოერიდა და ოპოზიციასთან მორიგება ამჯობინა. თუმცა მეფემ თავისი ხანმოკლე სიცოცხლე მაინც დიდებულებისადმი დაუმორჩილებლობაში გაატარა. როცა დიდებულთა წრეები ასე ებრძოდნენ მეფეს, რა გასაკვირია, რომ უფრო სასტიკ ბრძოლას გამოუცხადებდნენ რუსთველის ჰუმანისტურ იდეებს, რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“ ქადაგებდა. აზვავდნენ ავისმრჩხერეკავნი და დაიწყეს თავისი დასკვნების ლექსად ჩამატება პოემაში. მეორენი ასევე ლექსად შეეცადნენ რუსთველის გამოქომაგებას. ამ ბრძოლის კვალი აისახა პოემის შესავალსა და ბოლოთქმაში, სადაც რუსთველის ნათქვამს ერთი იმდენი კიდევ დაამატეს. აქ ჩანს კვალი მრავალ საუკუნოვანი კამათისა, რომელიც წარმოებდა საქართველოში რუსთველის ირგვლივ. ავისმრჩხერეკავნი თანაც რუსთველის ნათქვამად (პირველ პირში მონათხრობად) ასაღებდნენ თავიანთ აზრებს. „ვეფხისტყაოსანი“ არ არის ქართული, ორიგინალური ნაწარმოები, სპარსულიდან არის გადმოღებული:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქენ საჭოჭმანები“.

ანუ ეს იყო პოემისათვის ეროვნული ნიადაგის გამოცლის მცდელობა – შორსგამიზნული ანტიქართული ბოროტი განზრახვა.

მეორე ყალბისმქმნელმა უფრო შორს შეტოპა და პოემა ბოროტებად გამოაცხადა:

მგზავრები წყობისფლისა

„პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,
უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არას შეიქმს ხორცს, არ
სულად,

საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად!
არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქმნას ალსასრუ-
ლად!“

გამყალბებლის აზრით პოემა ქრისტიანული ნაწარმოები არ არის, მასში გადმოცემულია არაქრისტიანული სწავლება, „სპარსული“ მოძღვრება. მასში არ არის ხსენება სამებისა და ვინც მას წაიკითხავს, სულს წაიწყმედსო. რუსთველი პოემაში ღმერთს 193-ჯერ ახსენებს, მაგრამ არც ერთხელ არ აღნიშნავს მის სამსახეობას. ცხადია, ეს არის ზერელე, პოემაში ჩაუღრმავებელი მკითხველის დასკვნა. თუ პოეტს წავუყენებთ მოთხოვნას დიად, გახსნილად, სიმბოლოების გარეშე გადმოსცეს არსი, რომ ორჯერ ორი ოთხია, ეს იქნება ძალზე პრიმიტიული მიდგომა საკითხისადმი. ხოლო რუსთველი ღრმად, ფილოსოფიურად მოაზროვნე პოეტია, უყვარს ღრმა სიმბოლოებით, გამაოგნებელი მხატვრული სახეებით საუბარი, ანუ „შეფარვით თქმა“, როგორც თვითონვე ბრძანებს პოემის შესავალში. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ პოემაში მოქმედება ხდება მუსლიმანური სამყაროს ქვეყნებში, ამიტომ აქ ღიად სამებაზე და ქრისტიანულ დოქტრინაზე საუბარი შეუძლებელია. ამ ვითარების მიუხედავად პოეტი მაინც ახერხებს შეფარვით, გადაკრულად ამის თქმას. თუ ამ კუთხით განვიხილავთ პოემას, ვნახავთ, რომ სამება უამრავჯერ აქვს ნახსენები:

„სამსა დღესა დარბაზს ვიყავ არ ცოცხალი, არცა მკვდარი“. „ყმამან დაჰყო მუნ სამი დღე“.

„უპრძანა: რა შენ გაგყრივარ, მას აქათ თვეო სამია“.

პოემის ქარგა დიდი სამეულის – სამი ძმადნაფიცის – ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის ირგვლივ არის გაშლილი. თინათინი ავთანდილს უცხო მოყმის საძებნელად სამი წლით აგზავნის. შინ მოპრუნებულმა ავთანდილმა „მუნ დაჲყო სამი დღე ამოსა სანადიროსა“. უდაბნოში ავთანდილი სამ ძმას გადაეყრება, რომლებიც ტარიელის გზას ასწავლიან. ნესტანის გათხოვების საკითხზე მისი მშობლები ტარიელს როცა უხმობენ სათათბიროდ, „ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს ხასითა ოდენ სამითა“. ქაჯეთის ციხეს სამი კარი აქვს, რომლებზეც სამ ძმადნაფიცს – ტარიელს, ავთანდილსა და ფრიდონს მიაქვთ შეტევა. ხოლო „ქალაქის კართა სამთავე სამათას-სამათასები“ იცავენ. ტერიელის საძებნელად წასულ ავთანდილს ამაო ძებნაში დრო ეწურება: „ამას შიგან წელიწადი სამი სამ თვედ მიიყარა“. უდაბნოში შეხვედრილი სამი ძმა ავთანდილს უყვება: „ჩვენ სამთა ძმათა ჩვენთანა მესროლი დავაწილენით... ჩვენ ვიახლენით სამთავე სამნივე მეაბჯრენია“. მეორედ ტარიელის სადგომში დაბრუნებული ავთანდილი ძმადნაფიცს სამი დღე ეძებს: „სამ დღემდის მოვლო მრავალი ხევი, შამბნარი, ტყე, ველი“. გულანშაროში მისულმა ვაჭრებმა ნავსადგურში „მათ მაღლა პირსა დააბეს ნავი საბლითა სამითა“. არაბეთში როსტევან მეფე დიდ ქორწილს უხდის თინათინსა და ავთანდილს: „სამ დღე იყო ინდოთ მეფე ავთანდილის ვით მაყარი“. ტარიელი, ავანდილი და ფრიდონი 80 ათასიანი ლაშქრით არაბეთიდან ინდოეთში ჩასვლას სამ თვეს უნდებიან. რატომ მაინცდამაინც სამი? ამდენი სამება შემთხვევითი ამოჩემებაა პოეტისა, თუ შეგნებულად არის ნათქვამი? სამის ნაცვლად ექვსი, ათი, ასი რომ ეთქვა, ლექსს დაუშავდებოდა რამე? ცხადია, აქ პოეტს „შეფარვით

შგზავრები წყობისფლის

უთქვამს, უქია“ სამება. პოემის ქარგა, ამბის მსვლელობის გეოგრაფია მეტის საშუალებას არ იძლეოდა – მოქმედება ხომ მუსლიმანურ ქვეყნებში ხდება.

ამ დროს პოემაში არის ანტისპარსული, ანტიმუსლიმანური ადგილები. მუსლიმანური სარწმუნოებით აკრძალულია სპირტიანი სასმელების მიღება, მათი ძირითადი სასმელია შარბათი. ამაზე გარკვევით უცხადებენ ავთანდილს ბალდადელი ვაჭრები:

„გარდახდა, ჰკადრეს: ჩვენ ვართო მობალდადენი ვაჭარნი,
მაჲმადის სჯულის მჭირავნი, აროდეს გვისვამს მაჭარნი“.

მიუხედავად ამისა ყველა მუსლიმანურ ქვეყანაში – არაბეთშიც, ინდოეთშიც, მულლაზანზარშიც გულანშაროშიც უზომოდ დიდი ქეიფები იმართება ღვინის სმით. ამას რუსთველი ბევრგან გარკვეული იუმორითაც აღნიშნავს ხოლმე. ფრიდონმა ტარიელსა და ნესტანს რვადლიანი ქორწილი გადაუხადა. ავთანდილისა და თინათინის ქორწილი და ღვინის სმა სამ დღეს გრძელდებოდა, (საქართველოში ხომ ქორწილი სულ ცოტა სამ დღეს გრძელდებოდა, ცისკრისას სუფრა განახლდებოდა და მექორწილენი სიმღერით შეეგბებოდნენ განთიადს – დილის საარზე გამოვიდონენ): „მსმელთათვის წყარო ღვინისა ასგან დის, მსგავსი მილისა, ბინდით ცისკრამდის სმა იყო, გარდახდა ჟამი დილისა“. ქორწილის მერე როსტევან მეფემ ძვირფასი საჩუქრები უძღვნა ტარიელსა და ფრიდონს. პასუხად ტარიელმა „მადლი ჰკადრა ფხიზელურად, თუცა იყო ღვინოსმული“. როსტევანთან მათი სტუმრობა ერთი თვე გრძელდება, ყოველდღე იმართება რაინდული ასპარეზობა-თამაშობანი, ლხინი და ღვინის სმა:

„რას ვაგრძელებდე? გარდახდეს დღენი ერთისა თვისანი, თამაშობდიან, არ იყვნეს ყოლა გაყრანი სმისანი“.

არაბეთიდან ტარიელი და ნესტანი ინდოეთში ბრუნდებიან. მათ თან მიჰყვებიან ფრიდონი და ავთანდილი არაბთა 80 ათასიანი ლაშქრით. სამ თვეს გზაში არიან და ყოველ შესვენებაზე ქეიფს მართავენ:

„მინდორსა შიგან სადილად გარდახდეს უდილადოსა, ვითა მართებდა, პურობდეს, ღვინოსა სმიდეს, არ დოსა“.

აღნიშნავს იუმორით პოეტი. ამასთან პოემაში ბევრგან ხაზგასმულია, რომ ღვინის სმის კულტურა უნდა დაიცვან მოქეიფებმა, ზომიერად სვან, ქეიფი არ გადაიზარდოს ღრეობასა და უგონო თრობაში. ინდოთ მეფე ხატაეთზე გამარჯვების აღსანიშნავად დიდ ნადიმს მართავს, მაგრამ ბრძანებს, რომ სასახლიდან მთვრალი და გონდაკარგული არავინ წავიდეს: „არ ვისი ბრძანა მეფემან არცა გაშვება მთვრალისა“. თვითონ მეფეც არ ერიდება ღვინის სმას: „კვლაცა დაჯდა მხიარული, მოიმატა სმა და მღერა“. მოქეიფენი სუფრიდან მხოლოდ მას შემდეგ აიშალნენ, როცა დიდი სასმისებით ღვინის სმით დაიღალნენ: „ავიყარენით, მიგვჭირდა სმა დოსტაქნისა მეტისა“. ავთანდილი თავის მოყმებს წერილს უწერს: „ცოტასა ბანსა ვარჩიე გაჭრა სმასა და მღერასა“. თინათინისა და ავთანდილის ქორწილში:

„ზროხა და ცხვარი დაკლული არს უმრავლესი მხავსისა.

...

იაგუნდისა ჯამები იყვის, ლალისა ჭიქები,

...

ბინდით ცისკრამდის სმა იყო, გარდახდა უამი დილისა“ ავთანდილმა და ფატმანმა „პური ჭამეს, გაიყარნეს,

შგზავრები წყობისფლის

ყმა მივიდა მისსა შინა, ღვინო-სმული, მხიარული, დაწვა, ამოდ დაიძინა“. გულანშაროს ქვეყანა მუსლიმანურია და ნავროზობა მათი დღესასწაულია. მაგრამ დარბაზობაზე და ოჯახებში ღვინოს სვამენ და თვრებიან: „მოქალაქეთა წესია, დღესა მას ნავროზობასა... დიდსა შეიქმენ მეფენი პურობა-დარბაზობასა“. მეფის სასახლეში ხანგრძლივი ნა-დიმები იმართება: „გააგრძელეს ნადიმობა, სმა შეიქმნა მე-ტად გრძელი“. ფატმანი აფრთხილებს მეფესთან მიმავალ ქმარს: „დავვედრე: დარბაზს დაგხვდების დარბაზის ერი მთვრალები“ და საიდუმლო არ გაამუდავნო. მაგრამ მეფე დაათრობს უსენს და საიდუმლოს წამოაცდენინებს:

„რა მეფემან უსენს წინა სვა მრავალი დოსტაქანი,
კვლა შესვეს და კვლა აუხვნეს სხვა ფარჩნი და სხვა ჭიქანი,
დაავინყდეს იგი ფიცნი, რა მუსაფნი, რა მაქანი!

...

უთხრა დიდმან ხელმწიფემან უჭკუოსა უსენს მთვრალსა: „დია მიკვირს საძლვნოდ ჩვენად სით მოიღებ ამა თვალსა, მარგალიტსა დიდროვანსა, უმსგავსოსა ჰპოვებ ლალსა? ვერ გარდვიხდი, თავმან ჩემმან, ძღვენთა შენთა ნაათალსა“.

ძღვენის მეათედსაც ვერ გადაგიხდიო. ამ შექების მერე მთვრალმა უსენმა „გატეხა ფიცი, სიმტკიცე სჯულისა, ... უამბო პოვნა ქალისა...“ უფრო უარესიც ხდება: თვით მუს-ლიმანი ქალებიც კი კაცებზე არანაკლებ ეტანებიან ღვინოს:

„ფატმან-ხათუნ თვალად მარჯვე, არ-ყმანვილი, მაგრა მსმელი

ნაკვთად კარგი, შავ-გრემანი, პირ-მსუქანი, არ პირ-ხმელი, მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის-მსმელი.“

საერთოდ, პოემაში ხშირადაა ხსენება ღვინისა, ნადიმისა, სიმთვრალისა, თუმცა მთელი მოქმედება მუსლიმანურ ქვეყნებში ხდება:

„კმა ზენაარი ზენარად, არ ნაქმარია მთვრალისა“.

„მისით კითხვით წამოსრულვარ, არ-მთრვალი და არ მასმერად“.

„კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკვებ, ვითა მთვრალი“.

ნადიმის მონაწილეებს პოეტი სტუმრებს კი არ უწოდებს, არამედ მსმელებს, მოქეიფეებს: „სმა გარდახდა, თავის-თავის გაიყარნეს მსმელნი შინა“. ანდა:

„მას დღე სვეს, ჭამეს, გარდახდა ნადიმი მსმელთა დასისა“. ლხინის მთავარი პირობა კი, პოეტის აზრით, ის არის, რომ სტუმრებმა ზომიერად უნდა სვან ღვინო, არ დაითვრნენ, გონება არ დაკარგონ.

ზოგჯერ პოეტი დიდი ემოციური განცდების გადმოსაცემად ადამიანებს მთვრალებს ადარებს: „დიდებულთა ჯარისაგან ზოგი ჰევანდა ვითა მთრვალსა“. ერთი სიტყვით, აქ ყველგან მუსლიმანური ადათ-წესებისათვის მიუღებელი სცენებია – სუფრისა და ღვინის განუყოფლობა. ნადიმობის, ღვინის სმის კულტურა, ზომიერად ლხინი და სიმღერა, სიმთვრალისა და გონებადაკარგვის დაუშვებლობა – ეს ვაზისა და ღვინის კულტურის ქვეყნის – საქართველოს დამახასიათებელი ტრადიციაა. არავინ იცის, ვინ უფრო ადრე გაჩნდა დედამიწაზე – ქართველი კაცი თუ ვაზი. მაგრამ უხსოვარი დროიდან ისინი ერთად მოდიოდნენ მრავალი ათასი წლის წყვდიადიდან: ხან კაცი წაიჩოქებდა და ხან ვაზი; ხან ვაზი ტიროდა და ხან კაცი; მაგრამ ერთმანეთს წამოაყენებდნენ, ამხნევებდნენ და ხელგადახვეულნი მოარღვევდნენ წუთისოფლის ოლროჩოლროს. ღვინო ჭირში ამხნევებდა, ლხინში ახალისებდა კაცს. ჭეშმარიტი ქარ-

მგზავრები წყობისფლისა

თული სუფრა გასაოცარი წესრიგის, სიბრძნის, სიმღერის, ენამოსწრებულობის, სილალის ნიმუშია. ძველ მესხეთში, მაგალითად, მკაცრად იყო დადგენილი წესი, თუ როდის რა სადღეგრძელო უნდა ითქვას, რომელი სიმღერით უნდა გაიხსნას ან დაიხუროს სუფრა, ხოლო ქეიფის მსვლელობისას შიგადაშიგ როდის რა სიმღერის თქმა უნდა. ეს ტრადიცია დღემდე შემონახულია მესხეთში. სუფრასთან მოხუცნი ცალკე ისხდნენ, ჭაბუკნი ცალკე და სიმღერას ჯერ მოხუცნი, მერე ჭაბუკნი რიგ-რიგობით იტყვოდნენ: ანუ ეს თაობათა – ბერთა და ჭაბუკთა შეჯიბრი იყო სიმღერაში, ამასთან მოხუცებისადმი მოკრძალება – პატივისცემის ნიმუში. ქართული ადათ-წესებით, ასევე მკაცრად იყო განსაზღვრული გლოვის სუფრის შესანდობარ-სადღეგრძელოთა რაოდენობა და თანამიმდევრობა. იმავე ძველ მესხეთში ჭირის სუფრაზე სამი ჭიქა ისმებოდა: გარდაცვლილის შესანდობარი, ოჯახიდან წასულების მოსახსენებელი და ჭირისუფალთა გასამხნევებელი სადღეგრძელო.

ქართული სუფრის წესებისა და ღვინის სმის კულტურის მსგავსი მსოფლიოში არავის აქვს... და ეს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის შედეგია. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ღვინოს თრობისა და თავდავიწყების მიზნით სვამენ თითქმის ყოველგვარი წესრიგის გარეშე. საქართველოში ღვინოს ჭკუის სწავლებისა და ცოდნის შეძენის, დასვენების, გართობის, მოლხენის, სიყვარულის, სევდის შემსუბუქებისა და ჭირში თანაზიარობის, პოეზიასა და სიტყვაკაზმულობაში შეჯიბრის, ადათ-წესებისა და ტრადიციების ახალუხლებისათვის გადაცემის მიზნით, ღვთისა, მამულისა და წინაპართა ღვანლის სადიდებელი საგალობლის სათქმელად სვამენ. ვაზი, ღვინო და ხარის ქედი ქართველი კაცის თვალში ღვთაების დონეზე იყო აყვანილი. ამიტომ

არის „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ამბავი ლხინითა და ღვინით შემკობილი, ამიტომ არის პოემაში ღვინო ასე ხშირად ნახ-სენები; უღვინოდ იქ თითქმის არაფერი ხდება ისევე, რო-გორც ქართველი კაცის ცხოვრებაში.

ანდა ავიღოთ მეორე საკითხი: სიყვარულის გაგების ზნეობრივი ასპექტი. რუსთველი ძლიერი სიყვარულის აღ-სანიშნავად ხშირად ახდენს შედარებას „ვისრამიანის“ მთა-ვარ გმირებთან – ვისისთან და რამინთან. როგორია სიყვა-რულის ეთიკა „ვისრამიანში“, ანუ მუსლიმანური გაგებით? ვისის დედა შაპრო და-ძმას ერთმანეთზე დააქორწინებს. შაპი მოაბადი მუსლიმანური წესის თანახმად შაპროს დიდ-ძალ გამოსასყიდს – ურვადს აძლევს: „საჭურჭლე ლარისა და ოქროსაგან დაცალა. ასი აქლემი ტახტრევნით შეკაზ-მული, სამასი აქლემი ლარკიდებული, ასი ტაიჭი ცხენი, სამასი თოხარიკი სრული აკაზმულობითა, ხუთასი ჯორი თვალმარგალიტით მორთული, ორასი ზანდუკი თავსა-ბურავი ოქროქსოვილი, ერთი დიდი ზანდუკი ოქროთი და თვალმარგალიტით გატენილი. შვიდასი ჯამი ბროლისა, ორმოცი საპალნე ბერძნული სტავრა, რა შაპრომ ნახა შა-პი მოაბადის ეგოდენი ძღვენი, მთრვალისაებრ ცნობა წაუ-ვიდა და დაავიწყდა ძეცა და ასულიცა. რა შეღამდა, ციხის კარი გააღო და ვისი მოაბადს ხელთა მისცა. „შაპრომ ქონე-ბის გამო საკუთარ შვილებს უღალატა. ვისი გაუძალიანდა, წაყოლა არ სურდა. როგორ ექცევა შეყვარებული მოაბადი სატრფოს? „მაშინ შაპმა ციხისაგან თრევითა ჩამოიყვანა, ამით რომელ ნებით არ მიჰყვებოდა და იგი იქვე აღარ დააგ-დებდა. ჩამოიყვანა და შეჰვედრა თავისა მისანდოთა კარგ-თა მეაბჯრეთა და ხოჯათა“. მოაბადს სულაც არ აინტერე-სებს ვისის გრძნობები, ქალს ისე ექცევა, როგორც ნივთს, საკუთრებას, ანუ აქ ქალისა და კაცის თანასწორობაზე,

მგზავრები წყობისფლისა

ურთიერთპატივისცემაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ქალის გრძნობები და უფლებები აბუჩად აგდებულია. მერე კი ძიძის მცდელობა-მაჭანკლობითა და ჯადოებით ვისსა და მის მაზლს რამინს ერთმანეთი შეუყვარდებათ. რამინი ძმას მოატყუებს და ცოლს წაართმევს. სისხლის ალრევა ჩვეულებრივ დაშვებულია მუსლიმანურ ქვეყნებში (ბიძაშვილის, მამიდაშვილის, დეიდაშვილის, ძმისშვილის, დისშვილის ერთმანეთთან შეუღლება, მაგრამ ვისრამიანში საქმე უფრო შორსაც მიდის – და-ძმის შეუღლება დასაშვებად ითვლება. ასეთი რამ დედამინის ზურგზე მხოლოდ ძველი ეგვიპტისა და ძველი ამერიკის ქვეყნების სამეფო დინასტიებში ხდებოდა ტახტისა და ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით. არაფერი მსგავსი არ ხდება „ვეფხისტყაოსანში“. პირიქით: ნესტანი არ გაატანეს ტარიელს. მამიდამისმა ასეთი სიყვარული გარყვნილებად ჩაუთვალა და უგზო-უკვლოდ გადაკარგა სამშობლოდან, თვითონ კი მეფის რისხვის შიშით თავი მოიკლა. ეს სიყვარული უზნეობად ჩაუთვალეს იმის გამო, რომ ტარიელი ინდოთ მეფეს შვილობილად ჰყავდა მიღებული, თანაც გარენათესავად ერგებოდა. ანუ აქაც სიყვარულის ზნეობრივი ასპექტი წმინდა ქართული, მართლმადიდებლური სინამდვილის გამოძახილია. საქართველოში ხომ დღესაც მოგვარეებს შორისაც კი დაუშვებლად ითვლება ქორწინება, არათუ ახლო ნათესავებს შორის. ეკლესია მხოლოდ მეშვიდე თაობის შემდეგ რთავდა ქორწინების ნებას. რუსთველთან ქალისა და კაცის თანასწორობაა, სიყვარული და კრძალვა უსაზღვროა ღვთაებრივ სიმაღლემდეა აყვანილი, წინ წამოწეულია სიყვარულის სულიერი მხარე და არა ხორციელი. სიყვარულის გამუდავნებაში ინიციატივას ქალები იჩენენ, იგი ნებაყოფლობითია და არა რომელიმე მხარის მიერ იძულებითი, ანუ ისე, როგორც სა-

ქართველოს სინამდვილეში იყო. ნესტანიცა და თინათინიც პირველი უმუდავნებელი სატრფოებს სიყვარულს, ხოლო შეყვარებული მამაკაცებისათვის სატრფოს სურვილი უზენაესია: „მე ღმერთმან იგი ნუ მომცეს, რაც არა შენი ფერია“ – ეუბნება ტარიელი სატრფოს.

პოემაში რომ ქართული ბუნება და სული ტრიალებს, ამაზე ერთგან რუსთველი პირდაპირ მიანიშნებს: ავთან-დილმა სატრფოს დავალება შეასრულა, იპოვა ტარიელი და არაბეთში დაბრუნდა. იგი თინათინს უამბობს ამის შესახებ. შეყვარებულები დიდხანს ტკბილად საუბრობენ:

„ყმა ტკბილი და ტკბილქართული, სიკეთისა ხელის მხდელი, ამაზედა ეუბნების, ვით გაზრდილსა ამო მზრდელი“.

ე. ი. არაბეთის მეფე თინათინი და მთავარსარდალი ავ-თანდილი ერთმანეთში ტკბილქართულით საუბრობენ. ამაზე მეტი მნიშნება რა უნდა იყოს პოემაში? ამის შემდეგ ცოტა უხერხულიც კი იყო მკვლევართა თაობების ფაცი-ფუცი, სპარსულ ლიტერატურაში რომ ეძებდნენ „ვეფხის-ტყაოსნის“ პირველწყაროს. ვახტანგ მეექვსიდან დაწყებული და ჩვენი დროით დამთავრებული, მკვლევარნი ამაოდ ჩხრეკდნენ სპარსულ ლიტერატურას, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მსგავსი კვალი ვერსად აღმოაჩინეს: „სპარს-შიდ ეს ამბავი არსად იპოება, ამბავიც თვითონ გააკეთა და ლექსადაც“, – ასეთი იყო ვახტანგ VI-ის სრულიად სამართლიანი დასკვნა. მაგრამ სამწუხაროდ, როცა XX საუკუნეში მრავალ უცხო ენაზე ითარგმნა პოემა, ქართველი გამყალბებლის (ინტერპოლატორის) ჩამატებული მცდარი, ცილისმწამებლური და ბოლმიანი მოსაზრება მსოფლიოში გავრცელდა და გარკვეული ზიანი მიაყენა ქართულ საქმეს.

შგზავრები წყობისფლისა

კლერიკალური წრეებისაგან რუსთველისა და მისი პოემის დევნა საუკუნეების მანძილზე გაგრძელდა. მის წინააღმდეგ გაილაშქრა XVIII საუკუნეში, მაგალითად, კათალიკოსმა ანტონ პირველმა. ხოლო იმავე საუკუნის საეკლესიო მოღვაწემ ტიმოთე გაბაშვილმა უმძიმესი ბრალდება წაუყენა: „ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდის წილ ბოროტი ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა“. ამაზე მეტი ცილისწნამება და თანამოძმის მიერ ერის დიდი შვილის დაუმსახურებლად ლანძღვა წარმოუდგენელია. ეკლესია თავიდანვე რუსთველს ქრისტიანული მოძღვრებისაგან გადახრას სწამებდა, მისი ნაწარმოები სარწმუნოებრივ გადაცდომად ითვლებოდა, ეს პოემის შესავალსა და ბოლოთქმაშიც აისახა. თამარ მეფე ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. ხოლო ვინაიდან რეაქციული წრეები პოემას არაქრისტიანულ ნაწარმოებად თვლიდნენ, მათი აზრით, პოემაში თამარის ხსენება რელიგიურ გადაცდომას წარმოადგენდა და დაუშვებელი იყო. ამიტომ გამყალბებლებმა (ინტერპოლატორებმა) პოემის პროლოგსა და ეპილოგში თამარის სახელი შეცვალეს დავითის სახელით, ანდა ჩაუმატეს ამის შესაბამისი ახალი სტროფი და შემდეგი თაობების მკვლევარებს თავსატეხი გაუჩინეს. მკვლევარმა პ. ინგოროვამ ჩინებულად დაადგინა ეს სიყალბე. რადგან რეაქციული წრეები საუკუნეების მანძილზე ებრძოდნენ რუსთველს, როგორც ქართული ჰუმანისტური მოძრაობის მეთაურს, ცხადია, მას სიცოცხლეშივე უნდა განეცადა დევნა და უცხოეთში გადახვეწა. ამიტომ ერიდებიან მისი სახელის ხსენებას XIII-XV საუკუნეების ისტორიული წყაროები, ამიტომ მოაღწია ჩვენამდე მისი ცხოვრების შესახებ მხოლოდ ბუნდოვანმა ცნობებმა. დიდი რუსთველი ამას წინასწარ გრძნობდა, როცა ამბობდა:

„საწუთო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხვდების,
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების“.

საქართველოს ღმერთმა ნიჭიერი შვილების სიუხვე დააბედა. მაგრამ ნიჭიერ კაცს ბევრი მტერი ჰყავს. ალ-ბათ ბევრჯერ მისულა ამ დასკვნამდე საქართველოს წარსულზე ფიქრისას ბრძენკაცირუსთველი. მან ჩინებულად იცოდა, რომ უცხოზე უფრო უარესი შინაური მტერია, რომ ჩვენი უბედურება ნიჭიერი თანამოძმის მიმართ გაუტანლობა და შურია. აკი თვითონაც იგემა ეს სასმისი. ამიტომ წერდა: „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“.

სამაგიეროდ უბრალო ხალხმა, რომელიც უფრო ნაკლებად სცდება ხოლმე, მიაგო რუსთველს განუზომელი სიყვარული. ქართველმა ხალხმა შეინახა „ვეფხისტყაოსანი“ – ყველაზე უფრო წმიდათანმიდა წიგნი. ერთი ძველი ქართველი პოეტი გაკვირვებული წერდა:

„საღმრთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუდობით,
საშაიროს ინახავენ სტავრის ბუდით და წახლობით“.

მაინც რატომ იცავდა და ინახავდა ასე თავგანწირვით ქართველი კაცი „ვეფხისტყაოსანს“? ინტერპოლატორების მტკიცების მიუხედავად, ქართველმა კაცმა ჩინებულად იცოდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სპარსული კი არა, ქართულია, მასში ქართული სულია ჩაქსოვილი, რომ ეს პოემა იგივე საქართველოა, მისი უკვდავებაა, რომ მასში ქართველი კაცის ყველაზე საწუკვარი ოცნებებია ჩაქსოვილი. ეს წიგნი ქართველ კაცს ჭირში ამხნევებდა მუდამ, შვილებს ამ წიგნით ზრდიდა.

შეზავრები წყობისფლის

რუსთველი მოკლედ თქმის დიდოსტატია. ერთი სიტყვით ან ერთი სტრიქონით შეუძლია ძალზე ტევადი აზრის გადმოცემა. „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“. – ქალის სილამაზის გადმოცემა ამაზე უკეთესად შეუძლებელია. ანდა განა რა ზიანი, რა ჭრილობა უნდა მიაყენოს კაცს მკერდზე ვარდის ყვავილის შეხებამ? მაგრამ უახლოესი ადამიანისაგან უმცირესი წყენაც ძნელი ასატანია, ანდა მისი სატკივარიც უდიდეს დარდს გაგიჩენს. ამაზე რუსთველი ბრძანებს: „მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამინცლულა“. ტარიელი როსტევან მეფეს მიმართავს: „მოდი და დავსხდეთ მეფეო, ამოა კორდი მწვანისა“. აქ სამ სიტყვაშია მოცემული გაზაფხულის სიმშვენიერე. ვეფხისტყაოსანში თავიდან ბოლომდე ამბის დაძაბული თხრობაა. იგი აღსავსეა ამა თუ იმ ამბის კვანძის შეკვრით, კულმინაციითა და კვანძის გახსნით. ცალკეული ამბები ასე გადახლართულია ერთმანეთთან და მთლიან ქარგას ქმნის. ამის გამო პოეტი იშვიათად მიმართავს ლირიკულ გადახვევებს, ბუნების აღწერას, მაგრამ სადაც ეს ხდება, იქ რამდენიმე ტსრიქონში ბუნების დიდებული სურათია დაჭერილი და მოქმედი გმირების სულიერი განცდების გადმოცემის შესატყვის ფონს ქმნის:

„მას მიხვდა წვერი სადგურად მაღლისა მთისა დიდისა,
გამოჩენდა მუნით მინდორი, სავალი დღისა შვიდისა.
მის მთისა ძირსა წყალი დის, არად სანდომი ხიდისა,
ორგნითვე ტყესა შეეკრა ნაპირი წყლისა კიდისა.“.

პოეტმა ამ სურათით მკითხველი ფსიქოლოგიურად შეამზადა, რომ სწორედ აქ, კაცის თვალისა და სულის დამაწყნარებელ გარემოში უნდა მოხდეს რაღაც განსაკუთრებული – აბორგებულმა სულმა შვება უნდა იგრძნოს... სწორედ

აქ მოსდევს ავთანდილის სამწლიან წამებას შედეგი – ასეთ გარემოში მიაგნებს იგი უცხო მოყმის კვალს.

ნესტანის საძებნელად მიმავალი ავთანდილი ტარიელს სთხოვს, დაელოდოს ერთი წელი – მომავალ ზაფხულამდე, ვარდობის თვემდე. თუ დავაგვიანო, „ვარდთა ნახვა გაგაკ-რთობდეს, მართ ვითამცა ძალლი ყეფსა“. – გაყვავებული ვარდის დანახვა ძალლის ყეფად მოგეჩვენოსო. ავთანდილი მიაგნებს ნესტანის კვალს და გახარებული ტარიელთან ბრუნდება, თან მოაქვს ნივთმტკიცება – ნესტანის წერილი და რიდის ნაჭერი. ისეთი დროა, რომ დღე-ლამეზე იწურება დათქმული ვადები. უდაბნოების გამოვლის შემდეგ ერთგან აყვავებულ ვარდს ნახავს, ტარიელი გაახსენდება და ატირდება. ვარდს მოეფერება, აკოცებს და ტარიელის შესახებ ესაუბრება:

„მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა, ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა, ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა. სულთქვნა, რა ნახა ყვავილი მან, უნახავმან ხანისა. აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვარითა; ვარდთა აკოცა ბაგითა, მითვე ვარდისა დარითა; უბრძანა: „გიჭვრეტ თვალითა, გულ-ტკბილად შემხედ-ვარითა, მისად სანაცვლოდ მოვილხენ თქვენ თანა საუბარითა“.

დიდი წყენაც და დიდი სიხარულიც ორივე ძნელი ასატანია, კაცის გულს ორივე დააწყლულებს,, მით უმეტეს, ასეთი ამბის მოულოდნელად გაგების ელდა. სიხარულ-მაც შეიძლება კაცი მოკლას, არათუ ოდენ ჭირმა. ადამიანის ფსიქიკის უდიდესი მცოდნე რუსთველი ასე ხატოვნად აღწერს ამ ამბავს: ტარიელმა რა დაინახა ავთანდილი, სი-

შგზავრები წყობისოფლის

ხარულისაგან ძალზე აღელდა, ხოლო როცა ნესტანის წერილი და რიდის ნაჭერი იხილა, სიხარულისაგან გონება დაკარგა, მკვდარს დაემსგავსა. შენუხებული ავთანდილი წყალს ვერ პოულობს, ტარიელის მოკლული ლომის სისხლს მოიტანს, დაასხამს გულზე და ლომს ლომის სისხლით მოასულიერებს. რუსთველი ტარიელის მდგომარეობას სიცხისა და ყინვისაგან დაწყლულებულ ვარდს ადარებს და მის განცდას ასე განაზოგადებს:

„ზამთარი ვარდთა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცვივიან,
ზაფხულის მზისა სიახლე დასწვავს, გვალვასა ჩივიან,
მაგრა მას ზედა ბულბულნი ტურთასა ხმასა ჰყივიან,
აგრეთვე გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია,
ჭირსა და ლხინსა ორსავე ზედა მართ ვითა ხელია,
მიწყივ წყლულდების, საწუთრო მისი აროდეს მრთელია.
იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია!“

ცნობილია, რომ დიდ საქმეს შეჭიდებული ადამიანი ძალების მაქსიმალურ მობილიზებას ახდენს. კაცმა არ იცის, საიდან ჩნდება ადამიანში ეს ენერგია. ხოლო საქმის წარმატებით დამთავრების შემდეგ ადამიანი როგორლაც ძალაგამოცლილად გრძნობს თავს. როგორები იყვნენ ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ომის დაწყების წინ და რა განცდები ჰქონდათ ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ? მათ სულიერ მდგომარეობას რუსთველი ადარებს ჭექა-ქუხილს, მთიდან მოვარდნილ ღვარცოფს, რომელიც გზად ყველაფერს წალეკავს, ხოლო ზღვასთან შერთვის შემდეგ სრულიად წყნარდება. მებრძოლთა სულიერი განცდების გადმოსაცემად პოეტი გენიალურ შედარებას მიმართავს:

„ჩემი ან ესე ნათქვამი მათი სახე და დარია:

რა ზედა წვიმდენ ღრუბელნი და მთათა ატყდეს ღვარია,
მოვა და ხევთა მოგრაგნის, ისმის ზათქი და ზარია,
მაგრა რა ზღვათა შეერთვის, მაშინ ეგრეცა წყნარია“.

რუსთაველი ახალი სალიტერატურო ენის ფუძემდებელია. იგი პოეტური სიტყვის ჯადოქარია – რითმის, რიტმის, ალტერნაციის, შედარების, მეტაფორის, ჰიპერბოლისა და სხვა პოეტური ხერხების დიდოსტატია. ამ მხრივ მას მსოფლიო პოეზიაში ბადალი არ ჰყავს. იგი ძალზე გაბედულად ეპყრობა სიტყვას, მის ხელში სიტყვა საოცრად მოქნილი და მორჩილი ხდება, როგორც რკინა მჭედლის ქურაში გატარების შემდეგ. მას შეუძლია ჩვეულებრივი, გაცვეთილი სიტყვიდან სრულიად ახალი სიტყვა შექმნას. ლექსის მუსიკალობის მიზნით შეუძლია სიტყვა შუაზეც კი გაწყვიტოს, სიტყვის ნაწილი განმეორებით იხმაროს მარცვალთა რაოდენობის შესავსებად ისე, რომ სიტყვის ამ ნაწილმა აზრი, მნიშვნელობა კი არ დაკარგოს, პირიქით, აქცენტი გაძლიერდეს, თანაც ალტერნაცია გამოიწვიოს:

„დავარ თქვა: მქნელი ამისა ვინ არ დამქროლოს, ვინ არ და–“

„მაგრა ნაცვალსა პატიუსა მიგცემსო ზენა, მი-, ცისა!“

„ვერ ვასმინე საუბარი, მით დავყოვნე ხანი მუნ, და–!“

„ვითა მონა, სამსახურად განაღამცა წავე, წა-, მე!“

მიწყივ მისად საგონებლად მისი მკვლელი თინათინ ა-.“

თვალთა წინა წაგვივიდა ლალი, კეშტი, ამაყი, წა–“.

და ამას მკითხველი სრულიად ბუნებრივად აღიქვამს, ენის ნორმებიდან გადახვევად სულაც არ თვლის. სწორედ ამას შეჰყავს დღევანდელი ზოგიერთი „განსწავლული“ მკვლევარი შეცდომაში და ზოგჯერ ისეთ ჩასწორებებს აკეთებს, რომ ტექსტს ამახინჯებს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ისინი წმინდა გრამატიკის პოზიციიდან უდგები-

შგზავრები წყობისფლისა

ან ტექსტს და არა პოეზიისა. პოეტური სიტყვა კი ზოგჯერ ენის ნორმებს „უჯანყდება“ ხოლმე. რითმის მიზნით ახალი სიტყვის შექმნის მაგალითებია:

„ყოვლგან რბოდეს საძებარად, ვინცა იყო უცხენმალეს“.

„ნა, მაგრა მომხვდეს, რაღა ვქმნა, თუ სიშორისა გრძელობა“.

„ან მოყვარე გიპოვნივარ დისაგანცა უფრო დესი“.

„შენ გენუკვი, შემაჯერო, ღმერთი იღმრთო, ცაცა იცო“.

„გული მინდორს არ გაიჭრეს, არ იირმოს, არცა ითხოს“.

რა მეფემან მოისმინა, გაგულისდა, გაავცნობდა“.

„შენ თუ მოგკლა, სისხლი შენი ჩემმან ქედმან მოიქედნეს“.

„ან თავმან ჩემმან, მას მოვკლავ, ჩემად დად ვინცა მადესა“.

სისხლსა მისგან დადენილსა, მხეცი ყოვლი გაამლოკდა“.

„მის ყმისა მოსლვა უხარის ყოველსა მუნ მეკრეფელსა“.

„სულთქმა ბევრი აათასეს, აღარა თუ აერთხელეს“.

„კარგა ჰქენო, დაუმადლა, ბრძანებანი უიმედნა“.

„არ ვეშიშვი მტერთა ჩემთა, თავი მონად მომიმონდეს“.

„თქვენმან აგრე სიმდაბლემან ნახვა თქვენი ჩამადარდა“.

„ორნივე მიხვდეს წადილსა, იგი ვარდობდეს, შენ იე“.

ხშირად სტრიქონში სიტყვის გამეორებით პოეტი საოცარ ალტერნაციას ქმნის და მუსიკალობას აღწევს:

„მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად“.

რუსთველი ახალგაზრდის, ჭაბუკის, რაინდის მნიშვნელობით ხშირად ხმარობს სიტყვას „ყმა“, „მოყმე“. (გვიან საუკუნეებში ყმამ მონის მნიშვნელობა შეიძინა. პოემაში ხელქვეით, დაქვემდებარებულ კაცს ყველგან მონა ეწოდება). ამის თვალსაჩინო მაგალითია ერთი სტრიქონი. ავთანდილს გულანშაროელი მებალე უამბობს:

„აქა მოსლვითა გაყმდების, კაციცა იყოს ბერები“.

აქ მოსვლით მოხუციც კი გაყმანვილდებაო.

„ვეფხისტყაოსანი“ მთლიანად თექვსმეტმარცვლიანი შაირით არის დაწერილი, მაგრამ ერთმანეთს ოსტატურად ენაცვლება მაღალი და დაბალი შაირი, რიტმის მონაცვლეობით კი პოემა დაცულია ერთფეროვანი ხმოვანებისაგან. მაღალ შაირს ორმარცვლიანი რითმა ქმნის, დაბალ შაირს – სამმარცვლიანი რითმა. ამასთან სტროფის ოთხივე სტრიქონი ერთმანეთს ერითმება. მკვლევარი პ. ინგოროვა წერს, რომ „პოემაში ჩვენ გვხვდება მხოლოდ მდიდარი, პოლიფონიური ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი რითმები“. მაგრამ ეს გამონათქვამი მთლად ზუსტი არ არის. პოემაში გვხვდება ორი სტროფიც ოთხმარცვლიანი რითმით განყობილი:

„ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიდმდე გასატანისა,
ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა“.

„გავგზავნენ ყოვლგან ლაშქარნი, ალაფი ავალებინე,
ერთობ სავსენი მოვიდეს, თავი ავალალებინე;
სისხლსა მებრძოლთა ჩემთასა მინდორი შევალებინე,
არ ვჰპრძოლე, კარი ქალაქთა უომრად გავალებინე“.

პოემაში არის აგრეთვე რამდენიმე ოთხი და ხუთმარცვლიანი მაჯამური რითმებით განყობილი სტროფი. ოთხმარცვლიანი მაჯამურითმიანი სტროფებია:

500. „ღმერთმან თუ მცა ენა ჩემი ქებად შენდა უშენოსა,
შენთვის მკვდარი აღარ ვიტყვი, მაშა მომკლავ უშენოსა;
მზემან ლომსა ვარდ-გიშერი ბაღჩა-ბაღად უშენოსა;
შენმან მზემან, თავი ჩემი არვის ჰმართებს უშენოსა!“

501. „თუცა მიგდის ღვარი ცრემლთა, მაგრა ცუდად არ იდენო,

მგზავრები წყობისფლისა

ამას იქით ნულარ იდენ, ჭირსა თავი არიდენო;

შენი მჭვრეტნი ჩემთა მჭვრეტთა აგინებენ, არ იდენო;

რომე წელან მოგეხვივნეს, იგი ჩემთვის არიდენო“.

1540. „მოეხვია, გარდუკოცნა მას პირისა არემარე:

„დამივსეო ცეცხლი ცხელი, მაგრა წყალი არ ემარე,

ვინ გიშერი დააჯოგა წარბ-წამნამი, არე-მარე.

გვალე, შეგყრი, ლომო, მზესა, თავი მისკენ არე, მარე!“

ხუთმარცვლიანი მაჯამურია 1035-ე სტროფი:

„რად სიცხე გულსა ნიადაგ მწვავს გმირსა სამს ალებისა?

რად გული კლდისა ტინისა შემქმნია სამ სალებისა?

არ შეუძლია ლახვარსა დაჩენა სამსალებისა,

შენ ხარ მიზეზი სოფლისა ასე გასამსალებისა“.

რუსთველი უდიდესი მოაზროვნეა. პოეტ თამაზ ჭილაძის ძალზე მოსწრებული შედარებით რუსთველი ქართველი ხალხისათვის მეორე დავით აღმაშენებელია: „შეიძლება ვთქვათ, რუსთაველი იწყება დავით აღმაშენებლით და დავით აღმაშენებელი გრძელდება რუსთაველით. მართლაც, იშვიათია, ისე ჰეგავდეს ერთი პიროვნება მეორეს, როგორც რუსთაველი ჰეგავს დავით აღმაშენებელს. ორივე აღმაშენებელია, შემოქმედი! ერთი – ქართველი ადამიანის სულისა, მეორე – ქართველთა ქვეყნისა.... შეიძლება თამამად ითქვას, რუსთაველის პოემა თამარის კი არა, დავით აღმაშენებლის ეპოქის გენიალური ფინალური აკორდია, რომელიც აპოთეოზური დიდებულებით გადმოგვცემს მომავლის რწმენასაც, მომავლისაკენ დაუოკებელ ლტოლვასაც, ანუ უფრო ზუსტად – უკვდავების განცდას!“

რუსთაველი გასცდა შუასაუკუნეთა არა მარტო ქრისტიანულ-ასკეტურ, არამედ საერთოდ ვიწრო რელიგიურ და ნაციონალურ ჩარჩოებს და ზოგადკაცობრიულ დონემდე ამაღლდა. ამიტომ იგი პლანეტა დედამიწის განზოგა-

დებული პოეტის სახეა, ისევე, როგორც ჰომეროსი, დაწყე, შექსპირი, გოეთე... ამიტომაა მისი იდეები ახლობელი და მისაღები დედამიწის ყველა ქვეყნისა და ყველა ერისათვის. რუსთველი სიცოცხლის, ამქვეყნიერი ბედნიერების, ჯანსაღი სიყვარულის მომღერალია. რუსთველი იძლევა დედამიწაზე ცხოვრების მოწყობის საკუთარ კონცეფციას. მისი შეხედულებით, დედამიწა უნდა იყოს სიკეთის, სილამაზის, რაინდობის, კეთილშობილების სადგური; იქ იცხოვრებენ ლამაზი, სულგრძელი, დიდუნებოვანი ადამიანები, რომლებიც დიდი საქმეებისთვის იღვანებენ. კაცობრიობა, სახელმწიფოები სიყვარულის, მეგობრობის დიად მიზნებს უნდა ემსახურებოდნენ. ხოლო ხელისუფალთა, ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიზანი უნდა იყოს ადამიანებისათვის ისეთი ბედნიერი ცხოვრების შექმნა, სადაც არ იქნება ჩაგვრა და უსამართლობა და სადაც „თხა და მგელი ერთად სძოვდეს“. აი, ამიტომ უყვარდა რუსთველი ქართველ ხალხს, რომელმაც ჩინგიზ-ყაენის, ჯალალედინის, თემურ-ლენგისა და სხვა ურჩხულთა დამანგრეველი ქართებილებიდან უბით გამოატარა და ცხრაასი წლის წყვდიადიდან ჩვენამდე მოიტანა მისი უდიდესი ჰუმანისტური იდეები, მისი განუმეორებელი პოეტური სიტყვა. სანამ დედამიწაზე ცოდვილი მატერიალური ინსტიქტებითა და ცხოვრების ორომეტრიალით გაყინულ-გაუხეშებულ ადამიანთა სულებს ექნებათ პოეზიის ცეცხლით გათბობის სურვილი, ვიდრე ლექსის წყურვილი და პოეზიის ტიტანებისაკენ ადამიანთა ლტოლვა იქნება, ალბათ არ გახუნდება ქართული პოეზიის მეფეთ-მეფის რუსთველის სიტყვებიც: „მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები!“

ორიოდე სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის გამო

საუკუნეების მანძილზე რუსთველის გენიალურ ნა-
ნარმოებში ნებით თუ უნებლიერ არაერთი შესწორება-
ჩამატება მოხდა – ზოგი საღერღელაშლილი მელექსე-
ბისგან, ზოგი გადამწერთაგან დაშვებული შეცდომების
გამო. საოცრად შთამბეჭდავად აღწერა ქართველი კაცის
ბუნება ვახუშტი ბაგრატიონმა: უამრავ რაინდულ თვი-
სებასთან ერთად ნაკლოვანებების მხილებასაც არ მოე-
რიდა – ამპარტავანნი და თავხედნი არიან, მეფეებსაც კი
არ ერიდებიან ხოლმეო. ალბათ ამ თვისების ბრალი იყო,
თორემ პოეზიის მეფის რუსთვლის ღვთიურ გენიას, ან
„ვეფხისტყაოსანს“ უბრალო მოკვდავთა „დასახმარებე-
ლი“ რა სჭირდა? ან როგორ შევძედეთ და როგორ გავუ-
ტოლეთ თავი?

უკანასკნელ საუკუნეებში მკვლევარებმა გარკვეული
მუშაობა გასწიეს ამღვრეულის დასახმენდად და თავდა-
პირველი ტექსტის დასადგენად. ამ მხრივ სამაგალითო
იყო ის მეცნიერული სიფრთხილე, რომელიც გამოიჩინეს
ვახტანგ მეექვსემ, შემდეგ კი წერა-კითხვის გამავრცე-
ლებელ საზოგადოებაში ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ ორ-
ბელიანის, აკაკი წერეთელის, ივანე მაჩაბლისა და სხვათა
მონაწილეობით შექმნილმა კომისიამ. XX საუკუნის მეორე
ნახევარში ამ მიზნით ბევრმა დაიწყო პოემის ჩხრეკა. ამა-
ვე მიზნით შეიქმნა რუსთველოლოგიური კომისიაც, რო-
მელმაც ზედმეტი გამბედაობა-თავდაჯერება გამოიჩინა

და სიკეთესთან ერთად გარკვეული ზიანიც მიაყენა პოემას. ამჯერად გვსურს მკითხველს ერთი სტროფის შესახებ მოვახსენოთ.

ნესტან-დარეჯანის აღზრდა მამიდამისს ჰქონდა დაკისრებული. ნესტანის სიყვარულის ამბავი გამუღავნდა. გაჯავრებულმა მეფემ დაიფიცა, დავარს ცოცხალს არ დავტოვებო. შეშინებულმა დავარმა ძმისშვილი სასტიკად სცემა, მერე ქაჯეთიდან წამოყვანილი ორი გამოცდილი და გრძნეული მეზღვაური მონა იხმო და თავისი განაჩენი ამცნო:

„რა დავარ გაძლა ცემითა, მისითა დალურჯებითა,
წამოდგეს ორნი მონანი პირითა მით ქაჯებითა,
მათ კიდობანი მოჰქონდა, ეუბნეს არ აჯებითა,
მას შიგან ჩასვეს იგი მზე, ჰგავს, იქმნა დარაჯებითა.
მან უთხრა: წადით, დაკარგეთ მუნ, საცა ზღვისა ჭიპია,
წმიდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიპია,
მათ გაეხარნეს, ხმამაღლად იყივლეს: იპო, იპია,
ესე ვნახე და არ მოვკვე, არა მგავს არცა სიპია.
ზღვითკე გაავლნეს სარკმელნი, მაშინვე გაუჩინარდა,
დავარ თქვა: „მქნელი ამისა ვინ არ დამქოლოს, ვინ არ და-!
ვირე მომკლვიდეს, მოვკვდები, სიცოცხლე გასაწყინარდა.
დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა“.

რუსთველოლოგებმა მეორე სტროფი შემდეგი დროის მელექსეთა ჩამატებულად ჩათვალეს და ამოიღეს, რადგან მათი აზრით, ამის გარეშე თითქოს მოქმედება პირველი-დან მესამე სტროფში ბუნებრივად გრძელდებოდა. ასეთი შესწორებით დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის საიუბილეო გამოცემა. ასეა დაბეჭდილი 1986 წელს სარგის

შგზავრები წყობისფლისა

ცაიშვილის რედაქციით შესრულებული გამოცემაც (გამ. „მერანი“). მაგრამ რუსთველოლოგებმა ვერ გაითვალისწინეს ერთი მარტივი რამ: გამოტოვებული სტროფის გარეშე არ ჩანს, რა სასჯელი გამოუტანა დავარმა ნესტანს, რა უბრძანა მენავეებს. გამოდის ისე, თითქოს მონებს თვითნებურად, თავისი ნება-სურვილით შეეძლოთ ნესტანის ბედის გადაწყვეტა, რაც სრულიად არარეალური და ულოგიკოა. განა მონები გაბედავდნენ დიდი და სახელოვანი მეფის ასულის სადმე წაყვანას პატრონებისგან სათანადო ბრძანების გარეშე, თანაც კიდობანში ჩამწყვდევით? გენიალური რუსთველი კი არა, დღევანდელი საშუალო დონის პოეტიც კი პოემაში არ დაუშვებდა ასეთ შეუსაბამობას. ეს მშვენიერი, ლალი რუსთველური სტროფი ასე ერთი ხელის მოსმით დაკარგეს პოემიდან გამომცემლებმა. ეს სწორედ პოემის ტექსტის მჩხრეკავი იმ რუსთველოლოგიური კომისიების ნამოქმედარია. შესწორების მიზეზი კი ძალზე გულუბრყვილოა. ასეთი მოსაზრებით თუ ვჩხრიკეთ პოემა, ალბათ არაერთი სტროფი მოგვეჩვენება საეჭვოდ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შესანიშნავი მხატვრული სახეა „ზღვის ჭი პი“ – რომელიც, დედამიწაზე ყველაზე შორეულ და დაკარგულ ადგილს ნიშნავს. საინტერესოა, რომ ეს გამოთქმა დღესაც ცოცხალია სამეცნიერო წრეებში და მსოფლიოში რუსთველმა პირველმა შემოიტანა ხმარებაში. ეს სტროფი სიმძაფრეს მატებს დავარის განაჩენს. იგი უბრძანებს მონებს, რომ უკიდეგანო ოკეანეში დაკარგულ პატარა კუნძულზე წაიყვანონ ნესტან-დარეჯანი, ისეთ ადგილას, სადაც არათუ ადამიანები, არამედ წმინდა წყალიც და ყინულიც სანატრელი გაუხდება. „მან უთხრა: წადით, დაკარგეთ მუნ, საცა ზღვისა ჭიპია, წმიდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლი-

გურამ ბასაძე

პია“. ამ სტრიქონებში ჩანს მთელი სისასტიკე დავარის გადაწყვეტილებისა. სტროფი მხატვრული თვალსაზრისითაც სრულყოფილია. ამ სტროფის ამოღება დაუშვებელია, უფრო სწორედ – დანაშაულია. ასეთი „შესწორების“ უფლება თავს არ უნდა მივცეთ, რადგან ამით რუსთველის შედევრი არა მარტო ზიანდება, არამედ აზრობრივად ღარიბდება და ბუნდოვანი ხდება.

გურამ მაისურაძე

15. 03. 2016 წ.

შავი ყვავილი ცხოვრება მარტოკაცისა

ნიკო სამადაშვილი XX საუკუნის ერთ-ერთი საინტერესო და თავისებური პოეტია. პირველ რიგში რითაც სხვებისგან გამოირჩევა, ეს არის განსხვავებული პოეტური ხელწერა, მხატვრული სახეებით აზროვნების განსაკუთრებული სიძლიერე. მის პოეზიაში შეხვდებით შედარებების, ეპითეტების, მეტაფორების, ჰიპერბოლების უამრავ გამაოგნებელ მარგალიტს. მას ხელენიფება ორ სტრიქონში, ან ერთ სტროფში გადმოსცეს ბუნების დიდებული სურათი:

„ლიახვი ღელავს, როგორც ჯეჯილი,
როგორც მზის შუქზე გამსკდარი ნისლი“.
(ლოცულობს ყველა)

„ნიავის თეთრი ნაფეხურები
სროლით მიჰქონდათ თვალუწვდენ ყანებს“
(სიმღერები გამოქვაბულიდან)

დგება დრო, როცა ბარაქიანი შემოდგომა კალთას დაიბერტყავს – სოფელი ბალ-ვენახის მოსავალს მოკრეფს და დააბინავებს. მერე იწყება ბავშვების საყვარელი გასართობი დრო – მცვრევა: ისინი შეესევიან ზვრებსა და აქაიქ დარჩენილ-დაშაქრული ხილითა და ყურძნის კიმპალით პირს იტკბანურებენ. ბოლოს ტყე ფოთლებისგან განიძარ-

ცვება. ამას მოჰყვება უინუღლიანი დღეები, ნაადრევი სუს-ნი. შიშველ ხეებზე დილაობით წვიმის ცრემლები ალმასე-ბად დაეკიდება. ასეთი დღეები პოეტს მცვრევას აგონებს – თითქოს შემოდგომის დღეები ბალლებია, წვიმის მძივები – მოსავლის ნარჩენები. სულ ორ სტრიქონშია დაჭერილი ძალზე ტევადი, დიდოსტატური სურათი ამგვარი ნაღვლი-ანი შემოდგომისა:

„ბალებს გაზიდავს ყრუ შემოდგომა,
ტყე უინუღლს მოიმცვრევს დილაადრიან“.

გასაოცრად შთამბეჭდავია ძველი, დრო-უამისაგან გა-
მოხრული ტაძრის ალთქმა:

„უამს ტაძრის კანი ისე დაუხრავს,
რომ გარეთ უონავს ჭრაქის ნათელი“.
(ხილვა)

ტაძარი ადამიანის ნამოქმედარია და არა ბუნებისა. ტა-
ძარი ცოცხალი არსებასავით არის – საუკუნეების სიღრ-
მიდან ჩვენამდე მოღწეული სუნთქვა და ხელების სითბოა
ხელოვანისა, ოსტატის გონების ნაფიქრ-ნააზრევია, ქვეყ-
ნის ზეობისა და ეპოქის მეხთატების სურათია. მას ბებე-
რი მხრებით ჩვენამდე მოუტანია ხსოვნა წარსულისა. ამი-
ტომ ის ერთდროულად ჩვენში აღტაცების, ტკივილისა და
სევდის გამომწვევიც არის. მაგრამ, პირველ რიგში, მისი
ხილვისას ძალაუნებურად გაგიელვებს ფიქრი ხუროთ-
მოძღვარზე: ზოგს ბედმა გაუღიმა და მისმა ნახელავმა
ჩვენამდე მოიტანა შემოქმედის სახელი, ბევრი კი სამუდა-
მო დავიწყებას მიეცა, ანდა, როგორც პოეტი ამბობს:

მგზავრები წყობისფლისა

„ტაძრის ფუტურო ქერქში ჭრიჭინებს

ვიღაც უძეგლო ხუროთმოძღვარი“.

(ლოცვის ანეული)

ნიკო სამადაშვილი არ ცდილობს ფერადი სათვალეებით ცხოვრების ჭვრეტას, პოეტურ შელამაზებას. ყველა პოეტისაგან განსხვავებით მას არ დაუწერია სამშობლოს ან ვინმე გამოჩენილი პიროვნების სახოტბო ლექსი. თვით თავისი სათაყვანებელი მასწავლებლის ერეკლე ტატიშვილი-სადმი მიძღვნილი ლექსიც კი ნათელი, მსუბუქი ფერების მაგიერ მძიმე, პირქუში სტრიქონების შემცველია:

„ბედს ნულარ ერჩი, თუ ლოდებმა ამოიოხრეს,

იტყვიან: ნეტავ დაგენახათ, როგორ წვალობდა,

სანამ დარდებმა საცოდავი სულ არ გამოხრეს.

ეხლა დადიხარ და ხეებსაც კი ერიდები,

ხან არცკი გინდა, რომ ბინაში შემოგყვეს ჩრდილი,

ცოტა ხანს კიდევ... იმის მერე, რომ დაბერდები,

ეგ თავის ქალა კლდეს ექნება პირში გაჩრილი

და შენს ხერხემალს სალამურად გამოიყენებს

არმაზის კერპი ან ქარების ტიალი დოლი,

სანამ გრიგალებს შენს ძვლებს კვერთხით დააყრევინებს

გოლგოთის მთიდან მორეკილი ღმერთების ჯოგი“.

(ერეკლე ტატიშვილისადმი)

ამ ლექსში გასაოცრად შთამბეჭდავად არის დახატული წითელი იმპერიისაგან რეპრესირებული, პატიმარყოფილი, საზოგადოებისაგან დაუმსახურებლად ზურგშექცეული, დავინცებული და გარიყული ადამიანის ყოფა, ადამიანისა, რომ-ლის „ცხოვრებითაც“ 1937 წლის რეპრესიების გამო საზოგა-

დოებისაგან მოკვეთილმა და ჩრდილადქცეულმა უამრავმა ღირსეულმა ადამიანმა დაასრულა თავისი სიცოცხლე. სამაგიეროდ ამ ლექსით პოეტმა დავიწყებას გამოსტაცა, უკვდავყო ღირსეული მამულიშვილის ერეკლე ტატიშვილის ხსოვნა.

მის შემოქმედებაში ვერც სატრფიალო ლექსებს შეხვდებით. მილიონობით ადამიანისათვის ცხოვრება მძიმე ყოფაა, ჯოჯოხეთია დედამიწაზე, ადამიანთა ურთიერთობები უფრო ხშირად მტკიცნეულია, ვიდრე საამური. სწორედ ამის ასახვას წარმოადგენს 6. სამადაშვილის პოეზია. მისი შემოქმედება ცხოვრების, სამყაროს სხვადასხვა პოზიციიდან ჭვრეტაა: 1. ეს არის, პირველ რიგში, დედამიწაზე საზოგადოების ქვედა ფენიდან – სილრმიდან დანახული ცხოვრება, ფსკერის ასახვა; გაზულუქებულ-განებივრებული პიროვნების კი არა, ცხოვრების ზვირთცემისაგან ქანცგანყვეტილი ადამიანის თვალით აღქმული სინამდვილე. 2. დედამიწელის თვალით დანახული ირეალური სამყარო; 3. კოსმიური ხედვა და შორიდან, სხვა სამყაროდან დანახული დედამიწა. ამიტომ 6. სამადაშვილის პოეზიაში ჭარბადაა მუქი ფერები. ვერც ერთ მის ლექსში ვერ ნახავთ მსუბუქ, ვარდისფერ ტონებს, რაც პოეტების უმეტესობისათვის დამახასიათებელია. ეს არის მხატვარი, რომელიც შავი სალებავებით მუშაობს, მაგრამ შეუძლია მსუყე, კალმის ერთი ჯანიანი მოსმით დიდოსტატური სურათი შექმნას; ამასთან, თუმცა საშენ მასალად იყენებს მძიმე, მოქუფრულ, პირქუშ და უარყოფითი ემოციებით დამუხტულ სიტყვებს, მაგრამ ისეთ დიდებულ სურათებს ქმნის, რომ ესთეტიკურ სიამოვნებას განიჭებთ. ეს ნიკო სამადაშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი და სხვათაგან განმასხვავებელი უპირველესი ნიშანთვისებაა. ცხოველს რომ ქეცი შეეყრება, ბალანი გულისამრევად, ჭრელად გასცვივა და სხეული ალაგ-ალაგ მოტიტვლებული რჩება. ის

მგზავრები წყობისფლისა

ძალზე უსიამოვნო შესახედავია. სწორედ ასეთი უცნაური ასოციაცია უჩნდება პოეტს ბუნების ჭვრეტისას – ტყიან ფერდობებზე აქა-იქ ახოები მის წარმოსახვაში ქეციანი ადგილებივით ჩანან, ხოლო მთები მძიმედ ხრჩოლავენ:

„გავხედე ალგეთს, ბოკრო ფერდობებს

ქეცად შეჰყუროდათ გაჭრილი ახო,

მთები ხრჩოლავდნენ ნაირფერებით,

...

ლორწო ფალტეებს სწოვდნენ კლდეები“.

(გამგზავრება)

მრავალი პოეტის შთაგონების წყარო – ვარსკვლავებით მოჭედილი ცა მას ჩრჩილებით ამოჭმულ ქსოვილს აგონებს; ხოლო თუ ვაჟა-ფშაველას პოეტური გენიით დანახული „ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის ნიშანი“, სამადაშვილის თვალთახედვით ნისლებიც მძიმედ ხრჩოლავენ. მდინარის ხმაური კი მას სასიამოვნო მელოდიის ნაცვლად ჩაჟანგებული ანჯამების ხრჭიალს აგონებს:

„სქელი ნისლები მდორედ ხრჩოლავდნენ,

ყრუდ ჭრიალებდა ხევის ანჯამა,

ვარსკვლავნი ისე მოჩანდნენ დამე,

თითქოს ზეცა ჩრჩილს ამოეჭამა,

...

ძირს წმინდა ნინოს ნაფეხურები

ჰგავდნენ სისხამზე მოკრეფილ იებს“.

(ატენის სიონი)

ალბათ, ეს ერთაადერთი ადგილია მის ლექსებში, სადაც მსუბუქი ფერი აქვს ნახმარი – წმინდა ნინოს ნაფეხურები

უნაზეს სურნელოვან იებს რომ შეადარა. სხვაგან მის ლექ-
სებში კიდევ ერთხელ გაიელვებს ყვავილი, მაგრამ იქ უკვე
ჩვეული, ნაღვლიანი განცდით. ლექსში „აგარაკი“ საღამოს
მოახლოების გამო მინდვრის ყვავილები პოეტში გოდების
გრძნობას იწვევენ:

„ბებერი ლოდი მიწას ჩასცქერის,
ხვივის მდინარე, საღამოვდება,
კაცივით მღერის გამსკდარი ქვევრი
და თან ყვავილებს გააქვთ გოდება“.
(აგარაკი)

ანელია, წარმოვიდგინოთ უფრო შთამბეჭდავი სურათი
ცხოვრების ფსკერისა, დაუნდობელი ცხოვრებისაგან უარ-
ყოფილი, უკვე გასრესილი, არარაობად და მოჩვენებად
ქცეული ადამიანისა, როგორიც მას დახატული აქვს ლექ-
სში „ლოცვის ანეული“:

„მათხოვარი ზის, როგორც ობობა -
მყრალ ჯოჯოხეთის მოხდილი პკეა,
არც ზღაპარია, აღარც მოთხრობა,
ის თითქოს ჩიტებს აუკენკიათ“.

აქ პირდაპირ გამაოგნებელი შედარებებით არის სასტი-
კი ცხოვრების სურათი დახატული. ჰიპერბოლათა მარგა-
ლიტებია დიდებული პოეტური სტრიქონები:

„სიონის ზარი სქელ ღრუბლების ქვეშ ახველებდა“.
„მოვლენ დღეები და გაფენენ დაფხრენილ ფიქრებს“.
„ავდრების შემდეგ გაზაფხულისკენ

მგზავრები წყობოლება

გაიყმუილებს ბებერი მტკვარი“.

„საღამო მოდის, ნისლის ზედაშეს

სვამენ და დაისს მთები კენკავენ“.

აქ ორ სტრიქონში დაისის დიდებული სურათია მოცე-
მული. პოეტის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია სიკ-
ვდილ-სიცოცხლის პრობლემას. საიდან მოდის ადამიანი,
რისთვის მოდის, სად მიდის? – აი კითხვები, რომლებიც
ფუტკრის სკასავით გუგუნებენ მის გონებაში. როგორია
სიკვდილის შეგრძნება? მომაკვდავის განცდები, სხეული-
საგან სულის გაყრა გენიალურად აქვს დახატული:

„სიცოცხლე ტანზე დაიკლაკნება,

ამოვა ქარი და დაბინდდება,

ლამე კაკლიდან ჭოტის კივილი

ჩემს მიწურ ბანზე გადაფრინდება“.

(ფერფლი)

სიკვდილი თავისდათავად ამაზრზენია, საშინელებაა. ეს
საშინელება საკუთარ თავზე მას ასე წარმოუდგენია ლექს-
ში „ცაცხვის ხე“:

„ყვავებს შეუტევ, მიაყრი რისხვას,

ყმუილს მორთავენ გარშემო მგლები,

ფოთლებს დამაყრი შემოდგომის ხანს

და ეს იქნება შენი ცრემლები.

...

შენი ფესვები ჩემს გულს გამოხრავს,

თხუნელა კუბოს მიარტყამს კვინიხს,

შეეშინდება მოხუც მაცხოვარს

და ფაშარ ლოცვებს კუნჭულში იტყვის“.

შეიძლება თუ არა ყველაზე დიდ საშინელებაში – სიკუვდილშიც სილამაზის დანახვა? შეიძლება თუ არა პოეტმა სიკუვდილშიც პოეზია დაინახოს? თურმე შეიძლება. ეს სტრიქონები ამის დასტურია. აქ სიკუვდილის სისასტიკე საოცარი სიცხადით არის დახატული. ხანმოკლეა კაცის სიცოცხელე. ყველას თავისი გოლგოთის გზა აქვს გასავლელი, ყველამ თავისი ჯვარი უნდა ზიდოს. ბოლო კი ყველასათვის ერთია: კაცი კვდება, მიწას მიაბარებენ და სამარეზე ლოდს დაადებენ, რომელიც მისი სამუდამო და განუყრელი „მეგობარი“ ხდება. პოეტს ეს პროცესი ძალზე თავისებურად აქვს გააზრებული -

„დავიხოცებით, დაგვსუნავს ლოდი,
გარემოც ყვითლად დაიფერება“.

(გენია და სამრეკლო)

... და მერე რიგს რიგი მისდევს, თაობას თაობა, დგება ჟამი მიწად ქცევისა, ვისთვის – არღავინყებისა, ვისთვის – დავინყებისა; ჟამი, რომელზეც სიცოცხლეში ადამიანები თითქმის არასოდეს ფიქრობენ: პოეტს ამ პროცესზეც ძალზე თავისებური, ფანტასტიკური და შემაძრნუნებელი სურათი აქვს შექმნილი:

„აი, ამ მინდვრებში, ამ ხრიოკ მთებში
ჩვენ ხომ ერთმანეთს ვჭამდით მგლებივით.
მეც მარტო ყოფნა ათასწლობით მომენყინება,
თავის ქალაში მწვანე ხვლიკი შეძვრება ღამე,
ძვლებზე შემხმარი დაფიქრება მოენონება
და მატლებდახრულ თვალებიდან გახედავს ბალებს“.

(გამხმარი კაცი)

მგზავრები წყობისფლის

ნიკო სამადაშვილის პოეზიაში გაცილებით ხშირია ბნელი ღამეები, ვიდრე დღის ნათელი. არ უყვარს სინათლე, რადგან დღის შუქზე, კაშკაშა მზეზე ადამიანთა სიდუხჭირე და წამება უფრო ცხადად ჩანს. მძიმე განცდებისაგან „გულზე ამოს-დის ჭმუნვის ბებერა“, ვერ იშორებს „სევდის კრაზანებს“; ამ დროს „ყელში ხრჩოლავენ მღვრიე ცრემლები, უკან – შავ-ბნელი დღეების რიგი“. ეს იმიტომ, რომ „ქვეყნიერება ჩვენ დაგვიგეს კაკანათივით“. ადამიანთა მოდგმის არსებობის ხუთი მილიონი წლის მანძილზე დედამიწაზე ვერ შეიქმნა ჰუმანური და სამართლიანი ცხოვრების პირობები. თუმცა ადამიანთა უამრავი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ:

„რა შემზარავად ყმუიან წლები,

...

ხალხთა უდაბნო დედამიწაზე“.

(გაჭირვება)

სიბნელე ყველა სულდგმულს სძულს, თვით მცენარეებ-საც კი:

„ჩამობნელდება, მტირალ წნორებს წაუვათ გული“.

ასეთივე სიბნელის განცდა ეუფლება პოეტს წუთისოფ-ლის ყურებაზე:

„დაღუპულ დღეებს ისევ ვიგონებ,

ხრჩოლავს სოფელი, ბნელა, თოვლია

...

და ღამეებით ჩავბურებულვარ“.

(ღია ბარათი)

ასეთი განცდა მისი უმძიმესი ყოფის შედეგია. იმის შე-დეგია, რომ იგი ცხოვრებისგან გარიყულია და ზედმეტი ადამიანის განცდა აქვს დაუფლებული, „ძვლები დარდით

გამჭვარტლულია“, მისი ყოფიერება გაორებულია – თითქოს შორიდან უმზერს საკუთარ თავს:

„ისე დავდივარ ამ ქვეყანაზე,
თითქოს საკუთარ ცხედარს მივყვები“.
(ჩემი პორტრეტი)

ასეთ დროს „ძვლები ხრჩოლავენ ტანში ყელამდი“ და ისეთი განცდა აქვს, თითქოს „ძვლებს უკეთებდნენ ქვაბის ზედადგარს, შიგ შენი სისხლის ზედაშე დუღდა“. ასეთი დიდი სულიერი ტკივილების დაყუჩებას და თავდავიწყებას სარდაფებში ეძებდა. ხოლო დილით მიდამოს რომ გახედავდა, „ნისლივით იდგა უმეგობრობა“. ის იყო კაცი, „ვინც ზურგშექცეულ მეგობრების ცქერით დაოსდა“. იმდენად ანამებს უმეგობრობა, რომ სიკვდილის დროსაც ჭირისუფლებად ადამიანების ნაცვლად მგლები მიაჩნია, ანუ ადამიანები უფრო დაუნდობლები არიან, ვიდრე მგლები. სიმარტოვეში კი ადამიანი შეიძლება ჭკუიდან შეირყეს:

„იმას ჭკუაზე შერყევა ქვეყნად
მიაჩნდა რაღაც ბედნიერებად“.

პოეტის აზრით ასეთი დიდი ტკივილების გამო დედამინაზე ბედნიერებაც კი შეუძლებელია:

„რამდენი კაციც ცხოვრობს მიწაზე,
ქვეყნად იმდენი საგიჟეთია.

...

ჭოტი დასცინის ბნელ არე-მარეს,

...

გაუსხვლებავი დამეა გარეთ
და პოეტების ნახირი ბლავის“.

(ნაფოტები).

მგზავრები წყობილობა

„რომ ამ დასაქცევ დედამიწაზე

ბედნიერებაც დასაგმობია“.

(აქერცლილი მინიატურები)

ადრე ბავშვობაში დაობლებულმა პოეტმა სულიერი და ხორციელი ობლობის სიმწარე ბოლომდე შესვა. ამიტომ მას ხშირად ის ადამიანი ენატრება, ვისი სითბოც ყველაზე მეტად აკლდა – დედა, რომელიც მასზე იზრუნებდა სიცოცხლეში, ანდა სიკვდილის მერე დაიტირებდა დედობრივი ცრემლებით:

„დარდის ხვითქებში გაწურულ პერანგს
თონესთან მიშრობს შეშლილი დედა“.

(ღია ბარათი)

„რომ ჩემი გვამი ხელის კანკალით
გორიჯვრის ძირში ჩაეფლა დედას“.

(ჩემო მდინარევ)

მას ეჩვენება, რომ „ეს დედამიწა ბოლოს და ბოლოს ხომ სადღაც დიდი სასაფლაოა, „რომელშიც შემთხვევით სხვა სამყაროდან „შემოეხეტა“ მისი სული. ამიტომ მზერას ზეცას მიაპყრობს. მთვარე, მარადიული შთაგონება პოეტებისა და შეყვარებულებისა, მას შვებას ვერ ჰგვრის. პირიქით, მთვარის ხილვისას სინაზის ნაცვლად უმძიმესი გრძნობა ეუფლება:

„მთვარე ქვასავით ედო სამყაროს,
სიბნელე წლებთან ერთად კიოდა“.

(დაუსაბამობის ხილვა)

ღრუბლიანი ზეცა მას ნანგრევებს აგონებს: „ზევით კი ქარი ასისინებდა ცის ნანგრევებში ღრუბლების ჩალას“...

სადაც აქა-იქ „კიაფობდნენ შორს ვარსკვლავები, მარადი-სობის ჭუჭრუტანები“. მისი სურვილია, გასცდეს წუთი-სოფლის საზღვრებს, გაძვრეს ამ ხვრელებში და გააღწიოს მარადიულობის სამყაროში. ვინ იცის, იქნებ იქ სადმე ბედ-ნიერი ცხოვრებაა, საიდანაც იგი შემთხვევით შემოეხეტა ამ ცოდვილ დედამიწაზე? ამიტომ მის ლექსებში ხშირია ირეალური ხილვები, მოლანდება, „სამყაროს იქით მიმავალი მგზავრებისა“:

„ხან მთის კონცხიდან ოდნავ ვხედავდი
სამყაროს იქით მიმავალ მგზავრებს.“.

(ფერისცვალება)

მას სწამს, რომ სიკვდილის შემდეგ მისი სული გააღწევს იმ სამყაროში:

„ჭრელი მტრედები კუბოს ასწევენ,
ზარებს დარეკავს მიწების რიგი,
დაუშენს წვიმა და ელვის ეტლი
ცის კრამიტებზე ასტეხავს ხრიგინს.
მოვარდნილ გრიგალს, ფერწასულს, დაღლილს,
ჩემს სიკვდილს კიდევ დაუმალავენ,
შორს კი ვარსკვლავზე ბარით ჩაივლის
მარადისობის ყრუ მესაფლავე“.

(მარადიოსობა და მესაფლავე)

პოეტს სწამს, რომ უკვდავებას ეზიარება:

„თუ უკვდავებამ სადმე მიკითხოს:

„ნეტა სად არის ეხლა ის ბიჭი?“

მოუყევ: ქარებს გადაჰყვა ლამე,

...

ორჯერ იკივლა სამყაროს გაღმა
და უკან აღარ დაბრუნებულა“.

(ღია ბარათი)

მას ეჭვი არ ეპარება, რომ მომავალ თაობებში მისი შე-
მოქმედება აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს, მაგრამ
მის კრიტიკას დაიწყებს მხოლოდ საზოგადოების ნაწი-
ლი – „შთამომავლობა, ლექსების მტერი“. მისი აღიარების
დროც დადგება:

„ჩემი სიმღერა და უკვდავება
ალბათ უამს შემდეგ ეცოდინებათ“.

(გზათ-ვალალობა)

ასე იყო კომუნისტური იმპერიის ჟამს: სევდიანი, პესი-
მისტური ლექსების ავტორს, სასტიკი ცხოვრების შეულა-
მაზებლად ამსახველ პოეტს დღის სინათლეს არ აღირსებ-
დნენ. ისინი დაგმობილნი იყვნენ ხელისუფლებისგანაც
და კრიტიკოსებისგანაც. აღიარებდნენ მხოლოდ ისეთ
პოეტებს, მწერლებს, მხატვრებს, ვინც იმპერიულ ყოფას
ხალხთა ბედნიერ ცხოვრებად ნათლავდა. ალიო მირცხუ-
ლავა რომ წერდა – გლეხის ეზოში თუ შეხვალ, „დგას სურ-
ნელება რძის და კარაქის“, სწორედ ასეთი ყალბი პოეზია
იყო მისაღები საბჭოთა იმპერიისათვის, ხოლო ტერენტი
გრანელისა და ნიკო სამადაშვილის ყაიდის პოეტები მათ-
თვის მიუღებელნი გახლდნენ. ამიტომ შემთხვევითი სუ-
ლაც არ იყო, რომ ვერც გრანელი და ვერც სამადაშვილი
სიცოცხლეში ვერ მოესწრნენ საკუთარი ლექსების გა-
მოქვეყნებას. ნიკო სამადაშვილი 1963 წელს გარდაიცვა-

ლა, ხოლო პირველად მისი ლექსების კრებული ათი წლის შემდეგ – 1973 წელს გამოქვეყნდა. ამიტომ წერს იგი ერთ-ერთ ლექსში:

„ვიღაცა მგზავრი ხეზე დამსხდარ ლექსებს აუქშევს,
ამინიოკებს პოეზიას ხეპრე, რეგვენი“.

ნიკო კომუნისტური რეჟიმის მსხვერპლი იყო – განუწყვეტელ დევნას განიცდიდა. მან თავისი საყვარელი მასწავლებლისა და სულიერი მოძღვრის ერეკლე ტატიშვილის ბედი გაიზიარა. ერეკლე დიდად განათლებული მამულიშვილი გახლდათ – განათლება მიღებული ჰქონდა ლაიფციგის, პარიზისა და ედინბურგის უნივერსიტეტებში, ფლობდა შვიდ უცხო ენას. მისი თაოსნობით დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ლიტერატურის კათედრა. უნივერსიტეტში ასწავლიდა ინგლისურსა და იურისპრუდენციას. იგი დააპატიმრეს, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტი. აი მცირე ამონარიდი ნიკო სამადაშვილის შვილის მზია სამადაშვილის მოგონებიდან: „ერეკლე რომ გამოუშვეს, 1943 წელს იმავე საქმეზე მამა დაიჭირეს. მასაც ანტისაბჭოთა მოღვაწეობა დასწამეს და 5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. არადა ამ დროს არავითარ პოლიტიკურ საქმიანობაში არ იყო ჩართული. მამა ხშირად იტყოდა ხოლმე – 30-იან წლებში ლექსები რომ გამომექვეყნებინა, 1937 წლის რეპრესიებს ვერ გადავურჩებოდი, აუცილებლად დამხვრეტდნენო. ბუღალტერ-რევიზორი რომ იყო, ამან უშველა, გარკვეულწილად ჩრდილში იდგა. ციხიდან ვადაზე ადრე გაათავისუფლეს, მაგრამ გამოსვლის შემდეგ განუწყვეტლივ, სიცოცხლის ბოლომდე სდევნიდნენ – უშიშროების თანამშრომლების განუწყვეტელი მეთვალყურეობის ქვეშ იყო. ისინი ჩვენს ოჯახს აკითხავდნენ. მათი ყოველი მოსვლის შემდეგ კი

შგზავრები წყობოლების

მამა სამსახურს კარგავდა, იქ აღარ აჩერებდნენ, ათავი-სუფლებდნენ. მამამ ამდენ გაჭირვებას ვერ გაუძლო და 52 წლის ასაკში დამბლა დაეცა. მძიმედ რომ გახდა ავად, მეგობრები შემოეცალნენ, მხოლოდ რამდენიმეს ახსოვ-და“. 1963 წლის 1 მაისს 57 წლის ასაკში მეორედ დაემართა სისხლის ჩაქცევა. ქუჩაში უგონოდ მყოფი უცნობმა ახალ-გაზრდებმა მიიყვანეს საავადმყოფოში, სადაც გონს მო-უსვლელად გარდაიცვალა.

ქართულ პოეზიაში ნიკო სამადაშვილი, ალბათ, ერთა-დერთი პოეტია, რომელსაც სამშობლოსადმი უაღრესად მძაფრი სასაყვედურო სიტყვები წამოსცდა. მან საქართ-ველოს დედინაცვალი უწოდა და ასეთი მკვახე სტრიქო-ნები უძლვნა: „ტუქსავ დღეებს და სწყევლი იმ სულებს, სამშობლოს გზები ვინც მოგასწავლა“. „ეხლაც არ ვიცი, ჩემი სამშობლო რას მერჩის, ნეტავ რა დავაშავე?“, „ჩემს დედინაცვალ საქართველოში...“ ბუნების კანონია: ყველა ცოცხალი არსება – ადამიანი, ცხოველი, ფრინველი, ტყე, ბალახი, ყვავილი სინათლისაკენ, სიცოცხლის წყაროსაკენ – მზისკენ მიიჩევს. პოეზიაც ასე უნდა იყოს – მზით და სი-ნათლით უნდა იყოს გაჯერებული. ცხოვრების ქარტეხი-ლებით დაღლილ და გათოშილ ადამიანს უნდა ათბობდეს, ანუგეშებდეს, ამხნევებდეს. ცხოველებისაგან ადამიანი იმით გამოირჩევა, რომ მეტყველება და პოეზით ტკბობა შეუძლია. ამასთან, პოეზია უნდა ასაზრდობდეს ადამიანს მარადიული საკაცობრიო, უმაღლესი ღირებულებებით – სიკეთის, სიყვარულის, მეგობრობის, კაცთმოყვარეობის, სიცოცხლის, სილამაზის გრძნობით, მკითხველს უნდა აკეთილშობილებდეს და უბიძგებდეს სიკეთის ჩადენისა-კენ, ადამიანთა მოდგმისა და მათი სახლის – დედამიწის სიყვარულისაკენ. ეს არის დიდი პოეზიის დანიმუშავე-

ბა. მაგრამ პოეზიამ უნდა განვითაცდევინოს ადამიანთა ტკივილებიც, დაგვანახოს ცხოვრების სისასტიკეც. ნიკო სამადაშვილის შემოქმედებაში აქცენტი სწორედ ამ ტკივილებზეა გადატანილი, მასში გაცილებით მეტია პირები, შავი ფერები; მას ხშირად წამოსცდება სამდურავი არა მარტო იმ გარემოსადმი, სადაც ცხოვრობს, არამედ საერთოდ დედამიწისადმი. მაგრამ თუ ადამიანმა პირადი ცხოვრება ვერ მოიწყო, ეს მშობლისა და სამშობლოს ბრალი არ არის. ცხოვრება რომ მოუგვარებელია, ეს მისი შვილების, მმართველების, უხეირო მეთაურების, შეუბრალებელი და უძლები თანამოქალაქეების, ქვეყნის კოლონიური ყოფის ბრალია, მტაცებელი მეზობლების მიერ დაძიძგნილ-დატაცებული და დანანილებული სამშობლოს შედეგია. სამშობლო ხშირად იმაზე უარეს დღეშია, 6. სამადაშვილი რომ იყო. სამშობლო მისმა შვილებმა უნდა დაიცვან და არა სამშობლომ-შვილები. სამწუხაროდ, მისი შემოქმედება ვერ ამაღლდა ეროვნულ და ზოგადკაცობრიულ დონემდე. ამაში დიდი როლი შეასრულა მისმა დუხჭირმა ცხოვრებამ: იზრდებოდა ბავშვობიდანვე ობლობაში, სცადა სწავლა უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფილოლოგის ფაკულტეტებზე, მაგრამ ვერც ერთი ვერ დაამთავრა სიდუხჭირის გამო; კვალიფიკაციის კურსების შემდეგ იცხოვრა რიგითი ბულალტერ-რევიზორისა და ხელმოცარული კაცის ცხოვრებით; მძიმე პირობების გამო იყო სარდაფების ხშირი სტუმარი და ღვინით ცდილობდა სულიერი ტკივილების ჩახშობას. მისი ცხოვრება ისეთივე იყო, როგორიც იმდროინდელ ქართველთა უმეტესობისა – ალსავსე სირთულეებით, ყოველდღიური მოუგვარებელი წვრილმანი ყოფითი პრობლემებით, იმპერიის არაადამიანური, კოლონიური ჩაგვრის პირობებით.

შგზავრები წყობისფლისა

განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ, სხვათაგან გამორჩევით, მის სულსა და ძვალ-რბილში „უკურნებელი სენი“ – პოეზია იყო ჩასახლებული და ცხოვრებას გაცილებით მტკიცნეულად და ღრმად განიცდიდა, ირგვლივ მყოფებს კი ამ მარტოკაცისა არაფერი ესმოდათ. ამის შესახებ ყველაზე ცხადად ლაპარაკი აქვს ლექსებში „ნიკო სამადაშვილი“ და განკითხვა:

„შენ ჩემში უსტვენ, ვით საყდრის ჩიტი,

.....

ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო,
ლექსები ტანზე გამონაყარი“.

(ნიკო სამადაშვილი)

„ჩემი ცხოვრება ძანძახი იყო,
ნოემბრის ჟინულლი, დეკემბრის თოში,
გავჩნდი განგებ, რომ დავღუპულიყავ
ჩემს დედინაცვალ საქართველოში“.

(განკითხვა)

მისი ცხოვრება და შემოქმედება იმ ეპოქის თვალსაჩინო სურათია, იმის ნიმუშია, თუ რაოდენ დიდი ბორკილი და ტრაგედია ნიჭიერი შემოქმედი კაცისთვის სამშობლოსა და პირად თავისუფლებათა არქონა. ამიტომაც ასე ხელშესახებად, ცხადად აისახა მასში თავისუფლებადაკარგული საქართველოს რიგითი ადამიანების კოლონიური ყოფა, ცხოვრების ფსკერი. სწორედ ამიტომაა განსაკუთრებით ღირებული ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის ნიკო სამადაშილის და ტერენტი გრანელის შემოქმედებანი. ალბათ, ნიკოს გონება რომ არ ყოფილიყო სიდუხჭირეზე ფიქრით ზედმეტად დაკავებული, შესაძლოა უფრო ხში-

რად ეფიქრა ეროვნულ და ზოგადასაკაცობრიო საკითხებზე. მაშინ იგი გაცილებით უფრო დიდი პოეტი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, მას საოცრად ძლიერი მხატვრული აზროვნება აქვს. მისი პოეზია პირქუში, შავი ყვავილებია, რომლებიც თავისი მხატვრული მარგალიტებით თვალისმომჭრელად ბრწყინავენ და საოცარ სურნელებას აფრქვევენ. ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მხატვრული სახეების სიძლიერით რუსთველისა და ვაჟაფშაველას შემდეგ ქართულ პოეზიაში (იქნებ მსოფლიო პოეზიაშიც) ნიკო სამადაშვილს ბადალი არ ჰყავს!

2006 წლის აპრილი

ესე
გულაგაყრიდან დანახული
სამყარო
(გოდერძი ჩოხელის საკარგყმოდ მითქვამს)

საქართველოს მეფეთა პოლიტიკა კავკასიის მთიანეთის მიმართ ყოველთვის განსხვავებული იყო. მაღალმთიანი მკაცრი პირობების გამო იქ ცხოვრება ჭირდა. ამიტომ იქაურ მოსახლეობას წახალისების მიზნით მეტი თავისუფლება ეძლეოდა – უბატონო თემები იყვნენ. არც გადასახადებით, არც სახელმწიფო კანონ-სამართლით აწუხებდა ვინმე. ადათ-წესებიც და კანონ-სამართალიც საკუთარი, თემური ჰქონდათ, ხასიათებიც, რწმენაც, ზნეობაც თავისებური ჩამოუყალიბდათ. ეს თავისებურება მეურნეობის დარგებშიც აისახა – საუკუნეების მანძილზე ცხვრის, ძროხის, ცხენის, ნაგაზის მთის პირობებთან მისადაგებული ჯიშები შეიქმნა. მთაში დღემდე შერეულად არსებობს ქრისტიანობა და წარმართული კერპორაციება, წარსულმა რწმენამ გაუძლო დროს და ახალს შეესისხლხორცა. სახელმწიფოს შერბილებული პოლიტიკა იმითაც იყო განპირობებული, რომ მთიელებს საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვანი სამხედრო მისია ჰქონდათ დაკისრებული – ჩრდილოეთიდან ქვეყნის დაცვა. ამიტომ ყველა მთიელი კარგი მეურნის გარდა ჩინებული მეომარიც იყო – რჩეული ცხენ-იარაღი, საომარი ხელოვნების ფლობა, თავდაცვისუნარიანობა, სამამაცო საქმე მთავარი იყო. მთა ამარაგებდა ბარს ომში შეთხელებული მოსახლეობის შევსებით, რჩეუ-

ლი მხედრებით, მეცხოველეობის პროდუქტებით; მაგრამ ფშავ-ხევსურეთი პოეზიის სამშობლოც იყო. ჩვენი შორეული წინაპრების შუმერების მსგავსად ყველაფრის ლექსად თქმა უყვარდათ. როგორც ყველა დიდი მდინარე მთის პატარა ნაკადულებით იწყება, ანდა ცის მანანა დროდადრო ეპეურება მიწას, ისე ფშავ-ხევსურეთიდან ხშირად ცვიოდა პოეტური ალმასები. ზოგს მთქმელის სახელი შერჩა, ზოგისა დაიკარგა და ხალხური დაერქვა, მაგრამ ისინი ქართული პოეზიის დედამდინარეს ძალუმად ასაზრდოებენ დღემდე. მთამ არაერთი დიდებული პოეტი შეგვმატა, პროზაიკოსები უფრო ნაკლებად. მათგან ორი მწვერვალია – ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი. მათ შემოქმედებაში ყველაზე ღრმად და სრულყოფილად აისახა მთიელთა რაინდული ცხოვრება თუ ჭირ-ვარამი. ვაჟას შემოქმედებაში უფრო ნარსულის – თემური დაპირისპირებისა და სისხლის აღების, ეთნოგრაფიული საკითხები იქცევს ყურადღებას, ყაზბეგის შემოქმედებაში კი ძირითადად აისახა მთიელების – ხევსურების, მოხევეების, მთიულების, ჩეჩენების ბრძოლა რუსთა ბატონობის წინააღმდეგ.

რუსთა გაბატონებამ და რუსული კანონების შემოღებამ დიდი ზიანი მიაყენა მთას. მერე გასაბჭოების შემდეგ მთაშიც აკრძალეს კერძო საკუთრება და შეზღუდული შესაძლებლობის მთიელებს კოლმეურნეობებში შესვლა აიძულეს. მოიშალა მრავალსაუკუნოვანი ადათ-წესები და სამეურნეო ურთიერთობები. თავისუფლებისა და კერძო საკუთრების გაუქმებამ მთა განადგურებამდე მიიყვანა. მთიელები მუდამ სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსიზმს, არ სურდათ თავისუფლებისა და მრავალსაუკუნოვანი მამა-პაპური სამეურნეო ურთიერთობების, ადათ-წესების დათმობა. ამის დადასტურებაა მთიულეთის 1804

შეზავრები წყობისფლისა

წლის აჯანყება, ხევსურეთის 1922 და 1924 წლების აჯანყები, ხევსურების 1936 წლის წერილი ამერიკის მთავრობის სახელზე, რომელშიც ეწერა: „ჩვენი ხევსურეთის ხალხი შეწუხებულ არს ბალშევიკებით. გვიკრძალავენ რჯულს. უნდათ კოლხოზების გაკეთება და ბევრის ნალოგების გამორთმევა და მოდიან, ხშირად გვეუბნებიან, მაგრამ ჩვენ თანახმა არა ვართ. მინამ სრულა არ დავიხოცებით, მთელი ხევსურეთი თანახმად არ ვიქნებით“. მთაში უცხო ჯილაგის შემოჭრამ და მთის რღვევამ ხელისუფალთა ცენზურის მიუხედავად ქართულ მწერლობაში ღრმა ასახვა ჰპოვა. ალექსანდრე ყაზბეგის შემდეგ **XX** საუკუნის 30-იან წლებში ამ თემას კიდევ ერთმა დიდმა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება. მის რომანებში „თეთრი საყელო“ და „ჯაყოს ხიზნები“ აისახა მთაში ცივილიზაციის შეჭრით მთიელების ბარისაკუნ დაძვრისა და მათ ადგილას უცხო ჯილაგის დამკვიდრების საშიშროება.

მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ამ საკითხებს აღარავინ შეხებია. მეოცე საუკუნის ბოლოს კვლავ ძალუმად გაისმა „მთიდან ყვირილი ხარის“ – 1976 წელს მთიდან – გუდამაყრიდან ქართულ მწერლობაში შემოვიდა გოდერძი ჩოხელი, რომლის შემოქმედებაშიც კიდევ ერთხელ და ღრმად აისახა მთა მთელი თავისი პირველყოფილი სილამაზით, ტკივილებითა და პრობლემებით. **XXI** საუკუნის დასაწყისში გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“ მას უდიდესი მწერალი უწოდა. ეს, რა თქმა უნდა, ცოტა ემოციური შეფასება იყო, რადგან მსოფლიო ლიტერატურაში (და ხელოვნების, პოლიტიკის, მეცნიერებისა და სხვა დარგებშიც) ტერმინი უდიდესი არ არსებობს. არის რიგითი, სამუალო და დიდი მწერლის რანგები. მსოფლიო ლიტერატურაში აღიარებულია მათგან ყველაზე დიდი მწერლების ათეული,

რომელსაც სათავეში უდგანან რუსთველი, ჰომეროსი, შექ-სპირი, გოეთე, ბაირონი... თუ ქართულ და მსოფლიო ლი-ტერატურაში ზედწოდება უდიდესს შემოვიღებთ, მაშინ ის რუსთველსაც მოერგება. მის დონემდე ქართულ ლიტერა-ტურაში ჯერჯერობით ვერავინ ავიდა. ჩვენ გვყავს მასზე ნაკლები სიდიდის მნერლები და პოეტები – ვაჟა, ყაზბეგი, ბარათაშვილი, აკავი, ილია, მიხეილ ჯავახიშვილი, კონს-ტანტინე გამსახურდია, გალაქტიონი და სხვები. მათ დიდის თიკუნით მოვიხსენიებთ ხოლმე. ჩემო მკითხველო, მოდით თქვენთან ერთად კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ამ გადასახედიდან გოდერძი ჩოხელის შემოქმედებასაც, რა-ში მდგომარეობს ქართულ მნერლობაში მისი სიდიდე და მნიშვნელოვანი საფეხური.

გოდერძი ჩოხელი გუდამაყარში, სოფელ ჩოხში დაბა-დებულ-გაზრდილია. ამიტომ მასში ღრმად იყო გამჯდარი მთის სულიერი სამყარო, მან ყველაზე უკეთესად იცოდა მთის ბუნებისა თუ კაცის ზნე-ხასიათი და სილამაზე, ჭი-რი და ლხინი. როგორც დიდი მხატვრის ტილოები ხიბლავს ადამიანს საოცარი ფერებით, ისე დახუნძლულია ჩოხე-ლის მოთხოვნები ბუნების მსუყე ფერებით, გამაოგნებე-ლი მხატვრული სახეებით, მთიელთა ფსიქოლოგიური ხა-სიათების გახსნით. ისინი თვალს გვჭრიან მზის სხივებზე ათასფრად მოელვარე ალმასებივით.

აი, როგორ აღწერს იგი მთის ბუნებას: „წყლის დასალე-ვად ჩამოსულან მთები: ჩაჭრილაი, ოზანო, სადედაბრო, სა-ლალო. ჩამოსულან და დამსხდარან, ელოდებიან არაგვის დაწმენდას. ის კი არ წყნარდება, მიერეკება ღორღიან ჭა-ლებს“. („შავი არაგვი“). „გუდამაყრის ხეობაზე შავი არაგვი მოდის, მღვრიე, როგორც კაცის გულ-გონებაში ჩაკარგუ-ლი ავი ფიქრი, მიწის გულ-ღვიძლიდან მოხეთქილი დარდი,

შგზავრები წყობისფლის

ჯოჯოხეთიდან სამზეოზე გამოქცეული შავჩოხიანი შავი მაყარი. მორბის და თითქოს ფეხზე ადგომას ლამობს“. (შავი არაგვი). „ფერისცვალება დღიდან მეორე კვირაზე, ყვითელი ფარდაგები გამოფინა შემოდგომამ, საზამთროდ აიწენა ცხვარ-მეცხვარე. საჯიხვის წვერზე ჩამოჩნდა თოვლი და ნიკორა შუბლით ჩამოანათა შემოდგომის ყვითელ სამეფო-ში“ (ვარდისფერი კაცი). „ყოველ დღეს თავისი მოაქვს და მიაქვს იმ პატარა მინდორზე. ყოველ დღეს თანდათან ყუაზე მიჰყავს ხე. ყოველდღე გაშმაგებით ეხეთქება არაგვი საერთო მოედანს და თავისი წილი მიწა მიაქვს საგძლად მისი კალთიდან. მარტო ზამთრობით თუ წყნარდება და თეთრად გადაქარგულ ხეობას წვრილ, ლურჯ ძარღვად ატყვია. ხალხი კი მზეს შეჰყურებს და, როცა ის ჩაჭრილაის მთის წვერში ჩადის, ამბობენ: საგაზაფხულოდ მოიქცა ეს დალოცვილი! ოზანოს წვერთან რომ ჩავა, საზამთროდ მოიქცაო, – იტყვიან. მაშინ არაგვიც ისვენებს, მკლავებს გულზე იკრეფს მთელ ზაფხულს ნაშრომ-ნაჯაფარი“ (შავი არაგვი). ანდა აი კიდევ ბუნების დიდებული სურათი: „ირგვლივ მთები იდგნენ, თეთრი დევები, თეთრად ფიქრობდნენ და გულმკერდზე იზვავებდნენ ფიქრებს“ (ცხენი) გენიალური, გამაოგნებელი ნათქვამია – თეთრად ფიქრი, მთებისა და გულმკერდზე ფიქრების დაზვავება. „საქორის პირდაპირ შავოსანი ხალხი გამოჩნდა, ზვავიდან რაღაცეებს მოათრევდნენ. მხოლოდ არაგვი ეტყობოდა თეთრკანიან დედამიწას წვრილ, ლურჯ ძარღვივით. მარტო მაგით ეტყობოდა სიცოცხლე დედამიწას; იტყოდი, რომ მაგ ლურჯ ძარღვში მიწის სისხლი ჩქეფდა, ოღონდ წითელი არა, ლურჯი, იის-ფერი“. (ცხენი). „მერე ისე ამოჲყვნენ მეხსიერების ძაფს განვლილი დღეები, როგორც რძისფერი ნისლი ამოჲყვება ხოლმე მწვანე ხევს. მოდის ეგ ნისლი და ვერ გაიგებ, საი-

დან იწყება, ან სად მთავრდება. რძისფერი სიმყუდროვეა ირგვლივ“. „მთელი ზამთარი ებრძოდა სიკვდილს და ერთ გაზაფხულის დილას წვიმის წვეთებივით გაშრა მთასავით კაცი“ (გაღმივლები). დიდებული შედარებაა.

საკმაოდ ვრცელი ამონარიდი გამომივიდა, მაგრამ ვერ შეველიე ვერც ერთს. რა დიდებული სურათებია. ეს რომ განიცადო და ქალალდზე გადატანა შეძლო, იმ გარემოში უნდა იცხოვრო დიდხანს, წლობით უმზირო ზამთარ-ზაფხულ იქაურ ბუნებას, შეზელილი იყო მასთან, იქაური ცომით უნდა იყო მოზელილი. ამასთან გასაოცრად მერძნობიარე ბუნება და ნიჭი უნდა დაგყვეს, თორემ უბრალოდ ერთხელ გზად ჩავლილი ამის აღქმას ვერ შეძლებ.

ბევრი თქვენგანი ესტუმრება ხოლმე დღევანდელ ხალხისგან დაცლილ და გადაშენების პირზე მისულ სოფელს, უკვე სულს რომ ღაფავს; მაგრამ დავფიქრებულვართ იმაზე, როგორ და საიდან იწყება სოფელზე დავიწყების შემოსევა? აი, როგორ აქვს გოდერძი ჩოხელს ეს მოვლენა აღნერილი: „უდაბურება ნასოფლარის ბოლოებიდან იწყება ხოლმე. ჯერ მივიწყებული ბოსტნები ამოშამბდება, მერე ღოლო, ჭინჭარი და აყევრებული ძირხვნი ფეხი ნება-ნება ამოჰყებიან ღობებს და ვიწრო ორღობებით სოფელში შევლენ, კიბის საფეხურებს აივლიან და კარგამოჯარული სახლის დერეფნებში დამკვიდრდებიან“ (თეთრი ქალთამზე). შეუძლებელია, ამ საოცრად ცოცხალმა სურათმა დიდი სევდა-ნაღველი არ მოჰყვაროს მკითხველს. „უდაბურებას ჭინჭრის სახე აქვს. ჩაჟამებული, ჩაჟანგებული იყურება და ყოველთვის ადამიანის ნამოსახლარზე უყვარს ამოსვლა. მოვა, მოხშირდება, ჭინჭარივით სუსხიანი და დამლულავი თვალებით ჩაიცქირება სილურჯეში... გასულ ზაფხულს ერთ ნასოფლარს შორიდან უმზერდა უდაბურება. მერე,

მგზავრები წყობოლებისა

როგორც იქნა, გაბედა და სოფელშიც შევიდა. ჯუღურაი თავისი სახლის კალობანზე იჯდა მაშინ, იჯდა და გზას გაჰყურებდა. ღოლოსა და ჭინჭრის დანახვაზე გააჟროლა. მთელ ტანში სუსტივით დაუარა სიმარტოვემ“. გენიალური ფსიქოლოგიური პასაჟია.

მის მოთხოვებში ძალზე ხშირია ამგვარი გამაოგნებელი შედარებები, მეტაფორები, ჰიპერბოლები, გაპიროვნებები. იგი ბუნებას, ქვას, წყალს, ხეს, მდინარეს, თოვლს, წვიმას, ცას ისე აღიქვამს, როგორც სულიერ არსებას. აი რამდენიმე ნიმუში: „დაწყნარდნენ მთები, ყვითელი თავთმანი ჩამოიწენეს ტყეებმა. საჯიხვის მთაზე სთვლემდა მიდამოს დასაზვერად მოსული თოვლი. ნიკორა შუბლით კლდის გაცრეცილ ბეჭს დაჰყურდნობოდა და მილულვილი თვალებით მიდამოს ეალერსებოდა. მერე, როგორც იქნა, გაბედა და ნება-ნება ჩამოუყვა მთის ფერდს. თან რაღაც-ნაირი მქისე მოწყენილობა ჩამოჰყვა ციდან“ (ვარდისფერი კაცი). „აღარც თოვლი აპირებდა სოფლამდე ჩამოსვლას. კვირაის გორზე იჯდა და ნისლს იხვევდა“ (ვარდისფერი კაცი). „მთვარემ, როგორც იყო, იპოვა ღრუბლის ნაგლეჯი და ჩასთვლიმა“. „მტრედისფერი რიურაჟი ჰკოცნიდა სერებს“. „როგორც მთიდან გამოქანებული თოვლის ზვავი, ისე შემოვარდა იმ საღამოს ხეობაში გაზაფხული“. „ხახ-მატის გარშემო, ფერდობებზე, ნახანჯლარებივით ატყვია ბილიკები“ (ბახმატის მთვარე). არცთუ იშვიათია ფრთიანი გამონათქვამები: „ისეთი წვიმა წამოვიდა, მიწას ძირი გააგდებინა“. კოკისპირულ წვიმაზე უფრო ლაზათიანი თქმა შეუძლებელია. გამოქვაბულზე ამბობს: „მოსულა ვინმე და დედამიწისთვის თვალი გამოუთხრია“. ან როგორ მოსწრებული ნათქვამია ღრმა სიბერეზე: „ისეთ ასაკში არიან, კაცი ვერც იმას იტყვის, ზევით არიანო და ვერც იმას, ქვევი-

თაო“ (ჯიში). „წამონინმატდა ბერი, გამტკნარდა მუსიკა“. „ბერი და ჯღუნაიც იქ ცხოვრობენ, იმ სოფლის უბეში სვა-მენ თავიანთ კუთვნილ წუთისოფელს“ (დუმილის საწყაო). ადამიანის სიხარულზე ასე აქვს ნათქვამი – „იმ დღეს უსაზღვროდ ბედნიერი იყო სამძივარი, სილალეს გაეჩაღე-ბინა ქორნილი ქვრივის არსებაში“. დიდ მწუხარებაზე კი – „ქვრივის კივილმა გახია ზეცა, მთვარემ ვეღარ გაუძლო ქვრივის კივილს და ღრუბლებში მიიმალა“ (ქვრივის სამა-ნი). ალბათ ადამიანის სულიერი ემოციების გამოხატვა ამა-ზე სხარტად და უკეთესად შეუძლებელია. მეფე თამარზე ასეთი რამ აქვს ნათქვამი: „გთხოვთ, ნუ მოძებნით თამარის საფლავს. იგი დამბადებელმა ხელში აიყვანა და მზის სხი-ვად აქცია“ (თამარ დედოფალი). განა უფრო მეტი სიწმინ-დის წარმოდგენა შესაძლებელია?

ანდა რა საოცარი სითბო, რაოდენ დიდი კაცთმოყვა-რეობა და სევდა არის გამოხატული იმ სიტყვებში, როცა ის საფიხვნოში დამსხდარ ქალებზე საუბრობს: „მიმყუდ-როვებულან საფიხვნოში. დამსხდარან და მიწას ჩაჰურე-ბენ გაშტერებით. შავჩიქილიანები, შავები, შავად ჩაცმუ-ლები. ჯაფისაგან უდროოდ ჩამოლეულები, სანთელივით ჩამომდნარები, ჩამოლვენთილები. წინდებსა ქსოვენ და დროდადრო ოხრავენ. მივალ და ვკითხავ: რაზე ოხ-რავთ, თქვე ბეჩავებო, თქვე დამწვრებო, აქ რას უსხედ-ხართ! – ძვლებს ვითბობთ, ძმისავ... თქვენი უდროოდ ჩა-მობერებული ძვლებიდან ადენილი სუსტი ალი მიკიდია სულში. თქვენი ოხვრა მინთია სანთლად. თქვენი მუხლებ-ში ჩამდგარი სიბერე მაელდებს. გხედავთ და ასე მგონია, რომ ღმერთთან შესასვლელ კარს ვუყურებდე“. საოცრად ცოცხალი, ფანტასტიკური სურათია სოფლისა, ისეთი, სიცოცხლის ხანმოკლეობაზე და წარმავლობაზე ღრმად

შგზავრები წყობისფლის

რომ ჩაგაფიქრებს და ტირილი მოგინდება. ეს პატარა მოთხრობა „და ისევ გუდამაყრელი დედაკაცები“ ისეთი-ვე გენიალური ფსიქოლოგიური ნაწარმოებია, როგორც მეორე ასეთივე მცირე მოთხრობა „ხილული სამზეო“, რომელიც იმავე პრობლემებს ეხება. მოთხრობა ეძღვნება გუდამაყრელი მოხუცის ბათილას ცხოვრებას და დიდებულადაა გახსნილი მთიელის დარბაისლური ბუნება, რომელიც საქორწილო სუფრის ერთ პატარა სცენაშია დაჭერილი: „თეთრი თმაწვერით დაბერდა ბათილაი. მზე მიინურა მისი სულის დალრუბლულ ცაზე. დადგა, დაგვიანდა და წვეთ-წვეთ შრება... კარგა ხანია საუკუნეს გადააბიჯა. კარგა ხანია ხილული სამყარო დაეკარგა იმის თვალებს. თეთრი თმა-წვერით დაბერდა ბათილაი. მზე მოიღალა მის ძვალმსხვილ სხეულში ყოფნით. ახლა ისედა დგას მაგის ძვალმსხვილ სხეულში დაღლილი სული, როგორც მზის ჩასვლის მერე მთების წვერებს შემორჩებათ ხოლმე ფერმკრთალი მკვდრის მზე... მზე მიინურა ბათილაის სულის ცაზე. ზის და მზის ჩასვლას ელოდება. მზე კი ისევ დგას საწუთროს კალოზე... ბათილაი თავის მეხსიერებაში შემორჩენილ სამყაროს ჭვრეტაშია დანთქმული“... აქ სულის მზეზეა ლაპარაკი და არა რეალურ მზეზე. მოხუცს უცებ მოენატრება თავისი ძმადნაფიცი შუღლაი, რომელიც დიდი ხნის გარდაცვლილია. ერთი ახალგაზრდა ეტყვის – მე ვარ შუღლაიონ და საუბარს გაუბამს. ახალგაზრდები იცინიან ამაზე. მოხუცს კი უნდა საუბარი დიდხანს გაგრძელდეს. მეორე დღეს კიდევ მოუნდომებენ ჯეელები გახუმრებას – შუღლაის დავუძახოთო. – ვერ დაუძახებთ, აღარ არის. – პასუხობს დინჯად ბათილაი. ახალგაზრდები ახლალა ხვდებიან, რომ ბათილამ ძალიან კარგადაც იცის, რომ შუღლაი ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ არ შეიტყობინა.

ახალგაზრდების ხუმრობას სერიოზულად აჰყვა არა იმი-
ტომ, რომ მეხსიერებამ უმტყუნა, წარსულში დაბრუნება,
ძმადნაფიცთან გატარებული წლები მოენატრა. აი კიდევ
ერთი მხატვრული სახეებით გაჯერებული დიდოსტატური
სურათი საფიხვნოსი, სადაც აბსტრაქტულ ცნებებს – სიმ-
ყუდროვესა და სიმარტოვესაც კი სული ჩაუდგა მწერალ-
მა, სოფლისა, სადაც ადამიანებს ხშირად ბუნების სტიქი-
ასთან გამკლავება უჭირთ, სადაც ბუნება მბრძანებელია:
„სხედან ცამეტი მოხუცი და ერთი სიმარტოვე. ჰყვება
პავლიაი რაღაცას. საფიხვნოში სხედან. სიმყუდროვეც
იმათთანა ზის და ძველ ამბებს უგდებს ყურს. ყველა თავ-
თავის ნაწილზე იჯდა ჩუმად, მიწისკენ თავჩაკიდულნი.
მთებიდან სეირის სანახავად ჩამოსულიყო სიმარტოვე.
ისიც აქ იჯდა“. უცებ ზვავი წამოვიდა და მოხუცები წაი-
ლო. „და შეიხვია ზვავმა უბეში უკანასკნელი დღესასწა-
ული, ხევი ხველებით ჩაიარა და არაგვის ჭალაზე დაჯდა
ფეხმორთხმით. თოვდა. სოფელში ჯოხზე ჩამოკიდებული
ეფრემაილა დადიოდა. სიმარტოვე დასდევდა ქვითინით.
აქა-იქ ბლაოდა უწყლო საქონელი. თეთრ წინდას ქსოვდ-
ნენ შორეული ცის ლურჯი ხელები“ (თოვაში გასვენებუ-
ლი დღესასწაული). ძალიან დიდი ფანტაზიის უნარი უნდა
გქონდეს მწერალს, რომ სულიერისა და უსულოს, ადამი-
ანებისა და აბსტრაქტული ცნებების სიმბიოზი წარმო-
იდგინო და ასეთი გენიალური სურათი დახატო. აი კიდევ
ერთი აბსტრაქტული ცნებების გასულიერების მაგალითი:
„გასულ ზაფხულს ერთ ნასოფლარს შორიდან უმზერდა
უდაბურება. მერე, როგორც იქნა, გაბედა და სოფელშიც
ჩავიდა“ (თეთრი ქალთამზე). მისი კალამი მთიელი კაცის
ხასიათის კიდევ ერთ თავისებურებას ჩასწვდა – გულალა-
ლობას, ბავშვურ გულუბრყვილობას, ბუნების შვილისთ-

შგზავრები წყობისფლისა

ვის დამახასიათებელ მალემრწმენობას, როცა რეალური და გამოგონილი სამყაროები გაერთიანებულია მათ ცნობიერებაში (მთავარი როლის შემსრულებელი. ბერდედა. დავინცების მდინარე. ანაბარი. მახარობელი. მეფის დაძანილი, საზიარო ყვავი. ლიდელი ბათილაი. თამნიაური).

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მეტად ღირებულია მოთხრობა „სამანს იქით დასახლებულნი“. მასში ძალზე საინტერესოდ, მხატვრულად მოთხრობილია, თუ როგორ გაჩნდა მოსახლეობა გუდამაყარში, როგორი იყო გუდამაყრელთა კანონ-სამართალი, ადათ-წესები, როგორ უფრთხილდებოდნენ ზნეობას, სინდის-ნამუსს, რისთვის და როგორ ხდებოდა თემიდან ცოდვილთა მოკვეთა. მოთხრობაში მეტად სახასიათო პიროვნებებია გამოკვეთილი.

ადამიანთა ცხოვრება მაშინ არის სრულყოფილი, როცა საზოგადოება და პიროვნება ჰარმონიაშია. უბედურება იწყება მაშინ, როცა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის კონფლიქტი ხდება. თემური და კერძო საკუთრების მოსპობამ და კოლექტივიზაციის შემოღებამ, ადამიანებისადმი უსამართლო მოპყრობამ და ძარცვამ ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონფლიქტში ჩააგდო ღარიბი, პატიოსანი და ალალმართალი გლეხი გამიხარდაი (თევზის წერილები). უსამართლობამ მის სულში ქარიშხალი გააჩინა. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტმა საერთოდ ადამიანთა საზოგადოების გაუტანლობა-სიბოროტეზე დააფიქრა და ადამიანად ყოფნის სურვილი დაუკარგა. სულ უბრალო ახირებისა და დაუმორჩილებლობის გამო ბრიგადირმა და თავმჯდომარემ 15 ბულულის ნაცვლად გამიხარდაის 25 ბულული თივა წართვეს. ან ის თხუთმეტიც რატომ უნდა წარეთმიათ ვითომ? მარტოხელა კაცმა, მარტო პატარა ბავშვები და ცოლი რომ ეხმა-

რებოდნენ, დიდი ჯაფით დაამზადა ეს თივა. მას მხოლოდ 5 ბულული დაუტოვეს. ასეთი მცირედით ზამთარში საქონელი როგორდა გამოვკვებო? – ეკითხება გამიხარდაი, მაგრამ მისი ჩივილი არავის ესმის. მაშინ იმ ხუთ ძირ თივა-საც ცეცხლს წაუკიდებს და მდინარე არაგვში ჩაჯდება. მთელი სოფელი, ცოლ-შვილი, თავმჯდომარე, მილიცია ეხვეწებიან, ხან დასჯით ემუქრებიან, რომ მდინარიდან ამოვიდეს. ის პასუხს არ სცემს. ბოლოს წერილს გზავნის: „დღეის მერე მე ხალხთან საქმე არა მაქვს. მე აღარა მსურს ადამიანად ყოფნა იქ, სადაც არც სიმართლე გადის, არც შრომა ფასდება და კაცს კაცად არ გთვლიან. მე მიყვარდა ადამიანები, მაგრამ აღარ მიყვარან. იმიტომ, რომ აღარ ვარ ადამიანი. მე თევზი ვარ. ადამიანებთან აღარაფერი აღარ მინდა მქონდეს საერთო. მე დაგივიწყებთ თქვენ; რომელ ცოლ-შვილზე მელაპარაკები, წყალში რომ შემომტირიან?... მე მყავდა ცოლ-შვილი, ოღონდ ეს ადრე იყო, როცა ადამიანი ვიყავი... დღეს კი თევზი ვარ და თქვენთან საერთო აღარაფერი მაქვს... რაც შეეხება საზოგადოებას, ხალხს, მიწას, ჩემთვის აღარ არსებობს. მე მივატოვე ყველა და ყველაფერი, აღარც კი მახსოვს, მართლა ადამიანი ვიყავი? თქვენ, ადამიანებს თუ თავისუფლება გიყვართ, რატომღა იმონებთ ერთიმეორეს. თავისუფლება კი არა და დამცირება გიყვართ“. მერე იმართება წერილობითი კამათი თევზისა და ავტორს შორის. ეს არის ფილოსოფიური მსჯელობანი ადამიანთა საზოგადოების მანკიერებაზე, მონობაზე და თავისუფლებაზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე, სულის უკვდავებაზე. გამიხარდაი აცხადებს, რომ თევზად ყოფნა იმიტომ ირჩია, იქ მეტი თავისუფლება ეგულება. სოფელმა გამიხარდაი მოიკვეთა. ადიდებულმა არაგვმა უამრავი შეშა გამორიყა. ხალხი დაესია, შეშას თავთავის-

შგზავრები წყობისოფლისა

თვის აგროვებენ, ერთმანეთს სტაცებენ, მერე დიდი ჩხუბი მოუვათ და ცალ-ცალკე გაბუტულები მიდიან სახლებში. აი, ეს არის თქვენი ადამიანთა საზოგადოება თავისი გაუტანლობითო – ნიშნის მოგებით სწერს გამიხარდაი ავტორს. იმ ღამეს ადიდებულმა არაგვმა ხალხის შეგროვილ-ნაომარი შეშაც წაიღო და გამიხარდაიც. სოფელი თითქოს გონჩე მოვიდა, გამიხარდაის ოჯახის უბედურებამ ისევ შეკრა ხალხი და მისი ძებნა დაიწყეს, მაგრამ ამაოდ. გამიხარდაი სიმართლეს შეეწირა და საზოგადოებას აღარ დაბრუნებია. სოციალისტურ საზოგადოებასთან, საკოლმეურნეო წყობასთან კონფლიქტს სხვა ნაწარმოებებშიც დაუბრუნდა მწერალი. მათზე ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ კი კიდევ ერთ მოთხრობას უნდა შევეხოთ, ეს არის „დედის ჩიქილა“. ავადმყოფი დედა-შვილი ლელა და კვირია ყოველდღე 5 კილომეტრზე დადიან სათიბში. კოლმეურნეობის თავმჯდომარე პირწმინდად წაართმევს დამზადებულ თივას. მოხუცი ქალი იძულებულია ოთხივე ძროხა სახელმწიფოს ჩააბაროს, რადგან თივის გარეშე ვეღარ გამოაზამთრებს. მწირი რესურსების მქონე მთაში კოლმეურნეობის ფერმის გამოკვებას ძლივს ჰყოფნის თივა. გლეხს კერძო საქონლისთვის საკვებს აღარ უტოვებენ. მთაში გლეხი მხოლოდ საქონლით ირჩენდა თავს, საქონლის გარეშე დარჩენილი ოჯახი კი აუცილებლად განადგურდება. აქ კიდევ ერთხელ ხაზგასმულია, რომ ტრადიციული ისტორიული კერძო მეურნეობის მოშლამ, მაქ-სიმალურმა იმპერიულმა ექსპლოატაციამ, კოლექტიურმა სახელმწიფო საკუთრებამ გაანადგურა ხალხი. მთა საბოლოოდ ღატაკდება და ხალხისგან იცლება. ჭაბუკი კვირია, რომელმაც დედას ახალი ჩიქილაც კი ვერ უყიდა, მიწაზე დედის მანდილს დაემხობა და მწარედ ატირდება – იგრ-

ძნობს, რომ დედის გახუნებულ-გაცვეთილი ჩიქილა, ანუ მარტოხელა მოხუცი დედის ყოფა-ცხოვრება უფრო უნუ-გეშო და მძიმეა, ვიდრე დედამიწა.

გოდერძი ჩოხელი შესანიშნავი კინორეჟისორიც იყო. კინოფილმებად გადაღებით ყველა ასაკისა და სოციალური მდგომარეობის ადამიანებამდე აღწევდა მისი ნაწარმოებები. 30 წლის განმავლობაში მან ჩვიდმეტამდე მხატვრული ფილმი შექმნა – ზოგი – დიდი ნოველისტის რეზო ინანიშვილის თანამონაწილეობით. როცა ბევრნი ამბობდნენ, რომ 1990 წლის მერე ფილმები აღარ გადაღებულა და ქართული კინო მოკვდაო, გოდერძიმ 1997-99 წ. წ. უმძიმეს წლებში სამი ფილმი გადაიღო, მათ შორის კინოშედევრები „ლუკას სახარება“ და „სამოთხის გვრიტები“. თავს უფლებას მივცემთ, განვიხილოთ რამდენიმე მათგანი, რომლებშიც დიდი ფილოსოფიური პრობლემებია დასმული და შედევრებად იქცა.

ფილმში „სამოთხის გვრიტები“ ნაჩვენებია, მთაში კოლექტივიზაციამ, კერძო საკუთრების მოსპობამ, ადამიანთა გადაჭარბებულმა ექსპლოატაციამ როგორ დააბეჩავა და გააღატაკა საზოგადოება; ხელისუფლების წარმომადგენელი, უწიგნური ფერმის გამგე როგორ ცდილობს მაქ-სიმალურად ქანცის გაწყვეტამდე ამუშაოს ხანდაზმული ადამიანები. მისთვის ესაა მთავარი, ის სხვა ადამიანური გრძნობებისგან დაცლილია, სახელისუფლო რობოტად, ჯალათად ქცეულა. ცდილობს აუკრძალოს მათ სწავლა-განათლება, რადგან უსწავლელი, მონობამდე დასული ადამიანების დამორჩილება უფრო ადვილია. აქ ჩვენი სინამდვილეა ასახული. დღევანდელებს თუ არა, ძველ თაობებს გვახსოვს, საბჭოთა ხელისუფლების ბოლო წლებში როგორ აუცრუვდა ახალგაზრდობას სოფელზე გული, გა-

შეზავრები წყოთისოფლისა

ექცა სოფელს და მუშათა კლასს შეუერთდა. სოფელი, კო-ლექტივი კი მოხუცების იმედზე დარჩა. ხელისუფალნი ამ მოხუცებს სიკვდილამდე მოსვენებას არ აძლევდნენ, სა-მუშაოზე ერეკებოდნენ მუქთა მუშახელად. არ აძლევდნენ პირუტყვისათვის თივის გათიბვის უფლებასაც კი, შემოდ-გომით კი ქვევრიდან ღვინოს ამოუხაპავდნენ, ბეღლიდან სათესლე მარცვალსაც აღარ უტოვებდნენ. ისეთი ფაქტიც მახსოვს, როცა ღრმად მოხუც, ჯანგატეხილ კაცს შრომა აღარ შეეძლო და თავს არიდებდა კოლმეურნეობაში სამუ-შაოდ წასვლას, კოლმეურნეობის გამგეობა კი შრომადღე-ების ჩამორთმევით აჯარიმებდა მის რძალს, რომელსაც მეუღლე მეორე მსოფლიო ომში დაეღუპა და პენსიის გარე-შე დატოვებული ორი პანია ობოლი ჰყავდა გასაზრდელი. საბჭოთა ხელისუფლებას ეკლესია დაუხურია, მღვდელი გაუკრეჭია, ის კი თავისას არ იშლის, ხალხის დამოძღვრას თავს არ ანებებს. ფერმის გამგე მას ფიზიკური განადგუ-რებით ემუქრება, უმტვრევს სასწავლო ნივთებს და ხალხს სამუშაოდ ერეკება. მოძღვარი კი ხალხში ცოდნა-განათ-ლების შეტანას არ ეშვება. ხალხის სურვილიც ეს არის. ეს ბრძოლაა სიბნელესა და სინათლეს შორის – ესაა რეალუ-რი ცხოვრება. ულამაზესია ამ უბრალო ხალხის ლხინი და ცეკვა-თამაში ბუნების წიაღში. ამის დანახვაზე ფერმის გამგეში ერთი წუთით ადამიანური ბუნება იღვიძებს, ხალ-ხში საცეკვაოდ გაერევა, მერე კი ისევ მხეცი იღვიძებს მის სულში და ხალხს ლხინს ჩაუშლის, სამუშაოდ გარეკავს. სა-ბოლოოდ მოხუცები ტაძარში შედიან, სანთლებს ანთებენ და გალობენ. ფერმის გამგეც მათთან მიდის და სანთელს ანთებს. ამით რეჟისორი და ავტორი გვიჩვენებს ადამიანთა სულიერი განწმენდის გზას. საკოლმეურნეო წყობილების საბოლოო შედეგი ამ ფილმში ერთი ფრაზით არის შეფასე-

ბული: მღვდელყოფილი გაკვეთილს უტარებს მოხუცებს, ჰყვებიან კომბლეს ზღაპარს. – ვინ შეჭამა კომბლეს ცხვრები? – ეკითხება მასწავლებელი ერთ მოხუც ქალს. ის კი პასუხობს: – მასწავლებელო, კოლექტივმა შეჭამა კომბლეს ცხვრებიო... და ძალაუნებურად გახსენდება, როგორ აიძულეს 30-იან წლებში კოლმეურნეობებში შესვლა გლეხებს მთელი ცხვარ-ძროხით, ხარ-გუთნით, თან დააიმედეს – თუ აღარ მოგინდებათ ჩვენთან ყოფნა, თქვენს საქონელს უკან დაგიბრუნებთო; მაგრამ არც არავინ გამოუშვიათ კოლმეურნეობიდან და არც არავისთვის დაუბრუნებიათ საქონელი.

ფილმში „ლუკას სახარება“ ძალზე მძაფრად არის დასატული პატარა მთიელების აღზრდის მანკიერი სურათი. უსასტიკესი დესპოტია დირექტორი, ბავშვები და პედაგოგები მონებად უქცევია. ბავშვებს აჩვევს ურთიერთდაბეზღებას, ცემა-ტყეპას, ცდილობს მათში ჩაკლას ბავშვური სისპეტაკე, გაუღვიძოს სისასტიკე, ტრადიციებისადმი და ერთმანეთისადმი სიძულვილი, აღზარდოს ისინი ჯალათებად. ლუკა უდედმამოა, ობოლ ბავშვს ბებია ზრდის. მას მამისგან ერთადერთი სახსოვარი – სახარება დარჩენია. ლუკა ამაყობს ამ სახსოვარით და სკოლაში წაიღებს. სახარებას დირექტორი წართმევს. მერე ბავშვი სკოლაში მალულად აღდგომის კვერცხებს წაიღებს. ბავშვები დირექტორთან დააბეზღებენ. დირექტორი ერთ-ერთ მოსწავლეს აიძულებს ლუკა გაროზგოს, მერე ბავშვს ზურგზე დიდ ჯვარს აპეიდებს, ეზოში წრეზე ატარებს, ბავშვები უკან დასდევენ შეურაცხმყოფელი შეძახილებით და როზგებით. ბავშვის სულის შერყვნის უფროს შემზარავი სურათის დახატვა შეუძლებელია. ამ შემზარავ სურათს კი სკოლის აივნიდან მონური მორჩილებით უმზერენ პედა-

მგზავრები წყობისფლისა

გოგები. ლუკას ბებია უკვდება. დირექტორი სკოლიდან გარიცხავს. ბიჭი თავგანწირვით შეიჭრება დირექტორის კაბინეტში, თავის სახარებას გაიტაცებს და ბებიის სამარეზე მისული სასონარკვეთილი მწარედ ატირდება. ის ყველამ მიატოვა – პედაგოგებმაც, ამხანაგებმაც, სოფელმაც. ამ დროს ბიჭს თავზე დაადგება მისივე გაზრდილი ულამაზესი ხარი, რომელიც გაჭირვების გამო ბებიამ გაყიდა. ხარი ვაჭარს გამოექცა და სახლში დაბრუნდა. ბიჭი მარტო აღარ არის, მეგობრად ხარი ჰყავს. სახლში გახარებული ბრუნდება სახარებით და ხარით. იმედი ჩნდება: – ნუ გეშინია, ჩემო ნიკორა, ვიმუშაოთ მე და შენ და ყველაფერიც გვექნება. – იქით აიმედებს ბავშვი ხარს. კადრში ჩანს შავი მთის იქით მზით განათებული, ოქროსფერი მყინვარი. შავი ქედი სიმბოლოა იმ გაუსაძლისი ყოფისა, რომელშიც ლუკა იმყოფება; მზით გაჩახჩახებული ოქროსფერი მყინვარი კი სიმბოლოა მომავალი ბედნიერი ცხოვრებისა, იმედისა, იმ მიზნისა, რომელსაც ბიჭმა ალალი შრომით უნდა მიაღწიოს. ანუ ეს არის ბრწყინვალე სიმბოლო: ყმაწვილი, მარჩენალი ხარის ქედი და სულიერება – სახარება. ადამიანს ძალა წინაპართა საფლავებმა, მარჩენალმა მიწამ, ხარის მადლიანმა ქედმა, ალალმა შრომამ და ღვთიურმა სულიერმა განწმენდამ უნდა მისცეს. აი გზა ერის გადარჩენისა. – გვმოძღვრავს მწერალი. გოდერძი ჩოხელი ის რეჟისორია, რომელსაც აქვს ფილმებში ძლიერი სიმბოლოების შექმნის, ძლიერი სიმბოლოებით აზროვნების უნარი. ასეთ სიმბოლოებს არაერთ ფილმში ვხედავთ. აღზრდის თემაზე უამრავი ფილმი და მოთხრობა შექმნილა, მაგრამ ალბათ ასეთი მძაფრი და ღრმააზროვანი ნაწარმოები იშვიათად.

რა მოუტანა რუსთა ორასწლიანმა ბატონობამ საქართ-

ველოს მთას? ამ საკითხს მწერალი და რეჟისორი არაერთ ნაწარმოებში უბრუნდება. სრულიად სამართლიანი იყო ამ საკითხზე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ვახტანგ გურულის დასკვნა: „გოდერძიმ გააგრძელა ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების განყვეტილი ჯაჭვი – რუსული მონობის ამსახველი. ყაზბეგის მერე იმპერიის იდეოლოგებმა ბჭყვრიალა ფარდა ჩამოაფარეს საქართველოს, აცხადებდნენ, რომ რუსეთმა ბედნიერება მოგვიტანა. გოდერძიმ ამ ფარდის იქით შეგვახედა თავისი შემოქმედებით, ამხილა ის საშინელებანი, რაც რუსულმა მონობამ მოგვიტანა“.

ერთ-ერთ მოკლემეტრაჟიან ფილმში „ადგილის დედა“ ნაჩვენებია ხევსურეთის მიტოვებული სოფელი. ფილმი თითქმის უსიტყვოა. ბოლი მხოლოდ ერთადერთი სახლი-დანდა ამოდის. მარტოხელა მოხუცი ქალი კაცის საქმესაც და ქალისასაც თვითონ უძღვება. ერთადერთი ღრმად მოხუცი პაპა მთელი ფილმის მანძილზე უძრავად ზის ბაზე და შორეთს გაჰყურებს, წარსულშია დანთქმული, ქალს ხმას არ სცემს. მერე ბერიკაციც კვდება და ქალი სულ მარტო რჩება. სასონარკვეთილი თოკს ჩამოაბამს და თავის დახრჩობას განიზრახავს. სახრჩობელის ყულფში ჩანს მთელი სოფელი. ეს არის გენიალური სიმბოლო გადაშენებული სოფლისა. ფსიქოლოგიურ დაძაბულობას აძლიერებს ის, რომ მოხუცი ქალი სამჯერ ადი-ჩადის სახრჩობელის სკამიდან – ხან ჩამოვა და წყალს მოსვამს, ხან გარღვეულ კაბის კალთას შენიშნავს და მის გასაკერად ჩამოდის. ამ დროს ეზოში შემოსული ძროხა დაიზმუვლებს და ყულფში თავგაყოფილი ქალი თავის ჩამოხრჩობას გადაიფიქრებს – არის კიდევ „ხმის გამცემი“, სულიერი, რომელსაც ზრუნვა და მოვლა სჭირდება. ქალს ცხოვრების რაღაც აზრი ეძლევა. ყულფში დანახული სოფლით რეჟისორი აფრთხილებს

შგზავრები წყობისფლისა

ხელისუფალთ – მთა საფრთხეშია, გადაშენება ემუქრება, უშველეთ მთას! სამწუხაროდ ხელისუფლება ბრმა და ყრუ იყო, მთისა და სოფლის გადასარჩენად არაფერი გააკეთა, საზღვარგარეთ ყურების იმედად და საკუთარი ქვეყნის ძარცვა-ყიდვით, პირადი გამდიდრებით იყო დაკავებული. ეს თითქმის უსიტყვო ფილმი გენიალური ნაწარმოებია. სოფლის გადაშენების, ადამიანის სიმარტოვის ტკივილებ-ზე უფრო დიდი ნაწარმოები მსოფლიო კინოხელოვნებაში აღბათ ძნელი მოსაძებნია.

ასევე ძნელია მოიძებნოს მეორე ისეთი ფილოსოფიური ფილმი, როგორიცაა „ადამიანთა სევდა“. გუდამაყარში ოდითგან დაუდგენიათ, რომ ხეობის ნებისმიერ სოფელში მისულ ჩოხელებს საცოლედ ქალის მიცემაზე უარი არ უნდა უთხრან, თუნდაც ხეიბარი იყოს. ჭაბუკს შეთეს ერთ-ერთ სოფელში ქალი არ მისცეს და საერთოდაც ამ წესზე უარი განაცხადეს. მაშინ ჩოხელები გადაწყვეტენ დალაშქრონ მთელი ხეობის გაურჩებული სოფლები. აირჩევენ მთავარ-სარდლად ყოფილ ოფიცერს ვაჟი-გოგის, მწერალს, ექიმს, ისტორიკოსს, ფილოსოფოსს, ზურგის სარდალს, მზვერა-ვებს, საიდუმლო ნაწილს, საზღვაო ნაწილს, რომელმაც თუმცა გუდამაყარში ზღვა არ არის, არაგვის ნაპირებზე უნდა იაროს, მყვირალებს, რომლებსაც სოფელზე შეტევი-სას დიდი ხმაურის ატეხვა და „მონინაალმდევის“ დაშინე-ბა ევალებათ. ლაშქრობა სოფელ ჩოხიდან იწყება. მოლაშ-ქრეთა უმეტესობა ქალებია, რადგან ზამთრობით კაცები ცხვარში მიდიან, ახალგაზრდები – ქალაქში. გუდამაყარი კი ქალებსა და ბავშვებსლა რჩებათ. ზოგ სოფელში მოლაშ-ქრებს მარტო თითო-ოროლა ქალიდა ხვდებათ, ზოგი უკ-ვე ნასოფლარია, ზოგან მარტო ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი-ღაა. ფილოსოფოსი აღებულ სოფლებში ხალხს სხვადასხვა

ფილოსოფიურ შეკითხვებს აძლევს: სიკვდილი რა არის? რა აზრი აქვს ადამიანის ხანგრძლივ სიცოცხლეს? წყალმა ფიქრი იცის? ხემ? რა არის სიცოცხლე ან საიდან მოვიდა? ადამიანი რომ კვდება, სად მიდის? სიზმარი რა არის? ეს დედამიწა სულ მუდამ იარსებებს? ვარსკვლავებზე არიან ადამიანები თუ არა? სად მიდის სული ადამიანის სიკვდილის შემდეგ? ქვებსა და ხეებს თუ აქვთ სიკვდილის განცდა? მიწა უფრო გიყვარს თუ ჰაერი? ბოროტება უნდა იყოს თუ არა? სული უკვდავია თუ არა? არსებობს თუ არა დასაწყისი ან დასასრული და სხვა. დარდების შემგროვებელი გამიხარდა ეკითხება ხალხს – ვის რა დარდი აწუხებს და დავთარში იწერს. უსწავლელი, უბირი გლეხები საოცრად ღრმააზროვან პასუხებს იძლევიან, ზოგი კი პასუხად მშვენიერ ამბავს უყვება ხალხური სიტყვიერებიდან:

- რა გადარდებს პაპავ?
- ამ ქვეყანაზე დარდი რომ არ ილევა, ის მადარდებს.
- რა არის ბედნიერება?
- კაცი რო მოსაგონარს დატოვებს, ის არის ბედნიერება.
- კაცმა სხვა არ უნდა დააღონოს თავის სიცოცხლით.
- რა არის სიცოცხლე?
- სიცოცხლე სევდაა, ამ ქვეყნად ყოფნის სევდა.
- რა არის სიკვდილი?
- სიკვდილიც სევდაა. ამ ქვეყანაზე არყოფნის სევდა.

ერთ სოფელში ერთადერთი დედაკაცილა დარჩენილა. ფილოსოფოსი ეკითხება: რამდენი წელი გინდა იცოცხლო? რა ნატვრა გაქვს? ქალი პასუხობს: – შვილი ომში დამეღუპა და იმის ნახვას ვისურვებდიო და შვილის სახელის ხსენებაზე კვდება. აი, კიდევ ერთი გასაოცარი ნატვრა: „მე მინახია, როგორ ჰყვაოდნენ იები მიწიდან ამოჩრილ კაცის ძვლებში. სიცოცხლეში რომ ეკითხათ ამ ძვლების პატრო-

შგზავრები წყობისფლისა

ნისათვის, რას ინატრებდიო, ალბათ ვერც ინატრებდა ასეთ რამეს. მე კი ვინატრებდი“.

მთელ დედამიწაზე სიკვდილი ყველას სძულს. ფშავ-ხევ-სურეთში კი ქართველმა კაცმა თქვა: „შენი ჭირიმე სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა“. ალბათ მსოფლიოში არავის მოუვიდოდა ასეთი გენიალური ფილოსოფიური აზრი. რა მოხდება, თუ დედამიწაზე სიკვდილი აღარ იარსებებს? ფილმში ასეთი ამბავია მოთხრობილი: ხატობაზე ხალხი შეკრებილა. ლხინი აქვთ – ლუდის სმა, დაკვრა, ცეკვა-თა-მაში. უცებ მათ სიკვდილი გამოეცხადებათ ადამიანის იერ-სახით. მათთან ერთად მოლხენა სურს საღამომდე. მერე კი უნდა მოკვდეს. იმ დღეს მის გარდა სხვა არავინ მოკვდება. მას სიხარულით ხვდებიან, ხატობის მონაწილენი მის სადღეგრძელოს სვამენ. ზოგნი ძმად გაეფიცებიან სიკვ-დილს. მერე მოცეკვავეებში გაერევა, მასთან ერთად ცეკ-ვავენ. ჯლუნას კი არ სურს სიკვდილთან შერიგება. ხალხი აშოშმინებს, ის კი არ იშლის და სიკვდილს ხანჯლით კლავს. თან ნიშნის მოგებით სიხარულით ეუბნება ხალხს: სიკვდილი მოკვალი ხალხო; მას ჰგონია, რომ ამით დედამიწაზე სიკვდილი აღარ იარსებებს. ხალხი შეძრწუნებულია, სიკ-დვილიც საჭიროა ამ ქვეყანაზე, სიკვდილი მათი სტუმარი და ძმადნაფიცი იყო, მისი მოკვლა ეწყინათ. ჯლუნა ხალხს გაერიდება, გადაიკარგება. ამ დროს კი ბიჭი იბადება – ახა-ლი სიცოცხლე.

გამიხარდაის ღმერთთან გასაუბრება სურს. ერთი მოხუ-ცი მაღლა მთაზე ავა და თეთრ ნაბადში შემოსილი გამო-ეცხადება, ვითომ ღმერთია. გამიხარდაი ხალხის დარდებით სავსე წიგნითა და გუდით წარსდგება ღმერთთან. ღმერ-თი მას მხოლოდ ერთი დარდის თქმის უფლებას აძლევს. ეკითხება – ყველაზე მთავარი დარდი რა აქვთ ადამიანებს?

გამიხარდა ადამიანთა №1 დარდს ეტყვის: – მოხდება ომი და მოისპობა დედამიწაზე სიცოცხლე. ღმერთი პასუხობს: – ეგ არასოდეს მოხდება. მშვიდად იყავითო. ამით მთავრდება ფილმი. ცრემლნარევ, ნახევრად იუმორიან ლაშქრობაში ბევრი ტკივილი, ბევრი ფილოსოფიური პრობლემაა ჩაქსოვილი – რა ანუხებთ ადამიანებს, რაზე დარდობენ. მთავარი კი მაინც დედამიწაზე მშვიდობაა, ომი ბოროტებაა, კაცი კაცის კვლაზე არ უნდა ფიქრობდეს, ადამიანს ღმერთი აძლევს სიცოცხლის უფლებას და ხელისუფალთ არა აქვთ მისი წართმევის უფლება. რა თქმა უნდა, სიკვდილსაც აქვს ქვეყნად არსებობის უფლება, ისიც ღვთისგან დაწესებულია და მის გარეშე სიცოცხლის ფასი ადამიანებს არ ეცოდინებათ. არა ადამიანის ტყვეობას. ადამიანი ღვთისგან გაჩენილია და ცისქვეშეთში თავისუფალი უნდა იყოს. მაგრამ ფილმში კიდევ ერთი ფარული მინიშნებაა. ეს არის კადრებში ნაჩვენები ის გაპარტახებული, დაცლილი ნასოფლარები და სოფლები, ვაჟი-გოგის ლაშქარი რომ იპყრობს; ეს არის აქა-იქ შერჩენილი დაუძლურებული, ჯაფისგან ჯანგატეხილი მოსახლეობა; ეს არის კაი ყმის გარეშე დარჩენილი სოფელი, კაი პატრონის გარეშე დარჩენილი ქვეყანა. აი, ეს არის იმპერიის ორასწლიანი კოლონიური პოლიტიკის შედეგი მთაში. მწერალი და რეჟისორი ამას ასე გადაკვრით, შეპარვით მაინც მიგვანიშნებს; ფილმის მშვენებაა შიგადაშიგ ჩართული მცირე, მაგრამ მშვენიერი ნოველები. ალბათ მსოფლიოში მსგავსი ფილოსოფიური ნაწარმოები და ფილმი არცთუ ხშირად შექმნილა.

ამავე პრობლემებს ეძღვნება ფილმი „აღდგომა“. დედამიწაზე უამრავი სასაფლაოა. იქ ბევრი ღირსეული ადამიანი განისვენებს, მათ მხოლოდ ცივი სამარის ქვები ადევთ მცირე წარწერებით; მაგრამ ამის დანახვაზე ადამიანს ბევ-

მგზავრები წყობისფლისა

რი ფიქრიც მოეძალება, მათაც ხომ ბევრი დარდი და ფიქრი გაჰყვათ, ბევრი რამ იციან, ბევრს „ჭკუა მოეკითხება“. ეს არის სიკვდილ-სიცოცხლის ფილოსოფია. მწერალი განიზ-რახავს მიცვალებულებთან გასაუბრებას: სააქაოში რა იყო კარგი, რა უყვარდათ; რომელი სჯობს – სააქაო თუ საიქიო. როგორ უნდა იცხოვროს კაცმა, რომ სამოთხეში მოხვდეს? ბედნიერება რა არის? კაცმა რა უნდა აკეთოს, რომ სახე-ლი დატოვოს? კაცმა რომ კაცი მოკლას, სისხლის აღება სწორია თუ არა? სიკვდილი ძნელია? რა არის სიყვარული? ყველა ადამიანში არის ღმერთი? რა ადარდებთ მიცვალე-ბულებს? ადგებიან თუ არა მიცვალებულები? – ეს ადარ-დებთ წასულებს. სასაფლაოზე თოვლი დევს. შიგადაშიგ სააღდგომო კრავი დაბორიალობს ალბათ მათი სულების სიმბოლოდ. ერეკლეს დროინდელ მიცვალებულს ეკითხე-ბა – რა სურვილი გაქვსო. აღდგომა, ცხენი და ხმალიო. იქ სამშობლო დამრჩა საპატრონო. ერთი მიცვალებული ქა-ლი პასუხობს: – არაგველებს ველოდები. მათი ამბავი ვერა გავიგერა. იქნებ იკითხო და გამაგებინო. – მეც არაგვე-ლი ვარ, შავი არაგვიდან, გუდამაყრიდან. ეუბნება ავტო-რი. მერე კრწანისს ჩასული უხმობს არაგველებს – სადა ხართ არაგველებო! ფილმში ისმის კრწანისის ომის ხმა. ეკრანზე გაიელვებს აღმაშენებლის, გიორგი მესამის, თა-მარის, რუსთველის, სულხან-საბას, ერეკლეს, ილია მართ-ლის ფრესკები... და ფილმი მთავრდება ავტორის ძახილით: – სადა ხართ არაგველებო? – ანუ მოწოდება სამშობლოს აღდგენა-გამოხსნისაკენ. ეს ფილმი გადაღებულია 1982 წელს. იმპერიის ცენზურის პირობებში ამის თქმა-გადაღე-ბა დიდი გამბედაობა იყო.

დიდი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ერთ-ერთ დიდ პრობლემათაგანს – „სტუმარ-მასპინძელსა“ და „ალუ-

და ქეთელაურში“ დასმულ მთიელთა თემთაშორისისა და სისხლის აღების პრობლემებსაც შეეხო გოდერძი ჩოხელი ფილმში „ცოდვის შვილები“. უღარიბეს ქისტს ცოლი უკვდება. წვრილი ობლები რჩება. მას სისხლის აღების მოსურნე ხევსური გაიტაცებს. კარნინ დიდხანს ჯაჭვით ჰყავს დაბმული. გამოსასყიდს თხოულობს. ჩეჩინეთიდან ქისტის ობლები დიდთოვლობაში გადმოვლენ და გამოსასყიდად ერთადერთ მარჩენალ ძროხას მოუყვანენ. ხევსური ტყვეს ათავისუფლებს, მაგრამ პატარა ბავშვების ცოდვა შესძრავს და თავს იკლავს. ამით ის განაჩენს გამოუტანს სისხლის აღების სასტიკ ადათ-წესს. ეს ფილმი იმდენად შემაძრნუნებელია, რომ ამ თემაზე უფრო ძლიერი ნაწარმოების წარმოდგენა შეუძლებელია.

ადამიანთა საზოგადოების გულგრილობა-სისასტიკეს ეძღვნება ფილმი „აღდგომის ბატყანი“, რომელიც მისი მოთხოვნის „ახაიდუ, ახაიდა, დურხანის“ ეკრანიზებას წარმოადგენს. ახაიდუ უწყინარი მათხოვარია, საზოგადოებისგან გარიყულია, მხოლოდ ბავშვებთან არის ბედნიერი. ერთ სოფელში მას ბატყანი აჩუქეს. ტყეში მიტოვებულ ტაძარში მივიდა, სანთელი დაანთო, ილოცა, მერე ბატყანთან ჩახუტებულს ტაძრის კედელთან ჩაეძინა. ტაძარში მოდის მოქეიფეთა ჯგუფი უწესო ქალების თანხლებით, ცეცხლი დაანთეს, მწვადების შეწვას და ღრეობას აპირებენ. დაინახეს ახაიდე. ბატყანის წართმევა და დაკვლა დააპირეს. ახაიდე არ ანებებს და შემოაკვდებათ. შეშინებულები გაიქცევიან. ბატყანი ტყეში გაუჩინარდება და მგლები შეჭამენ. აქ ძალზე აშკარადაა ნაჩვენები სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება, უფლის რწმენა და ურნმუნოება. ადამიანთა ერთი ნაწილი არაფრით განსხვავდება მგლებისგან. უღმერთობა-ურნმუნობით აღზრდილებმა დაივინყეს ეკ-

მგზავრები წყობისფლის

ლესიაც, ღმერთიც, ხატიც. ეკლესია დროსტარების ადგი-ლად მიაჩნიათ. მათ გარემოცვაში ერთეულები, კრავივით უცოდველები იღუპებიან საზოგადოების განადირების გამო. აკი თვითონ ავტორიც ადამიანთა გაუცხოებამ და გულგრილობამ შეიწირა იმ აღდგომის ბატკანივით.

კინოხელოვნებაში თავისი მოღვაწეობა მოკრძალებულად, მაგრამ გენიალურად თვითონვე ასე შეაფასა: „კინოს მე არ ვიღებ, მე ვლოცულობ ღმერთზე. კინო ჩემი ბედისწერაა“. თავისი ფილმები მან ღმერთზე ლოცვას გაუთანაბრა.

გოდერძი ჩოხელმა დიდებული ლექსებიც შექმნა, ისე-თივე ღრმააზროვანი და ლამაზი, როგორც მისი მოთხ-რობები. მისთვის სამშობლო და მშობლიური ხალხი იყო სალოცავი ხატი და მთელი შემოქმედებით ამისთვის დაი-სარჯა. ამაზე შესანიშნავად მეტყველებს მისი ერთი ლექ-სის სტრიქონები:

„გაიტანეთ და

შიშველ კარჩხაზე ჩამოჰკიდეთ ჩემი სხეული! -

თუ არ გამოვდექ საქართველოსთვის,

მერე დამწვით და

ეს სხეული ფერფლად ქცეული

ქარს გაატანეთ საქართველოსთვის!...

გაიტანეთ და,

შიშველ კარჩხაზე ჩამოჰკიდეთ ჩემი სხეული -

საქართველოსთვის!

საქართველოსთვის!“

ჩვენ ყველას გვიყვარს სამშობლო, ადგილის დედა იმ კუთხისა, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ; მაგრამ ამ გრძნობის ქაღალზე გადატანა, ლამაზ სტრიქონებად ჩა-

მოსხმა მხოლოდ ერთეულებს ხელენიფებათ. ეს გრძნობა გასაოცარი სიძლიერით აქვს გადმოცემული ერთ პატარა ლექსში:

„სად დაგიჩოქო, არაგვო,
რომელ ტალღაზე გემთხვიო,
თუ მუხლის ჩოქით ამოგყვე,
სათავეს გადავეხვიო,
შენი ნაპირის ლოდები
მინდა, ჩავიწყო გულშია,
თუ სათავემდე ვერ მოვე,
დაგხვდები ანანურშია,
ჭრელ ლილად დაგეკერები
მაგ მოლივლივე სულშია“.

– რაც კი ქართული ტკივილი იყო, გავიტარე გულში. ამიტომ გული მტკივა. გული მაქვს ცუდად. – ამბობდა ბოლო წლებში. სააკაშვილის ხელისუფლების გულქვაობამ შეინირა იგი. მაშინ დადგა დრო, როცა ხელისუფლება ქვეყნის ძარცვა-გლეჯით გატაცებული, ებრძოდა ქართულ ზნეობას, ქართულ კულტურას, ქართულ მეცნიერებას, ქართულ მწერლობას. მოსპეს ყველა შემოქმედებითი კავშირები, გაანადგურეს კინოსტუდია... და გოდერძი ჩოხელი ხელისუფალთაგან სრულიად მიტოვებული და დაუფასებელი აღმოჩნდა. არავის აღარ ვჭირდებიო – იმეორებდა ხშირად. უმოქმედობაზე საშინელი შემოქმედი ადამიანისათვის არაფერია. მისმა მეუღლემ ნინო ჩოხელმა ჟურნალ „თბილი-სელებისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „გოდერძის არ შეუძლია ვინმე შეაწუხოს ან რაიმე სთხოვოს. ამიტომ იყო ასეთ დღეში. მაგრამ მისი მთავარი ტკივილი მატერია-

მგზავრები წყობისფლის

ლური გაჭირვება არ ყოფილა. კი, ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ გოდერძის თავისი საქმე უნდოდა ეკეთებინა, შემოქმედებითად ვეღარ იხარჯებოდა და ეს სტკიოდა ყველაზე მეტად. ამის გამო ბოლო წლებში ხშირად ფიქრობდა თვითმკვლელობაზე. ხელისუფალთა უმადურობა იქამდე მივიდა, რომ ნაძალადევში პარლამენტის დეპუტატად კენჭისყრის დროსაც შედეგები გაუყალბეს და მის ნაცვლად ერთი ფულიანი საქმოსანი გაიყვანეს. მაშინ სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთა, რომ პარლამენტში მხოლოდ ფულიანი ბიზნესმენები შეეყვანა, რუის-ურბნისის ეპარქიის ქოზიფის მამათა მონასტერში იყო ერთხანს. უურნალ „თბილისელების“ 2003 წლის 25 მაისის ნომერი იუწყებოდა: „მონასტერში უნიჭიერესმა მწერალმა და კინორეჟისორმა, ყველასათვის საყვარელმა პიროვნებამ გოდერძი ჩოხელმა თვითმკვლელობა სცადა და საკუთარ თავს ორი დანით გულმკერდის არეში ხუთი სასიკვდილო ჭრილობა მიიყენა. სისხლისგან დაცლილი მწერალი მონასტრის ბერებმა იპოვეს და საავადმყოფში გადაიყვანეს... უფლის ნებით გოდერძი ჩოხელი გადარჩა... თუმცა დაჭრილის მდგომარეობა, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი, მძიმეა.

ვისაც გოდერძი ჩოხელის ერთი ფილმი მაინც უნახავს, ან მისი დაწერილი ერთი სტრიქონი წაუკითხავს, მიხვდება, რა უდიდესი შემოქმედებითი პოტენციალის მატარებელია ეს უბრალო, პატარა ბავშვივით მორცხვი და მორიდებული ადამიანი. „ადამიანთა სევდის“ ავტორმა უზარმაზარი სევდა ვეღარ დაიტია და ამჯერად სიკვდილს პირდაპირ ჩახედა თვალებში. ჩვენ კი კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა იმაზე, ლირს თუ არა სიცოცხლე იმ ქვეყანაში, სადაც აღარ არის იმედი და სიკეთე“.

უსახსრობის გამო ფილმების გადაღება ვეღარ შესძლო.

ბევრი განუხორციელებელი სცენარი დარჩა. ენატრებოდა მთა და დედის საფლავი, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვე-ლარ ადიოდა ჩოხში, სადაც სახლიც კი აღარ ჰქონდა. გუ-ლის ოპერაციისთვის 125 ათასი დოლარი იყო საჭირო და თანხის გამლები არც ხელისუფლება, არც ქართველი მი-ლიონერებიდან გამოჩნდა ვინმე. ეს მაშინ, როცა საკაშვი-ლი უცხოეთში სახეტიალოდ და ამორალური ღრეობისათ-ვის წელიწადში საპრეზიდენტო ფონდიდან 30 მილიონის ნაცვლად 70 მილიონ ლარს ხარჯავდა; ამერიკიდან მასა-ჟისტის ჩამოყვანისა და თავისი ულირსი სხეულის მასაჟის გასაკეთებლად 50 ათასი დოლარი გაიღო; ერთი უცხოელი მომლერლის ჩამოყვანისა და რიყეზე კონცერტისათვის ხუთი მილიონი დოლარი გასცეს; თბილისის ცაში ლაზე-რული ფეირვერკის საახალწლო ჩვენებისათვის თბილისის მერმა ქალაქის ბიუჯეტიდან 300 ათასი დოლარი გაიღო; პერსონალური მანქანის შესაძენად თითოეული ხელისუ-ფალი ბიუჯეტიდან 100 ათას დოლარს იხდიდა. არაერთი უმნიშვნელო პიროვნების უცხოეთში საოპერაციოდ 300 ათას დოლარამდე გაიღეს. ჩინეთიდან საახალწლო ნაძვის ხის ჩამოტანაზე და თბილისში დადგმაზე 100 ათასი დო-ლარი გადაიხადეს. ხელისუფლებამ, კულტურის სამინის-ტრომ ბოლოს და ბოლოს გულქვაობითა და უყურადღებო-ბით თვითმევლელობის მცდელობამდე მიიყვანეს და მერე სასიკვდილოდ გაწირეს. და აი დგება სიცოცხლესთან გან-შორების უმძიმესი უამიც: ქვეყნისა და ხალხის ძარცვა-ნამებით გატაცებულ, ბოროტების მწვერვალზე მყოფ ხე-ლისუფლებას ის დავიწყებული ჰყავს. საზოგადოებისგან მიტოვებულია; უკიდურეს სიღატაკეშია; უდიდესი ფიზი-კური და სულიერი შეჭირვების უამი უდგას; მოახლოებულ სიკვდილთან დუელში პირისპირ მარტოა დარჩენილი და,

მგზავრები წყობისფლისა

როგორც ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, დაცლილია ყველა ვაზნა; სიცოცხლისა და იმედის უკანასკნელ ნაპირამდე ყველა ხიდი ჩაშლილია... ქვეყანაში არსებული ვითარება არარაობის ზღვად იქცა... და მაშინ გაისმის მისი სულის ყველაზე ტკივილიანი ამოძახილი:

„ემატება ტკივილი ტკივილს,
გულში ჩამიქრა სიხარული,
გაქრა მზის სხივიც,
სულის სიღრმეში
ბინდისფერი ყორანი ყივის“.
„სადღაც აქვეა სიკვდილი,
როგორც ახლოა მიწა,
არყოფნის გემებს მივკივი
არარაობის ზღვიდან“.

2007 წლის 19 ნოემბრის გაზეთი „ასავალ-დასავალი“ იუწყებოდა: „გარდაიცვალა უდიდესი ქართველი მწერალი, კინორეჟისორი და მამულიშვილი გოდერძი ჩოხელი“. რედაქტორი ჭეშმარიტი საზოგადოების აზრი გამოხატა, როდესაც იგი მაშინვე დიდ მწერლად აღიარა. მის გარდაცვალებას „ასავალ-დასავალმა“ მაშინ საგანგებო გვერდი მიუძღვნა. გაზეთის ამ ნომრიდან მინდა სრულად მოვიტანო უურნალისტ გიორგი მამაცაშვილის წერილი, რომელშიც აღნიშნულია გოდერძის ცხოვრების ზოგიერთი დეტალი, ჩინებულად გამოხატავს მთელი ქართველი ხალხის გულისტიკივილს და დატირების ბრწყივნალე ნიმუშია: „მეც დავწერ თქვენზე.

ერთ დღეს ციდან ოქროსფერი ხომალდი მოფრინდა. თქვენ გაგახსენდათ, რომ ამ ხომალდს უნდა წაჰყოლოდით, ჩაჯექით და წახვედით ცაში....

მე დავწერ...

დავწერ, როგორი დიდი კაცი იყო გოდერძი ჩოხელი.

დავწერ, რომ ბოლო ხანს ძალიან უჭირდა. ცუდად იყო.

დავწერ, რომ ცოცხალი გოდერძი ჩოხელი კულტურის
სამინისტრომ მიატოვა!

დიახ!

იმასაც დავწერ, რომ ერთ-ერთ ცნობილ ბიზნესმენს მას-
თან დახმარებისათვის მისული გოდერძი ჩოხელისთვის
„ლეიბორისტული წარსული“ „შეუხსენებია“ და...

დაკრძალვაზე ალბათ, ის ბიზნესმენიც მობრძანდება...

დიახ!

დაკრძალვაზე მთელი საქართველო მოვა...

კულტურის სამინისტროდანაც მოვლენ და დაიტირებენ...

ბევრი უნამუსოც მოვა იქ.

იმათაც მოუკვდათ გოდერძი ჩოხელი და იმიტომ.

მე დავწერ...

დავწერ, რომ გოდერძი ჩოხელმა ადამიანთა სევდა სულ-
ში დაიტია და ასე შექმნა „ადამიანთა სევდა“ ...

დავწერ...

დავწერ, რომ... კითხვაზე, „რატომ ტირის ადამიანიო“ –
დღეს ყველა ერთ პასუხს სცემს...

დავწერ, რომ ადამიანებს დღეს გოდერძი ჩოხელი ეტი-
რებათ...

ეტირებათ და ტირიან!

დავწერ...

დავწერ, რომ საქართველოს გოდერძი ჩოხელი მოუკვდა!

დავწერ, რომ ის ცაში წავიდა...

ამაღლდა!

დავწერ, რომ ჩვენ ყველანი ის პატარა მწყემსი ბიჭები
ვართ, ირმები რომ მოუკლეს მონადირეებმა...

მგზავრები წყობისფლისა

დავწერ...

და ხმამაღლა ვიყვირებ მეც – „დამიპრუნეო ჩემი ირმები!“

დავწერ...

დავწერ, რომ „სამოთხის გვრიტები“ გაფრინდნენ უკვე...

დავწერ, რომ დღეს მთელი საქართველო გლოვობს!!!

დავწერ, რომ...

დავწერ, რომ ბედნიერი ვარ...

მე გოდერძი ჩოხელთან ვმეგობრობდი და ამიტომ!

დავწერ, რომ...

ერთ დღეს ციდან ოქროსფერი ხომალდი მოფრინდა. მას გაახსენდა, რომ ამ ხომალდს უნდა წაჟულოდა, ჩაჯდა და წავიდა ცაში...

დავწერ, რომ ის ცაში წავიდა...

ა მ ა ღ ღ დ ა!“

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ზოგიერთი მეცნიერი – ერიკ ვან დაინიკენი, ჰანს შანდლერი, ანატოლი კიფიშინი, დ. მაიერი, დ. პერი და სხვები ვარაუდობენ, რომ დედამიწაზე ცივილიზაცია სხვა სამყაროდან – მარსიდან ან რომელიღაც სხვა პლანეტიდან უნდა იყოს მოსული. 20 ათასი წლის წინ დედამიწაზე მოხდა უდიდესი კატასტროფა და ადამიანთა მოდგმის დიდი ნაწილიგანადგურდა. რუსი მკვლევარის ანატოლი კიფიშინის ვარაუდით ამის მერე, 18 ათასი წლის წინ დედამიწაზე საიდანლაც მოვიდა იბერიული (ქართველთა წინაპარი) მოდგმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ცივილიზაციის ხელახალი აღორძინება. დედამიწის მრავალი ძველი ხალხის ლეგენდებში მართლაც შემორჩენილია ცნობები მათთან კეთილი თეთრი ადამიანების მისვლისა და დიდი ცოდნის გადაცემის შესახებ. გოდერძი ჩოხელის კალამი ამ პრობლემასაც მისწვდა და თავისებურად, მხატვრულად გაიაზრა დედამიწისა და ადა-

მიანის ადგილი სამყაროში. რომანში „ადამიანთა სევდა“ იგი წერს: „ახლა წარმომიდგა, რომ დედამიწა იმ დიდი წიგნის ფურცელია, რომელსაც სამყარო ჰქვია. ნეტა მაცოდინა, სად არის ის დალოცვილი მწერალი, რომლის ხელითაც იწერება ეს დიდი წიგნი, ან დასაწყისი სადა აქვს, ან დასასრული. ან იქნებ არც ერთი აქვს და არც მეორე... დედამიწა მისი ერთი ფურცელია, გუდამაყრის ხეობა კი ალბათ სხვა, უამრავი მცირე მოთხრობების ქვესათაური. – მე? მე ვინდა ვარ? – ალბათ მეც მოთხრობა ვარ“. როგორც ყველა დიდ შემოქმედს, მასაც წინასწარმეტყველური გრძნობა ჰქონდა, რომ სადღაც არსებობს ცივილიზაციულ ადამიანთა კიდევ სხვა სამყარო; რომ მისი ადგილი აქ, ცოდვილ მიწაზე კი არა, ზეციურ საქართველოშია, იქ, სადაც მართალთა და დიდ მამულიშვილთა სულები იმყოფებიან. მას ამ თემაზე ერთი გენიალური ნოველა აქვს დაწერილი, თანაც სრულიად ორიგინალური ფორმით – თავიდან ბოლომდე დიალოგის სახით. ესაა ნოველა „რატომ ტირის ადამიანი“. ისიც ზოგადყაცობრიული პრობლემების შემცველია და მინდა მკითხველს იქიდან პატარა ნაწყვეტი შევახსენო:

– შეიძლება სხვა მხრიდან ვართ მოსული და რაკი ვეღარ წავედით, აქ უნდა დავიმარხოთ, ამიტომ ვტირით.

– მოსული?

– ჰო, შეიძლება ციდან მოვფრინდით, აქ რაკეტა მოგვეშალა და ვეღარ წავედით. ტირილითაც იმიტომ ვტირით, აქ რომ ვრჩებით.

– ეგ რამ გაფიქრებინა?

– ეკლესიებმა. ხედავ, როგორ არის ზოგი აშენებული, ცაში გასაფრენად გამზადებულ რაკეტას ჰგავს, ჩვენ შიგნით შევდივართ და ვლოცულობთ. რატომ? იქნებ ისევ ცაში ამაღლება გვინდა და, რომ არაფერი გამოდის, და მიწას ვაბარებთ ერთიმეორეს, ვტირით.

მგზავრები წყობისფლისა

- მაგრამ რატომ არ განმეორდა?
- რა?
- შენ ხომ თქვი, რომ შენში რაღაცები მეორდება. რატომ არ განმეორდა ციდან აქ მოსვლა?
- შეიძლება ოდესმე ისიც განმეორდეს.
- და თუ განმეორდა, მაინც იტირებ?
- არ ვიცი. მე საერთოდ არ ვიცი რატომ ტირის ადამიანი
- იმიტომ, რომ თავისუფლება უნდა
- მერე აღარ იტირებს?
- არა. თავისუფალ კაცს დასაწყისის არ ეშინია.
- დაწერე რა
- რა?
- მოთხრობა დაწერე ჩემზე
- შენც რომ შემომაკვდე ბოლოს?
- არა. იცი, როგორ დაწერე?
- როგორ?
- ვიცხოვრე დედამიწაზე, დიდხანს ვიცხოვრე, დაახლოებით ას წელს
- მერე?
- ამ ასი წლის განმავლობაში ხშირად ისეთ რაღაცებს ვაკეთებდი, რაც ოდესლაც გაკეთებული მქონდა
- მერე?
- ერთ დღეს, ციდან ოქროსფერი ხომალდი მოფრინდა. მე გამახსენდა, რომ ამ ხომალდს უნდა წავეყვანე. ჩავჯექი და წავედი ცაში. დაწერ?
- დავწერე“.

ალბათ გოდერძიზე ამასვე ვფიქრობდით ჩვენც, 20 ნოემბერს ქაშუეთის ტაძარში გასვენებაზე მისულები. არცთუ ბევრი ხალხი მისულიყო, სხვა დიდი მწერლების გასვენება-

ზე რომ იყო ხოლმე; მაგრამ ქაშუეთში პატარა და გულდახ-რუკული საქართველო იყო მისული, გოდერძის ნიჭის ჭეშ-მარიტი დამფასებლები. არ იყო ხელისუფალთაგან არავინ, გარდა ორიოდე რიგითისა. მთელი დღე წვიმდა გადაუდებ-ლად, ალბათ ღმერთი ტიროდა, როგორც ყველაზე დიდი ჭირისუფალი; ალბათ ზეციური საქართველოდან დასტი-როდნენ დიდი მამულიშვილების სულები, რადგან მათ ყვე-ლაზე კარგად იცოდნენ, ვინც მოუკვდა საქართველოს... და მაშინ კიდევ ერთხელ გამახსენდა მისი სტრიქონები:

„მივდივარ საიქიოში
მარადისობის ზიარად,
დავცალე ჩემი კუთვნილი
სიცოცხლით სავსე ფიალა“.
„დაბრუნდი ჩემო იმედო,
ჯავრს ნუ გამატან იმ ქვეყნად
სამშობლოს მომავლისასა“.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედების განხილვა უნდა და-ვასრულოთ მოთხოვობით „ჩრჩილის აღსარება“. მასში ლა-პარაკია მწერლის მოვალეობაზე. იქ ასეთი სტრიქონებია: „ზოგი წიგნი მლიქვნელობაა. ზოგი სავსეა სულიერი ჭეშ-მარიტებით, აბზაც და აბზაც მზე რომ ამოდის. ეს სოფელი ზოგს ლექსების წიგნს შემოგვაჩეჩებს, ზოგს მლიქვნელო-ბას, ზოგს სულიერი ჭეშმარიტების... თუკი თქვენს სულს ოდნავი სინათლე მაინც შერჩენია, დაწერეთ ისეთი წიგნი, რომელიც მთელ ქვეყანას შემოივლის, ადამიანებს სინათ-ლეს მოჰყენს, ერთმანეთს შეაყვარებს და სიკეთით ატა-რებს. დაწერეთ ისეთი წიგნი, როგორიც ბავშვის ტირილია. მაშინ თქვენ ჭეშმარიტად დიდი მწერალი იქნებით. ეცადეთ,

შგზავრები წყობისფლისა

სიცოცხლეშივე მოიპოვოთ თქვენი სულის გარდაცვალება“, ანუ მიაღწიეთ თქვენი სულის მკითხველამდე სრულად მიტანაო. გოდერძი ჩოხელმა შესძლო ასეთი დიდებული წიგნების დაწერა. მის მოთხრობებსა და ლექსებში აბზაც და აბზაც მართლაც მზე ამოდის. დიდებულად ფლობს ენას, მისი მეტყველება ლალი და გამართულია. ალ. ყაზებგის დიდებული ნაწარმოებები მოხეური კილოთი ძალზე გადატვირთულია და ამის გამო ცოტა რთული საკითხავია; გოდერძი ჩოხელიც ხმარობს თავის მოთხრობებში გუდამაყრულ კილოს, მაგრამ მხოლოდ მოქმედ პირთა დიალოგებში, რათა უფრო ცოცხალი სურათები წარმოგვიდგინოს. ასეთი დიალოგები სულაც არ ამძიმებს მოთხრობებს, ისინი ლამაზი მარგალიტებივით ჩანან. მხატვრული სახეების სიძლიერით რუსთველს მსოფლიო ლიტერატურაში ტოლი არ ჰყავს. ხოლო მთელ ქართულ მწერლობაში რუსთაველის შემდეგ ვაჟა-ფშაველას, ნიკო სამადაშვილსა და გოდერძი ჩოხელს მხატვრული სახეებით აზროვნების სიძლიერით ვერავინ შეედრება. გოდერძი ჩოხელი ჭეშმარიტად დიდი ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო პრობლემების შემცველი წიგნების ავტორია. უაღრესად მახვილი თვალი, დიდი ფსიქოლოგიური ალლო და ღრმა მხატვრული წარმოსახვის უნარი უნდა ჰქონდეს მწერალს, რომ ასეთი სურათების, ასეთი ხასიათების გამოძერწვა შესძლოს, ადამიანის სულის ასეთ სიღრმეებს ჩასწვდეს. ტვინის რა ხვეულებში, სულის რა ლაპირინთეებში არ შეგახედებს ავტორი. ასეთი წიგნები მხოლოდ ძალიან ძლიერ, განსაკუთრებული ნიჭის, ღვთისგან მირონცხებული მადლის მწერლის ხელიდან იპადება და თუკი ქართველ ერსა და ქართულ მწერლობას უკვდავება უნერიათ, გოდერძი ჩოხელის ვარსკვლავიც იკამკაშებს ქართული ლიტერატურის დიდ-პატარა ვარსკვლავებით

უხვად მოჩითულ ცაზე, რადგან მან ერს დიდი სულიერი განძი დაუტოვა. „ასე მგონია, რომ გუდამაყრის ხეობა დიდი წიგნია. მთები ყდებადა აქვს ამ წიგნს და შიგნით უამრავი მოთხოვობა სწრია. მზე და მთვარე მანათობლად მყვანან, ვზივარ ჩემთვის, გადაშლილი მაქვს ეს უცნაური წიგნი და ვკითხულობ. „აღარ ჩავაცმევ ჩემს მოთხოვობებს ლამაზ ტანსაცმელს... მე მინდა ისეთები დარჩენენ, როგორიც ბუნებრივად არიან, მე მათ არ გავალამაზებ. მე მხოლოდ მათ წინ ჩამოფარებულ ბინდისფერ ფარდას გადავწევ და ვისაც რომელი მოთხოვობა მოეწონება, ის წაიკითხოს“. – წერს იგი. მის მოთხოვობებში სწორედ ეს ცოცხალი, ნამდვილი ცხოვრებაა ასახული დიდოსტატურად მთელი თავისი სიხარულითა თუ მწუხარებით, დარდითა თუ ტკივილებით, ფიქრებითა თუ ოცნებებით. კიდევ ამიტომაცაა ლირებული მისი შემოქმედება. ნახევარი საუკუნე იღვანა ორ ფრონტზე – კინოხელოვნებაში და ლიტერატურაში და ორივეგან დიდებულად. ჩვენი ბედოვლათი ლიტერატურული კონკურსების ჟიურების წევრებისა და მათი დამფინანსებლების სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ გოდერძის შემოქმედება ყოველთვის მათი ყურადღების მიღმა რჩება. მისთვის არც პროზაში, არც პოეზიაში არავითარი პრემია არ მიუციათ, თუმცა მისი ტოლი არავინ ჰყავდათ. ერთხელ უცხოეთში გაიტანეს მისი ფილმი „ლუკას სახარება“ და აღფრთვანებულმა უცხოელებმა მას მთავარი პრიზი (გრანპრი) მიანიჭეს. ეს იყო ერთადერთი პრიზი. მაშინ გერმანელებმა მას სთხოვეს გერმანიაში გადასვლა – ჩვენთან ამისთანა ერთი ფილმითაც კი მატერიალურად სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქნებიო. გოდერძიმ უარი უთხრა – მას არ შეეძლო სამშობლოდან შორს ყოფნა მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოში მედროვენი ასე უმაღურად ექცეოდნენ.

მცხეთის დედათა მონასტრის ეზოში ღირსეულთა სამარეებს შორის ერთ სამარეზე დიდი და ლამაზი მწვანე ლოდია. მასზე უმანკო თეთრი კრავია გამოსახული გოდერძი ჩიხელის სულის სიმბოლოდ. კრავი წყალს სვამს პანია ღრმულიდან, რომელშიც წვიმის დროს უფლის ცრემლები ჩადგება ხოლმე. მას, ვითარცა გოდერძის სიბრძნეს, ფრინველებიც ეტანებიან. მერე დასჭივჭიკებენ – გოდერძის უგალობენ და მისი სათაყვანებელი საქართველოს ამბებს უყვებიან.

ჯერჯერობით კი საქართველოში უნიჭობის ზეიმია. ტელევიზორებიდან იღვრება უნიჭოთა და შიშველთა მანჭვა-გრეხა, უხამსობა, უზნეობა; ბილნისიტყვა პაექრობით, კახპების ცხოვრების გამომზეურებით ცდილობენ ამ უნიჭობის გადაფარვას. სოკოებივით მომრავლებულ რადიოებში არ კითხულობენ ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს, ტელეარხებზე არ უჩვენებენ ჩიხელის ფილმებს. ბაზარი წალეკილია უცხოელი მწერლების წიგნებით. სამაგიეროდ გადმოსცემენ საეჭვო ფარულ კონკურსებში გამარჯვებულ ლიტერატურთა დაჯილდოების ცერემონიალებს, ამერიკული სიმღერების კონკურსებსა და ამერიკული ლიტერატურის ღია ლექციებს. ახალგაზრდა ნიღბების აუდიტორიას ლექტორი მოძღვრავს: მწერალი უნდა იყოს ან ძალიან ლამაზი, ან ძალიან მახინჯი გარეგნობისა, წერდეს ძალზე შორეული და უცხო ქვეყნის ამბებზე. მაშინ იქნება ის პოპულარული, თორემ მის წიგნს არავინ წაიკითხავსო. ბოლოს ლექცია შეაჯამა: მობიდიკი წაგიკითხავთო? ვითომ გააოგნა სტუდენტები ამ ჩამჭრე-

ლი კითხვით, თან ზემოდან ისე გადმოხედა, თითქოს აგრძნობინა – აი, თქვე ბეჩავებო, როდემდის უნდა იყოთ ასეთი ბნელებიო.

არადა, ჩემო მკითხველო, შეიძლება თეთრი ვეშაპის თავგადასავალი არ გქონდეს წაკითხული. ეს კიდევ დიდი უბედურება არ არის. მსოფლიოში ასეული მილიონობით წიგნი დაწერილა, იწერება და დაიწერება. ყველას წაკითხვა შეუძლებელია. შენ თუ მობიდიკი არ წაგიკითხავს, სამაგიეროდ არც იმას ექნება წაკითხული შვლის ნუკრის ნაამბობი და ბარი ბარში იქნებით. უბედურება სხვა რამეშია:

გოდერძი ჩოხელი, ტერენტი გრანელი, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი აპოლონივით ულამაზესი გარეგნობისა რომ არ იყვნენ, მათი წიგნები არ ვარგა და აღარ წავიკითხოთ? შექსპირის გარეგნობა რომ სრულიად უცნობია, აღარ წავიკითხოთ? რა ვქნათ, საზოგადოება გავაფრთხილოთ, ძალიან ლამაზებს მწერლობის უფლება გაქვთ, ულამაზოებმა წიგნები არ დაწეროთო? არც შენი ქვეყნის სატკივარზე წერო, ამას ფასი არ ექნებაო? არა, ჩემო მკითხველო. მთავარი მწერლის გარეგნობა კი არაა არამედ, რაზე და როგორ წერ. ნებისმიერი მწერლის სიდიდე მის ეროვნულობაშია. საკმარისია, მწერალი ეროვნულ გზას ასცდეს, ეროვნულ სატკივარს გაექცეს, თავისი ხალხის ჭირ-ვარამს თავი აარიდოს და მისი წონა მოიკლებს. თავისი ვქეყნის ამბებს რომ წერს და ის საკითხები აღელვებს ყველა ქვეყნის მოქალაქეს, სტკივა და აწუხებს სხვებსაც. განსხვავებული წერის სტილი რომ აქვს, ეს არის ეროვნული პრობლემებით ზოგადსაკაცობრიო პრობლემებამდე ამაღლება, ეს არის დიდი მწერლის უპირობო ნიშანი.

ყველა ერი პატივისცემით უნდა ეკიდებოდეს სხვა-თა კულტურულ მიღწევებს, მაგრამ პირველ რიგში უნდა

მგზავრები წყობის შემთხვევაში

უყვარდეს საკუთარი, ამაყობდეს თავისი კულტურული მიღწევებით და ცდილობდეს სხვებსაც, სხვა ქვეყნებსაც გააცნოს. ჩვენი ბუნებაა ეგეთი: რუსთველის პატრონებს ღობის იქით გაგვირბის თვალი – იმათი გვიკვირს და გვეხარბება, თუნდაც იმათი მწერლები ჩვენებს მუხლამდეც ვერ სწვდებოდნენ, იმათი სახელის ხსენებით თავი მოგვწონს. რუსთველი თუ არ წაიკითხე, ილია, ვაუა, ყაზბეგი, კონსტანტინე, გალაქტიონი, მიხეილ ჯავახიშვილი, გოდერძი ჩოხელი, ნიკო სამადაშვილი, თუ არ გაიგე, რა ანუხებდათ მათ და შენს ერს, ვინ იყო შენი წინაპარი, საიდან მოდიხარ და სად მიხვალ, სრულყოფილი შვილი შენი ერისა ვერ იქნები. ამ ქვეყნად სხვების ჭაჭანება რომ არ იყო, შენი შორეული წინაპრები გილგამეშისა და ვეფხისა და მოყმის ამბავს წერდნენ; სხვები რომ ტყეებში დაძრნოდნენ ძირნაყოფების შესაგროვებლად, შენი წინაპარი ფოლადს ხარშავდა და ზედაშით უფლის საგალობელს ამბობდა, უფალს ესაუბრებოდა, შენ იაკობ ცურტაველის რომანი გქონდა; სხვებმა რომ ანბანის შექმნაზე ფიქრი დაიწყეს, შენ სამი ანბანი გქონდა გამოცვლილი და „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობდი; დღეს რომ სხვებმა შენი ღვინო, სიმღერა, ცეკვა მსოფლიო კულტურის საგანძურში შეიტანეს, ეს პატარა ამბავი როდია; შენ ოქროს საწმისის ქვეყანა ხარ და გერმანელი მეცნიერი გეუბნება – ეგ იმისთანა განძია, მსოფლიოში მსგავსი არავის აქვს და გაუფრთხილდი; ხოლო შენი უვიცი და გალორებული ხელისუფლება რომ გეუბნება – მაგისთანა გამოქვაბულები ყველა ხეობაში გვაქვს და ამის გულისთვის უცხოელს ვერ ავუკრძალავთ მაგის დანგრევას და ჩვენი სიმდიდრეების ძარცვასო, ამისთანა მთავრობა თვითონ არის გამოქვაბულში დასამწყვდევი, რადგან ის წარსულ დიდ კულტურას გი-

ნადგურებს და ცდილობს ისევ გამოქვაბულში დაგაბრუნოს, ქვის ხანის ადამიანად გაქციოს. შენ რომ ასეთი ქართველთმოძულე მთავრობა გყავს და ამ განძის ფასი არ იცი, აი ეს არის დიდი უბედურება.

შენი ხელისუფლება რომ გენიოს მწერალს, მხატვარს, მომღერალს, მეცნიერს შიმშილით მოკლავს, მეცნიერებათა აკადემიას დაანგრევს, განათლებას მოსპობს, შენი განათლების მინისტრი რომ იტყვის – ჩვენი დიდი მწერლების წაკითხვა ბოლომდე დამეზარაო და დედაუნივერსიტეტი ნაჯახით უნდა ამოვძირკვოო, ის უკვე ღმერთს გაუგიშებია და იმდენს ვერ გრძნობს, რომ საქვეყნოდ თავის უვიცობას ამჟღავნებს, აი ეს არის დიდი უბედურება.

ზვიად გამსახურდიამ მოწამებრივი ცხოვრებით საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოუტანა. სამაგიეროდ შეიარაღებული ჭკუამოკლე ქართველები დიდი იმპერიების დავალებით სამეგრელოს ტყეებში მოსაკლავად დასდევდნენ და ბოლოს ნახევარი ზურგჩანთა ბინძური რუსული ფულის სანაცვლოდ სიცოცხლეს გამოასალმეს უდიდესი მამულიშვილი, გენიალური მოაზროვნე, ჰუმანისტი და მეცნიერი. მსგავსი პრეზიდენტი დედამიწას თითქმის არ ახსოვს. შურმა, მტრობამ და გაუტანლობამ თავისი ქნა: მანამდე არ მოვისვენეთ, ვიდრე საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება არ დავაკარგინეთ და კოლონიად არ ვაქციეთ. ხოლო ამერიკამ და ევროპის სახელმწიფოებმა, დღეს რომ საქართველოს მეგობრობაზე და სამართლიანობაზე თავს სდებენ, დევნილობაში მყოფ ზვიადს არც ერთმა თავშესაფარი არ მისცეს, კაცს, რომელიც თავის დროზე ადამიანის უფლებებისათვის თავდადებული ბრძოლის გამო ნობელის პრემიაზე იყო წარ-

შგზავრები წყობისფლის

დგენილი. აი მსოფლიოს ეს ფარისევლობა არის უდიდესი უბედურება.

ხელისუფლებამ ხალხს შრომის უფლება მოუსპო. ადამიანს აღარ აქვს თავისი ცოდნით, ნიჭით, პროფესიით არსებობის საშუალება. მილიონნახევარი ქართველი იძულებული გახდა უცხოეთში გადახვენილიყო ლუკმაპურის საძებნად. მათ თან გაიყოლეს შვილები – ნახევარი მილიონი ბავშვი მაინც, რომლებსაც იქ უცხო ქვეყნების სკოლებში მამლუქებად ზრდიან ასი ათასი ფერეიდნელია გადაკარგული ირანში და ოთხასი წელია სამშობლოში კანონიერ დაბრუნებაზე ოცნებობს. ხელისუფლება კი არაფერს აკეთებს მათ უკან დასაბრუნებლად. 2600 წელი დასჭირდა ებრაელ ერს, რომ ნაბუქოდონოსორისაგან აყრილი და მსოფლიოში გაფანტული მოსახლეობა სამშობლოში დაებრუნებინა. საქართველოს მთავრობას კი ჯერ არ სცალია დაკარგული ქართველების დაბრუნებაზე ფიქრისთვის, ჯერ არჩევნების მოგებაზე და ხელისუფლების შენარჩუნებაზე დარდობს. გაერო გვეუბნება, რომ 50 წლის შემდეგ ქართველი ერი გაქრებაო. შენ ეგუები ამ უძველესი ღვთიური ერისა და ენის გაქრობას? 20 წელიწადში შენი მოსახლეობა ერთი მილონით შემცირდა. წარამარა ევროპიდან და ამერიკიდან „განმანათლებლები“ ჩამოდიან და ეროვნული უმცირესობებისა და მამათმავლების უფლებების დაცვას მოითხოვენ. ხოლო მკვიდრი ქართველი ერის უფლებები რომ დაუცველია, ამაზე ხმას არ იღებენ. მათ საქართველო საიდანდაც შემოხეტებულ სხვადასხვა ეროვნულ უმცირესობათა შეკონინებული ნაკრები ჰქონიათ მხოლოდ. სამწუხაროდ ამას შინაური მტერიც უწყობს ხელს: საბავშვო ბაგა-ბალი „ციცინათელა“, მაგალითად, ყოველდღე ტელევიზიით აცხადებს: გავხსენი ნამდვილი ქართული

ბაგა-ბალი და 2-3 წლის ბავშვებს ინგლისური და რუსული უნდა ვასწავლოო. მსგავსი ვაიპედაგოგები ბევრნი არიან. ისინი ცდილობენ ქართველი ბავშვის გონიერაში თავიდან-ვე ჩაკლან ქართული გენი, ქართული აზროვნება, ქართველ ბავშვს ქართველობა დაავინყონ. ეს შინაური მტრები ეხმარებიან ჩვენს ავადმოსურნებს ქართველი ბავშვების გადაჯიშება-გამამლუქებაში, ერის გაქრობის მცდელობაში. დღეს ღირსება და ეროვნული სიამაყის გრძნობა დათრგუნულია, აღარავინ საუბრობს მამულიშვილობაზე, აღარ ისმის ეროვნული შეძახილები, არ გიბეჭდავენ ქართულ წიგნს და ბაზარი წალეკა უცხოეთის წიგნებმა, სკოლაში ბავშვს აღარ ესაუბრებიან სამშობლოზე, აღარ გადმოსცემენ რადიოთი და ტელევიზიით ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს, აღარ არის ჩოხელისთანა მოღვაწეების ხსენება, დავინყების მტვერია მიყრილი მათ სახელებზე. დავინყებულია ჩვენი პრეზიდენტისაგან ნაანდერძევი გზა =– საქართველოს სულიერი მისია და ის 39 მიმართვა, რომლებშიც ნაჩვენებია კავკასიელი ხალხების მომავალი გზა და ამოცანები. თვით მისი სახელის ხსენებასაც კი ერიდებიან. ამის ნაცვლად დღედაღამ ისმის გაუაზრებელი ფრაზები – ნატო, ევროკავშირი, სამშვიდობო მისია, გლობალიზაცია, ვიზალიბერალიზაცია, ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია. ტელევიზიით მოედინება მამათმავლობის, გარყვნილების, ბილნისიტყვაობის ნიაღვარი. ადამიანები თავს იწონებენ მრავალცოლიანობა-მრავალქმრიანობითა და სქესის გადაკეთებით, საეჭვო კონკურსებით. ხელისუფლება გაპყვირის, რომ აშენებს ევროპულ სახელმწიფოს, თუმცა არცკი აქვს გააზრებული ეს რას ნიშნავს. მას უნდა ვკითხოთ: – რატომ ქართულ სახელმწიფოს არ აშენებ? რას ატუზულხარ ევროპის კარებთან,

შგზავრები წყობისფლის

სადაც გეუბნებიან – კარი ღიაა, მაგრამ ვერ შემოხვალ, საშინაო დავალება არ შეგისრულებიაო. რად დაგიკარგია ღირსების გრძნობა? ქართველმა ერმა შორეულ წარსულში დედამინაზე ცივილიზაციას ჩაუყარა საფუძველი და მრავალი საუკუნის წინათ „ჩააპარა“ გამოცდა; რატომ ეს არ გესმის? ქვეყანას არ გააჩნია ეროვნული იდეოლოგია, ერი სულიერად განიარაღებულია და გათითოკაცებულია. ხელისუფლებამ არ იცის რა ქვეყანას აშენებს, რა არის საბოლოო მიზანი; არ შეუძლია ერის შემოკრება-დარაზმვა ეროვნული იდეის გარშემო; არა აქვს გააზრებული კავკასიური სახლის იდეა. საქართველოს მთავრობა ევროპაზე ფიქრობს და არა კავკასიაზე. აი ეს არის უბედურება.

საქართველოს მთავრობამ იმდენი იძახა ამერიკა და ნატო, რომ გაბოროტებულმა რუსეთმა ეს ჩვენი მეგობარი ამერიკა და ევროპა შუაგულ ქართლში და აფხაზეთში ბეჭებზე დადო, მოსრა, გაძარცვა, ნანგრევებად აქცია ნახევარი საქართველო, მოაწყო ქართველი ერის გენოციდი. ამერიკამ და ევროპამ კი ბუზიც ვერ აუფრინეს. ამერიკის პრეზიდენტი იმასაც იძახდა – ნეტავი რუსებმა თბილისიც აიღონო. ახლა ჩვენი ქვეყნის ნახევარი ოკუპირებული და მავთულხლართებით დაქსელილია, ხალხი ლტოლვილია, ქართული ჯარი კი ავღანეთში, კოსოვოში, ერაყში, აფრიკაში სხვებს ბუზებს უგერიებს. მთავრობა კი ურცხვად გვატყუებს: ჩვენი ჯარი იქ საქართველოს იცავსო. ხელისუფლებას არ ესმის, რომ არასწორ საგარეო პოლიტიკაზე და სიცრუეზე აგებული ქვეყანა მტკიცე ვერ იქნება. ჩვენი სამშობლო რომ ხარბ მეზობლებს სვავებივით დაუნაწილებიათ – ნახევარი ოსმალეთს წაუღია, ნახევარი რუსეთს, დაკარგულია ჰერეთი, ლორე-ტაშირი, დვალეთი, აფხაზეთი, სამაჩაბლო, ანუ ფარნავაზის დიდი საქართველოს ნა-

ხევარი, ხელისუფლება კი ავღანეთსა და ერაყშე დარღობს, – აი ეს არის უდიდესი უბედურება.

დღეს ჩვენ გვაქვს ქვეყანა, სადაც სამშობლოს მიწა-ნყალს ფულზე ჰყიდიან; ომიდან ლაჩირულად წინ-წინ გა-მოქცეული და ლხინში ქვეყნის თავში დამჯდარი წინილა გმირად ითვლება და სხვათა ბედს განაგებს, სადაც ქურ-დი და ქუჩის მანანნალა მინისტრი და პრეზიდენტი ხდება, მილიარდებს იპარავს და ხმას არავინ სცემს; სადაც ხა-ზინის ქურდები, კაცის მკვლელები და ჯალათები მურა-ბის ქურდებს ასამართლებენ; სადაც არავინ მუშაობს და ქვეყანა მაინც „წინ მიდის“; სადაც მოსახლეობის 99 პრო-ცენტი ღატაკია, მათ სახლებში მზე არ შედის და არავინ იღიმება; სადაც ქართველები საკუთარ სამშობლოში აყრი-ლები, დევნილები და ლტოლვილები არიან, გეტოებში და მავთულხლართებში ცხოვრობენ. დროდადრო მათ რუსი ოკუპანტები იჭერენ და ტყვეებად ჰყიდიან; სადაც უსინდი-სობა უფრო ფასობს, ვიდრე სინდისი; სადაც კვლევით ინ-სტიტუტებს ანადგურებენ და ბორდელებსა და კაზინოებს აშენებენ; სადაც უნივერსიტეტის რექტორი წიგნის ქურ-დი ხდება; სადაც მწერლები ხალხის ზნეობრივ გარყვნაში ერთმანეთს ეჯიბრებიან და ბილნისიტყვაობაში ჯილდოებს ღებულობენ; სადაც დამსახურებულ ადამიანებს თვეში 10 დღის სამყოფი პენსია აქვთ, ხოლო ყაჩაღებად ქცეული სა-ხელმწიფო მოხელეები თვითონ ინიშნავენ თვეში 10 ათას ლარს ხელფასს, ესეც ეცოტავებათ და ყოველთვე ერთი ამ-დენი პრემიებსა და დანამატებს იწერენ – ერთმანეთს ასწ-რებენ ხაზინის ძარცვას, ქვეყნის დაუძლურებას. ამას იმით ამართლებენ, რომ მოხელემ ქურდობაზე აღარ იფიქროსო. ანუ თვითონვე აღიარებენ, რომ ხელისუფლებაში მამუ-ლიშვილების ნაცვლად ქურდები სხედან. მეორე მიზეზად

მგზავრები წყობისფლისა

იმას ასახელებენ, რომ დღე-ლამეში 24 საათს ვმუშაობთ და გვეკუთვნისო. მეცნიერულად კი დადგენილია, რომ ადამიანის გონებას დღე-ლამეში 3-4 საათზე მეტხანს აქტიური აზროვნება არ შეუძლია. ამ დროს კი მარტო თბილისში 30 ათასზე მეტი მშერი ადამიანი დგას უფასო სასადილოების რიგში, რომ დღეში ერთხელ მაინც ისადილოს. თანაც მათგან ყველას როდი აქვს იმ სასადილოებში შესვლის უფლება და ბევრნი შიმშილით იხოცებიან. ეს მაშინ, როცა ისეთი სამშობლო აქვთ, ყველა შეძლებულად უნდა ცხოვრობდეს და ხელისუფლებას არ უნდა ამის გაკეთება. აი, ეს არის დიდი უბედურება.

ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც 100 ათას დოლარს ხარჯავენ ნაძვის ხის უცხოეთიდან ჩამოტანა-დადგმაში, ერთი კვირით რომ მის გარშემო მათმა შვილებმა იბუქნაონ, ხოლო ამ ფასად რომ დიდი მწერლის სიცოცხლის გადარჩენა შეიძლებოდა და არ გაიმეტეს, აი ეს არის დიდი უბედურება.

დიდ მამულიშვილს დავით სარაჯიშვილს ზოგიერთებივით სხვისი ქონების მითვისებით ან ქვეყნის ძარცვით არ დაუწყია მეწარმეობა, პატიოსანი ბიზნესით მიღებული შემოსავალი ისევ სამშობლოს აღორძინებას, ნიჭიერი თანამოძმების ფეხზე დაყენებას მოახმარა. დღევანდელ ჩვენს მეწარმეებში საქვეყნო აზროვნების კაცები აღარ არიან. საქართველოს სხეული პატარ-პატარა ფულუროებად უქცევიათ, შიგ შემძვრალან ფულის მატლები და შიგნიდან ხრავენ. მათი თვალსაწიერი მოკლეა, არ სცდება იმ ფულუროს, ფულის ორმოს, რომელსაც თავის ბიზნესს ეძახიან. დღეს მარტო პარლამენტში 50-მდე მილიონერი ზის, მაგრამ საქვეყნო საქმისთვის, მშერი თანამოძმისთვის მძიმე სენით დაავადებული ბავშვისათვის, ნიჭიერი სტუდენტი-სათვის ერთი თეთრიც არ გაუმეტებიათ. მათ მილიონები

არ ჰყოფნით და დეპუტატის ხელფასს, პრემიერსა და დანამატებსაც ეხარბებიან, არ სურთ ქვეყნის მართვა უმუშევარ ერისკაცებს დაანებონ, გოდერძისთანა პატიოსან და განათლებულ ადამიანებს დაუთმონ. მათ არ ესმით, რომ ვქეყანა ჩოხელისთანა კაცების შექმნილი სულიერებითა და მეცნიერების მიღწევებით დაფასდება – არსაკიძეებით, ამაშუკელებით, გუდიაშვილებით, ფიროსმანაშვილებით, მუსხელიშვილებით, ჯავახიშვილებით და არა ფულიანი კაცებით. ამიტომ ამისთანა ხალხს საგანგებო გაფრთხილება და პატრონობა სჭირდება. სამწუხაროდ ჩვენ ეს არასოდეს გვესმოდა. სწორედ საზოგადოების უყურადღებობამ, ხელისუფალთა გულქვაობამ და სისასტიკემ სიღატაკის, შიმშილისა და სიკედილისათვის განირა ჩოხელი ისევე, როგორც სხვადასხვა დროს გავწირეთ ვაჟა-ფაშაველა, ყაზბეგი, აკაკი, ბარათაშვილი, ტერენტი გრანელი, ნიკო სამადაშვილი, გალაქტიონი, მერაბ ელიოზიშვილი. სხვა დარგებსაც თუ გავითვალისწინებთ, მაშინ გენიოსთა სია უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. ეს იმის ბრალია, რომ ჩვენი ლატაკი ქვეყანა ღმერთისგან განებივრებულია ნიჭიერი შვილებით და ეს ჩვეულებრივ ამბად მიგვაჩნია, მათი ფასი არ ვიცით. ეს რომ არ გვესმის, აი ეს არის დიდი უბედურება.

ჯერჯერობით კი რადიოთი და ტელევიზიონით არ გადმოსცემენ ქართველი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებს, არ უჩვენებენ გოდერძის ფილმებს, იშვიათად ისმის გონაშვილისა და დოლიძის სიმღერები, არ ისმის ეროვნული საუბრები, არ კეთდება ეროვნული საქმეები. სამაგიეროდ უხვად იღვრება ბილნისიყვაობა, დგას უნიჭობისა და უხამსობის ზეიმი, უცხოეთიდან ქრის ბილნისიტყვაობისა და მამათმავლობის „ახალი“ სიო. დღეს საქართ-

მგზავრები წყობისფლისა

ველო ერთი დიდი აბსურდის თეატრია, სადაც დილიდან საღამომდე ფუნაგორია პოლიტიკოსების უნიჭო ლაყბობას და უსახო ნიღბების სპექტაკლებს ვუყურებთ. აი ეს არის უბედურება!

დღეს თავში სწორედ ის ფულის მახრები, მასონები და კოსმოპოლიტები მოექცნენ, რომლებზეც ასი წლის წინათ ვაჟა ფშაველა წერდა:

„არა თქვენ სადიაცენო,
რო ძროხებივით სძლებითა,
ლამით მაძლრები დასწვებით,
დილით მშივრები სდგებითა,
თავის ჯამს ჩასცერთ, საქვეყნოდ
არც როს არ გამასდგებითა,
თავისად სცოცხლობთ, მცონარედ
ლეში აღაღოთ, ჰკვებდითა,
გაიგებთ კარგის გარჯასა,
გწყინთ და შურითა ხდებითა,
უქმად ჩამაჰლევთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწვებითა,
დაჰკარგავთ სააქაოსა,
ვერც საიქიოს სწვდებითა,
არ იცით, დასჩნდით რისადა,
ან რისათვისა ჰკვდებითა“.

სხვის ჯამს ჩამაცქერლისათვის ერი და ეროვნულობა დრომოქმულობა და ჩამორჩენილობაა; მთავარია მსოფლიო მოქალაქეობა, ანუ გლობალიზაცია. აი რატომ არ ახსენებენ გოდერძი ჩოხელს, ზვიად გამსახურდიას და მათნაირ მამულიშვილებს. გოდერძი ჩოხელს კი სიკვდილის

წინაც ჭირში ჩავარდნილს სამშობლოს დარდი ჰქონდა. რო-
დესაც უკეთურნი საქართველოს სიმდიდრეებს ჩალის ფა-
სად – კუპონებითა და ბანკიდან დატაცებული ნისიებით,
სადღაც წყნარი ოკეანის კუნძულებზე საეჭვო გარიგებე-
ბით, ინანილებდნენ, გოდერძი წერდა:

„იცრიცებოდა გარიურაჟი,
ასე მეგონა:
ჩამოლეული საქართველო
სადაცაა ხერხემალში გადატყდებოდა.
თვალი დავხუჭე
და გუმანით
საიქიოს კარებს შევძახე:
ჰეი, გამოდით, ქართველებო!
საქართველოს უჭირს ძალიან,
გამოგვეშველეთ დიდ ომებში ნასახელებნო,
გამოგვეშველეთ,
არაგველებო!“

ჩემი სამშობლოსათვის ისე ვილოცე, როგორც შემეძლო“
– თქვა ბოლოს. დიდებულად ილოცა და თუმცა ნაადრევად,
მაგრამ პირნათელი, ვალმოხდილი შეუერთდა ჩვენს დიდ
წინაპრებს. ნეტავ ყველა ქართველს შეეძლოს სამშობლო-
სათვის ასე ლოცვა, სამშობლოს ვალის ასე მოხდა. კაი ყმა
იყო გოდერძი ჩოხელი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ნაად-
რევად წასული მისი სული, რომელიც იქიდანაც გვამხნე-
ვებს და მამულის საშველად გვიხმობს! ამისთანა კაი ყმე-
ბის ნიჭიე იდგა, დგას და იდგება საქართველო!

ფუთისოფელს კაცად შერჩა პოლომდე!

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარშიც განებივრებული იყო საქართველო ჩინებული პოეტებით, მაგრამ მუხრან მაჭავარიანი ხალხს გამორჩეულად უყვარდა. რა იყო ამის მიზეზი? თითქმის ნახევრ საუკუნეზე მეტხანს ქუხდა მუხრანი ქართული პოეზის დიდებულ ცაზე. ის გამორჩეული იყო არა მარტო ლექსის ნოვატორული ფორმით – ახალი, მუხრანული სტილით, არამედ უპირველეს ყოვლისა გაძედული, ძლიერი ეროვნული მუხტით. ამით გაღიზიანებული ხელისუფლება ამაოდ დაშვრა მისი დამორჩილების მცდელობაში. საბჭოთა იმპერიის პირობებში მხოლოდ დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობის კაცს შეეძლო ასეთი ლექსების წერა, დაბეჭდვა ხომ შეუძლებელი იყო. ბევრს ეს სიცოცხლის ფასად უჯდებოდა. ამიტომ ის ერთადერთი პოეტი იყო, ვისი ლექსებიც ხალხში, განსაკუთრებით სტუდენტი ახალგაზრდების წრეში, ფარულად ვრცელდებოდა ხელნაწერების სახით. მერე მან მოიგონა ასეთი ხერხი – ეს ლექსები ვითომ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ 1832 წლის შეთქმულების მონაწილეების ნათქვამი იყო. მხოლოდ ამგვარი პოეტური ხერხით შეიძლებოდა ცენზურის საცეცებისაგან ასეთი სტრიქონების გაპარება:

„ვახტანგის ადგილს

იჭერს ხეჩუა! -

გვეცლება ქართლი

თვალდახელშუა!“

მკითხველთა დიდი სიყვარულის დასტური იყო ხალხ-მრავალი პოეზიის საღამოები, რომლებზეც, როგორც წე-სი, დამსწრენი აუცილებლად მოითხოვდნენ, რომ წაეკითხა ლექსები: „საბა“, „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა“, „ვითარ-ცა მტკვარი“, „შენ-სისხლო ჩემო“... ლომივით მგრგვინავი, მქუხარე ხმით წაკითხული ეს ლექსები უდიდეს ემოციურ ზეგავლენას ახდენდა მსმენელებზე, უღვიძებდა მიძინე-ბულ ეროვნულ გრძნობებს. ამის გამო მუხრანის ცხოვრე-ბა-შემოქმედებისადმი მიძღვნილ წიგნს მისმა მეუღლემ ლამარა ბოკერიამ „ეს ქუხილის“ უწოდა.

მაშინ, როცა ხელისუფლების მაამებელი პოეტები მწე-რალთა კავშირის, სახელმწიფო გამომცემლობების, სო-ლიდური ჟურნალ-გაზეთების წინამდლოლებად ისხდნენ, მას ხშირად უმუშევრად ამყოფებდნენ. 1970-იან წლებში საბავშვო ჟურნალ „დილის“ რედაქტორობა გამოიმეტეს. 1972 წელს შეადგინა და გამოსცა კალენდარი „მთიები“. 1973 წელს მეორე გამოცემაში მეფის რუსეთის დროინ-დელ გაზეთ „კავკაზიდან“ გადმობეჭდა ინფორმაცია, რომ სახალხო გმირი არსენა ოძელაშვილი მოკლა რუსმა გი-ორგი ივანოვმა და არა გიორგი კუჭატნელმაო. ცენზურა და მთავრობა აღაშფოთა ამ ცნობამ. ატყდა დიდი აურზა-ური. საქმეში საბჭოთა იმპერიის კულტურის მინისტრი დემიჩევიც კი ჩაერია და განაცხადა: – არსენას რუსი რო-გორ მოკლავდაო. იმდენი მამა უცხონდათ – ვითომ რუსს ოკუპაციის ორასი წლის მანძილზე არასოდეს მოუკლავს ქართველი კაცი. თანამდებობიდან მოხსნას გადარჩა, მაგ-რამ 50 ათასიანი ტირაჟი კალენდრისა მთლიანად დაჭრეს და მაკულატურაში გაუშვეს. ერთხელაც ჟურნალში პოეტ იორამ ქემერტელიძის ლექსი „ზოოპარკი“ დაბეჭდეს. ეს ლექსი ალეგორიულად კრემლს, საბჭოთა მთავრობის ხან-

მგზავრები წყობისფლის

დაზმულ, დაუძლურებულ, უნიათო წევრებს ეხებოდა. ისევ დიდი ალაიქოთი ატყდა. ლექსის ავტორი სამუშაოდან მოხსნეს, მუხრანმა კი პროტესტის ნიშნად რედაქტორობას თავი დაანება.

ლექსებით „პასუხად ყველას, ერთს ჰქადაგებს ვინც ავის ენას“, „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა“, ხმა აღიმაღლა ქართული ენის დასაცავად და მკაცრად გაილაშქრა გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს ილიას, აკაკის, გოგებაშვილის, ყიფიანის იდეების გაგრძელებას ნიშნავდა:

„კრწანისის მიწად,
ასპინძის მიწად,
დიდგორის მიწად,
მარაბდის მიწად
განა ქართველი არაერთი იმიტომ იქცა, -
ქართულს ნატრობდეს დღეს ქართლი სიტყვას?!“
„რაშია საქმე“)

„სულ ყველაფერზე თავის კანტურით
ენაც დავკარგეთ კნინღა ქართული!“

- მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერა -კითხვას და ლაპარაკს“.
(„მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა“)

სიცოცხლე მარტო იმიტომ მინდა,
რომ ჩემს საფლავზე ყაყაჩოსავით
ჰყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა“.

მის გარდა არავის უთქვაშს ცენზურის სუსხის შიშით
ამაზე გაბედული ეროვნული სიტყვა. როცა საქართველოს
ხელისუფლება, პრესა, რადიო, ტელევიზია გუნდრუკს უკ-
მევდნენ საქართველოში რუსთა ბატონობას და ამას ძმო-
ბა-მეგობრობას უწოდებდნენ, მაქსიმალურად ამართლებ-
დნენ კოლონიურ პოლიტიკას, ხოტბას ასხამდნენ შერეული
ოჯახების შექმნას, მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში
აისახა ქართველი ერის სოციალური და ეროვნული ჩაგვ-
რისადმი მძაფრი პროტესტი.

„რომელსაც შენი მონობა ჰმართებს,
ხარ ქვეშევრდომი როდესაც მისი,
აღემატება ყოველგვარ სასჯელს,
რაც კი ოდესმე ყოფილა სადმე,
კაცობრიობამ რაც დღემდე იცის“.

საზოგადოების მძარცველი ფენის ზნეობრივ გადაგვა-
რებას ეხება ლექსი „უბედურება რა გინდა მეტი“:

„უბედურება რა გინდა მეტი?!
რომ დაიძახო:
- ქურდს ქუდი ეწვის!..
არ მეგულება მაძლრებში ერთიც,
რომ არ იტაცოს
მყის ქუდზე ხელი.
უბედურება რა გინდა მეტი?!”

შგზავრები წყობისფლისა

მომავალი თაობისადმი მარად სახსოვარ მოწოდებად
უღერს სტრიქონები:

„ვიტყვი,
ჯვარზე მაცვან თუნდა,
გამოადგე მამულს უნდა:
ან სიცოცხლით,
როგორც ვაუა,
ან სიკვდილით,
როგორც ცხრა ძმა! -
არ არსებობს
სხვა გზა!“
(„გურამიშვილის არ იყოს“)

მისი ქალიშვილი ნანა მაჭავარიანი წერს: „მამაჩემის ცხოვრება ერთი დიდი ტკივილი იყო. მისთვის პატარა გამონათება ეროვნული ხელისუფლების მოსვლა იყო. თუმცა ისიც ტრაგიკულად დასრულდა... იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ჩვენს სახლს მოპირდაპირე სახლის სახურავიდან მხედრიონელები ავტომატიდან ესროდნენ. კედლებს ნატყვიარები ახლაც ეტყობა“. ამაზე დიდი ტკივილი რა უნდა იყოს, როცა თანამემამულე გარენარი ხდება და ტყვიას გესვრის. ის ხომ მთელი სიცოცხლე იმპერიისადმი დაუმორჩილებლობას იჩენდა, ხალხში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება – დაცვისათვის იბრძოდა, მთელი ოჯახით ცხრა აპრილის აქციის მონაწილე იყო, დიდი იმედებით შეხვდა ეროვნული ხელისუფლების მოსვლას, იყო ეროვნული ხელისუფლების უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს... და ასეთ მამულიშვილსა და დიდებულ პოეტს სამშობლოში ტყვიას ესვრიან. ეს ხომ წინამურის მსგავსი უბედურებაა. თუმცა რა

უნდა გაგიკვირდეს, როცა მათ მაშინ თვით საქართველოს ესროლეს ტყვია!

როგორც ყველა ჭეშმარიტმა მამულიშვილმა, მანაც ღრმად განიცადა სახელმწიფო გადატრიალების შედეგად სამშობლოს გაპარტახება:

„ვინც ილხენს ახლა, -

უფრო ცოდოა,

ვიდრე ის ბევრი,

ახლა ვინც ტირის...

ამგვარში -

დღეს რომ საქართველოა -

არც სიცოცხლე ღირს

და არც სიკვდილი“.

ასეთ სტრიქონებს რომ დაწერს, რაოდენ დიდი მწუხარება უნდა განეცადა პოეტს, ვინც იმპერიის ავბედით წლებში უბით ატარა ქართველი ერისა და სამშობლოს ტკივილები ეროვნული ხელისუფლების ჟამს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, როცა ბოროტმა ძალებმა ყველგან იმძლავრეს, სასტიკი ანგარიშსწორება მოუწყეს ეროვნულ მოღვაწეებს, დაიწყო ასეთი კადრების სამსახურიდან მასობრივი გათავისუფლება და დევნა. 1992 წლის მარტში ჭადრაკის სასახლეში მწერალთა ყრილობა მოიწვიეს. ეს იყო მწერალთა კავშირის იმანტიეროვნული ძალების ზეობა, ვინც ავტომატებით ხელში ქუჩებში დარბოდნენ კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა დასარბევად. მაშინ მუხრან მაჭავარიანმა პროტესტის ნიშნად ყრილობა დატოვა. თვითონ ასე იგონებდა ამ ამბავს: „ყრილობაზე განვაცხადე: ეს ყრილობა უკანონოა

მგზავრები წყობისფლისა

ისევე, როგორც ამჟამინდელი ხელისუფლება საქართველოში. მე გავდივარ მწერალთა კავშირიდან. ვინც ჩემი თანამოაზრეა, გამომყვეს-მეთქი. ორმოცამდე კაცმა დატოვა ყრილობის დარბაზი. ეს კი ცოტა როდია, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ როგორც ცნობილია, კაცობრიობის 90% (მეტი თუ არა) ნაძირალაა“. სულ მალე ტელევიზიის ადამინისტრაციამ მუხრანის მეუღლეს განუცხადა: – ახლა ისეთი სიტუაციაა, დასვენება გჭირდება და თან მუხრანს უნდა მიხედოო... და სამსახურიდან დაითხოვეს. ამრიგად ორივენი უკანონო ხელისუფლების რეპრესიების მსხვერპლის გახდნენ. მიუხედავად ამისა მუხრანი სიცოცხლის ბოლომდე მოძალადე ხელისუფლების მოწინააღმდეგე და ეროვნული ხელისუფლების, საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას იდეალების ერთგული დარჩა. ის განერიდა უკანონო ხელისუფლებას და მრავალი წელი მშობლიურ სოფელ არგვეთაში მამა-პაპურ სახლში გაატარა. იქაც მისთვის სამშობლო იყო ყველაზე დიდი სადარდებელი:

„გიმზერ,
ვითარცა უმზერენ შორეთს,
ვფიქრობ:
ხარ ჩემთვის რამხელა დარდი! -
კიდევ კარგი, რომ
არ იცი, თორემ
ასეთ სიმძიმეს ვერ აიტანდი“.

ნიშანდობლივია, რომ მისი სიცოცხლეც სამშობლოს ხსენებაზე შეწყდა. 2010 წლის 17 მაისს მეგობარი პოეტის ფრიდონ ხალვაშის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვ-

ნილ საიუბილეო საღამოზე მისასალმებელი სიტყვით გა-
მოვიდა. – ჩემო ფრიდონ, სამწუხაროდ, ყველას ისე როდი
უყვარს სამშობლო... – და ამ სიტყვაზე გულის შეტევით
ტრიბუნაზევე დაიღუპა. 81 წლის ასაკში შეწყდა დიდი
მუხრანის გულისცემა. პოეტი საქართველოზე დარდმა
მოკლა. მისმა დაღუპვამ ჩვენი ერის განუზომელი მწუხა-
რება გამოიწვია. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა
ილია მეორემ სამგლოვიარო მიტინგზე მას ერის ჯვარის
მტვირთველი უწოდა. მან სრულიად დამსახურებულად
მოიპოვა დავანების უფლება მთაწმინდის მწერალთა და
საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, იქ, სადაც ქართული
მწერლობის ქურუმები – ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა,
გალაქტიონი განისვენებენ. თუმცა მას სამშობლოსათვის
ბრძოლის ველზე დაცემა უფრო ერჩივნა, და სიცოცხლეში
აკი თქვა:

„რა ბედენაა
დიდების და მთაწმინდის მიწა!...
თუ სიკვდილია! -
აი წოლა მესმის შამქორში“.

რა არ გადაიტანა XX და XXI საუკუნეების გასაყარის
იმ მძიმე წლებში ჩვენმა ერმა. ჩვენ დიდი ეროვნული ალ-
მავლობის შემდეგ დიდი ღალატისა და დაცემის მოწმენიც
გავხდით. მაშინ ბევრი კალმოსანი გაორებული ბუნებისა
აღმოჩნდა, ცდუნებას ვერ გაუძლო და ღირსების გრძნო-
ბა დაკარგა, ერის სულიერი წინამძღვრობის ნაცვლად
სამშობლოს დამაქცევრებთან გამოჩნდა. ერთმა მედრო-
ვე პოეტმა, სამშობლოს სიყვარულზე და კაცობაზე არა-
ერთი ლექსის ავტორმა, ავტომატი აიღო და კანონიერი

შეზავრები წყობისფლის

ხელისუფლების დამხობაში მონაწილეობდა. მერე სპორტის სასახლეში მოქალაქეთა კავშირის თავყრილობაზე თქვა: – აქ ვინც ვართ, მარტო ესენი რომ გადავრჩეთ და დანარჩენი ქართველობა განყდეს, სრულიად საკმარისი იქნებათ. ქუჩაში გამოსულმა ხალხმა საპროტესტო აქციაზე იგი საკადრისად შეამკო და მისი წიგნები საჯაროდ კოცონზე დაწვა. ამ საჯარო „პოეტური ჩაქოლვის“ მიუხედავად ის იხტიბარს მაინც არ იტეხს და მამულიშვილობაზე დღესაც ყელყელაობს. ერთ პოეტს ჩინებული ლექსების გამო ხალხი დიდი სიყვარულით ექცეოდა. შევარდნაძემ როცა ეროვნული ხელისუფლება რუსის ჯარის დახმარებით დაამხო, საქართველო ნაცარტუტად აქცია და უამრავი მამულიშვილის სიცოცხლე შეინირა, ქართველი ერის უდიდესი სიძულვილი დააიმსახურა. ხალხმა საყოველთაო უნდობლობა გამოუცხადა და დაჟინებით მოითხოვდა მის გადადგომას. ის კი უსასტიკესი რეპრესიებით ებრძოდა ხალხს. იმ პოეტმა მაშინ სახალხოდ განაცხადა: მე ათასი პროცენტით ვენდობი ჩემს პრეზიდენტსო. ამის გამო ხალხმა იმ პოეტის სიყვარული გულიდან ამოირეცხა. ერთი საქვეყნოდ აღიარებული მსახიობი 1991 წლის დეკემბრის დღეებში, სახელმწიფო გადატრიალების უამს, თავისი სახლის აივნიდან ტყვიას უშენდა ეროვნული ხელისუფლების დასაცავად ქუჩაში გამოსულ ხალხს. იმ დღეებში ერთმა „მომღერალმა“ და კინომსახიობმა დიდუბის მეტროს სადგურთან ავტომატი დაგვიშინა მომიტინგებს და ორი ქართველი მამულიშვილი მოკლა ჩვენს თვალწინ. მსახიობი ნოდარ მგალობლიშვილი კი პირველი იყო, ვინც იმ ტერორიზმის წლებში დიდი გამბედაობა გამოიჩინა და შევარდნაძისგან ბოძებულ ღირსების ორდენზე სახალხოდ უარი განაცხადა. ეს შეიძლება სიცოცხლის ფასად

დასჯდომოდა. მან კი კაცობა და ღირსება შეინარჩუნა. 2011 წლის 26 მაისს სააკაშვილის პოლიციამ და ზონდერ-ბრიგადებმა რუსთაველის გამზირი საპროტესტო აქციის მონაწილე ხალხის სისხლით მორწყეს. მეორე დღეს კი საა-კაშვილმა იქ სპექტაკლი მოაწყო: ღირსების ორდენები და ფულადი ჯილდოები დაურიგა თავის მომხრეებს. ისინი კი ხალხის სისხლიან გუბერნი იდგნენ და დიქტატორისგან უყოყმანოდ იღებდნენ ჯილდოებს. ერთმა პოეტმა მაშინ ღირსების ორდენი დიდი სიამოვნებით აიღო, მერე თა-ვი ასე იმართლა: ორდენს ხელი დავტაცე და იქიდან ავი-თესეო. ვითომ ეს დიდი ვაჟეკაცობა იყო. ასეთი მედროვე პოეტებისგან განსხვავებით მუხრანის პოეტური სიტყვა და ცხოვრება ხალხის ეროვნული მაჯისცემისგან განუ- ყოფელი იყო. მან ერის სიყვარული და აღიარება მოიპოვა პირველ რიგში ეროვნული პოეზიით, მამულიშვილობით, იმით, რომ მებრძოლი პოეტური იდეალებისადმი, ერისა და სამშობლოსადმი ერთგული მსახურების გზიდან არასო- დეს გადაუხვევია. მის შემოქმედებაში არ იყო ნაყალბევი სტრიქონები. მუდამ იმპერიული დამპყრობლური რეჟიმი- სადმი დაუმორჩილებელი გახლდათ. ამიტომ იყო ყოველ- თვის სხვებისგან გამორჩეული, ამიტომ იდგა ქართული ეროვნული პოეზიის გამორჩეულ ბერმუხად; ამიტომ იყო მუდამ ხელისუფლებისათვის მიუღებელი და დაუმორ- ჩილებელი; ამიტომ, მაშინ ჭადრაკის სასახლიდან წამო- სულს 500 მწერლიდან მხოლოდ 40 გამოჰყვა; დანარჩენე- ბი კი იმპერიის მსახურები, ანტიქართველები, ან ლარები აღმოჩნდნენ; ამიტომ განუდგა ეროვნულ ხელისუფლების დამხობის შემდეგ სისხლითა და ძალადობით მოსულ უკა- ნონო, მასონურ, იმპერიათა მსახურ ხელისუფლებებს და მათაც აღიარებისა და დაფასების ნაცვლად გაინაპირეს,

მგზავრები წუთისოფლისა

იზოლაციაში მოაქციეს, სიმარტოვისთვის გაწირეს. ამაზე ყველაზე უკეთესად მისივე სტრიქონები მეტყველებს:

„ყველამ გამწირა, – მეგობრისა ვინც იყო მსგავსი:
მინაზე ყოფნას ზოგმა ყოფნა არჩია ცაში.
ზოგი მათგანი ქვეყნის დამქცევს ჩაუჯდა ნავში:
ტყე აიჩეხა, – ტყის ადგილას ერთი ხე დავრჩი“.

პოეტი იოსებ ნონეშვილის სტრიქონები „წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე, თურმე ესეც გმირობაა დიდი“ კარგად მიესადაგება მუხრან მაჭავარიანის ცხოვრებას. ის მართლაც წუთისოფელს კაცად შერჩა ბოლომდე და პირნათელი წარსდგა ზეციურ საქართველოში ჩვენი დიდი მამულიშვილების წინაშე. მისი სახით დიდი მებრძოლი დააკლდა საქართველოს. მუხრანის ქალიშვილი ნანა მაჭავარიანი წერს: – „ასეთი ადამიანის შვილობა მთელი ცხოვრება ტვირთად მანევს“. მართლაც ბედნიერებაა, როცა შვილი გრძნობს, რომ დიდი ერისკაცის შვილობა საპასუხისმგებლო, მძიმე, ძნელად და ღირსეულად სატარებელი ტვირთია. ყველა ჩვენთაგანისთვისაც მძიმედ სატარებელი ტვირთი უნდა იყოს ღირსეული წინაპნრების მემკვიდრეებად ყოფნა! ამას გულისხმობდნენ ალბათ ჩვენი წინაპრები, როცა ანდერძად დაგვიტოვეს შეგონება: „ის ურჩევენია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა!“.

მან ღირსეული კვალი დათოვა

„ორი მეგობრიდან სავალალოდ
ერთ-ერთს ბედისწერამ დაგვაკისრა
უკვდავ რექვიემად ავამაღლოთ
გლოვა ძმადნაფიცის დაკარგვისა“.

(ოთარ ჭილაძე)

აკაკი მათიაშვილს პირველად 1976 წელს შევხვდი. მაშინ ერთ-ერთი რაიონის ხელმძღვანელ თანამდებობაზე ვმუშაობდი. რაიონის მოსახლეობაში ლექციების ჩასატარებლად იყო ჩამოსული ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ დავით გოგონჯურთან და პოეტ გიორგი გიგაურთან ერთად. მინდვრებში მშრომელი ხალხი ძალზე გულთბილად შევდა მათ საუბრებს. მახსოვს, ბევრი ტიროდნენ, როცა გიორგი გიგაური დედაზე ლექსს კითხულობდა. ჩვენ იმდენად მივეჩვიეთ ადამიანთა მუხთლობას, გაუტანლობას, სისასტიკეს, სიცრუეს, ღალატს, ცბიერებას, რომ ცხოვრებაში მართალი და სუფთა კაცის შეხვედრა გვიკვირს. ამბობენ – თვალები ადამიანის სულის სარკეაო. აკაკის ძალზე სუფთა და მიამიტი თვალები ჰქონდა. მნახველზე პირველი შეხვედრისთანავე განუზომელ შთაბეჭდილებას ახდენდა ნათელი გამოხედვით, გულწრფელობით, ადამიანური სითბოთი. მაშინვე კეთილად განვენეცვეთ ერთმანეთის მიმართ. მას მერე თითქმის ოცდაათი წლის მანძილზე ჩვენი ძმობა არ შერყეულა.

რამდენადაც უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო და მშო-

შგზავრები წყობისფლისა

ბელი ერი, იმდენად სძულდა მისი მჩაგვრელი იმპერია, რო-
მელსაც „მშვიდგზის წყეულს“ უწოდებდა, ხოლო საქარ-
თველოზე, მშობელ ხალხზე, მშობლიურ სოფელზე, ჩვენს
ეროვნულ გმირებზე უყვარდა თქმა – „ხატზე საფიცარი“,
„ცამდე ამაღლებული“, „გულში ჩასახუტებელი“. უკანასკ-
ნელმა ორასწლიანმა მონობამ უამრავი სიბოროტე და უზ-
ნეობა დაგვიტოვა. იმპერია, რუსელმწიფიდან დაწყებული
და უბრალო ჯარისკაცით დამთავრებული, ორასი წლის
მანძილზე ლოთობის, აღვირახსნილობის, ბილწიტყვაო-
ბის მაგალითს იძლეოდა. დღესაც კი ერთმანეთთან ლაპა-
რაკში ყოველ მეორე სიტყვაზე დედის გინებას აყოლებენ
ყველი-პურივით. აკაკის ეს საოცრად აღიზიანებდა. ერ-
თხელ ერთ საოჯახო სუფრაზე მთვრალ თანამეინახეს იმ
პერის მისამართით მკვახე სიტყვა წამოსცდა. აკაკიმ დამ-
პყრობლების მისამართითაც კი უცენზურო სიტყვა დაუშ-
ვებლად ჩათვალა და, როგორც თამადამ, მაშინვე უთხრა: –
თუმცა კახელი ვარ, მაგრამ ავსიტყვაობა ჭირივით მძულს
და მით უმეტეს სუფრაზე ამას არ დავუშვებო.

ის შეყვარებული იყო არა მარტო თავის ერზე, არა-
მედ ყველაფარ ქართულზე, მათ შორის ქართულ სიტყვა-
ზეც. მრავალი მეცნიერისაგან განსხვავებით ჩინებულად
ფლობდა ქართულ სიტყვას, შესანიშნავად უჭრიდა კალამი
და იყო ქართული ენის სინმინდის თავგადაკლული დამც-
ველი. ამაში დავრწმუნდი, როცა მან ჩემი ორი წიგნის რე-
ცენზირება და რედაქტირება შეასრულა. ეს იყო ჩემთვის
ბედნიერი მიგნება. არიან ადამიანები, რომლებთან ურ-
თიერთობითაც ზნეობრივად და გონებრივად იზრდები.
აკაკი ასეთთა რიცხვს ეკუთვნოდა. იგი ღვთისგან უხვად
იყო შემკული მოძღვრისათვის დამახასიათებელი ყველა
თვისებით. ამიტომ მისი ძალზე უბრალო, თავმდაბალი

და უშუალო ბუნების მიუხედავად ყოველთვის მოწინებას ვკრძნობდი მის მიმართ დიდი ნიჭიერებისა და უაღრესი მა-მულიშვილობის გამო. ჩემს მრავალნლიან საგამომცემლო პრაქტიკაში თითქმის არ შემხვედრია ისეთი მკვლევარი, ვინც სხვისი წიგნის რედაქტირებას ასეთი დიდი გულმოდ-გინებითა და სრულყოფილად შეასრულებდა. ვერ იტან-და, როცა წიგნში უნებურად უცხო სიტყვა გაგეპარებოდა და იქვე შემოგთავაზებდა ჩინებულ ქართულ შესატყვისს. წიგნის მოწინების შემთხვევაში კი ემოციების გრიგალით დაგატყდებოდა. ამ შექების დროს შენიშვნებსაც ისე ლამა-ზად შეგაპარებდა, რომ გაგახარებდა, გაგახალისებდა, წა-გაქეზებდა. ზოგჯერ დამატებით ახალ მასალასაც მოგაწ-ვდიდა. ასე მომაწოდა დამატებითი ცნობები ფერეიდნელი ქართველების შესახებ, ასევე ცივილიზაციის ისტორიაში იბერიელთა ნაკვალევის შესახებ ამერიკელი მეცნიერების დასკვნები და რუკა. მანვე შემომთავაზა ჩემი წიგნების ჩი-ნებული სათაურები. უყვარდა სხვისი სატკივარის გულთან მიტანა. მრავალთაგან განსხვავებით მისთვის უცხო იყო „შური – მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა“. ამასთან იყო უაღრესად კეთილსინდისიერი და შრომისმოყვარე. საოც-რად უხაროდა სხვათა კეთილი საქმენი. ჩემი ისტორიუ-ლი მოთხოვობების რედაქტირება ჩემი თხოვნით ერთ თვე-ში უნდა გაეკეთებინა. ეს თითქმის სამასგვერდიანი წიგნი ჩემდაგასაოცრად ერთ ღამეში ჩაიკითხა და დილაადრი-ან სახლში დამირეკა შთაბეჭდილებების გასაზიარებლად. სულ მალე კი საკმაოდ ვრცელი და დიდებული დასკვნაც მომაწოდა უაღრესად საქმიანი შენიშვნებით. ასე იყო ცი-ვილიზაციის ისტორიის წიგნზეც, რომელზეც მან იმდენად სხარტი და ლამაზი რეცენზია გააკეთა, რომ ამ წიგნს რე-დაქტორის წერილად წავუმძღვარე. როცა ვინმეს აცნობდა

შეზავრები წყობისფლისა

ჩემს თავს, აუცილებლად ეტყოდა – ავტორი ამა და ამ წიგნისაო. ასეთი წარდგინებით ყოველთვის თავს ძალზე უხერხულად ვგრძნობდი, თუმცა მსიამოვნებდა მისი მხარდაჭერა და იმის გაფიქრება, რომ თურმე მცირეოდენი ქართული საქმე მეც მქონდა გაკეთებული. განსაკუთრებით უხაროდა, რომ ჩვენ ერთნაირი გაგება გვქონდა გიორგი სააკაძის პიროვნების შეფასებაში. მარტყოფის ისტორიაში ხომ მან უდიდესი ადგილი (და თავისი ახალგაზრდობის წლებიც) ამ დიდი მამულიშვილის ღირსეულად დაცვა-შეფასებას დაუთმო. განზრახული გვქონდა მისი წიგნიდან დიდი მოურავის შესახებ გამოკვლევა და ჩემი თხუთმეტიოდე ნარკვევი ერთობლივ კრებულად გამოგვეცა; სამწუხაროდ „ავისადროთა“ გამო ეს ვერ მოხერხდა.

კაცი ჩადენილი საქმეებით ფასდება. ზოგი ამაოდ ამძიმებს მიწას და უკვალიოდ ქრება, ზოგის მცირე ნაკვალევი მალე წაიშლება როგორც ზღვისპირა სილაზე ტალღების გადავლისას, ზოგნი კი იმდენად ღრმა კვალს სტოვებენ, რომ თაობებისთვის თვალსაჩინოა ხოლმე. აკაკიმ საფუძვლიანი და ღირსეული კვალი დატოვა: მრავალწლიანი ბრძოლით შეეცადა წყეული შაპ-აბასისაგან დატოვებული ბედუკულმართობის გამოსწორებას – ფერეიდნელი ქართველების სამშობლოში დაბრუნებას. დაიწყო კიდეც მათი ჩამოსახლების სასიხარულო პროცესი, რაც მერე ვაიქართველ ხელისუფალთა ბედოვლათობით და ჟამთა სიავით შეწყდა. მარტყოფის ომის ცოცხალ ძეგლად იარსებებს სოფელი სააკაძეც, რომელიც ყოფილ საცხენჰჰესის დასახლებას პირადად აკაკის თაოსნობით ეწოდა. მისი და თანამოაზრების ბრძოლის შედეგი იყო, რომ ხელისუფლებამ პატარიძის მეთაურობით ფართოდ აღნიშნა გიორგი სააკაძის დაბადების 400 წლისთავი და დაიდგა

დიდებული ძეგლები კასპში და თბილისში. მან უკვდავი ძეგლი დაუდგა მშობლიურ სოფელ მარტყოფსაც დიდებული ცხრაასგვერდიანი (სამტომიანი) წიგნით, რომელიც ერთი სოფლის გადასახედიდან დანახული სამშობლოს 4500 წლიანი ისტორიისა და მრავალი ახლო თუ შორეული თანამემამულის ცხოვრების დიდი სიყვარულით ასახვას წარმოადგენს. პირადად მე ეს შრომა უახლეს „ქართლის ცხოვრებად“ მიმაჩნია. სასურველია, რომ მარტყოფილებმა მომავალში ამ წიგნის პოლიგრაფიულად უფრო სრულყოფილი გამოცემა გააკეთონ. ამ საქმეთაგან თუნდაც ერთიც კი კმარა იმისათვის, რომ ამ ჭეშმარიტი მამულიშვილის ნაკვალევი დარჩეს სამშობლოს ისტორიაში. მისი უდიდესი ტკივილი იყო დიდი მამულიშვილების – გიორგი სააკაძის, ილია მართლის, კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის კირიონ მეორის, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასა და სხვათა დაღუპვა ზოგიერთ თანამედროვეთა უმადურობით, ავისმრჩერეკაობით, გაუტანლობით, დალატით. სრულიად სამართლიანად წერდა: „სანამ საქართველო არ ისწავლის თავისი დიდი შვილების ჭეშმარიტი და ღირსეულ დაფასებას, სანამ იგი არ განიმსჭვალება მათდამი უსაზღვრო სიყვარულის, თავდადებისა და მოწინების გრძნობით, მანამდე ჩვენ არაფერი გვეშველება და სასწორზე შევაგდებთ თვით ჩვენი არსებობის ზნეობრივ უფლებებსაც“. და ბოლოს, იგი იყო ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების ღირსეული წარმომადგენელი – უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ახალგორის რაიონის პრეფექტი, ხოლო შევარდნაძის დიქტატურის წლებში ეროვნული ხსნის მოძრაობა – წინააღმდეგობის ფრონტის ხელმძღვანელი და ბოლომდე დაუშურებლად იბრძოდა სამშობლოს თავისუფლებისათვის.

შგზავრები წყოთისფლისა

ამის შესახებ თვითონვე შესანიშნავად წერს: „ეროვნული იდეალები აცისკროვნებენ ჩემი ყოველდღიური ცხოვრებისა და ბრძოლის გზას. და ასე იქნება იმ დღემდე, იმ წუთამდე, იმ წამამდე, სანამ ჩემს მკერდში გული უკანასკნელ მოძრაობას შეასრულებს“. სწორედ ამით იყო იგი გამორჩეული ჩვენი საზოგადოების უამრავი მუცელლმერთა არსებისაგან. მომისმენია პოლიტიკურ მიტინგებზე მისი გამოსვლები, ასევე რამდენიმე ბრწყინვალე მოხსენება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაბადების 60 წლის-თავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე. მის ღრმაშინაარსიან გამოსვლებს მუდამ დიდი ყურადღებითა და მოწონებით ხვდებოდა საზოგადოება. პირადად მან კი ორჯერ იგრძნო თავი ყველაზე ბედნიერად – როცა ფერე-იდნელი ქართველების სამშობლოში დაბრუნებას მიაღწია და როცა 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის ქარტიას მოაწერა ხელი. როგორც ამბობდა, იმ წუთები-სათვის ღირდა სიცოცხლეც და სიკვდილიცო.

უშედავათო ცხოვრებით იცხოვრა. 1956 წლიდან, როცა იმპერიის წინააღმდეგ ქართველი ხალხის აჯანყების ერთ-ერთი მოთავეთაგანი იყო, სიცოცხლის ბოლომდე პოლიტიკურ დევნას განიცდიდა სწორედ სამშობლოს უდიდესი სიყვარულის გამო. ნიშანდობლივია, რომ ჯერ კიდევ დამწყებმა ლექტორმა, როცა ხელისუფლება დიდი ზეი-მით აღნიშნავდა საქართველოს რუსეთთან ვითომ „ნება-ყოფლობით“ შეერთებას, მან მკაცრად გაილაშქრა ამის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ ეს სიცრუეა, ნებაყოფლობით შეერთება კი არა, დაპყრობა იყო და სეზეიმო კი არა, საგლოვია. ამისათვის ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დაითხოვეს. მრავალი წლის შემდეგ მან კონკურსში მონაწილეობით მოიპოვა უნივერსიტეტ-

ში დაბრუნების უფლება, მაგრამ საქართველოს ისტორიის ნაცვლად აიძულებდნენ საბჭოთა კავშირის ისტორიის ლექციების წაკითხვას. ის კი ლექციებზე ფარულად საქართველოს ისტორიაზე ესაუბრებოდა სტუდენტებს. „ასე ვიძიებდი შურს ჩემს საძულველ და მანამებელ იმპერიაზე“ – ამბობდა იგი. ეს ჩვენი თაობის ტრაგედია იყო, რომ სამშობლოსათვის ავბედით დროში მოგვიხდა ცხოვრება, რის გამოც მას არ მიეცა საშუალება თავისი ნიჭი და უნარი მამულის აღორძინებისათვის ბოლომდე დაეხარჯა. ჭეშმარიტად დამაღლებელია მისი სიტყვები: „ტკივილად და სინანულად მრჩება, რომ ამ უსასრულო დროსა და სივრცეში სწორედ ამ ამაზრზენ, შემზარავ, შემაძრნუნებელ, შავბნელ, სიცრუითა და ძალადობით აღსავსე საუკუნეში დავიბადე. მენანება როგორც ჩემი თავი, ისე ყველა, ვინც კი ამ ავადსახსენებელ საუკუნეში დაიბადა“. ჭემარიტად! რაოდენ დიდი გულისტკივილია ჩვენი მრავალი თაობისა ამ სიტყვებში და რაოდენ ზუსტად არის შეფასებული ჩვენი ეპოქა. პირადად მე მიმაჩნია, რომ თვით ეროვნულ-მა ხელისუფლებამაც კი, ხანმოკლე დროის მიუხედავად, სწორად ვერ გამოიყენა მისი ნიჭი და შესაძლებლობები (უფალმა შემინდოს, თუ ვცდებოდე). როცა უნივერსიტეტის რექტორად, მთავრობის მეთაურად, პარლამენტის თავმჯდომარედ, მინისტრებად ძალზე მერყევი, არასაიმედო ანდა მოღალატე კადრები გყავს, პროფესორი (ისტორიკოსი) შორეულ და მთიან რაიონში ცხვარ-ძროხისა და ყაჩაღების სადევნელად არ უნდა გაგზავნო. ასეთი კაცი თავისი ნიჭითა და ერთგულებით სწორედ ხელისუფლებაში იყო საჭირო. ის რომ სწორად ჭვრეტდა პოლიტიკურ ვითარებას, პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილი წერილი-დანაც ჩანს, სადაც ჩამოყალიბებული აქვს იმპერიის აგ-

შგზავრები წყობისფლის

რესისისაგან ქვეყნის თავდაცვის პროგრამა და რომელიც, სამწუხაროდ, უყურადღებოდ დარჩა. სწორედ კადრების დაუღავებლობის შედეგი იყო და არის, რომ დღემდე ვერ მოხერხდა ეროვნული იდეოლოგიის შემუშავება, შერყეული რწმენისა და ზნეობის აღდგენა, ანუ იმის გაკეთება, რაც თავის დროზე უპირველეს საჭიროებად ჩათვალეს და გააკეთეს ფარნავაზ მეფემ, გიორგი ბრწყინვალემ (მონალობთა პატონობის გადავარდნის შემდეგ), ვახტანგ VI-მ, თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ.

აკაკი განუზომელი კაცომიყვარეობით, სიკეთით, ტკბილმოუბარი ბუნებით, სხვათა მიმართ გამოჩენილი სითბოთი ზათხულის მზეს ჰგავდა, რომელიც ჩასვლის შემდეგ იმდენ სითბოს სტოვებს, რომ განთიადამდე ჰყოფნის დედამინას. ასევე აკაკი მათიაშვილმაც იმდენი სითბო და სიყვარული დატოვა ირგვლივ მყოფებში, რომ ყველა ჩვენგანს არა მარტო საქართველოს ცაზე ნამდვილ განთიადამდე და უსისხლო მზის ამოსვლამდე, არამედ სიცოცხლის ბოლომდე გაგვყვება. ამიტომ მას კეთილად მომგონებელი და დამფასებელი ყოველთვის ეყოლება. ეს არის მთავარი, რადგან ოდესლაც ყველანი წავალთ ამ ქვეყნიდან, მაგრამ გააჩნია როგორ წავალთ და როგორ გაგვისხენებენ. სწორედ ამიტომ ჩემი ნალვლიანი მოგონებები მსურს დავასრულო ჩემს არქივში აღმოჩნილი ერთი ლექსით, რომელიც ჯერ კიდევ 1978 წელს მივუძღვენი მისი ჩინებული მამულიშვილობის გამო. ეს ლექსი მისთვის არასოდეს მიჩვენებია, რადგან ჩვენი თაობის გარდასვლის შემდგომ ფიქრებს შეიცავდა და ჩვენი წასვლის მერე დარჩენილების წასაკითხად იყო გამიზნული, თანაც ის დრო ძალიან შორეულად მეჩვენებოდა. ახლა თავს უფლებას ვაძლევ ეს სტრიქონებიც გამომზეურდეს:

აკაპის

კვლავ გამოიხორბლება
აქ ფშატი და აკაკი,
უჩვენოდ დაიქუხებს,
ძმადნაფიცო აკაკი.
მარგალიტის ცრემლებით
მოლი აგვიტირდება,
ჭირვეული ბავშვივით
ვაზი ჩაგვიბჟირდება.
ცაში აიჭრებიან
ტოროლები ურიალით,
ლაუვარდს მოითარეშებს
მაკრატელა სრიალით.
სიცოცხლეს მოგვაწყურებს
ცის უმანკო კრიალი
და სულს მოენატრება
შენი სიტყვის წერიალი.
ჩვენს ეზოშიც ამაყად
ალაყაფის ჭრიალით
დილა შემოაბიჯებს
ფრინველების ურიალით.
და თუ ვინმე შეხვდება
ჭიქა მწარე არაყით,
ჩვენი გულის ბუხარით,
ჩვენი სულის მარაგით,
მამულისთვის ტანჯულთა
რომანტიულ არაკით,

ალბათ გავახსენდებით,
ჩემო ძმაო აკაკი.
წინაპრებზე წუხილიც,
მშობელ მიწის ყივილიც,
სიყვარული, ღალატიც,
განშორების ტკივილიც,
ცოდვილ დედამიწაზე
ყველაფერი იქნება,
ყველაფერი იქნება,
ვიდრე მოგონებათა
გზები დაინისლება!

2006 წლის 8 იანვარს, დაბადების დღემდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე, 72 წლის ასაკში მოულოდნელად შეწყდა შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე ამ ჩინებული მამულიშვილის გულისცემა, შეწყდა მისსავე სათაყვანებელ მშობლიურ სოფელ მარტყოფში... და მარტყოფის სახელოვანმა მიწამვე ჩაიხუტა გულში ღირსეული შვილის ნეშტი. აკაკი მათიაშვილმა ჩვენი თაობის სიმართლისათვის დევნილი უამრავი მამულიშვილის ბედი გაიზიარა. „ნეტარ არიან სიმართლისათვის დევნილნი, რამეთუ მათია სასუფეველი ცათაი“. სამწუხაროდ მას თან გაჰყვა დარდი იმისა, რომ ვერ მოესწრო სათაყვანებელი სამშობლოს თავისუფლებას და აყვავებას. მისი სული სამოთხეშიც სამშობლოსათვის იბორგებს, ამიტომ ამ სულკურთხეული კაცის სამარეს, რომელიც ოჯახისა და მეგობრებისათვის შეუხორცებელ ტკივილად დარჩება, ალბათ მიესადაგებოდა ეპიტაფიად მისივე წიგნიდან მოხმობილი ერთი პოეტის სტრიქონები:

„მეტკილები და მედარდები -
მივდივარ, გტოვებ ბედის ამარა,
ასე მგონია, ჩემი არყოფნით
დაგიშავდება ბევრზე ბევრი რამ,
ჩემო მარტვილო, ჩემო მარტოყოფო,
ჩემო კოლხეთო და იბერიავ!“

ჭეშმარიტად ასე იქნება! ასეთი ადამიანების დაკარგვით
ხომ სამშობლოსაც და საზოგადოებასაც ბევრი რამ აკლ-
დება, რადგან სამშობლო იძარცვება და ჩვენი სულები ღა-
ტაკდება!

2006 წლის 5 თებერვლი

ლიანა მიქიანი

ფრანგმა ქართველოლოგმა ბერნარ უტიემ ერთხელ ძალზე მოსწრებულად თქვა: ღმერთმა საქართველო ალბათ იმიტომ გააჩინა, რომ პოეზიას სამშობლო ჰქონოდათ. ქართველი კაცის პოეტური ბუნება საუკუნეების სიღრმიდან იმზირება არა მარტო ლექსებიდან, არამედ ქვიდანაც, ლითონიდანაც, კერამიკიდანაც. ჩვენი ტაძრების ხავსიანი კარ-სარკმლების ქვათა უნაზესი ხვეულებიდან და წნულებიდან, ტიხრული მინანქრიდან, ოპიზარების მოჭედილი წიგნების ყდებიდან თუ ძვირფასი თვლებით შემკული ჯვარ-ხატებიდან, ოქრომჭედლობის უძველესი, ყორღანული სამარხების უმშვენიერესი ნიმუშებიდან, თუნდაც ქართული ცეკვებიდან სწორედ პოეზია იმზირება. მეოცე საუკუნე იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ქართველი ხელოვანები წარსულის ფესვებს დაუბრუნდნენ – ახალი სიცოცხლე შთაბერეს ტიხრულ მინანქარს, ოქრომჭედლობას, კერამიკას. დაიწყო ამ დარგების მძლავრი აღორძინება.

ლიანა მიქიანი ერთ-ერთი მათგანია, ვინც ლირსეულად გააგრძელა ჟამთა სიავისაგან შეწყვეტილი იბერიული ოქრომჭედლობის ძველი ტრადიციები და ახალ სიმაღლეზე აიყვანა ხელოვნების ეს დარგი. იგი დიდი ოპიზარების ლირსეული მემკვიდრე აღმოჩნდა. ის საქართველოს ისტორიაში იყო პირველი ქალი, ვინც ცივი ლითონი აამეტყველა და ოქრომჭედლობის უბადლო ნიმუშები შექმნა. პოეტმა ერეკლე საღლიანმა დიდებულად თქვა: – ლიანა მიქიანის

შემოქმედება ლითონში ამღერებული საქართველოს ისტორიააო. არც მის დროს და არც მანამდე ასეთი რთულ-სიუჟეტიანი, მრავალფიგურიანი, დინამიური, ფსიქოლოგიურად და ფილოსოფიურად დატვირთული ჭედურობის სურათები არავის შეუქმნია.

მისი ცხოვრება და მოღვაწეობა დაემთხვა საქართველოს ძნელბედობის ჟამს – მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების გზასაყარს. ამ დიდი ნგრევის, სიდუხჭირისა და განუკითხაობის ოცნლიანმა ქარტეხილებმა საგრძნობლად დალი დაასვა მის ცხოვრებას. საქართველოში არა მარტო თავის გატანა, არსებობის შენარჩუნება და ცოცხლად გადარჩენა, არამედ ჭედურობისათვის საჭირო მასალების შოვნაც კი გაჭირდა. ლიანა იძულებული გახდა გარკვეული დროით უცხოეთში გადახვეწილიყო. იქაც უმძიმეს პირობებში მოუხდა მუშაობა. ამის შესახებ თვითონ მოგვიანებით ასე იხსენებდა: – მოსკოვში ვმუშაობდი სარდაფში ისეთ პირობებში, რომ მეტირება, როცა ვიხსენებო.

ასეთი აუტანელი პირობების გამო ისევ სამშობლოში დაბრუნდა. ერისკაცთაგან, საქართველოს ხელისუფლებისა და კულტურის სამინისტროსაგან უყურადღებოდ მიტოვებულმა ლვთის სადგომს შეაფარა თავი – ჯვარის მამის მონასტერში დამკვიდრდა მორჩილი ანას სახელით. მონასტერი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც არსებობისა და მუშაობისათვის შედარებით უფრო ხელშეწყობა ჰქონდა. მონასტერში ათწლიანი მოღვაწეობის ჟამს შექმნა ტიხორული მინანქრისა და ჭედური ხატები, მუშაობდა სალმრთო წიგნების ყდების მოჭედვაზე, ხატების ძვირფასი თვლებით შემკობაზე. მისი ნამუშევრების უმეტესობა

შგზავრები წყობისფლის

ღვთიური შთაგონებით შესრულებულია. ჯვარის მამის მონასტრის წინამდლვარმა მამა ტარიელმა განაცხადა: ლიანა მიქიანმა მონასტერში მოღვაწეობის ათ წელიწადში ათი კაცის საკეთებელი ასწლიანი საქმე შეასრულაო. თვითონ მიქიანი კი ამბობდა: – მთელი ჩემი არსით მინდა ვემ-სახურო უფალსა და ჩემს ერს. ჭეშმარიტება ღმერთშია და ღმერთი თუ გადაარჩენს საქართველოსო. მართლაც მისი ფიქრი ყველგან და ყოველთვის თავს დასტრიალებდა სამშობლოს. მთელი მისი შემოქმედება არის სამშობლოს, ერის, უფლისადმი თავგანწირული მსახურების ნიმუში. იყო უაღრესად განათლებული და უმწიკვლო მამულიშვილი. იცხოვრა ხელოვნებისათვის და მოკვდა ხელოვნებისათვის. როცა ის მსოფლიოში აღიარებული დიდი ხელოვანი იყო, თავის სამშობლოში ღირსეულ აღიარებას ვერ ეღიორსა. 2006 წელს, მონაზვნად აღკვეცის წინ, სრულიად უდროოდ, 53 წლისა წავიდა ამ ქვეყნიდან, წავიდა ისე, რომ ფართო საზოგადოებისათვის თითქმის უცნობი დარჩა. უჩინრად წავიდა ისე, როგორც წავიდნენ ნიკო ფიროსმანაშვილი, ტერენტი გრანელი, ნიკო სამადაშვილი და სხვა დიდი ხელოვანები. საზოგადოების ამ უყურადღებობასა და გულცივობა-უმადურობაში კი დიდი ბრალი მიუძღვით ქართულ უურნალ-გაზეთებს და ტელევიზიებს; მათ დუმილით მოკლეს დიდი ხელოვანი, რადგან დღენიადაგ დაკავებული იყვნენ პოლიტიკური ინტრიგების, უზნეობის, მუცელლმერთების ნაყროვნების, კარიერისტებისა და სამშობლოს დამაქცევართა ხარბი ცხოვრება-საქმიანობის, ოჯახური დრამების გაშუქებით, ისეთებით, ცხოვრების ზღვა რომ დროებით ჭუჭყივით მოიგდებს თავზე და მერე მედუზასავით გარიყავს სადმე დავინუების უკაცრიელ ნაპირზე; ხოლო ჭეშმარიტ მამულიშვილებზე, ეროვ-

ნულ მოღვაწეებზე კი, ვინც ერის სახელი და დიდება მომავალს უნდა გადასცეს, დუმდნენ;

მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში, ვეება ბებერი ხის ჩეროში ერთი სამარის ქვა არის წარწერით – ლიანა მიქიანი. ეს წარწერა მნახველს ამ დიდი და წამებული, ჩუმი და ხელმადლიანი მოღვაწის შესახებ ბევრს ვერაფერს ეუბნება. ხოლო ვინც იცის მისი შემოქმედების შესახებ, ალბათ დაგვემოწმება: ლიანა მიქიანი – ზღაპრული სვანეთის შვილი, სწორედ სვანური ლეგენდებიდან გადმოსულ საოცრებად მოევლინა ქვეყანას; როგორც ერთმა შემოქმედმა თქვა, იგი სვანური მთებივით წამოიმართა ოცდამეერთე საუკუნის ქართული ხელოვნების კაბადონზე და სამუდამოდ დაიმკვიდრა იქ დიდი ხელოვანის სახელი!

სხა დაკარგული სამცხილან

აპმედ გელაშვილი – დიდი ერისკაცი

რუსეთის 1917 წლის რევოლუციის შედეგად საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ სიკეთესთან ერთად რევოლუციამ ზიანიც მოგვიტანა. რუსეთ-თურქეთის საზავო ხელშეკრულებით საქართველომ დაკარგა წვითა და დაგვით შემოერთებული სამცხის დიდი ნაწილი. ეს იყო ლენინის ხელისუფლების ანტიქართული პოლიტიკის, მსოფლიო რევოლუციაზე ოცნების ბაცილაშეყრილი ნოე ჟორდანიას მთავრობის დაუდევრობის, ზოზინის, უპასუხისმგებლობის, დოყლაპიობის შედეგი. სამცხე საქართველოს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთის ჭიშკარი იყო. იგი უშუალოდ ესაზღვრებოდა ბიზანტიას და ახლო აღმოსავლეთს. ამიტომ მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ცივილიზებულ მსოფლიოსთან ქართული ცივილიზაციის კავშირისათვის. რუსეთმა ყრუ კედელი აღმართა თურქეთის საზღვარზე. ქართველ კაცს თვით მესხეთის ზონაშიც კი საშვის გარეშე შესვლა აღარ შეეძლო. ამიტომ განყდა კავშირი საქართველოს ისტორიულ მხარეებთან – ტაო-კლარჯეთთან, ლაზეთთან, შავშეთთან, ერუშეთთან. ამან ხელი შეუწყო საქართველოს დაკარგული პროვინციების ქართული მოსახლეობის უცხო მოდგმისგან ასიმილაციას, დენაციონალიზაციას, გათურქებას. იქაურ ქართულ მოსახლეობას მრავალი წლის მანძილზე არათუ რაიმე კავშირი, წარმოდგენაც აღარ ჰქონდა დედასაქართველო-

ზე. გაპარტახდა და ნანგრევებად იქცა იქაური დიდებული ტაძრები.

მიუხედავად ამისა იქაურ ქართველთაგან ზოგიერთები მაინც ცდილობდნენ მოსახლეობაში მიძინებული ეროვნული ცნობიერების გაღვიძებას. ერთ-ერთი მათგანი, ვინც ეს შეძლო, აჰმედ მელაშვილი გახლდათ. იგი განათლებით არქიტექტორი და სულით ხორცამდე ქართული ცნობიერების კაცი იყო. მასში იმდენად მძლავრი იყო ეროვნული გაგება, რომ შვილებსაც დიდებული ქართული სახელები – თამარი და იბერია დაარქვა. აქედანაც ჩანს – მან ჩინებულად იცოდა, რომ მისი თანამემამულეები დიდი იბერიული ცივლიზაციის მემკვიდრეები იყვნენ. მისი შვილები მამის ღირსეული შთამომავლები არიან. მან მიზნად დაისახა თურქეთის ქართველებისათვის მიეწოდებინა ცნობები სამშობლოს, დედაენის, ქართული კულტურისა და მწერლობის შესახებ. აგროვებდა და ავრცელებდა ძველ ქართულ ხალხურ სიმღერებს, თქმულებებს, ხალხს უხსნიდა, რომ ბანა, ოშკი, ხახული, პარხალი, იშხანი მათი წინაპრების აგებული იყო. მან ჩამოაყალიბა იქაურ ქართველ მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლი; ასწავლიდა ხალხს ქართულ წერა-კითხვას; ბეჭდავდა და ავრცელებდა ქართულ უურნალ-გაზეთებს. 1963 წელს გამოსცა წიგნი „გურჯისტანი“ („საქართველო“), რის შემდეგაც იქაურმა ქართველებმა ბევრი რამ გაიგეს დედასაქართველოს არსებობის შესახებ. ასეთი საქმიანობისათვის თურქეთის ხელისუფლებამ აჰმედი საბრალდებო სკამზე დასვა, მაგრამ იძულებული გახდა გაემართლებინა. მიუხედავად ამისა მის საქმიანობას მკაცრად უთვალთვალებდნენ და ხელს უშლიდნენ, მტრობდნენ, აბეზღებდნენ. 1980 წლის 5 ივლისს ქალაქ ბურსაში მელაშვილი ვერაგულად მოკლეს.

შგზავრები წყობისფლისა

თავდასხმის დროს მძიმედ დაიჭრა მისი შვილი იბერია. ჩვენებურებში მისმა დაღუპვამ დიდი გლოვა გამოიწვია.

პოტმა ფრიდონ ხალვაშმა ასე შეაფასა მისი ლვანლი: – „სადაც აკრძალეს საქართველო, იქ იქართველა“. აპმედ მელაშვილი თავისი საგანმანათლებლო საქმიანობით იქაური ქართველებისათვის ისეთივე მოღვაწე იყო, როგორც ილია XIX საუკუნის საქართველოსთვის. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ 2013 წელს საქართველოდან ჩასულმა დელეგაციამ მის სამარეზე მთანმინდიდან, ილიას სამარიდან აღებული მინა მოაფრქვია. აპმედ მელაშვილის ცხოვრებამ ვაჟა-ფშაველას დიდებული ლექსი „კაი ყმა“ გამახსენა. ჩვენში ასეთ კაცს უწოდებენ კაი ყმას.

კაი ყმა ომში პირველია, ჭირში სოფელს, ჯამაათს, ერს წინ მიუძღვის, მუდამ ხალხის წინსვლა-სიკეთეზე ფიქრობს და ზრუნავს, თანამოძმეთ უკეთესი მერმისისაკენ ნარეკლიან გზას უკაფავს; სიკეთის დროს კი უჩინრად რჩება, სანაცვლოს არაფერს თხოულობს. მისი მიზანი თანამოძმეთა ხარჯზე კუჭის ამოყორვა კი არა, ერის კეთილდღეობისათვის ზრუნვაა. ასეთი კაი ყმებით არსებობს ერი, ასეთი კაი ყმა ქვეყნის ძალა და ღონეა, ასეთი კაი ყმებით აღნევს ერი უკვდავებას. მაშინ კაი ყმაც უკვდავი ხდება. ეს არის კაი ყმის ამქვეყნიური ვალი. აპმედ მელაშვილმა ბნელი გაუნათა თანამოძმეთ, მიძინებული მშობლიური სული გაუღვიძა და თავისი ხალხის კეთილდღეობის სალოცავ საკურთხეველზე დაიფერფლა. მის სამარეს ამკობს მოკრძალებული წარწერა: – „მე ვიცხოვრე ჩემი ხალხისათვის და არა უკვდავებისათვის“. ის ლირსეულად ემსახურა მშობელ ხალხს, ემსახურა როგორც კაი ყმა, და უკვდავებაში გადავიდა!

ლაზეთის პულგული

დაკარგული სამცხის ქართველებში ეროვნული გრძნობების გაღვიძებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის მომღერალს ქიაზიმ ქოინჯუს. ის იმ დროს გამოვიდა ასპარეზზე, როცა ლაზური ენა თანდათან დავიწყებას ეძლეოდა, ბავშვებმა თითქმის აღარ იცოდნენ მშობლიური ენა. ქიაზიმმა ბებიისგან ისნავლა ლაზური ენა. სიმღერის ნიჭი აღმოაჩნდა. დადიოდა სოფელ-სოფელ, აგროვებდა ლაზურ სიმღერებს და თანამედროვე მუსიკაზე – გიტარაზე გადაჰქონდა. დაიწყო სოლო კონცერტების გამართვა, მერე შექმნა ანსამბლი „ზღვის შვილები“. მან ააღორძინა უძველესი და უნიკალური ლაზური სიმღერები, ენა, კულტურა, ლაზური ენით და სიმღერით ყველა დაინტერესდა, მისი გულშიჩამწვდომი ხმა და სიმღერები მსმენელებზე უდიდეს ზემოქმედებას ახდენდა. მის კონცერტებს არა მარტო ქართველები, უამრავი თურქიც ესწრებოდა. თურქებს ლაზური ენა არ ესმოდათ, მაგრამ ხიბლავდათ მათთვის სრულიად ახალი, განუმეორებელი რიტმისა და მელოდიის შემცველი სიმღერები. მისი კონცერტები სახალხო ზეიმად იქცა და როგორც წესი, მთელი დარბაზი ცეკვით ასდევდა ხოლმე. მისი სიმღერები იყო თურქული გარემოსათვის სრულიად ახალი რამ, არც ერთი მათგანი მეორეს არ ჰქოვდა, არ მეორდებოდა. მან რეპერტუარში მეგრული სიმღერებიც ჩართო – „ცირა ქოვალე“, „დიდოვ ნანა“, რომლებსაც უდი დესი მოწონება ხვდა.

2003 წლის აგვისტოში ქიაზიმი საქართველოში ჩამო-

შგზავრები წყობისფლისა

ვიდა გასტროლებზე მეორე იქაურ კომპოზიტორთან და მომღერალთან ბაიარ შაჰინ გუნდარიძესთან ერთად. მის კონცერტებს უამრავი მაყურებელი ჰყავდა. საქართველოში ყოფნის შემდეგ მან დაამუშავა და თავის რეპერტუარში შეიტანა ქართული ხალხური სიმღერა „მოხევის ქალო თინაო“. ეს სიმღერა ჩვენში ვის არ მოუსმენია, მას ბევრნი მღეროდნენ, მაგრამ ქიაზიმი სულ სხვა გრძნობით მღეროდა, ისე დიდებულად, რომ საქართველოშიც კი ასე თითქმის ვერ მღერიან.

ძველი კოლხური სიმღერის აღორძინებისა და განუმეორებელი, გულშიჩამნვდომი ხმის გამო ხალხმა მას ლაზეთის ბულბული უწოდა. ეს იყო მისი შემოქმედების უდიდესი და საყოველთაო სახალხო შეფასება.

მთელს სახელმწიფოში თავბრუდამხვევი წარმატების მიუხედავად ის არ ივიწყებდა მშობლიურ ლაზეთს, განუწყვეტლივ ზრუნავდა თავისი ხალხის უფლებების, ლაზური ენის, ფლორის, ლ აზეთის მშვენიერი ბუნების პირველყოფილობის შენარჩუნებისათვის, გიგანტური კაშხალების მშენებლობის წინააღმდეგი იყო.

2005 წლის 25 ივნისს თურქეთის მედიამ ხალხს მისი გარდაცვალება აუნყა. ლაზეთის ბულბული დადუმდა 33 წლის ასაკში დაიღუპა ფილტვის კიბოთი. ლაზეთის ბულბულის დაღუპვამ უდიდესი გლოვა გამოიწვია. სტამბოლიდან ნეშტი თვითმფრინავით ტრაპიზონში გადმოასვენეს, იქიდან – ხოფაში. ქუჩებში მოძრაობა შეჩერდა: 60 ათას-ზე მეტი ქართველი ფეხით, კოლხური მუსიკითა და ტაშით მიაცილებდა მის ცხედარს უკანასკნელ განსასვენებელ ადგილამდე – სოფელ ლანჭევამდე. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ თურქეთში ქუჩაში ამდენი ქართველი გამოვიდა. (ეს ხელისუფლების დისკრიმინაციული პოლიტიკი-

სადმი ერთგვარი პროტესტი იყო). გამოვიდა იმიტომ, რომ
ამ ერთი შეხედვით სიფრიფანა, გამხდარ, თავმდაბალ,
ლურჯთვალა ყმაწვილს განსაკუთრებული დამსახურე-
ბა მიუძღვოდა შავი ზღვის აუზის ხალხებისა და კოლხუ-
რი კულტურის აღორძინებაში. სტამბოლის მაღაზიებში
ახლაც იყიდება კასეტები მისი სიმღერების ჩანაწერებით,
ქუჩებში მისი ხმა დღესაც უღერს!

გაიარ შაპირ გუნდარიძე

მესხური ხალხური შემოქმედების შეკრება-შესწავლა-დამუშავებაში დიდი წვლილი მიუძღვის ნიჭიერ კომპოზიტორსა და მომღერალს ბაიარ შაპირ გუნდარიძეს. მან იმოგზაურა ქართულ სოფლებში, შეაგროვა ქართული სიმღერები, ასევე მელაშვილის შეკრებილი სიმღერები, ისინი დაამუშავა, გიტარაზე გადაიტანა და ჩვენამდე მოიტანა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ დღეს საქართველოში ისმის უმშვენიერესი ხალხური სიმღერები ცეკვის თანხლებით „გელინო“, „გოგნი, გოგნი, გოგონა“. მას მჭიდრო ურთიერთობა აქვს საქართველოს კულტურულ ცხოვრებასთან, ხშირად ჩამოდის საქართველოში და „ჩვენებურების“ ანსაბლებთან ერთად მონაწილეობს ფესტივალებში.

რუსეთის იმპერიის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ თურქეთის საზღვარზე ყრუ კედელი გაირღვა – ორად გაყოფილ ქართველობას ერთმანეთთან მისვლის საშუალება მიეცათ. ახლა თურქეთის ხელისუფლებამ საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენით თურქულ სკოლებში ქართული ენის სწავლების უფლება მისცა. ბურსაში და სხვა ქალაქებში ქართული და კავკასიური სათვისტომოების კულტურის სახლები შეიქმნა, რომლებიც ხალხური შემოქმედების აღორძინებას, ქართული წიგნებისა და უურნალების გამოცემას, მოსახლეობაში ქართული წერა-კითხვის გავრცელებას ეწევიან. სიმღერას საზღვრები არა აქვს – მას შეუძლია მიღენ-მოლენოს იმპერიებისგან დადგენილი საზღვრები; სიმღერა

აახლოვებს ხალხებს; სიმღერას შეუძლია მტრისა და მოყვრის გულებამდე მისასვლელი გზების მიგნება, ორად გაყოფილი გულების შეერთება. ქიაზიმისა და ბაიარის მოღვაწეობა ამის დასტურია! ამაზე მიანიშნებს თვითონ ბაიარის ღრმად ეროვნული სიტყვებიც: – „ყველა ჩემი სიმღერა ერთნაირად მიყვარს, მაგრამ „რა სამშობლო მქონია“ სხვებთან შედარებით ცოტა უფრო მეტად მიყვარს. გუშინდელს, დღევანდელს და მომავალს აკავშირებს და ალბათ ამიტომ აქვს მეტი მნიშვნელობა ჩემთვის...“.

გამოცემიდან გამოყოლილი ფიქრები

2004 წლის დეკემბერში ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმში ერთი ჯავახელი თვითმყოფადი მხატვრის სურა-თების გამოფენაზე გახლდით. ამ რამდენიმე წლის წინ ეს სრულიად უცნობი ჭაბუკი სამხატვრო აკადემიის ამჟამინ-დელმა რექტორმა გია ბუღაძემ აღმოაჩინა და წარუდგინა საზოგადოებას. მაშინ მხატვრის პირველ პერსონალურ გა-მოფენაზე გ. ბუღაძემ თქვა: მეოცე საუკუნე დაიწყო ნიკო ფიროსმანაშვილით და დამთავრდა ნუგზარ ნათენაძითო. სიმბოლურია, რომ ნათენაძის მორიგი გამოფენა სწორედ დიდი ნიკალას სახლ-მუზეუმში მოეწყო. ჩემი შთაბეჭდი-ლება ამ გამოფენიდან:

უპირველესად თვალში საცემია, რომ ყველა სურათს ერთფეროვანი, ბუნდოვანი, ნაღვლიანი, ტყვიისა და ნის-ლის ფერში გათქვეფილი მიწისფერი ფონი აქვს. ამ ნაღვ-ლიანი და მძიმე, ერთფეროვანი სამყაროდან, რომელსაც ცხოვრება ჰქვია, იმზირებიან ლანდად ქცეული ადამიან-თა სახეები . მათ კონკრეტული ნაკვთები თითქმის და-კარგული აქვთ – თითქოს საიდანლაც შორიდან, უამჟრი სიზმრის ნისლეულიდან იმზირებიან. ზოგს ნახევრადმხე-ცის აპოკალიფსური იერი აქვს. ანუ საზოგადოება ორა-დაა გაყოფილი: ერთი, უდიდესი ნაწილი დათრგუნული, გაძარცული, სასონარკვეთილია. მეორეა საზოგადოების უმცირესი ნაწილი, თანამოძმეთა ძარცვით მხეცად ქცე-ული, მოყვასის სისხლითა და ცრემლით, არამი ლუკმით

გაქსუებულ-გასუქებული, ლაფში ჩაწოლილ ღორივით გა-
მაძლარი და კმაყოფილი რომ ღრუტუნებს... და ეს არარა-
ობა ქვეყნის ბატონ-პატრონობას ჩემულობს. ეს ის ნაწი-
ლია, რომელმაც 1992 წლიდან მოყოლებული ათწლეულში
ქვეყანას ნგრევა, ძარცვა, უბედურება, შიმშილი და სიკ-
ვდილი დაატეხა თავს და წამოტივტივდა. საზოგადოების
ამ უკეთური ნაწილის განსახიერებაა რამდენიმე სურათი:
ერთი ტილოდან იმზირება უსასტიკესი სახე მტაცებელი
მხეცისა თეთრი ეშვებით. მეორე სურათზე აღბეჭდილი
არსების პირიდან ბოროტებისა და ავსიტყვაობის ნიმნად
შავი დუში და ლოშქრი მოედინება.

ზოგ სურათზე ჩანს ქალის შიშველი მკერდი, სახეები
აქაც უსახური, ბუნდოვანი, ფონში ათქვეფილია. წინ წამო-
ნეულია სიმბოლო ნაყოფიერებისა, იმისა, რომ ქალის სა-
შომ შვა ამ ადამიანთა სახეები – ბოროტიც და კეთილიც,
ქალის მკერდმა ძუძუ აწოვა მათ; აქედან იწყება სიცოცხ-
ლე – მან უნდა შვას და აღზარდოს ხვალ მომავალიც, რომე-
ლიც – კეთილი იქნება თუ ბოროტი, არავინ იცის.

ზოგიერთ ნახატზე რუსული და ლათინური წარწერებია.
არსად, არც ერთ სურათზე ქართული წარწერა არ ჩანს. რი-
სი თქმა სურს ამით მხატვარს? ერთ ტილოზე კაციჭამია
ურჩხულის სახიანი ლანდია, რომელსაც რუსულად აწე-
რია: „ველური ღვთისმშობელი“. ეს მართლმადიდებლო-
ბას და ღვთისმშობლის კალთას ამოფარებული რუსეთია,
რომელსაც არ ესმის, რომ ქრისტიანობა სიკეთე და კაცთ-
მოყვარეობაა; რომ ქრისტეს მთავარი მცნებაა – გიყვარ-
დეს ადამიანი და თვალი არ გაგირბოდეს სხვის ქონებაზე;
რომ მართლმორნმუნე ერი არ შეიძლება სხვა ერების ჩაგვ-
რის, უძღებობის, სიძულვილისა და დამპყრობლობის სურ-
ვილით იყოს გაჟღენთილი. დღეს ქრისტიანობის მანტიით

შეზავრები წუთისოფლისა

შენიღბული რუსეთი და ევრო-ამერიკის აჩრდილები კავკა-სიას დასტრიალებენ და შთანთქმას უქადიან. კავკასია კი ჯერჯერობით ბურანში გათანგული, გათითოკაცებული, დამშეული, შინაური და გარეშე მტრისაგან ნაწამები ფეხ-ზე წამოდგომას ლამობს. სწორედ ამის სიმბოლოა ერთ-ერ-თი სურათი: მასზე აღბეჭდილია წაქცეული ადამიანი, რო-მელიც მუხლებზე წამოჩოქილია და წამოდგომას ლამობს. გამოსახულების სხეული შავი კონტურით იღანდება ფონი-დან, თავ-პირი კი თითქმის მიწაში, ტალახში აზელილია. ეს არის ცხოვრების სისასტიკისაგან და უსამართლობისაგან გასრესილი ადამიანი თუ საზოგადოების ნაწილი, რომე-ლიც ბედისწერას არ ნებდება და წამოდგომისათვის იბრძის. ეს გახლავთ ღრმად ფილოსოფიური სურათი დღევან-დელი ჩვენი ყოფისა.

ნახატებზე არსად ჩანს მხიარული, ლალი ფერები, მწყა-ზარი და იმედიანი სახეები. სურათებისათვის გამოყენე-ბული მასალაც ასევე უხეში და მარტივია; განა ასეთი არ არის დღეს ჩვენი ცხოვრება? მხოლოდ სამი სურათია ისე-თი, რომლებიდანაც შედარებით დასრულებული სახეები იმზირებიან. სამივე ბავშვების პორტრეტებია. მათშია სა-ზოგადოების მომავალი ხსნა. ეს არის ერთადერთი სხივი იმედისა.

ეს გამოფენა არის ჩვენი საზოგადოების დღევანდელი ყოფა – უსიხარულო, მრუდე, გაუსაძლისი, უმძიმესი ფო-ლადისფერი ჯანღით დაბურული, ადამიანთა ერთფერო-ვანი და ნაღვლიანი ლანდებით, რომლებსაც ლიმილი და-ვიწყებიათ. მაგრამ ამ საზოგადოებაში მაინც ჩანს მცირე ნათელი პატარა ბიჭების – მომავალი თაობის სახით. ეს არის ნუგზარ ნათენაძის სურათების მეხუთე გამოფენიდან გამოყოლილი ჩემი შთაბეჭდილება. შეიძლება თვით მხატ-

ვარი სულაც არ ფიქრობდა ასე, ან სულაც სხვანაირი ახსნა მოუძებნოს მათ მავანმა მნახველმა. არავის ვახვევ თავზე ჩემს აზრს, მაგრამ პირადად მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა ამ გამოფენიდან. თვითონ მხატვარს ხშირად უთქვამს: არ შემიძლია იმის ახსნა, რასაც ვხატავ. დაე, ეს თვითონ მნახველმა იფიქროს და განსაჯოსო. მართლაც, ეს ნახატები მნახველს უდავოდ ბევრ რამეზე დააფიქრებს. ეს არის მთავარი. ამიტომ ჩემს თავსაც უფლება მივეცი, ქაღალდზე გადამეტანა ის ფიქრები, რაც ამ გამოფენის ნახვამ აღმიძრა. ეს არის ღრმად ფილოსოფიური, მრავალისმთქმელი და ადამიანთა მოდგმაზე დამაფიქრებელი სურათები; თითქოს არამიწიერი, შორი სამყაროდან მხატვრის მიერ თვალმოკრული და წამიერი განჭვრეტილი დედამიწა – სამყარო ჩვენი; მაგრამ ეს კაცთა მოდგმის ყოფაა, სადაც ზოგმა მძიმე ოფლით უნდა მოიპოვოს პური არსობისა, ზოგს კი თანამოძმეთა შეჭმის შემდეგ ლაშებზე ისევ სისხლი აცხია. დიახ, ესაა კაცთა მოდგმის დღევანდელი სასტიკი ყოფა, რომელსაც შეცდომით ცხოვრებას ვეძახით... და ამ სურათებიდან ყველამ თავისი თავი უნდა ამოიცნოს. იმიტომ აქვთ ნახატებს ზოგადი, ღანდადქცეული სახეები.

17. XII. 2004 წ.

პაშვებს სიცრუეს თუ ვასთავლით!

2014 წლის ივნისში ერთი თავმომწონე სკოლის მეორეკლასელთა გამოსაშვებ ღონისძიებას ვესწრებოდი მიწვეულ მშობელთა რანგში. ბავშვები მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ლექსებს ამბობდნენ. მერე საქართველოს ისტორიიდან ვიქტორინა წარმოადგინეს. ამბობდნენ: ქართული ანბანი მეფე ფარნავაზმა შექმნაო. გამიკვირდა: საიდან აიღო მასწავლებელმა ძველი, მეცხრამეტე საუკუნის დროინდელი მოსაზრება-მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ ხელში ჩამივარდა მცირენლოვან გოგონათა საბავშვო ჟურნალი კარუსელი №28. იქ პანია მოთხრობაში „ფარნავაზი“ კატეგორიული ტონით წერია: „ქართული ანბანი სწორედ ფარნავაზ მეფის შექმნილია“. (გვ. 31). მოთხრობის შესავალში მინიშონებაა იმაზე, რომ ეს ცნობა აღებული უნდა იყოს წიგნების სერიიდან „დიდი ქართველები – გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები“.

ეტყობა ეს აზრი დღეს თანდათანობით ფეხს იკიდებს. არადა ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც მესროპას ამბავი. ყველას ახსოვს, რომ დიდხანს ბოგინობდა მოსაზრება – ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნეში სომებს მესროპას შევეცოდეთ ქართველები, დაგვეხმარა და შეგვიქმნა ქართული ანბანიო. მერე ამტკიცებდნენ – ფარნავაზმა შექმნაო. ძველ მატიანებში გარკვევით არსად წერია, რომ ფარნავაზმა შექმნა ანბანი. ეს მოსაზრება შედეგია ფარნავაზის ცხოვრების მემატიანის ბუნდოვანი ცნობისა:

„ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული და არა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“. ფარნავაზმა დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი რეფორმა გაატარა: გაერთიანებულ ქართულ სახელმწიფოს ერთიანი ეროვნული იდეოლოგია შეუქმნა, სავალდებულო სახელმწიფო ენად გამოაცხადა ქართული და ბრძანა, რომ მთელ სახელმწიფოში საქმის წარმოება, სამწერლო და საკანონმდებლო საქმიანობა ქართული დამწერლობით ეწარმოებინათ ნაცვლად მანამდე არსებული სხვადასხვა დამწერლობისა და ენებისა. ანუ მან ქართული ენა და დამწერლობა სავალდებულო სახელმწიფო რანგში აიყვანა. ამით ფარნავაზმა გვიანდერდა – ერთიანი ენა, ერთი დამწერლობა სახელმწიფო ერთიანობის, სიმტკიცის პირობაა!

ქართული ისტორიოგრაფიის მამამ, დიდმა ივანე ჯავახიშვილმა თითქმის ასი წლის წინათ ქართული ანბანის საკითხის ღრმა მეცნიერული შესწავლის შემდეგ დაასკვნა, რომ ჩვენი ასომთავრული დამწერლობა 2300 წლის წინათ, ფარნავაზის დროს კი არა, არამედ ოთხასი წლით უფრო ადრე – 2700 წლის წინ შეიქმნა. ეს მოსაზრება ვერავინ უარყო. პირიქით. არაერთი გენიალური აღმოჩენის ავტორი იყო პავლე ინგოროვა. მან განავრცო აკად. ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება და დაასკვნა, რომ ქართული ანბანი ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნეში შექმნა მესხთა ერთ-ერთმა მეფემ მითა მესხმა, რომელიც მაშინდელი ცივილიზებული სამყაროს წამყვანი ქვეყნის ხეთის სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე იყო. მაშინ ხეთის ცივილიზაციაში გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ ჩვენი წინაპრები – თუბალების ანუ იბერების, მესხებისა და კასხების (კოლხები) ტომები. მანამდე იბერიული მოდ-

შგზავრები წყობისფლის

გმის მრავალრიცხოვანი ტომები ხატოვან, ლურსმულ და სხვადასხვა იბერიულ დამწერლობებს (კრეტულს, პირენეულს და სხვ.) ხმარობდნენ. ბარბაროსთა მოძალებისა და დიდი ხეთურ-სუბარული (იბერიულ-ხალდური) სამყაროს დაშლის შემდეგ წინააზის ქართველმა ტომებმა კავკასიისკენ დაიხიეს უსაფრთხოების მიზნით. მათ თან მოიტანეს ხალდის, ქალდეას ქვეყნიდან ქალდეური, ანუ ქართული დამწერლობა. ეს ანბანი მერე ფარნავაზმა სავალდებულო სახელმწიფო დამწერლობად გამოაცხადა. ბრძანა, რომ იბერიის სამეფოში სამწერლო საქმიანობა ამ ანბანით ეწარმოებინათ. ამ მოსაზრებას ეთანხმებოდნენ ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია და შემდგომი თაობის სხვა დიდი მეცნიერები. ეს თარიღი კიდევ უფრო დააკონკრეტა მკვლევარმა რამაზ პატარიძემ, მისი დასკვნით ქართული ასომთავრული ანბანი შექმნა უცნობმა ქურუმმა ძვ. წ. V საუკუნეში (ძვ. წ. 412 წ.), ფარნავაზ მეფემ კი ძვ. წ. 284 წელს იგი სავალდებულო სახელმწიფო დამწერლობად აქცია. სხვა მეცნიერებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, როცა ქართულ ასომთავრულ დამწერლობაზე გვაქვს ორი ბრწყინვალე ფუნდამენტური ნაშრომი – დიდტანიანი წიგნები ივანე ჯავახიშვილისა („ქართული პალეოგრაფია“) და რამაზ პატარიძისა („ქართული ასომთავრული“), ნამდვილად სირცხვილია დღეს რომელიმე ავტორი, გამომცემლობა ან პედაგოგი XIX საუკუნის მცდარი ვერსიით ხელმძღვანელობდეს.

ისე, საკვირველი ხალხი ვართ ქართველები. მეტის-მეტი თავმდაბლობით სიბრიყვემდე მივდივართ, ჩვენს ავისმოსურნებს ვეხმარებით ჩვენივე ისტორიის გაყალბებაში. უცხოელმა თუ თქვა რძე შავიაო, დიდი ურიამულით დავიჯერებთ; ქართველმა რომ თქვას თეთრიო,

ქოქოლას დავაყრით. მაგალითად: აღმაშენებლის თანამედროვენი – XII საუკუნის სომეხი, არაპი, ფრანგი მემატიანები დაბეჯითებით წერენ, რომ დიდგორის ომში თურქულ-არაბული სამყაროს ლაშქარი 600-800 ათასიანი იყო. ჩვენი მეცნიერები თავს იკლავენ – 300 ათასზე მეტი არ იქნებოდა, 800 ათასი დიდგორში ვერ დაეტეოდათ. ჯერ ერთი: თუ თამარ მეფის დროს ბასიანის ომში თურქთა ლაშქარი 400 ათასიანი იყო, დიდგორის ომის დროს ვითომ გაუჭირდებოდათ 800 ათასის შეგროვება? და მეორეც: განა მუსლიმანებმა კოალიციური ლაშქარი იმის მიხედვით შეკრიბეს, დიდგორში დაეტევა თუ არაო? და მესამე: რომელი მხედართმთავარი რომელ ომში ჩააბამდა მთელ ჯარს ერთდროულად ბრძოლაში? ომში არსებობს მენინავე ლშაქარი, არიერგარდი, სარეზერვო ლაშქარი და ა. შ. ეს ომის კანონია. ილლაზი კი დიდი გამოცდილების მთავარსარდალი იყო და ძალიან კარგად იცოდა ომის წარმოება. ჩვენს მეცნიერებს უთუოდ არასწორად აქვთ გააზრებული მემატიანის ნათქვამი და ის ტერიტორიები. ქართველი მემატიანე ამბობს: მტრის ლაშქრით აივსო მანგლისი და მთელი თრიალეთი: „შეკრბეს ესე ყოველნი, შეითქუნეს, შეიმტკიცნეს სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომლითა აღივსო ქვეყანა, და აგვისტოს თორმეტსა მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თვით ფეხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამ ათ ადგილთა“. აქ მარტო მაგნლის-დიდგორის მიდამოები კი არ იგულისხმება, არამედ ლაპარაკია მთელ თრიალეთზე – დიდგორი-მაგლისი-გოხნარი-კლდეკარი-წალკა-დმანისი-ნინონმინდის რაიონების ტერიტორიებზე. ეს იყო თრიალეთი – მანგლისიდან ნინონმინდამდე; ამ უკიდეგანო სივრცეებზე იდგა მტრის ლაშქარი და იქ 800 ათა-

შგზავრები წყობისფლისა

სი კი არა, 8 მილიონი მეომარიც ლაღად განთავსდებოდა. აქ უნდა აღინიშნოს ერთი სამწუხარო ფაქტიც. კომუნისტებს მუდამ წესად ჰქონდათ წარსულის, რელიგიურ-ისტორიული ფაქტების გადაკეთების, ხალხური ეროვნული ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის უინი. 900 წელია უბრალო ხალხი ყოველი წლის 21 აგვისტოს დიდგორში ღამისთევით აღნიშნავს მტერზე გამარჯვების, „ძლევაი საკვირველის“ თარიღს. შევარდნაძეს არ მოეწონა ხალხური ტრადიცია და პარტაქტივი აიძულა დიდგორის ზე-იმი აღენიშნათ 12 აგვისტოს. სააკაშვილი იმავე 12 აგვისტოს მხოლოდ თავისი პარტიის წევრებით აღნიშნავდა დიდგორობას. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამაც გააგრძელა 12 აგვისტოს დიდგორობაზე ზეიმის მოწყობა. რას ვზეიმობთ, ბატონებო, 12 აგვისტოს? მტრის კოალიციური ლაშქრის საქართველოში შემოჭრის თარიღს? 12 აგვისტოს ხომ მტერი თრიალეთში ჩამოდგა, ომი არც დაწყებული იყო და არც არავინ იცოდა, როგორ დამთავრდებოდა. დიდგორში მხოლოდ მტრის მენინავე ლაშქართან შეტაკება მოხდა. მერე ომი რვა დღეს გაგრძელდა და მტრის დევნა-განადგურება 21-ში დამთავრდა. ქართველი ხალხი სწორედ ამიტომ აღნიშნავს დიდგორობას 21 აგვისტოს – მტერზე საბოლოო გამარჯვების თარიღს. ისტორიას არ ახსოვს, რომ მტერზე გამარჯვების ზეიმი ვინმეს ომის დაწყებამდე აღენიშნოს. ეს ხომ სისულე-ლეა. 12 აგვისტოს დიდგორობის ზეიმის მოწყობა დაახლოებით იმას ჰქავს, რომ გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვება სტალინს 1945 წლის 9 მაისს კი არა, 1941 წლის 22 ივნისს აღენიშნა. ეს ხომ საბჭოთა კავშირზე ჰიტლერის თავდასხმის საზეიმო აღნიშვნა გამოვიდოდა. აი, ასეთ სისულელემდე შეიძლება მივიდეს უვიცი პოლიტიკოსე-

ბის ახირება. ჩვენ არ უნდა ვცდილობდეთ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ისტორიული სინამდვილის და-მახინჯებას!

ამიტომ ვიდრე წიგნების წერას ან ზეიმის სამზადისს შე-უდგებოდეთ, ყურადღებით უნდა წავიკითხოთ და შევის-წავლოთ მეცნიერთა ყველა შრომა, სწორად გავიაზროთ მემატიანეთა ნათქვამი. ისტორიის შეცვლას ნუ ვცდი-ლობთ, ბავშვებს სიცრუეს, მეცნიერულად მოძველებულ, მედროვე პოლიტიკოსებისგან გაყალბებულ ვერსიებს ნუ ვასწავლით!

07. 09. 2015 წ.

საპირელი ნოველები და მოთხოვებები

1. მგზავრები წუთისოფლისა
2. ესტატე
3. მე მიყვარს საქართველო
4. კაცომოყვარეობის ამაღლებლი მაგალითი
5. ეს სიყვარულის უნარმა და სითბომ გააკეთა
6. პოლიტიკის მსხვერპლი
7. არქიმანდრიტი ილია კარტოზიას თავგანწირვა
8. გაბრიელ ბერი
9. ზუბალაშვილების ღვაწლი და ხელისუფალთა უმადურობანი

ისტორიული მოთხოვებები

10. სამღერეთი
11. აქ, ტაშისკართან დამარცხდა მტერი
12. ანა – ბაჯი

– ცერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე

13. ფიქრები რუსთაველზე
14. ორიოდე სიტყვა რუსთაველის ერთი სტროფის გამო
15. შავი ყვავილები (ნიკო სამადაშვილის შემოქმედება)
16. გუდამაყრიდან დანახული სამყარო – გოდერძი ჩახელის საკარგყმოდ თქმული
17. წუთისოფელს კაცად შერჩა ბოლომდე (მუხრან მაჭავარიანი)
18. მან ლირსეული კვალი დატოვა (აკაკი მათიაშვილი)
19. ლიანა მიქიანი – ჭედური ხელოვნების დიდოსტატი
20. ხმა დაკარგული სამცხიდან – ახმედ მელაშვილი – დიდი ერისკაცი
21. ლაზეთის ბულბული
22. ბაიარ შაჰინ გუნდარიძე
23. გამოფენიდან გამოყოლილი ფიქრები (უცნობი ჯავახელი მხატვრის შემოქმედება)
24. ბავშვებს სიცრუეს ნუ ვასწავლით (ქართული დამწერლობის წარმოშობისა და დიდგორობის ზეიმის თარიღების შესახებ)

